TU
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
TBILISI TEACHING UNIVERSITY

მეცნიერება და ცხოვრება

ISSN 1987-9377

1 (15)

თბილისი 2017

TU
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
TBILISI TEACHING UNIVERSITY

მეცნიერება და ცხოვრება

Metsniereba da Tskhovreba

Мецниереба да Цховреба

№ 1[15]

თბილისი - Tbilisi – Тбилиси
2017

UDC (უაკ) 001.1+001.5](051.2
მ-621

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“ გამოდის თბილისის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით

International, refered and reviewed scientific journal „Metsniereba da Tskhovreba“ published by the decision of Tbilisi University's academic council

Международный, рецензированный и реферированный журнал „Мецниереба да Цховреба“ выходит по решению академического совета Тбилисского Университета

ჟურნალი გამოდის 2010 წლიდან წელიწადში ორჯერ
ჟურნალის დამფუძნებელი - დავით ჯანგულაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე

Published since 2010 twice a year
Founder of the journal - David Jangulashvili, Doctor of Economic Sciences, Professor, Academician of the Georgian Academy of Business Sciences, Chairman of the Management Board of Tbilisi Teaching University

Журнал выходит с 2010 года два раза в год
Основатель журнала - Давид Джангулашвили, доктор экономических наук, профессор, академик Академии Наук Бизнеса Грузии, председатель управленческого совета Тбилисского Учебного Университета

უნივერსიტეტის მისამართი: ქ. თბილისი, ეგ. ნინოშვილის ქ. №55
ვებ-გვერდი: www.tu.edu.ge
ელ.ფოსტა: journal2010@mail.com
ტელ: 2969044

University address: Tbilisi, Eg. Ninoshvili st. №55
WEB-page: www.tu.edu.ge
E-mail: journal2010 @mail.com
Tel: 2969044

Адрес университета: г. Тбилиси, ул. Эг. Ниношвили №55
Веб-страница: www.tu.edu.ge
Эл-почта: journal2010@mail.com
Тел: 2969044

გამომცემლობა „მწიგნობარი”

სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო

ლევან ჯანგულაშვილი – პროფესორი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი
რევაზ ჯავახიშვილი – მთავარი რედაქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
ლია მენთეშაშვილი – პასუხისმგებელი მდივანი, პროფესორი
დავით ჯანგულაშვილი – პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

სოლომონ პავლიაშვილი –პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
ავთანდილ სილაგაძე – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
ირაკლი ასლანიშვილი – საქართველოს ბიზნეს-ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი
გაიოზ ნადირაშვილი – პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
მიხეილ ჯიბუტი – პროფესორი, საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტი
რამაზ აბესაძე – პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი
გედევან ხელაია – პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
დავით გუბელაძე – პროფესორი, ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი
დავით ვეკუა – პროფესორი
თამარ ჯანგულაშვილი – პროფესორი
არჩილ ცერცვაძე – პროფესორი
გიორგი ცაავა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
შოთა ვეშაპიძე – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი
დევი ხვედელიანი – პროფესორი
ალექსანდრე ჭულუხაძე – ქართული უნივერსიტეტის პროფესორი
ნინო სანაია – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ელენე გვენცაძე – ასოცირებული პროფესორი

ნადეჟდა გრაჟევსკაია – პროფესორი (უკრაინა)
დომინიკ კოლენ – პროფესორი (საფრანგეთი)
რეიმონდ გიუზო – პროფესორი (საფრანგეთი)
ჟან ბარლუა – პროფესორი (საფრანგეთი)
ანტონიო ბოჯია – პროფესორი (იტალია)
იოანა ბალანი – ასოცირებული პროფესორი (რუმინეთი)

კომპიუტერული უზრუნველყოფა – **ხათუნა ჩაჩხიანი**

SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

Levan Jangulashvili– Professor, Rector of Tbilisi Teaching University

Revaz Javakhishvili – Editor-in-Chief, Professor, Academician of the Georgian Academy of Business Sciences

Lia Menteshashvili –Executive Secretary, Professor

David Jangulashvili – Professor, Academician of the Georgian Academy of Business Sciences

Solomon Pavliashvili–Professor, Vice -President of the Georgian Academy of Economic Sciences

Avtandil Silagadze – Academician of the Georgian National Academy of Sciences

Irakli Aslanishvili - Executive Director of Business Association of Georgia

Gaioz Nadirasvili – Professor, Academician of the Georgian Academy of Business Sciences

Mikheil Jibuti –Professor, President of Economists Association of Georgia

Ramaz Abesadze _ Professor, Director of P. Gugushvili Institute of Economists

Gedevan Khelaia – Professor , Academician of the Academy of the Economic Sciences of Georgia

David Gubeladze – Professor, Academician of the International Academy of Ecology and Nature

David Vekua – Professor

Tamar Jangulashvili – Professor

Archil Tsertsvadze – Professor

Giorgi Tsaava – Professor, Georgian Technical University

Shota Veshapidze – Professor, David Aghmashenebeli National Defense Academic of Georgia

Devi Khvedeliani – Professor

Aleqsander Chulukhadze - Professor, Georgian University

Nino Sanaia – Associate Professor, Sokhumi State University

Elene Gventsadze –Associate Professor

Nadejda Grajevskaya – Professor (Ukraine)
Dominique Colin – Professor (France)
Raymond Guillouzo – Professor (France)
Jean Barloy – Professor (France)
Antonio Bogia – Professor (Italy)
Ioana Balan - Associate Professor (Romania)

Computer Service **– Khatuna Chachkhiani**

НАУЧНО РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

Леван Джангулашвили – профессор, ректор Тбилисского учебного университета

Реваз Джавахишвили – главный редактор**,** профессор, академик Академии Наук Бизнеса Грузии

Лия Ментешашвили – ответственный секретарь, профессор

Давид Джангулашвили – профессор, академик Академии Наук Бизнеса Грузии

Соломон Павлиашвили - профессор, вице -президент Академии Экономических Наук Грузии

Автандил Силагадзе - академик Национальной Академии Наук Грузии

Иракли Асланишвили – исполнительный директор Бизнэсс-ассоциации Грузии

Гаиоз Надирашвили - профессор, академик Академии Наук Бизнеса Грузии

Михеил Джибути - президент Ассоциации экономистов Грузии, профессор

Рамаз Абесадзе - директор Института экономики им. П. Гугушвили, профессор

Гедеван Хелая – профессор, академик Академии Экономических Наук Грузии

Давид Губеладзе – профессор, академик Академии Экологии и Пользования Природными Рессурсами

Давид Векуа – профессор

Тамар Джангулашвили –профессор

Арчил Церцвадзе – профессор

Гиорги Цаава - профессор Технического университета Грузии

Шота Вешапидзе – профессор Академии Национальной Обороны Грузии им. Давид Агмашенебели

Деви Хведелиани – профессор

Александр Чулухадзе – профессор Грузинского университета

Нино Саная - ассоциированный профессор Сухумского государственного университета

Елене Гвенцадзе - ассоциированный профессор

Надежда Гражевская – профессор (Украина)

Доминик Колен – профессор (Франция)

Реймонд Гюзо – профессор (Франция)

Жан Барлуа – профессор (Франция)

Антонио Боджиа – профессор (Италия)

Иоана Балан - ассоциированный профессор (Румыния)

Компьютерное обеспечение: **Хатуна Чачхиани**

სარჩევი

ეკონომიკის მეცნიერებანი

ლევან ჯანგულაშვილი - სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკის სრულყოფის საკითხები..... 12

რევაზ ჯავახიშვილი - უნგრეთის ეროვნული ინოვაციური პოლიტიკა..... 19

თამარ ჯანგულაშვილი - სოციალური მარკეტინგი: არსი, კონცეფცია, ტიპები..... 24

გედევან ხელაია - ნიკო ნიკოლაძის ზოგიერთი ეკონომიკური შეხედულება..... 32

მაია თეთრუაშვილი - მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი და საქართველო..... 37

გიორგი ცაავა, ლია ოტიაშვილი - საბანკო საქმის მდგრადობის, სტაბილურობისა და საიმედოობის თეორიული საფუძვლები..... 42

შოთა ვეშაპიძე - ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ეკონომიკური კვლევის მეთოდების გამოყენების შესახებ..... 47

თინათინ ჩხეიძე - ევროკავშირის მოთხოვნები და საქართველოს ფერმერული მეურნეობის გამოწვევები..... 52

გივი დუჩიძე - სასურსათო საქონლის ფასები და ფასწარმოქმნაზე მოქმედი ფაქტორები..... 57

სოფიო ბლიაძე, ნანა რინკიაშვილი - ფასიანი ქაღალდების ბაზრის მიმოხილვა და საფონდო ბირჟების განვითარება საქართველოში..... 61

ლარისა დოლიკაშვილი - „ცის კიბის“ ფესტივალი..... 68

თამარ ზირაქაშვილი - კომპანიის ფინანსური მენეჯმენტის საინფორმაციო ბაზის სრულყოფა 71

ლია ოტიაშვილი - სახელმწიფო საფინანსო პოლიტიკის აქტუალური საკითხები..... 75

აგრარული მეცნიერებანი

მაგდა ვადაჭკორია – სოფლის მეურნეობის საწარმოთა კოოპერაცია და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში..... 80

მურად გარუჩავა, გიორგი ფარულავა - საკვები პროდუქტების ხარისხის ფორმირებაზე მოქმედი ზოგიერთი ბიოქიმიური ფაქტორი..... 85

მანანა ცინცაძე, ნათია ნატროშვილი, გიორგი ნატროშვილი, გალია ცქვიტინიძე - მეცხოველეობის განვითარების პერპექტივები საქართველოში..... 91

მანანა ცინცაძე, ნაილი ორჯანელი, ნათია ნატროშვილი, გიორგი ნატროშვილი - მებოცვრეობის განვითარების გზები – კვებაში რეზერვების გამოყენება..... 93

მაია კობახიძე, დავით ბასილაძე - ანტისტრესული პრეპარატების გამოყენება მეფრინველეობაში..... 97

ინჟინერია

დავით გუბელაძე - ბუნებრივ კალაპოტებში ნაკადის ჰიდრავლიკური მახასიათებლების კვლევის მეთოდები..... 100

გიორგი ნაჭყეპია - ღრუბლოვანი გამოთვლების საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემის დაცულობის ალბათობის რაოდენობრივი შეფასება..... 105

იურიდიული მეცნიერებანი

ნათელა მაისურაძე – "მე", " არა მე" და "სხვა" – სამართლებრივი რეგულირების მეთოდებთან კორელაციაში..... 112

ელენე გვენცაძე - ბრალი თანამონაწილეობის დროს..... 117

ეკატერინე ნინუა - ამხანაგობა (ერთობლივი საქმიანობა) სახელშეკრულებო სამართლის სისტემაში..... 127

გოჩა ოჩიგავა - სიცოცხლის უფლება და სიკვდილით დასჯის სამართლებრივი რეგულაციები (მოკლე მიმოხილვა) 134

ნანა ხარაძე - თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემები..... 140

გიორგი ასათიანი - თანამედროვე ტერორიზმი - წარმოშობის ისტორია, კლასიფიკაცია და პრევენციის საკითხები..... 144

ბექა ცერცვაძე - საქართველოში სადაზღვევო სისტემის სამართლებრივი ფორმირების ეტაპები..... 150

ჰუმანიტარული მეცნიერებანი

მაია თევზაძე - სტერეოტიპები და კულტურათაშორისი ურთიერთობები..... 154

ელენე ზურაბაშვილი - ინდივიდის ყოფიერების არსი (ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელის" მიხედვით) 157

ზოია ადამია, ნინო სანაია - მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურის პრაგმატული ინფორმაციის მოდელირება ლინგვისტური კორპუსისათვის (აზროვნების აღმნიშვნელი ბმული ჯგუფების მასალაზე დაყრდნობით ფრანგულ, რუსულ და ქართულ ენებში)..... 162

კობა წურწუმია - ვირჯინია ვულფი – მოდერნისტული რომანის ფუძემდებელი..... 166

ვიქტორია დიასამიძე, ლეილა დიასამიძე - ანეკდოტის ჟანრის ტექსტების ფორმალური სტრუქტურა (თანამედროვე რუსულ და ქართულ ენებში) 173

ირინე არჯევანიძე - სიზმარი, როგორც არქეტიპული აზროვნების გამოვლინება ნოდარ დუმბაძის პერსონაჟებში..... 177

მარინა ხანჯალიაშვილი - ადამიანის არსი სულხან-საბა ორბელიანის ჰომილიებში..... 181

თამარ ბარისაშვილი - ...და კვლავ ფიქრები დავით გურამიშვილზე..... 186

განათლების მეცნიერებანი

ლია მენთეშაშვილი - სწავლა როგორც ცოდნის შეგნებული და აქტიური შეთვისების პროცესი..... 190

ნატო შეროზია - კომუნიკაციის ეფექტური სტრატეგიები..... 196

ლაურა გურული - გრამატიკის როლი რუსულის, როგორც უცხო ენის სწავლებისას..... 200

Contents

Economic Sciences

Levan Jangulashvili - Fiscal and monetary policy of the state 12

Revaz Javakhishvili - Hungary's National Innovative Policy 19

Tamar Jangulashvili - Social Marketing: Essence, Concept, Types 24

Gedevan Khelaia - Nicko Nikoladze`s some Economic views 32

Maia Tetruashvili - The World Economic Forum and Georgia 37

Giorgi Tsaava, Lia Otiashvili - Theoretical foundations of stability, sustainability, reliability of banking 42

Shota Veshapidze - Ilia Chavchavadze`s approaches on the application of the methods of economic research **47**

Tinatin Chkheidze - Requests of the European Union and Challenges of Georgian Farmer Economy **52**

Givi Duchidze - Food Product Prices and Factors Influencing the Pricing 57

Sopio Bliadze, Nana Rinkiashvili - Overview of Securities' Market and the Development of the Stock Exchange in Georgia 61

Larisa Dolikashvili - "Sky Ladder" Festival 68

Tamar Zirakishvili - About the Improvement of Informational Base of Company's Financial Management 71

Lia Otiashvili - Current Issues of State Financial Policy 75

Agrarical Sciences

Magda Vadatchkoria - Cooperation and Agricultural Activities. Problems and Perspectives inGeorgia 80

Murad Garuchava, Giorgi Parulava - Some Biochemical Factors which Affect on the Formation of Food Products 85

Manana Tsintsadze, Natia Natroshvili, Giorgi Natroshvili, Galia Tskvitinidze -The Ways of Development and Prospects of Livestock in Georgia 91

Manana Tsintsadze, Naili Orjaneli, Natia Natroshvili, Giorgi Natroshvili - Ways of Development of Rabbit-breeding – Usage of Reserves in Feeding 93

Maia Kobakhidze, David Basiladze - Anti-stress Agents in Poultry 97

Ingineering

David Gubeladze - Research Methods Of Hydraulic Characteristics Of The Flow in Natural Riverbeds 100

Giorgi Nachkepia - Quantitative Assessment of the Probability of Protection of Cloud Computing Information and Communication Systems 105

Legal Sciences

Natela Maisuradze - "I", "Non-self" and "Other" in Correlation with the Methods of Legal Regulation 112

Elene Gventsadze - Charged in Withcomplicity 117

Ekaterine Ninua - Partnership (Joint Activities) in the Contractual Law System 127

Gocha Ochigava - 134

Nana Kharadze - The Systems of Monitoring of Property Situation of High Staff 140

Giorgi Asatiani - Modern Terrorism - the History, Classification and Prevention Issues 144

Beka Tsertsvadze - The Stages of Formation of Insurance System Legislation in Georgia 150

Humanitarian Sciences

Maia Tevzadze - Stereotypes and Cross-cultural Communication 154

Elene Zurabashvili -Sense of Being of the Individual (According to Vazha-Pshavela's "Snake Eater") 157

Zoia Adamia, Nino Sanaia - Pragmatic Information Modeling in Semantic Structure of Meaning for Linguistic Corpus(Based on the Studies of the Correlations Denoting Thinking in French, Russian and Georgian languages) 162

Koba Tsurtsumia - Virginia Woolf – a Founder of Modernist Novel 166

Victoria Diasamidze, Leila Diasamidze - Anecdote and its Formal Structure in Modern Russian and Georgian 173

Irine Ardjevanidze - Dream as an Expression of Archetypic Thinking in Nodar Dumbadze's Characters 177

Marina Khanjaliashvili - Human Essence in Sulkhan - Saba Orbeliani Homilies 181

Tamar Barisashvili - ...and again, Thoughts about David Guramishvili 186

Education Sciences

Lia Menteshashvili - Studing as Process of Conscious and Active Mastering of Knowledge 190

Nato Sherozia - Effective Communication Strategie 196

Laura Guruli - The Role of Grammar in Teaching Russian as a Foreign Language 200

Содержание

Экономические науки

Леван Джангулашвили - Вопросы усовершенствования финансово-фискальной и монетарной политики государства 12

Реваз Джавахишвили - Национальная иновационная политика Венгрии 19

Тамар Джангулашвили - Социальний маркетинг: сушность, концепция, типы. 24

Гедеван Хелая -Некоторые экономические взгляды Нико Николадзе 32

Майя Тетруашвили - Всемирный экономический форум и Грузия 37

Гиорги Цаава, Лия Отиашвили - Теоретические основы устойчивости, стабильности и надежности банковского дела 42

Шота Вешапидзе - Взгляды Ильи Чавчавадзе о применении методов экономических исследований 47

Тинатин Чхеидзе - Требования Евросоюза и вызовы фермерского хозяйства Грузии 52

Гиви Дучидзе - Цены продовольственных товаров и факторы ценообразования 57

Софио Блиадзе, Нана Ринкиашвили - Обозрение рынка ценных бумаг и развитие фондовых бирж в Грузии 61

Лариса Доликашвили - Фестиваль "Небесная лестница" 68

Тамар Зиракишвили - Совершенствование информационной базы финансового менеджмента компании 71

Лия Отиашвили - Актуальные вопросы финансовой политики государства 75

Аграрные науки

Магда Вадачкория - Кооперация производств сельского хозяйства и перспективы её развития в Грузии 80

Мурад Гаручава, Гиорги Парулава - Некоторые биохимические факторы, вляюшие на формирование качества пищевой продукции 85

Манана Цинцадзе, Натия Натрошвили, Гиорги Натрошвили, Галия Цквитинидзе- Обзор мирового животноводства и пути его развития в Грузии 91

Манана Цинцадзе , Наили Орджанели , Натия Натрошвили, Гиорги Натрошвили- Пути развития кролиководства – использование резервов в кормлении 93

Майя Кобахидзе, Давид Басиладзе - Применение антистресового препарата в птицеводстве 97

Инжинерия

Давид Губеладзе - Методы исследования гидравлических показателей течения в природном русле 100

Гиорги Начкепия - Каличественная оценка вероятности защиты информативно-коммуникативной системы облачных вычислений 105

Юридические науки

Натела Маисурадзе - “Я”, “не-Я” и “другой“ в кореляции с методами правового регулирования 112

Елене Гвенцадзе - Вина в случае соучастия 117

Екатерина Нинуа - Товарищество (совместная деятельность) в системе договорного права 127

Гоча Очигава - Право на жизнь и правовые регуляции смертельной казни 134

Нана Харадзе - Системи мониторинга деклараций имущественного состояния должностных лиц 140

Гиорги Асатиани - Современный терроризм - история, классификация и предотвращение проблем 144

Бека Церцвадзе - Этапы правового формирования страховой системы Грузии 150

Гуманитарные науки

Майя Тевзадзе - Стереотипы и межкультурная коммуникация 154

Елене Зурабашвили - Сущность бытия индивида (По «Змееду» Важа-Пшавела) 157

Зоя Адамия, Нино Саная - Моделирование прагматической информации в семан - тической структуре значения для Лингвистического Корпуса (на материале связанных групп, обозначающих мышление в французском, русском и грузинском языках) 162

Коба Цурцумия - Вирджиния Вульф – основательница модернистского романа 166

Виктория Диасамидзе, Лейла Диасамидзе - Формальная структура текстов жанра «анекдот» (в современном русском и грузинском языках) 173

Иринэ Арджеванидзе - Сон, как проявление архетипного мышления персонажей Нодара Думбадзе 177

Марина Ханджалиашвили - Человеческая сущность в гомилиях Сулхан - Саба Орбелиани 181

Тамар Барисашвили - . . . и опять мысли о Давиде Гурамишвили 186

Науки Просвещения

Лия Ментешашвили - Учение как процесс активного и осмысленного усвоения знаний 190

Нато Шерозия - Эффективные стратеги коммуникации 196

Лаура Гурули - Роль грамматики в процессе преподавания русского языка как иностранного 200

ეკონომიკის მეცნიერებანი

ლევან ჯანგულაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკის სრულყოფის საკითხები

უკანასკნელ ხანებში, მრავალ ქვეყანაში განვითარებულ ფინანსურ კრიზისებზე ფინანსური სისტემის მართვის ორგანოები და მათი ფინანსური ინსტიტუტები უძლურები აღმოჩნდნენ სწორი განმარტება გაეკეთებინათ და აღმოფხვრის შესაბამისი ღონისძიებები შემოეთავაზებინათ. აღნიშნულთან დაკავშირებით, ობიექტურად წარმოიშვა ფინანსური პოლიტიკის არსის კონკრეტიზაციისა და მისი კომპონენტების სტრუქტურირებისადმი მიდგომის დასაბუთების აუცილებლობა, რაც ჩვენი სტატიის კვლევის მიზანს წარმოადგენს.

სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკის პრობლემასთან მიმართებაში ეკონომიკური ლიტერატურის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მეცნიერ-ეკონომისტებსა და მეურნე პრაქტიკოსებს შორის ფინანსური პოლიტიკის არსის განმარტებასთან დაკავშირებით დღემდე ერთიანი მოსაზრება არ არსებობს. ასე მაგალითად, ა.ი. ბაბიჩი და ლ.ნ. პავლოვა ფინანსურ პოლიტიკას განსაზღვრავენ როგორც „რეალურ ფულად ბრუნვასთან დაკავშირებულ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე რეგულირებადი ზემოქმედების ფორმების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების ერთობლიობას“ (5, 46). მათგან განსხვავებით, ა.ი. ბალაბანოვი და ი.ტ. ბალაბანოვი (6) თვლიან, რომ ფინანსური პოლიტიკის ზემოქმედების ობიექტს არა მარტო ფულადი ბრუნვა, არამედ მთლიანად ფინანსური სისტემა წარმოადგენს.

ლ.ა. დრობოზინას, ი.ნ. კონსტანტინოვასა და ლ.პ. ოკუნიევას თვალსაზრისით „ფინანსური პოლიტიკა არის სახელმწიფოს მიერ საკუთარი ფუნქციების შესრულების მიზნით ფინანსური რესურსების მობილიზაციაზე, მათ განაწილებასა და გამოყენებაზე მიმართული სახელმწიფო ღონისძიებების ერთობლიობა“ (8, 26). აღნიშნულ თვალსაზრისს მხარს უჭერენ პ.ს. შულიაკო და ნ.პ. ბელოტელოვა (11), ო.რ. რომანენკო, ს.ი. ოგოროდნიკი, მ.ს. ზალიუკი და ა.ა. სლავკოვა. ამასთან, ისინი ხაზს უსვამენ, რომ ფინანსური რესურსების მობილიზაცია, განაწილება და გამოყენება სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მიზნობრივ ფუნქციასთან მიმართებაში რაციონალური უნდა იყოს (10, 42-43).

ო.დ. ვასილიკი, აღნიშნავს რა ფინანსური პოლიტიკის ნორმატიულ-სამართლებრივ მიმართულებას, მას განსაზღვრავს როგორც „საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას, რომელიც მისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფისათვის ფინანსების ორგანიზაციისა და გამოყენების ღონისძიებებს, მეთოდებსა და ფორმებს მოიცავს. ფინანსური პოლიტიკა თავის კონკრეტულ გამოხატულებას მოქმედ სისტემაში, ფინანსური რესურსების მობილიზაციაში და სახელმწიფოს, მეწარმე სტრუქტურებისა და მოსახლეობის მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის მათ გამოყენებაში პოულობს“. ფინანსური პოლიტიკა არის „შესაბამისი სახელისუფლებო სტრუქტურების გონივრული საქმიანობის ფორმა, მაგრამ მისი პროცესები და მიზნები ფორმირდება შესაბამისად იმისა, თუ მოცემულ სახელმწიფოში როგორი სისტემის მოდელი არის მიღებული და ეკონომიკური საქმიანობის საბოლოო მიზანი როგორ არის განსაზღვრული ხელისუფლებაში არსებული მისი პოლიტიკური ძალის მიერ“ (7, 57-59).

რ. კაკულიას, ლ. ბახტაძისა და ა. ჯიბუტის მოსაზრებით „ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და დამატებითი სახელმწიფო ფინანსური რესურსების ფორმირების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა კეთილგონივრული ფისკალური პოლიტიკა, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი გახდება როგორც ხარჯები, ისე შემოსავლები. ამით შეიქმნება ოპტიმალური პირობები სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად“(2, 68).

მ. ვანიშვილის, მ. ნოზაძისა და ლ. გოცირიძის თვალსაზრისით „ფინანსური პოლიტიკა სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად საჭირო ფინანსური ურთიერთობების გამოყენების მიზნით შემუშავებული და განხორციელებული ღონისძიებების ერთობლიობას წარმოადგენს. ფინანსური პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ამიტომ მასში ვლინდება ეროვნული მეურნეობის განვითარების მთავარი მიმართულებები. განისაზღვრება ფინანსური რესურსების საერთო მოცულობა, მათი წყაროები და გამოყენების კონკრეტული გზები, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ფინანსური მეთოდებით რეგულირებისა და სტიმულირების მექანიზმი“(1, 60).

ი. მესხიას მოსაზრებით „სახელმწიფოს საერთაშორისო ფინანსური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ამ სფეროში შემუშავებულ მეცნიერულ კონცეფციებს, წინა პერიოდის პრაქტიკის ანალიზს და როგორც ცალკეული ქვეყნის, ასევე მთლიანად მსოფლიოს მიმდინარე და სტრატეგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებს. საერთაშორისო ფინანსური პოლიტიკა არის ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი. ისინი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. წარმატებული ფინანსური პოლიტიკა ხელს უწყობს ნაციონალური ეკონომიკის განვითარებას, ხოლო პირიქით, შეცდომები საერთაშორისო ფინანსებში ანელებს ნაციონალური ეკონომიკის წინსვლას“(3, 31).

გ. ხანთაძისა და გ. ცაავას თვალსაზრისით „ფინანსური პოლიტიკა არის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, რომელთა გადაწყვეტაზეა მიმართული საზოგადოებრივი სიმდიდრის ფორმირების, განაწილებისა და გადანაწილების პროცესი, რომ უწყვეტი კვლავწარმოების პროცესისა და კვლავწარმოების ცალკეული კონკრეტული მოთხოვნის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა იქნეს დაკმაყოფილებული“(4, 41).

ჩატარებული ანალიზის შედეგების შეჯერებით შესაძლებელია შემდეგი სახის დასკვნის გაკეთება.ფინანსური პოლიტიკის არსის განხილული განმარტებები ერთმანეთისაგან პრინციპულად არ განსხვავდებიან, რამდენადაც მათი ავტორები ყურადღებას ამახვილებენ შემდეგ ასპექტებზე: ფინანსური პოლიტიკის როლზე, ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების თანაფარდობაზე.

ჩვენი მოსაზრებით, ფინანსური პოლიტიკა არის ფინანსური რესურსების მობილიზაციაზე, მათ ოპტიმალურ განაწილებასა და რაციონალურ გამოყენებაზე მიმართული სახელმწიფოებრივი ღონისძიებების ერთობლიობა. ფინანსური პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ შესაბამისი ფინანსური რესურსებით მათზე დაკისრებული ფუნქციების უზრუნველყოფა, ხოლო ძირითად ამოცანებს კი ფინანსური რესურსების მინიმალურად საჭირო მოცულობით მობილიზაციისათვის პირობების უზრუნველყოფა; ფინანსური რესურსების ოპტიმალური განაწილება და რაციონალური გამოყენება; საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფინანსური მეთოდებით რეგულირება და სტიმულირება; ფინანსური მექანიზმის რეალური საბაზრო ეკონომიკის შესაბამისად შემუშავება; ფინანსების მართვის ეფექტური სისტემის შექმნა.

ფინანსური პოლიტიკის პრინციპები და მათი მოკლე დახასიათება მოცემულია №1 ცხრილში.

ფინანსური პოლიტიკა, როგორც მაკროეკონომიკური პოლიტიკის ნორმატიული თეორიის შემადგენელი, პასუხობს კითხვებზე: როგორ შეიძლება კონკრეტულ ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში კონკრეტული მიზნები იქნეს მიღწეული; ღირს თუ არა და როგორ შეიძლება მოქმედი ფინანსური მექანიზმის მეშვეობით საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა იქნეს შეცვლილი; როგორ შეიძლება ფინანსური განვითარების მიზნები და ამოცანები ოპტიმალურად იქნეს შეხამებული და მიღწეული მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური წარმატება; როგორია სიმდიდრის გადიდების შიდა ზამბარები ეროვნული ფინანსების სხვადასხვა სფეროებსა და რგოლებში, რომლებზეც დაყრდნობა არის საჭირო. ფინანსური პოლიტიკა, როგორც მაკროეკონომიკური პოლიტიკის პოზიტიური თეორიის შემადგენელი, ცდილობს ახსნას, ფინანსური სისტემის მართვის ორგანოები და ფინანსური ინსტიტუტები, რომელთა ხელშია თავმოყრილი ძალაუფლება, რატომ მოქმედებენ სწორედ ასე და არა სხვაგვარად. აღნიშნული სფეროს თეორეტიკოსები ცალკეული ქვეყნების შიგნით ფინანსური პოლიტიკის

შემუშავებისა და რეალიზაციის პრაქტიკას შეისწავლიან და სხვადასხვა ქვეყნების შესაბამისი ორგანოებისა და ინსტიტუტების ქმედებების შედარებით ანალიზს ახორციელებენ.

ფინანსური პოლიტიკის პრინციპები ცხრილი 1

პრინციპი:	**პრინციპების შინაარსი:**
1. დაუყვანებლობა	ფინანსური პოლიტიკა სახელმწიფოში სახელმწიფო პრაქტიკაზე არ დაიყვანება; ტარდება მეურნეობის მართვის ყველა დონეების მიერ, პირველადი რგოლების (საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები) ჩათვლით
2. მთლიანობისა და ერთიანობის	სახელმწიფო ფინანსური პოლიტიკის მთლიანობისა და ერთიანობის დარღვევა არის ფინანსების განვითარების ობიექტური კანონზომიერება და ფინანსური რეფორმების განხორციელების პირობების ფორმირების საფუძველი
3. დამოუკიდებლობის	სახელმწიფო შიდა და საგარეო პოლიტიკის პრიმატი მის შემადგენლებზე არის ობიექტური კანონზომიერება, რომელიც სახელმწიფოს პოლიტიკის ყველა შემადგენლების ურთიერთდამოკიდებულების მუდმივობისა და ეფექტიანობის განმსაზღვრელია
4. ცენტრალიზაციის	ფინანსური პოლიტიკა არის ზემოდან ქვემოთ ზემოქმედების ხელოვნება, ანუ იგი სახელმწიფოს ხელში შემოსავლების ცენტრალიზაციის არსებული მექანიზმის შენარჩუნებაზე უნდა იყოს მიმართული
5. წარმოებულობის	ფინანსური ღონისძიებების ეკონომიკის მდგომარეობიდან წარმოებულობა ეფექტური ფინანსური პოლიტიკის განხორციელების საფუძველში ჩადებულ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს
6. სისტემურობის	მიკრო, მეზო და მაკროეკონომიკურ დონეებზე შედგენადი საფინანსო-საკრედიტო ბალანსებისა და პროგნოზების მაქსიმალურად შესაძლო დაკავშირების უზრუნველყოფის აუცილებლობა; ღირებულებითი ფორმების მოძრაობის კვლავწარმოებითი პროცესის საერთო ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებთან შეთანხმება
7. კომპლექსურობის	ითვალისწინებს, რომ ბიუჯეტისა და ფულად-საკრედიტო სისტემის ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებლებში შესწორებების შეტანისას, საჭიროა მუდმივად იქნეს შეფასებული, აღნიშნული ეკონომიკის განვითარებაზე მათი პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების გათვალისწინებით გაკეთდეს

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ფინანსურ მეცნიერებას, ფინანსურ პოლიტიკასა და ფინანსების მართვას შორის ურთიერთკავშირის დაზუსტება ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს.ფინანსური პოლიტიკა ფინანსების მართვის სისტემაში ფუძემდებლურ ელემენტს წარმოადგენს, მისი რეალიზება ეკონომიკის მართვის მეშვეობით ხორციელდება და ფინანსების მართვის პროცესის საფუძველია. აღნიშნული თავისი არსით როგორც ფინანსების მართვის პროცესისადმი და ასევე ფინანსური მეცნიერებისადმი მიმართებაში ფინანსური პოლიტიკის როლის საყოველთაობას ნიშნავს. ფინანსების მართვა არა თვით მართვისათვის, არამედ ფინანსური პოლიტიკით დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის მიზნით ხორციელდება, ანუ შეიძლება დავასკვნათ, რომ ფინანსების მართვა ფინანსური პოლიტიკის რეალიზაციის პროცესს წარმოადგენს. ამავე დროს ფინანსური მეცნიერება და ფინანსური პოლიტიკა არის ობიექტური და სუბიექტური ფინანსების მართვაში. ფინანსების როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე ფინანსური პოლიტიკა ფინანსური ცოდნის ფორმირების წყაროდ გამოდიოდა. ფინანსური პოლიტიკის ზემოქმედების ქვეშ იცვლებოდა არა მარტო ფინანსების მართვა, არამედ ფინანსური მეცნიერების შინაარსიც გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა. მიუხედავად ამისა, ფინანსური პოლიტიკა ფინანსური მეცნიერების საგნის შემადგენელი ფინანსური ურთიერთობების შემადგენლობასა და შინაარსს კი არ შეისწავლის, არამედ მეცნიერებისადმი მიმართებაში ფინანსების შესახებ საკუთარი

სპეციფიკური ამოცანების შესრულებისათვის სახელმწიფოში ფინანსური ურთიერთობებისა და კანონმდებლურად გაფორმებული მათი პრაქტიკული რეალიზაციის როგორც საბაზისო ინსტრუმენტარიის არსებულ პირობებს იყენებს. ამასთან, უთუოდ, ფინანსური პოლიტიკა ფინანსებისა და მართვის თეორიაზეა დაფუძნებული.

ი.ა. თინბერგენის მიერ 1969 წელს შემუშავებული ნორმატიული კონცეფციის თანახმად (9, 641-647), ფინანსური პოლიტიკა წარმოადგენს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს საქმიანობის დამოუკიდებელ სფეროს, ხოლო მეორე მხრივ მისი ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის ინსტრუმენტს. ოპტიმალური ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთებისათვის სამთავრობო ორგანოებს ესაჭიროება, პირველ რიგში, საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევაზე მიმართული ეკონომიკური პოლიტიკის საბოლოო მიზნების შერჩევა. მეორე მხრივ კი იმის შეფასება, თუ რა სახის პოლიტიკურ ინსტრუმენტებს – ფისკალურ ან მონეტარულ პოლიტიკას ფლობენ ისინი. მესამე, მათი მიღწევის მიზნობრივი მაჩვენებლებისა და ინსტრუმენტების შემაკავშირებელი მოდელის აგება, რაც გამოყენებადი პოლიტიკური ღონისძიებების ოპტიმალური მასშტაბის შერჩევის შესაძლებლობას იძლევა. ამასთან საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს, რომ: 1) სამთავრობო ორგანოებს მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი ინსტრუმენტი გააჩნიათ, რომლის მეშვეობით მათ მხოლოდ ერთი მიზნის მიღწევა შეუძლიათ; 2) ისტრუმენტი „ფისკალური პოლიტიკა“ მეტი ხარისხით „სრული დასაქმების“ მიზანს ეხება და მის რეალიზაციას უზრუნველყოფს, ხოლო ინსტრუმენტი „მონეტარული პოლიტიკა“ – „ნულოვან ინფლაციასთან“ არის დაკავშირებული.

გადასაწყვეტი ამოცანების რეალიზაციისა და ხასიათის პერიოდის ხანგრძლივობის მიხედვით ფინანსური პოლიტიკა დაიყოფა ფინანსურ სტრატეგიად და ტაქტიკად, ამასთან ტაქტიკა მეორადია სტრატეგიასთან მიმართებაში. ფინანსური სტრატეგიისა და ტაქტიკის თავისებურებები ფინანსური პოლიტიკის მიმართულობით და სახეობით არის განპირობებული. მაგრამ, მოცემულ საკითხთან მიმართებაში ასევე ერთიანი მოსაზრება არ არსებობს. ასე, მაგალითად, ა.მ. ბაბიჩი და ლ.ნ. პავლოვა (5, 46) გამოყოფენ ფინანსური პოლიტიკის ექვს მიმართულებას: საგადასახადო, საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო, სოციალური, საინვესტიციოსა და პოლიტიკას საერთაშორისო ფინანსების სფეროში. ო.ლ. ვასილიუკი(7, 57) აღნიშნავს, რომ ფინანსური პოლიტიკა არის მრავალგეგმიური და განსაზღვრული ზომიერებით, ინტეგრირებული მოვლენა. იგი თავისთავში მოიცავს როგორც დამოუკიდებელ (საბიუჯეტო, საგადასახადო, ფულად, სავალუტო და საინვესტიციო პოლიტიკას), ასევე დაზღვევის, სახელმწიფო ვალის, საფონდო ბაზრის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და ა.შ.

ჩვენი მოსაზრებით, ფინანსური პოლიტიკის შემადგენლობაში გამოყოფილი უნდა იყოს ორი მიმართულება: საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკა და საკრედიტო-ფულადი (მონეტარული) პოლიტიკა (სქემა 1).

სქემა 1. ფინანსური პოლიტიკის მიმართულებები და სახეობები

ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ ა		
საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკა		**საკრედიტო-ფულადი (მონეტარული) პოლიტიკა**
საგადასახადო პოლიტიკა		საემისიო პოლიტიკა
საინვესტიციო პოლიტიკა		ფასობრივი პოლიტიკა
სახელმწიფო ვალის მართვის პოლიტიკა		სავალუტო პოლიტიკა
სახელმწიფო ხარჯების პოლიტიკა		საკრედიტო პოლიტიკა
		საპროცენტო განაკვეთის პოლიტიკა

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა არის სახელმწიფოს ხარჯებისა და შემოსავლების მეშვეობით ეკონომიკის რეგულირების სისტემა, გადასახადებით დაბეგვრაზე და სახელმწიფო ხარჯებზე ზემოქმედების სახელმწიფოებრივი მეთოდების

ერთობლიობა. თუმცა საჭიროა აღინიშნოს, რომ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას მიეკუთვნება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტთან ისეთი მანიპულაციები, რომლებიც მიმოქცევაში ფულის მასის რაოდენობას არ ცვლიან. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი ტიპები მე-2 სქემაზეა წარმოდგენილი:

სქემა 2

საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკა		
დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა		**არადისკრეციული ფისკალური პოლიტიკა**
აქტიური ფისკალური პოლიტიკა		პასიური ფისკალური პოლიტიკა
გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების შეგნებულად მანიპულირება		გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების ავტომატური ცვლილება

დისკრეციული საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა თავისთავად სამთავრობო შესყიდვების, გადასახადების განაკვეთებისა და სატარიფო გადახდების სიდიდეების გონივრულ მანიპულირებას წარმოადგენს. ამასთან დისკრეციული საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტებს წარმოადგენენ: საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამები, საზოგადოებრივი დასაქმების პროექტები, სატრანსფერტო პროგრამები, საგადასახადო განაკვეთების ცვლილება.

არადისკრეციული საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა თავისთავად გადასახადების განაკვეთებისა და სატრანსფერტო პროგრამების უცვლელობის პირობებში თვით ეკონომიკის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლით გამოწვეულ სამთავრობო შესყიდვებში და გადასახადებში ცვლილებებს წარმოადგენს. ამასთან არადისკრეციული საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტებს ჩაშენებული სტაბილიზატორები (შემწეობები უმუშევრობასთან დაკავშირებით, შემწეობები სიღარიბესთან მიმართებაში, პროპორციული საშემოსავლო გადასახადი, სუბსიდიები ფერმერებზე) წარმოადგენენ, რომლებსაც საგადასახადო შემონატანებისა და სახელმწიფო ტრანსფერტების ეკონომიკის მდგომარეობაზე დამოკიდებულებაში ცვლილების ტენდენცია გააჩნიათ.

საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ქვეშ გაიგება ემისიის მართვის მეშვეობით ფულადი მიმოქცევის მდგრადობის უზრუნველყოფა, ინფლაციისა და ეროვნული ფულადი ერთეულის კურსის რეგულირება; საბანკო სისტემის საქმიანობის რეგულირების მეშვეობით ეროვნულ მეურნეობაში და ფინანსური სისტემის სხვადასხვა რგოლებში ანგარიშსწორებების თავისდროულობისა და უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოების მდგრადი ზრდის, ფასების სტაბილური დონის, დასაქმების მაღალი დონისა და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბალანსის მიღწევა. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტებს წარმოადგენენ: ოპერაციები ღია ბაზარზე, სავალდებულო რეზერვების ნორმატივების ცვლილება, სააღრიცხვო განაკვეთის ცვლილება, კრედიტების კონკრეტული სახეობებისა და ცალკეული დარგების ან მსხვილი ფირმების დაკრედიტების რეგულირება, საბანკო ოპერაციების რისკებისა და ლიკვიდურობის რეგულირება.

ბოლო წლებში საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (მსფ, რგმბ, რგებ, ბანკები-კრედიტორების ლონდონის კლუბი, ქვეყანა-კრედიტორების პარიზის კლუბი და სხვები) მიერ განხორციელებადი საერთაშორისო პოლიტიკა სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. საერთაშორისო ფინანსური პოლიტიკის საფუძველში დევს საერთაშორისო ფონანსების სფეროში სავალუტო-ფინანსური და საკრედიტო ურთიერთობების მართვა, ფინანსური კრიზისის გადატანილი ან ფინანსური სიძნელეების განცდადი სახელმწიფოებისათვის ფინანსური დახმარებების განხორციელება. დახმარება, როგორც წესი, კრედიტების მიწოდების ან უკვე არსებული საგარეო სახელმწიფო ვალის რესტრუქტურიზაციის ფორმით

ხორციელდება. ასეთი ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება არა უსასყიდლოდ, არამედ თან ახლავს რიგი ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები, რომელთა დაუცველობით ქვეყანა-დამრღვევს სერიოზული სანქციები ემუქრება.

ზემოთ მოცემული მოსაზრებების მიხედვით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახის დასკვნები:

1. ფინანსური პოლიტიკა თავისთავად სახელმწიფოებრივი ღონისძიებების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ მათზე დაკისრებული ფუნქციების რეალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით, ფინანსური რესურსების მობილიზაციაზე, მათ ოპტიმალურ განაწილებასა და რაციონალურ გამოყენებაზეა მიმართული.
2. ფინანსური პოლიტიკა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელ შემადგენელს წარმოადგენს და იგი საზოგადოების ინსტიტუციონალურ სტრუქტურასა და მის სოციალურ-ეკონომიკურ დონეზეა დამოკიდებული. ფინანსური პოლიტიკის პრინციპები და მიზნები ფორმირდება შესაბამისად იმისა, თუ მოცემულ სახელმწიფოში ეკონომიკური სისტემის რომელი მოდელია მიღებული და ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალების მიერ როგორი ეკონომიკური საქმიანობის საბოლოო მიზანია განსაზღვრული.
3. ფინანსური პოლიტიკის შემადგენლობაში გამოყოფილ უნდა იქნეს ორი მიმართულება: საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკა და საკრედიტო-ფულადი (მონეტარული) პოლიტიკა. საბიუჯეტო–საგადასახადო პოლიტიკა საგადასახადო და საინვესტიციო პოლიტიკის, აგრეთვე სახელმწიფო ხარჯებისა და სახელმწიფო ვალის მართვის პოლიტიკის სფეროში, ხოლო ფულად-საკრედიტო პოლიტიკა კი – ფულადი ემისიის, ფასების, სავალუტო ოპერაციების, კრედიტისა და საპროცენტო განაკვეთის ძალისხმევას აერთიანებს. გარდა ამისა, დაზღვევის, სოციალურ სფეროში, ფინანსური ბაზრის დარგში სახელმწიფოებრივი საქმიანობის გარკვეული მიმართულებებიც უნდა იქნეს გამოყოფილი.
4. ფინანსური პოლიტიკის მოდელი განხილულ უნდა იქნეს როგორც საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის მათემატიკური ინტერპრეტაცია. ამასთან საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს უპირველეს ყოვლისა ის, რომ სამთავრობო ორგანოებს მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი ინსტრუმენტი გააჩნიათ, რომლის მეშვეობით მათი მიზნებიდან მხოლოდ ერთის მიღწევა შეუძლიათ; მეორე მხრივ, ინსტრუმენტი „ფისკალური პოლიტიკა“ მეტი ხარისხით „სრული დასაქმების“ მიზანს ეხება და მის რეალიზაციას უზრუნველყოფს, ხოლო ინსტრუმენტი „მონეტარული პოლიტიკა“ „ნულოვანი ინფლაციის“ მიღწევის მიზანს ემსახურება. მოცემული ფუნქციის მაქსიმიზაცია გამოყენებადი ღონისძიებების ოპტიმალური მასშტაბის არჩევისა და პოლიტიკური ძალების კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვანიშვილი მ., ნოზაძე მ., გოცირიძე ლ., ფინანსების თეორია, ლექციების კურსი. თბ., 2010.
2. კაკულია რ., ბახტაძე ლ., ჯიბუტი ა., საჯარო ფინანსები, სახელმძღვანელო, თბ., 2010.
3. მესხია ი., საერთაშორისო ფინანსები, სახელმძღვანელო. თბ., 2012.
4. ხანთაძე გ., ცაავა გ., საჯარო ფინანსები, სახელმძღვანელო, თბ., 2013.
5. Бабич А. М., Финансы: Учебник. М., 2000.
6. Балабанов А. И., Финансы, М., 2000.
7. Василюк О. Д., Теория финансов, Киев, 2000.
8. Общая теория финансов: Учебник. Под ред. Л.А. Дробозина, М., 1995.
9. Сакс Дж. Д., Ларрен Ф. Б., Макроэкономика: Глобальный подход: Пер. с англ., М., 1996.
10. Финансы: Учебник. Под ред. О. Р. Романенко, С. Я.Огородник, М. С. Зязюк, А. А. Славкова, Киев, 2008.
11. Шуляк П. Н., Финансы: Учебное пособие. М., 2000.

ლევან ჯანგულაშვილი

სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკის სრულყოფის საკითხები

რეზიუმე

ფინანსური პოლიტიკის შემადგენლობაში გამოყოფილ უნდა იქნეს ორი მიმართულება: საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკა და საკრედიტო-ფულადი (მონეტარული) პოლიტიკა. საბიუჯეტო–საგადასახადო პოლიტიკა საგადასახადო და საინვესტიციო პოლიტიკის, აგრეთვე სახელმწიფო ხარჯებისა და სახელმწიფო ვალის მართვის პოლიტიკის სფეროა, ხოლო ფულად-საკრედიტო პოლიტიკა კი – ფულადი ემისიის, ფასების, სავალუტო ოპერაციების, კრედიტისა და საპროცენტო განაკვეთის ძალისხმევას აერთიანებს. გარდა ამისა, დაზღვევის, სოციალურ სფეროში, ფინანსური ბაზრის დარგში სახელმწიფოებრივი საქმიანობის გარკვეული მიმართულებებიც უნდა იქნეს გამოყოფილი.

ფინანსური პოლიტიკის მოდელი განხილულ უნდა იქნეს როგორც საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის მათემატიკური ინტერპრეტაცია. ამასთან საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს, რომ უპირველეს ყოვლისა, სამთავრობო ორგანოებს მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი ინსტრუმენტი გააჩნიათ, რომლის მეშვეობით მათი მიზნებიდან მხოლოდ ერთის მიღწევა შეუძლიათ; მეორე მხრივ, ინსტრუმენტი „ფისკალური პოლიტიკა“ მეტი ხარისხით „სრული დასაქმების“ მიზანს ეხება და მის რეალიზაციას უზრუნველყოფს, ხოლო ინსტრუმენტი „მონეტარული პოლიტიკა“ „ნულოვანი ინფლაციის“ მიღწევის მიზანს ემსახურება. მოცემული ფუნქციის მაქსიმიზაცია გამოყენებადი ღონისძიებების ოპტიმალური მასშტაბის არჩევისა და პოლიტიკური ძალების კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა.

Levan Jangulashvili

Fiscal and Monetary Policy of the State

Summary

In fiscal policy there should be allocated two areas: fiscal policy combines the efforts to implement measures in the field of tax and investment policies, and the policies of public expenditure management and public debt and monetary - monetary EMIS, prices, currency transactions, credit and interest rate. You should also emphasize certain areas of government activity in the insurance industry, the social sphere, sphere of financial and other sectors.

Model of financial policy should be considered as a mathematical interpretation of function of social welfare. It should be taken into account. that, firstly, governments have only one independent tool by which they can achieve only one of the targets; secondly, a tool "financial policy" more contact with the purpose of "full employment" and ensures its implementation, and the tool "monetary policy" - with "zero inflation". Maximizing this function allows one to select the optimal scale of existing measures and achieve consensus of political forces.

Леван Джангулашвили

Вопросы усовершенствования финансово-фискальной и монетарной политики государства

Резюме

В статье предложенно выделять два направления в составе финансовой политики: бюджетно-налоговую политику. которая обьединяет усилия по реализации мер в области налоговой и инвестиционной политики, а также политики управления государственными расходами и государственным долгом и денежно-кредитнаую, которая занимается денежной эмисией, ценами, валютными операциями, кредитом и процентной ставкой. Кроме этого, следует выделить определенные

направления государственной деятельности в отрасли страхования, в социальной сфере, сфере финансового рынка и др.

Модель финансовой политики следует рассматривать как математическую интерпретацию функции общественного благосостояния. При этом необходимо учитывать. что , во-первых, правительственные органы имеют только один независимый инструмент, с помощью которого они могут достичь только одну из целей; во-вторых, инструмент «финансовая политика» в большей степени соприкасается с целью «полная занятость» и обеспечивает ее реализацию, а инструмент «монетарная политика» служит цели «нулевой инфляции». Максимизация данной функции позволяет выбрать оптимальный масштаб применяемых мер и достигнуть консесуса политических сил.

რევაზ ჯავახიშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

უნგრეთის ეროვნული ინოვაციური პოლიტიკა

გლობალიზაციის ეპოქაში უნგრეთის სოციალურ-ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის მატერიალური, შრომითი და ფინასური რესურსების, მისი ეკონომიკური პოტენციალის სრულყოფილად გამოყენებაზე, რაშიც გადამწვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის ცალკეულ სფეროებსა და დარგებში უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებას, ინოვაციებზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას. ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით უნგრეთში მოპოვებულ იქნა გარკვეული წარმატებები: განხორციელდა ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა, სწრაფი ტემპებით ვითარდება უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მეცნიერებატევადი დარგები, მცირდება ენერგოტევადი და მასალატევადი წარმოება და მაღლდება მისი ეკონომიკური ეფექტიანობა, უმჯობესდება ქვეყნის ეკოლოგიური პირობები, განათლებისა და მეცნიერულ -კვლევითი საქმიანობის შედეგების პრაქტიკული გამოყენების დონე და სხვ.

ამასთან ერთად, მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა საგრძნობი დაღი დაასვა უნგრეთის ინოვაციურ საქმიანობას. კერძოდ, 2012 წელს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეულმა დანახარჯებმა მშპ-სთან მიმართებაში მხოლოდ 1,2% შეადგინა, რაც 2013 წელსაც არ შეცვლილა. ამ მაჩვენებლის მიხედვით უნგრეთი საგრძნობლად ჩამორჩება მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს (3-3,5%) და იგი გარკვეული ზომით ნაკლებია ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებლთან მიმართებაშიც (1,9%). ინოვაციური განვითარების ბევრი მაჩვენებლის მიხედვით უნგრეთი რამდენადმე ჩამორჩება ჩეხეთს, მაგრამ უმნიშვნელოდ უსწრებს პოლონეთსა და სლოვაკეთს. 2020 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი უნგრეთში 1,8%-მდე, ხოლო საშუალოდ ევროკავშირში კი 3%-მდე გაიზრდება (5).

უნგრეთის ინოვაციური საქმიანობების შემდგომი სრულყოფა ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მუდმივი ყურადღების ცენტრშია. იგი ორიენტირებულია ამ სფეროში ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებზე, რომელთაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

1. თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებების სწრაფი ზრდა და ამ მიზნით სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების გაფართოება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკის განვითარება;

2. სამედიცინო განათლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესება და სრულყოფა, სამკურნალო და საკურორტო-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ქსელის გაფართოება, ახალი სამკურნალო წამლების, ფარმაცევტული პროდუქტისა და სამედიცინო

მოწყობილობების წარმოების მოცულობის გადიდება და სრულყოფა, რაც დაეფუძნება ეროვნულ გამოკვლევათა შედეგების პრქტიკულ გამოყენებას;

3. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის, აგრეთვე, მასთან დაკავშირებული მომიჯნავე წარმოებისა და ინფრასტრუქტურის სწრაფი განვითარება;

4. ტრადიციული და ალტერნატიული ენერგეტიკის სფეროში ახალი ტექნოლოგიების შექმნა, ენერგოდამზოგი წარმოებისა და გარემოს დაცვის ყველაზე უფრო პროგრესული მეთოდების ფართოდ დანერგვა.

უნგრეთში ჯერ კიდევ 2010 წელს მიღებულ იქნა ინოვაციური საქმიანობის სრულყოფის ეროვნული პროგრამა, რომელშიც დეტალურად აისახა ევროკავშირის მიერ განსაზღვრული ზემოაღნიშნული პრიორიტეტული მიმართულებები. ეს პროგრამა ძალაშია მიმდინარე ათწლეულის ბოლომდე, რომელიც ითვალისწინებს, აგრეთვე, ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციისა და სამეცნიერო გამოკვლევების შედეგების პრაქტიკაში დანერგვის სრულყოფას. აღნიშნული პროგრამის რეალიზაციამ ყოველწლიურად უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ზრდის ტემპების 1,5-2%-ით დაჩქარება (5).

უნგრეთის ეროვნული ეკონომიკის სამინისტრომ 2012 წელს შეიმუშავა და ფართო განსჯისათვის წარმოადგინა სამეცნიერო-გამოყენებითი გამოკვლევებისა და ინოვაციური საქმიანობის განვითარების ეროვნული სტრატეგიის პროექტი, რომელიც მოიცავდა 2020 წლამდე პერიოდს. პროექტში მითითებულ იქნა მიმდინარე ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური-პროგრესის დაჩქარების საქმეში არსებულ სიძნელეებზე, რაც დამახასიათებელი იყო არა მარტო უნგრეთისათვის, არამედ ევროკავშირის ქვეყნების უმეტესი ნაწილისათვის. შემთხვევითი როდი იყო, რომ ლისაბონის სტრატეგიით ევროკავშირის ქვეყნების 2010 წლისათვის განსაზღვრული მიზნობრივი ორიენტირები გაგრძელდა 2020 წლამდე პერიოდისათვის. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ინოვაციების სფეროში ევროკავშირის მაღალგანვითარებულ და ეგრეთწოდებულ პერიფერიულ ქვეყნებს შორის არსებულ დიდ გარღვევაზე (6).

გარდა ამისა, 2013-2020 წლების ბიუჯეტის დამუშავების პროცესში ევროკავშირის მიერ მომზადდა ახალი ინოვაციური პროგრამა – „ჰორიზონტი 2020“, რომლის განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს უნგრეთი, უწინარეს ყოვლისა, ქვეყანაში ფინანსური და სხვა რესურსების მობილიზების თვალსაზრისით. ამასთან, აღნიშნული პროგრამა არსებითად განსხვავდება მისი წინამორბედებისაგან. კერძოდ, მისი ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ ევროკავშირის მიერ აღნიშნული პროგრამის რეალიზაციისათვის საჭირო ფინანსური ხარჯები გამოიყოფა კონკურსის საფუძველზე, პირველ რიგში, იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთაც აქვთ გამოკვლევების ჩატარებისა და მათი საკუთარი სახსრებით ფინანსირების შესაძლებლობა და გამოცდილება, შექმნეს გამოკვლევების მსხვილი ეროვნული ცენტრები.

უნგრეთში „ჰორიზონტი – 2020“-ის პროგრამით უახლოეს პერიოდში ნავარაუდევია შეიქმნას: მსოფლიო უმაღლესი დონის 30 მსხვილი საკვლევ-საპროექტო ცენტრი; საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებათა 30 დიდი ცენტრი, რომლებიც იმუშავებენ წამყვანი საერთაშორისო კომპანიების ეგიდით; საშუალო სიდიდის 30 მაღალტექნოლოგიური ეროვნული საწარმო, რომლებიც გადამწყვეტ როლს შეასრულებენ ცენტრალურ-აღმოსავლეთევროპულ რეგიონში; 300 მაღალტექნოლოგიური საწარმო, რომელთაც ექნებათ მცირე ეროვნულ საწარმოთა ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი (5).

აღნიშნული პროექტით მითითებული ღონისძიებების განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს ევროკავშირის პროგრამებით გათვალისწინებული ფინანსური სახსრების მოზიდვა. პარალელურად უნდა მოხდეს ინოვაციების დაფინანსების მექანიზმისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. აღნიშნული ინოვაციური პროექტით განსაზღვრულია, აგრეთვე, ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, ინოვაციის სფეროში კაპიტალდაბანდებების მნიშვნელოვანი ზრდა, მსხვილ სახელმწიფო და კერძო კომპანიებთან ერთად, საშუალო და მცირე საწარმოთა შექმნა-განვითარება, რისთვისაც ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული საკრედიტო და საგადასახადო შეღავათები, ინოვაციური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები და სხვ.

უნგრეთის ინოვაციური პოლიტიკის მიზნები, ამოცანები და მიმართულებები, სათანადო განსჯისა და კორექტირების შემდეგ, 2013 წელს დამტკიცდა უნგრეთის მთავრობის მიერ და მიღებულ იქნა როგორც 2013-2020 წლების ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის სტრატეგია. იგი ითვალისწინებს ქვეყნის მშპ-სთან მიმართებაში სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გათვალისწინებული დანახარჯების დონის 1,8%-მდე ზრდასა და, აგრეთვე, მკვლევარებისა და გამომგონებლების რაოდენობის 37 ათასიდან 50 ათას კაცამდე გადიდებას (5).

უნგრეთის ინოვაციური სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშველოვანი მიმართულებაა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა. ეს იმითაცაა განპირობებული, რომ სადღეისოდ ქვეყნის მოქმედი საწარმოების აბსოლიტური უმრავლესობა მცირე ზომისაა, რომელთა როლი გადამწყვეტია ქვეყნის მოსახლეობის დასაქმებასა და მთლიან შიდა პროდუქტის შექმნაში. სადღეისოდ ქვეყანაში მცირე ფირმების რაოდენობა 1,6 მლნ-ს აღემატება, რომელთა წილად მოდის დასაქმებულთა 75%, მთლიანი შიდა პროდუქტის 40 და ექსპორტის 17%. ამასთან, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 60 და ექსპორტის 80%-ზე მეტი მოდის უმსხვილეს საწარმოებზე, რომელთა დიდი ნაწილი უცხოური კომპანიების საკუთრებაშია. მსხვილი კომპანიების უმეტესობა საქმიანობს გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებში, რომლებიც უფრო მეტად იყენებენ უცხო ქვეყნების სუბმომწოდებლებს, რაც მძიმე მდგომარეობაში აყენებს უნგრეთის მცირე და საშუალო ბიზნესს (5).

მცირე და საშუალო ბიზნესი რიგი უპირატესობით ხასიათდება, რომელთა გამოყენება აუცილებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და მისი მდგრადი განვითარების პრობლემების დაძლევისათვის. კერძოდ: ეკონომიკის ბევრ სექტორში /სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, სატყეო მეურნეობა, ტრადიციული მეწარმეობა და სხვ./ პროდუქციის დიდი ნაწილი იწარმოება მცირე და საშუალო საწარმოებში, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი დინამიურობით და შესწევთ უნარი უკეთ დააკმაყოფილონ მომხმარებელთა სწრაფად ცვალებადი მოთხოვნები; შრომის ტექნოლოგიური დანაწილებისა და კოოპერაციის პირობებში, კონკურენციის ნაცვლად, ხშირად ადგილი აქვს მცირე და საშუალო საწარმოებს შორის თანამშრომლობას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათ როლს ბიზნესის განხორციელებაში; სწორედ მცირე ბიზნესი იძლევა დიდ შესაძლებლობებს ქალების, ახალგაზრდების (მათ შორის სტუდენტებისა და მოსწავლეების), აგრეთვე, იმიგრანტების დასაქმებისა და ბიზნესის წამოწყებისათვის.

უნგრეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეროვნული ინოვაციური პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტების სრულყოფას. ამ საქმეში განსაკუთრებით დიდია ქვეყნის საუნივერსიტეტო ცენტრების როლი და მნიშვნელობა. ეს, უწინარეს ყოვლისა ითქმის, ევროკავშირის ინოვაციური პროგრამების ჩარჩოებში, კოსმოსური მოწყობილობებისა და მცირე ზომის თანამგზავრების შექმნაზე. ქვეყანაში მნიშვნელოვნად ვითარდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ბირთვული ფიზიკისა და ადამიანის ტვინის შესწავლის მიმართულებით, სადაც ქვეყანას გააჩნია საკმაოდ დიდი ტრადიციები და მიღწევები.

ფუნდამენტური გამოკვლევებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ორგანიზაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს უნგრეთის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც სპეციალური სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდის მეშვეობით ახორციელებს ინოვაციური საქმიანობის დაფინანსებას. გარდა ამისა, ადგილებზე ინოვაციური საქმიანობისა და მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის სამუშაოებს ახორციელებენ ეკონომიკური განვითარების უნგრეთის ცენტრისა და ეროვნული ინოვაციური მმართველობის ტერიტორიული ქვედანაყოფები.

უნგრეთში სისტემატურად ხორციელდება ინოვაციური საქმიანობის მართვისა და რეგულირების, ინოვაციური პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტების გამოყენების სრულყოფა, რაშიც გადამწყვეტი როლი ეკუთვნის სახელმწიფოს. ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას ახორციელებს განვითარების ეროვნული კომიტეტი, რომელსაც უშუალოდ მთავრობის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს. კონკრეტულად ინოვაციური საქმიანობის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებისა და მისი რეგულირების მექანიზმების შემუშავება კი ევალება ეროვნული ეკონომიკის სამინისტროს, რომლის კომპეტენციაში შედის ცალკეული კომიტეტების,

სააგენტოების, კვლევითი ცენტრების, მსხვილი საწარმოებისა და სხვათა ინოვაციური საქმიანობის უშუალო კოორდინაცია. რაც შეეხება ეკონომიკის მსხვილ დარგებს, აქ ასეთ საქმიანობას ახორციელებს ეროვნული განვითარების სამინისტრო, რაც ერთხელ კიდევ მიანიშნებს ინოვაციური საქმიანობის განვითარებაში სახელმწიფოს გადამწყვეტ როლსა და მნიშვნელობაზე.

სახელმწიფო ახორციელებს უშუალო ზედამხედველობას ეროვნული განვითარების სააგენტოზე, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა ინოვაციური საქმიანობის დარგობრივი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, ინოვაციებზე გამოყოფილი ფინანსების განაწილებისათვის სათანადო კონკურსების მოწყობა და მათი მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლის განხორციელება.

ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის წარმატებული განვითარება პირდაპირ კავშირშია მის ფინანსურ უზრუნველყოფასთან. ამ საქმეში ძირითად ფინანსურ წყაროს წარმოადგენს ევროკავშირის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები. დაფინანსების ადგილობრივი წყაროები (სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, კომერციული საწარმოებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ფულადი რესურსები) კი, უფრო მეტად, დამხმარე როლს ასრულებენ. ასეთი ვითარება განპირობებულია არა მხოლოდ ადგილობრივი ფინანსური რესურსების შეზღუდულობით, არამედ, უფრო მეტად, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან მჭიდრო კავშირურთიერთობის დაინტერესებით, საერთო ეროვნულ პროგრამებში მონაწილეობითა და მათთან მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავებით.

დაფინანსების ადგილობრივი წყაროებიდან ძირითადია უნგრეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფილი სახსრები, რომლებიც გადაირიცხება სპეციალურ ფონდებსა და პროფილურ ორგანიზაციებში. ბოლო დროს ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინოვაციური მოსაკრებელი საწარმოების რაოდენობა. სათანადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე მას იხდიან არა მარტო მსხვილი და საშუალო ზომის საწარმოები, არამედ წვრილი ფირმების საკმაოდ დიდი ნაწილიც. გადასახადის განაკვეთი შეადგენს წლიური ბრუნვის 0,3%-ს, რომელიც გადაიხდება ყოველკვარტალურად. გადახდილი თანხები აკუმულირდება სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ინოვაციურ ფონდში, რომელიც არსებობს ეკონომიკური განვითარების უნგრეთის ცენტრის შემადგენლობაში. დასახელებული ფონდის სახსრების შევსება ხორციელდება არა მხოლოდ ინოვაციური მოსაკრებლების, არამედ განვითარების უნგრეთის ბანკის რესურსების ხარჯზეც. ფონდი აფინანსებს ინოვაციური პროექტების საკმაოდ დიდ ნაწილს, რომელთა პრიორიტეტული მიმართულებები განისაზღვრება კონკრეტული ოპერატიული საკვლევი პროგრამებით.

უნგრეთში ძალზე დიდი ყურადღება ექცევა ინოვაციური საქმიანობის ისეთი პრიორიტეტული მიმართულებების პროგრამულ დაფინანსებას, როგორიცაა ქვეყანაში სახელმწიფო რეფორმების განხორციელება, ელექტრონული მთავრობის განვითარება, მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლება, სოციალური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია-სრულყოფა და სხვ.

უნგრეთში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინოვაციური საქმიანობის საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის სრულყოფასა და ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერას. ამ თვალსაზრისით უნგრეთის საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა სრულად შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობასა და სტანდარტებს. ამასთან, ქვეყნის ინოვაციური საქმიანობის სამართლებრივ ბაზას გააჩნია თავისი ეროვნული თავისებურებანი. კერძოდ, უნგრეთში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას, რაც გამაგრებულია ქვეყნის სამოქლაქო კოდექსითა და საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით. უნგრეთი არის ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის წევრი, რომლის საქმიანობა სრულ შესაბამისობაშია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედ მრავალმხრივ შეთანხმებებსა და ამ სფეროში არსებულ ყველა საერთაშორისო კონვენციებთან. ამასთან ერთად, უნგრეთი ვალდებულია შეასრულოს ევროკავშირის მიერ განსაზღვრული დირექტივები და რეგლამენტები, რომლებიც ითვალისწინებენ ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის, თბ., 2014.
2. არევაძე ნ., 2015 წლის გლობალური ინდექსი და საქართველო, ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“ 2(14), 2016.
3. ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული თბ., 2016.
4. უნგრეთი, ქსე, ტ. 10, თბ., 1986.
5. Обзор экономики Венгрии, состояние иновационного развития. http:/www.veb.gov.ru/exportcountries/hu/about hu/eco hu/.
6. www.europa.eu

რევაზ ჯავახიშვილი

უნგრეთის ეროვნული ინოვაციური პოლიტიკა

რეზიუმე

უნგრეთის ინოვაციური პოლიტიკის განმსაზღვრელი ასპექტია უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და სრულყოფა, რომლის პრიორიტეტული მიმართულებებია: სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, მისი ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკის, მედიცინისა და ფარმაცევტიკის, ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის, ტრადიციული და ალტერნატიული ენერგეტიკისა და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების სწარფი განვითარება და ამ მიზნით სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა გაფართოება – სრულყოფა. სტატიაში გაანალიზებულია ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებები და მისი განხორციელების ინსტრუმენტები.

Revaz Javakhishvili

Hungary’s National Innovative Policy

Summary

The main defining aspect of Hungary’s national innovative policy is rapid development of the modern equipments and technology in the following prioritized directions: transportation engineering, its infrastructure and logistics, medicine and pharmaceuticals, informatics, traditional and alternative energy-saving technologies and for this purpose, development and extension of scientific-researches. In the article, there are analyzed state support forms for innovative activities and its accomplishment instruments.

Реваз Джавахишвили

Национальная иновационная политика Венгрии

Резюме

Определяющим аспектом иновационной политики Венгрии является опережающее развитие новейшей техники и технологии, приоритетными направлениями которой являются: опережающее развитие и совершенствование транспортного машиностроения, её инфраструктуры и логистики, а также медицины и фармацевтики, информатики и вычислительной техники, традиционной и альтернативной энергетики, энергосберегающего производства и, в интересах этого, научно-исследовательских и опытно-конструкторских разработок. В статье проанализирована роль государства и значение его экономических рычагов и инструментов в осуществлении иновационной стратегии страны.

თამარ ჯანგულაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი

სოციალური მარკეტინგი: არსი, კონცეფცია, ტიპები

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაძლიერდა სოციალური მარკეტინგისადმი, როგორც სოციალური პროცესების რეგულირების თეორიისა და პრაქტიკისადმი ინტერესი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებობს და საკმაოდ ეფექტიანად გამოიყენება საქონლისა და მომსახურების, წარმოების, განაწილების, რეგულირების მარკეტინგული მექანიზმები, „სოციალურ ბაზარზე“ პროცესების მართვა კი უფრო რთულად მიმდინარეობს. ეს განსაკუთრებით, ტრანსფორმირებად საზოგადოებას ეხება, ისე როგორც, მაგალითად, ეს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილ დამოუკიდებელ ქვეყნებშია. დასავლურ დემოკრატიაში, რომელიც ასეული წლების განმავლობაში ვითარდება, ამა თუ იმ ფორმით ჩამოყალიბდა სოციალური პროცესების რეგულირების მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება სამოქალაქო საზოგადოებას, დემოკრატიას, ადგილობრივ თვითმმართველობასა და სხვა საკვანძო ფასეულობებს.

ამავე დროს, ტრანსფორმირებად ქვეყნებში, „პარტიის ხელმძღვანელი როლის გაუქმების“ შემდეგ, ეფექტიანი სოციალური მართვის რეალური მექანიზმები აღარ არსებობს. ეს ყველაფერი ვლინდება მართვის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ფუნქციების განუყოფლობაში, საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ ფორმირებასა და დანაწილებაში, რომელიც წარიმართება სოციალური განვითარების საჭიროებებისათვის, ასევე სახელმწიფო მართვისა და ბიზნესის ურთიერთკავშირის მექანიზმების სრულყოფისათვის, სადაც, საკანონმდებლო წესით ფორმულირებული ლობირების ეფექტიანი მეთოდების მაგიერ, არცთუ იშვიათად მუშაობს ღია კორუფციის მექანიზმები და მართვის არაეფექტიანი მეთოდები. საკითხის დასმა იმ მიმართულებით, რომ გარკვეული იყოს სოციალური მართვის რომელი თეორია ან მექანიზმია გამოყენებული თანამედროვე პირობებში ტრანსფორმირებად საზოგადოებაში, ზუსტი და ამომწურავი პასუხი შეუძლებელია მივიღოთ იმ ადამიანებისაგან, რომლებიც დღევანდელ რეალურ ცხოვრებაში დაკავებული არიან მართვის საკითხებით.

შეუძლებელია უარყოფილ იქნეს სოციალური საკითხების მართვის გამოცდილება და მნიშვნელობა, რომელიც დაგროვდა განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში ასეული წლების განმავლობაში და რომელიც მისი განვითარების კონცეფციას ასახავს. თუმცა, აქ თავი იჩინა გარკვეული სახის „ვაკუუმმა” სოციალური მართვის იმ ნაწილის მიმართ, სადაც საუბარია სოციალური მომსახურებისა და საქონლის რეალურ და ეფექტიან წინ წაწევაზე, ეგრეთწოდებულ სოციალურ ბაზარზე, რომელიც რეალურად ორგანიზებული უნდა იყოს ეფექტიანი გაცვლის ბაზრის პრინციპებზე და არა კეთილ იდეებზე, სურვილებსა და დაპირებებზე.

სოციალური მარკეტინგის წარმოშობის მიზეზებსა და გარემოებებს ყველაზე უკეთესად განსაზღვრავს მარკეტინგის თეორიის ფუძემდებელი და კლასიკოსი ფ. კოტლერი, რომელმაც ტერმინი „სოციალური მარკეტინგი“ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველმა გამოიყენა: „როდესაც მე მხოლოდ ვიწყებდი მუშაობას, ყველა იყო დარწმუნებული, რომ მარკეტინგი ესაა სუპის, ლობიოსა და სხვა საჭმლის გაყიდვა. მე დავიწყე საუბარი, რომ მარკეტინგი ეხება ყველა სახის გაყიდვას: თქვენ შეგიძლიათ ტურისტი მიიზიდოთ თქვენს ქალაქში და ეს იქნება დასახლებული პუნქტის მარკეტინგი; თქვენ შეგიძლიათ ადამიანებს თავი შეაკავებინოთ მოწევაზე და ეს იქნება ცხოვრების გარკვეული წესის მარკეტინგი, მე ვუწოდე ამას სოციალური მარკეტინგი (7).

ამ იდეების განვითარებამ და პრაქტიკაში მრავალი მათგანის რეალიზაციამ, ჯერ მხოლოდ დასავლეთში განაპირობა დიდი ინტერესი სოციალური მართვის თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების მხრიდან. მიუხედავად სოციალური მარკეტინგის კონცეფციის დიდი ინტერესისა, მისი თეორიული დამუშავების დონე დღევანდელ პირობებში, სპეციალისტების აზრით, არასაკმარისია. ეს, პირველ რიგში, შეეხება არაკომერციული მარკეტინგის, პოლიტიკური და სახელმწიფო მარკეტინგის პრობლემებს, ნაშრომებს, რომლებიც

ეხება უშუალოდ მარკეტინგული მექანიზმების გამოყენებას განათლების, ჯანმრთელობის, სპორტის, კულტურის, ეკოლოგიისა და სხვა სფეროებში.

რაც შეეხება სოციალური მარკეტინგის ერთიან კონცეფციას, იგი არ არსებობს და სპეციალისტების აზრით მისი ფორმირება რთული პროცესია და სხვადასხვა მეცნიერებათა, პირველ რიგში, სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა შესწავლის საგანს წარმოადგენს. სხვადასხვა სპეციალისტებიდან საყურადღებოა დიმიტრი აკიმოვის შეხედულება სოციალური მარკეტინგის არსის, ფუნქციების, სტრუქტურის შესახებ. მას მოცემული აქვს სოციალური მარკეტინგის ძირითადი ტიპების ანალიზი საზოგადოების სოციალური მართვის პრაქტიკის მაგალითზე. თანამედროვე პირობებში სოციალური მარკეტინგის პრობლემის განხილვისას დ. აკიმოვი სამი სხვადასხვა მიდგომის შესახებ საუბრობს:

- ✓ კლასიკური მარკეტინგის კერძო შემთხვევა სოციალურ ურთიერთობათა სფეროში გაცვლის პროცესების არსებობასთან კავშირურთიერთობაში;
- ✓ სოციალურად ორიენტირებული მარკეტინგი, რომელიც განსაზღვრავს სოციალურად ორიენტირებული ბიზნესის სპეციფიკას;
- ✓ სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემის „წინწაწევის“ ტექნოლოგიის დასაბუთება.

სოციალური მარკეტინგი, როგორც საზოგადოების სოციალური სფეროს ფუნქციონირების ორგანიზაციის თანამედროვე ტექნოლოგია. სოციალური მარკეტინგის საგნის დახასიათების სამი სხვადასხვა მიდგომიდან მეცნიერთა და პრაქტიკოსთა უმრავლესობა საკვანძოდ მიიჩნევს პირველს. ამ პრობლემის დამუშავებაში პიონერული როლი ფ. კოტლერს ეკუთვნის, რომელმაც შეძლო მარკეტინგის კონცეფციის გავრცელება სოციალურ სფეროზე. სოციალური მარკეტინგი მარკეტინგულ ტექნოლოგიებს, მიდგომებს, პრინციპებს იყენებს საზოგადოების სოციალური სფეროს, მათ შორის სოციალური „პროდუქტის“, კერძოდ, იდეის, ფასეულობათა წინ წაწევისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ აღწერილი „გადატანის“ საფუძველს წარმოადგენს რ. ბაგოცის მიერ ჩამოყალიბებული საკვანძო დებულებები: ა) ინდივიდები და ორგანიზაციები თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იძულებულნი არიან სხვა ინდივიდებთან და ორგანიზაციებთან მონაწილეობა მიიღონ სოციალურ და ეკონომიკურ გაცვლაში; ბ) გაცვლის პროცესები, რომლებიც ბევრი სპეციალისტის მიერ განიხილება როგორც არსებითი, კერძოდ, რომლებზედაც მხარეთა მიერ აქცენტი კეთდება ერთმანეთზე შეხებადი ობიექტების პირდაპირ ტრანსფერზე (გადაცემაზე), სინამდვილეში კერძო შემთხვევებს წარმოადგენენ. რეალურად მარკეტინგული გაცვლა ნაწილობრივ არაპირდაპირია, გაცვლის საგნების სახით გვევლინება არა შეხებადი და სიმბოლური არსებები, ხოლო გაცვლაში მონაწილე მხარეთა რაოდენობა ორზე მეტია; გ) სოციალური მარკეტინგის განხილვა შეიძლება როგორც უფრო ზოგადი მარკეტინგული კონცეფციის კერძო შემთხვევა, რაც დაკავშირებულია სოციალურ ურთიერთობათა სფეროში გაცვლის პროცესის წარმოშობასა და მსვლელობასთან (2).

იქამდე, სანამ დეტალურად გავაანალიზებთ გაცვლის ურთიერთობას, როგორც მარკეტინგული მიდგომის საკვანძო შემადგენელს, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს სოციალური მართვის ეფექტიანობის პრობლემის აქტუალობა საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც და დემოკრატიულ საზოგადოებაშიც. ამ კონტექსტში შეიძლება დაისვას კითხვა: რატომ უნდა ვაღიაროთ რეალურად დღეს სოციალური მარკეტინგი სოციალური ცვლილებებისა და პროცესების მართვის ყველაზე თანამედროვე და ეფექტიან ტექნოლოგიად?

დემოკრატიულ და საბაზრო საზოგადოებაში სოციალური მართვა მუდმივად რთულდება, ამასთან, მხედველობაშია მისაღები სრულიად სხვა ხასიათი ტრადიციულ საზოგადოებასთან შედარებით. ეს ეხება მართვის ყველა ასპექტს, მათ შორის სახელმწიფო მართვასაც.

სადღეისოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა საბაზრო ტენდენციების განვითარება და მათი გავლენა თანამედროვე ადმინისტრაციულ მოდერნიზაციაზე. სამართლიანად აღნიშნავს ე. მოროზოვა, რომ დღეს საკამათო არაა ის, რომ ბაზარი თავისი კონცეფციებით, ტექნოლოგიებით, ეფექტიანობით იქცა დაუძლეველ გამოწვევად (6). სახელმწიფო მართვის თეორიისა და პრაქტიკის გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან

დემოკრატიულად განვითარებად ქვეყნებში (დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, საფრანგეთში, იაპონიაში, სკანდინავიის ქვეყნებში) სახელმწიფო მართვის სფეროში დაიწყო ყოვლისმომცველი, პრინციპული ცვლილებები. ადმინისტრაციული რეფორმირების ცნობილი სპეციალისტი მ. ბერზლეი, ტრადიციული (ბიუროკრატული) და ნოვაციური (პოსტბიუროკრატული) სახელმწიფო მართვის სტილზე საუბრისას, გამოყოფს უმთავრეს თავისებურებას: ბიუროკრატული დაწესებულება თავის საქმიანობას აფასებს ათვისებული რესურსების მოცულობისა და ძირითადი ამოცანების რაოდენობის მიხედვით, რაც მომხმარებლისათვის ფასეულია. ამ შემთხვევაში, პირველი აფასებს „შემოსვლას“ (დანახარჯებს), ხოლო მეორე – „გამოსავალს“ (ფასეულობას).

გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მხოლოდ სახელმწიფო მართვის ორგანიზაციასთან. თანამედროვე საზოგადოებაში სოციალური პროცესების რეგულირების, მართვისა და კონტროლის შემთხვევაში, მართვის ორგანოები იძულებულნი არიან გაითვალისწინონ, რომ დემოკრატიულ, პოლიტიკურ, სოციალურ ფასეულობებში იგულისხმება ხელმძღვანელობის სუბიექტებსა და ობიექტებს შორის არა იძულებასა და ძალადობაზე, არამედ მომსახურების, ფასეულობების, იდეებისა და სხვა „სოციალური პროდუქტების“ გაცვლის პრინციპებზე დამყარებული ურთიერთობები. (დღეს თანამედროვე სახელმწიფოს კონცეფციაც კი გამოდის იქიდან, რომ ესაა „სერვისული“ ორგანიზაცია, მოსახლეობისათვის მომსახურების მიწოდება).

გაცვლის პრობლემა არაა მარტივი, რამდენადაც ზოგიერთი მეცნიერი გაცვლის პროდუქტებს ათანაბრებს ეკონომიკურ, საბაზრო პროცესებთან და სოციალურ მარკეტინგს, როგორც მარკეტინგულ კონცეფციას ყოველთვის სათანადოდ არ აღიქვამს (არ აცნობიერებს), თვლიან რა, რომ გაცვლა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ეკონომიკურ, საბაზრო საფუძვლებზე (3).

თუმცა, ბევრი ეკონომისტი და სოციოლოგი ფიქრობს, რომ საუბარი შეიძლება იყოს არა მხოლოდ კომერციულ გაცვლაზე, რაც დაკავშირებულია მომხმარებელთა მოთხოვნილებისა და საჭიროების დაკმაყოფილებასთან, არამედ, ასევე, საქონლის ან მომსახურების გაცვლაზე, რომლებიც არაკომერციული პროდუქტების ბაზარზე ფუნქციონირებენ. კომერციულ გაცვლას, რომელიც მოგებაზეა მიმართული, აერთიანებს ანალოგიური აუცილებელი პირობები, არაკომერციული გაცვლა კი წარმოადგენს არაკომერციული სუბიექტის მოთხოვნილების დაკმაყოფილების წესს, რომლის მიზანიც არაა მოგების მიღება.

თუ ყურადღებით გავაანალიზებთ გაცვლის პრობლემებს, მის თეორიას, რომელიც ეფუძნება პოლიტეკონომიას, ანთროპოლოგიისა და ფსიქოლოგიის პრინციპებს, აღმოჩნდება, რომ იმის დაშვება, თითქოს ადამიანი გაცვლის პროცესებში ყოველთვის ცდილობს მაქსიმალური მოგების მიღებას, არასწორია. ი. გულჩენკო სამართლიანად აღნიშნავს, რომ საზოგადოებაში მოქმედი ადამიანები ყოველთვის არ ფიქრობენ მაქსიმალური მოგების მიღებას, თუმცა, გარკვეული სარგებლის მიღება შესაძლებელია სხვა ადამიანებთან სოციალურ ურთიერთქმედებაშიც. როგორც ვხედავთ, გაცვლის თეორია სრულებითაც არ ზღუდავს გაცვლით ურთიერთობას მხოლოდ მატერიალური ურთიერთქმედებით ეკონომიკურ ბაზარზე. გაცვლის მიზანი შეიძლება გავრცელდეს პრაქტიკულად არამატერიალურ ობიექტებზეც ყველა სოციალურ კონტექსტში. ნათქვამის საინტერესო ილუსტრაციას გვთავაზობს ბ. მალინოუსკი. იგი იკვლევდა წყნარი ოკეანის ტრობრიანის კუნძულზე მცხოვრებთა კულტურას და გამოავლინა ადგილობრივი მოსახლეობის ჩვეულება სამაჯურების ყელსაბამებზე გაცვლის შესახებ. გამოირკვა, რომ არც ერთი მხარისათვის გაცვლის პროცესს არავითარი მატერიალური სარგებელი არ მოაქვს. ბ. მალინოუსკის აზრით ამ შემთხვევაში გაცვლა არსებული წესის დემონსტრაციაა, რომელსაც არც ერთი მხარისათვის მატერიალური სარგებელი არ მოაქვს. იგი წარმოადგენს განსაზღვრული სოციალური სისტემისადმი კუთვნილებაზე კუნძულის მოსახლეობის დემონსტრირების გარკვეულ წესს. აღნიშნული გაცვლის პროცესი სოციალური ინტეგრაციისა და სოლიდარობის ყოვლისმომცველი მექანიზმია.

ასეთი გაცვლის პროცესი უკიდურესი შემთხვევაა, როდესაც გაცვლითი პროცესები წმინდა სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტებია. სინამდვილეში, როგორც ფ. კოტლერი ამტკიცებს, გაცვლა წარმოადგენს, პირველ რიგში, საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას, რაც გულისხმობს მინიმუმ ორ ურ-

თიერთდაინტერესებულ მხარეს შორის თავისუფალ არჩევანს, რომელთაგან თითოეული ფლობს რაღაც ფასეულობას. ამავე დროს, იგი ორივე მხარისთვის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საგანს წარმოადგენს. მაშასადამე, გაცვლა წარმოადგენს მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას – მეორე მხარისთვის სანაცვლოდ რაიმეს მიწოდებით. ასე განიხილავს გაცვლას და, შესაბამისად, მარკეტინგსაც რ. ბაგოცი იმ თვალსაზრისით, რომ გაცვლის საგანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ე. წ. კომერციული პროდუქტები, არამედ ასევე ფასეულობა და იდეები, სოციალური და პოლიტიკური პროგრამები. მაგალითისათვის, რელიგიური მარკეტინგის სფეროდან, კერძოდ, მართლმადიდებლური ეკლესიის რეალობიდან გაცვლის ობიექტად შეიძლება გამოვიყენოთ ბიბლია, როგორც ძირითადი კონცეპტუალური დოკუმენტი, რომელიც მომხმარებლისათვისაა(მორწმუნეთათვის) გათვალისწინებული. მიიღეს რა მორწმუნეებმა ტექსტურად გაფორმებული ფასეულობა, შეძენას ახდენენ თავისი რელიგიური რწმენის სანაცვლოდ. ასეთივე სახით მორწმუნეებს „გასაცვლელად“ შეიძლება შევთავაზოთ ყურანი ან თალმუდი. სხვა მაგალითებიც შეიძლება მოვიყვანოთ, როგორიცაა პოლიტიკური კანდიდატის სოციალური ავტორიტეტის გაცვლა ამომრჩეველთა ხმებზე, ეკოლოგიური უსაფრთხოების იდეის მხარდამჭერთა რაოდენობის – გარემოზე ადამიანთა შეხედულების ცვლილებაზე, ქველმოქმედების გაცვლა თვითპატივისცემაზე, სოციალურად საპასუხისმგებლო ორგანიზაციის იმიჯის – საზოგადოებისა და სპონსორულ მხარდაჭერაზე.

გაცვლის თანაფარდობა სოციალურ სისტემებში, როგორც წესი, შედგება როგორც ირიბი გაცვლის რთული სისტემები. დ. აკიმოვი სოციალური მარკეტინგის განსაზღვრას იძლევა შემდეგნაირად: სოციალური მარკეტინგი სახელმწიფო ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საზოგადოებრივ მოძრაობათა და ცალკეული ფიზიკური პირების საქმიანობაა კონკურენტულ სოციალურ გარემოში, რომელიც დაფუძნებულია მარკეტინგის პრინციპებზე, მიმართულია მიზნების მიღწევაზე და დაკავშირებულია სოციალური პროდუქტების წინწაწევასთან.

სოციალურად საპასუხიმგებლო მარკეტინგი, როგორც სოციალურად საპასუხიმგებლო ბიზნესის საფუძველი. დღეს ხშირად წერენ სოციალ-ეთიკურ მარკეტინგზე, საზოგადოებრივ ან სოციალურად ორიენტირებულ, სოციალურად საპასუხისმგებლო, საზოგადოებრივ მარკეტინგზე და ა.შ. ამ კონტექსტში მუშავდება აგრეთვე კონცეფციები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურად საპასუხისმგებლო ბიზნესის პრობლემებთან და კორპორატიულ სოციალურ პასუხიმგებლობასთან. ყველა ეს მიდგომა შეიძლება გაერთიანდეს „სოციალურად საპასუხისმგებლო მარკეტინგის“ ტერმინში, თუმცა ჩამოთვლილი სხვადასხვა მიდგომა მოითხოვს ცალკე განხილვას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამას მოითხოვს კონკრეტული კვლევითი ამოცანები. სხვა ავტორების არაერთ ცნობილ განსაზღვრასთან ერთად, დ. აკიმოვის მიერ ლიტერატურაში მოცემულია სოციალური მარკეტინგის ერთ-ერთი პირველი განსაზღვრა, რომლის არსი დაკავშირებულია საზოგადოების სოციალური სფეროს ფუნქციონირების ორგანიზაციის ტექნოლოგიასთან: „**სოციალური მარკეტინგი** – სახელმწიფო ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოძრაობათა და ცალკეული ფიზიკური პირების საქმიანობაა სოციალურ კონკურენტულ გარემოში, რომელიც ემყარება მარკეტინგის პრინციპებს და მიმართულია სოციალური პროდუქტების წინ წაწევის მიზნების მიღწევასთან. როგორც აღნიშნავენ ფ. კოტლერი, დ. ბოუენი და დ. მეიკენზი „მარკეტინგის სოციალური კონცეფცია – ბიზნესის ფილოსოფიის უახლესი მიღწევაა, რომლის თანახმად საწარმომ უნდა „განსაზღვროს“ თავისი მიზნობრივი ბაზრის საჭიროება, სურვილი და ინტერესი და ისინი უფრო ეფექტიანად უნდა დააკმაყოფილოს კონკურენტებთან შედარებით, შეინარჩუნონ ან აამაღლონ ინდივიდებისა და მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობა” (4).

თუმცა, ამ მტკიცებულებაში სერიოზული მეთოდოლოგიური წინააღმდეგობაა. უ. ლამბენის მტკიცებით, იგი „სოციალური პროცესია, მიმართულია ადამიანისა და ორგანიზაციის მოთხოვნილებებისა და სურვილების დასაკმაყოფილებლად საქონლისა და მოხმარების თავისუფალი კონკურენტული გაცვლის გზით, რომლებიც მომხმარებლისათვის ფასეულობას წარმოადგენენ (5).

გასული საუკუნის დასაწყისიდან ბიზნესი დიდ სახსრებს ხარჯავს ეკოლოგიაზე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე, ქველმოქმედებაზე და სხვა მიმართულებით, ახდენს რა ასევე სოციალურ-ეთიკური, სოციალურად საპასუხისმგებლო ფუნქციების რეალიზაციას. მეორე მხრივ, ბიზნესი მოსახლეობისა და საზოგადოებისადმი თავისი კეთილშობილებით გარკვეულად სცილდება პრინციპებს, მარკეტინგულ კონცეფციას, რომლის თანახმად ფირმა, კომპანია, საწარმო, ორგანიზაცია, მუშაობენ რა საბაზრო პრინციპებით, ორიენტირდებიან არა მთლიანად საზოგადოებაზე, არამედ თავის მიზნობრივ ჯგუფებზე, სწავლობს მოთხოვნას და კონკურენტულ გარემოს, რომ რაც შეიძლება წარმატებულად გაყიდოს პროდუქტი. მითითებულ წინააღმდეგობაზე კარგად მიანიშნეს ფ. კოტლერმა, დ. ბოუენმა, დ. მეიკენზმა, რომლებმაც მიუთითეს, რომ მარკეტინგისა და ბიზნესის „ზოგადსოციალური“ ფუნქციის დამკვიდრება საეჭვოს ხდის მარკეტინგული კონცეფციის ადეკვატურობას.

ზოგიერთი ავტორი თვალნათლივ ადემონსტრირებს მოცემულ წინააღმდეგობას ძალადობის მაგალითზე, რომელიც უკვე ახლა იგრძნობა სიგარეტისა და სპირტიანი სასმელის მარკეტინგის პროცესში. შესაბამისი კომპანიების ინტერესი ამ საქონლის გაყიდვების ზრდას, ხოლო საზოგადოების გრძელვადიანი ინტერესები მათი მოხმარების შეზღუდვას (შეიძლება აკრძალვასაც) მოითხოვენ, ყოველ შემთხვევაში, განსაზღვრულ ადგილებში ან მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებში მაინც.

ბოლო დროს გამოცემულ ლიტერატურაში, რომელიც ასე თუ ისე უკავშირდებასოციალურად საპასუხისმგებლო მარკეტინგის პრობლემებს, ყურადღება გამახვილებულია კორპორატიულ სოციალურ პასუხიმგებლობაზე, პრაქტიკულად ყურადღება არ ექცევა შესაბამისი მიდგომების საფუძვლების განსაზღვრას. კერძოდ, რატომ უნდა იყოს ბიზნესი სოციალურად საპასუხიმგებლო? ვფიქრობთ, დადგა დრო, პასუხი გაეცეს ამ კითხვას.

ამჟამად სოციალურად საპასუხისმგებლო მარკეტინგი ეფუძნება რამდენიმე ჰიპოთეზას:

- ✓ მომხმარებელთა სურვილები ყოველთვის არ პასუხობს მათ ინტერესებს, აგრეთვე მთლიანად საზოგადოების ინტერესებს;
- ✓ მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ საწარმოებს (ორგანიზაციებს), რომლებიც დემონსტრირებას უკეთებენ ზრუნვას მათი მოთხოვნილებისა და საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ინდივიდუალური და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ასამაღლებლად;
- ✓ ორგანიზაციის ძირითადი ამოცანაა მიზნობრივი ბაზრებისადმი ადაპტაცია იმისათვის, რომ არა მარტო საჭიროებისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილება იყოს უზრუნველყოფილი, არამედ ასევე ინდივიდუალური და კოლექტიური კეთილდღეობაც და აგრეთვე, შენარჩუნებულ იქნეს მყიდველთა ლოიალურობაც.

პრაქტიკაში მსგავსი ამოცანების სარეალიზაციოდ ბიზნეს–სუბიექტების სოციალური პასუხიმგებლობა მოითხოვს: არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში მათ მიერ საკუთარი ფუნქციების ცოდნას; ნორმების დაცვის აუცილებლობის გააზრებას, რომელიც დაკავშირებულია გადასახადის გადახდასთან, ეკოლოგიური ნორმების დაცვასთან და ა. შ.; საკუთარი შეხედულებისა და მათი შედეგების გააზრებას; საკუთარი სტრატეგიის შეცვლისადმი მზადყოფნას დარღვევისა და შეცდომების შემთხვევაში, რომლებიც იწვევენ ნეგატიურ შედეგებს ინდივიდების, საზოგადოების, რეგიონისა და გლობალური მასშტაბით.

დ. აკიმოვის აზრით, ბიზნესისა და მარკეტინგის საწყისები უნდა ვეძიოთ იმ სიტუაციებში, რომელიც ჩამოყალიბდა მეწარმეობის განვითარებაში ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში გასული საუკუნის შუა პერიოდში. კლასიკური გაგებით მარკეტინგის მიდგომების გამოყენებამ და ეკონომიკური საქმიანობის ინტენსიფიკაციამ საზოგადოება იმ გაცნობიერებამდე მიიყვანა, რომ შეიქმნა ბუნებრივი რესურსების, სამუშაო ძალის უმოწყალო ექსპლუატაციის, მეურნეობის უმოწყალო და მტაცებლური გამოყენების საშიშროება. საქმე იქამდე მივიდა, რომ მომხმარებლებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ხარისხიან საქონელს, თუ იგი წარმოებული იყო ფირმისგან, რომელიც საზოგადოების ინტერესს უარყოფდა და ბიზნესი იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბიზნესი აიძულეს სოციალურად

პასუხისმგებელი გამხდარიყო. ბიზნესის სანდოობისათვის, იგი უნდა გამხდარიყო წინასწარ განჭვრეტადი, მოსახლეობის აზრისათვის ანგარიშის გამწევი. ამ პერიოდში იწყება დიდი სახსრების დაბანდება ქველმოქმედებაში, მეცნიერებაში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში, მათ შორის ინვალიდებისათვის. ამ დროს ჩნდება ბიზნესის ფილოსოფიის ცნება „ფაბლიქ რილეიშენზ", რომელიც ორიენტირებულია იმაზე, რომ მომხმარებლამდე დაიყვანოს ბიზნესის „სოციალური პასუხისმგებლობის" შესახებ ინფორმაცია, ჩამოაყალიბოს მისდამი დადებითი დამოკიდებულობა. სოციალურად საპასუხისმგებლო მარკეტინგის ძირითადი ტექნოლოგიების (მიმართულებების) განხილვისას აუცილებელია, პირველ რიგში, აღინიშნოს, რომ ასეთი მიდგომები სისტემური უნდა იყოს.

კომპანიებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს ბიზნესის წარმოება სოციალურად საპასუხისმგებლო საწყისებზე, არ უნდა შემოიფარგლონ პერიოდული შეწირულობით საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნებზე. წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციები განმარტავენ კორპორატიულ სოციალურ პასუხიმგებლობას როგორც ბიზნესისადმი საერთო სტრატეგიულ მიდგომას. ასეთი მიდგომების ჩარჩოებში ძირითადი მიმართულებებია (ტექნოლოგიები) გამოყოფილი ფ. კოტლერისა და ნ. ლის შრომებში „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა":

- კორპორატიული საქველმოქმედო იდეის (საქმის) წინ წაწევა – ფინანსური და სხვა კორპორატიული გამოყოფა განსაზღვრული სოციალური პრობლემისადმი საზოგადოების ყურადღების მოსაპოვებლად ან სხვადასხვა საშუალებების შეგროვებაში დახმარებისათვის ვოლონტიორების მოსაზიდად;
- საქველმოქმედო მარკეტინგი – საწევროების შეგროვების მოვალეობა ან გადარიცხვის ორგანიზაცია საქველმოქმედო გაყიდვების მოცულობიდან;
- კორპორატიული სოციალური მარკეტინგი – პიარისა და სარეკლამო კამპანიების ჩატარებაში მხარდაჭერა, რომელიც ითვალისწინებს არაკეთილსასურველი ქცევის ტიპების შეცვლას სოციალური ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის გასაუმჯობესებლად;
- კორპორატიული ფილანტროპია – უშუალოდ საქველმოქმედო ორგანიზაციაზე, აქციაზე, პროექტებსა და სხვა ღონისძიებებზე მიზნობრივი შესაწირის გაღება ფულადი გრანტის, საჩუქრის, საქონლისა და მომსახურების ფორმით;
- ვოლონტერული სამუშაო თემის სასარგებლოდ – დახმარების აღმოჩენა და კომპანიის თანამშრომელთა, აგრეთვე სხვა მსურველთა ჩართულობა ადგილობრივი ორგანიზაციებისა და ინიციატივებისათვის დახმარების აღმოსაჩენად;
- სოციალურად საპასუხისმგებლო მიდგომები ბიზნესის საწარმოებლად –საკუთარი სურვილით ბიზნესისა და ინვესტიციების განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი თემის კეთილდღეობის ამაღლებასა და გარემოს შენარჩუნებას.

სოციალური მარკეტინგი, როგორც სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების მარკეტინგი. ზემოთ განხილული სოციალურად მნიშვნელოვანი ორი სახის მარკეტინგისაგან განსხვავებით, მესამე დაკავშირებულია სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების რეალიზაციასთან და ახლა გადის ინსტიტუციონალიზაციის საწყის სტადიას. მისი არსი იმაშია, რომ დაეხმაროს საზოგადოებას სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების წინ წაწევაში. ინგლისში მან მიიღო „კომერციული საქმიანობის" სახელწოდება, რომლის საშუალებით კომპანია სოციალურ ინსტიტუციებთან იწყებს თანამშრომლობას საკუთარი რეპუტაციის ასამაღლებლად. ერთდროულად პროდუქტის წინ წაწევის პრობლემა განსხვავდება სოციალური იდეის წინ წაწევისგან იმით, რომ ეს უკანასკნელი დაკავშირებულია ადამიანის ცნობიერებაში ამა თუ იმ შეხედულების (ფასეულობის) დანგრევასთან იმ მიზნით, რომ შემცირდეს ადამიანზე ნეგატიური და განვითარდეს დადებითი სტერეოტიპების ზემოქმედება.

რაც შეეხება სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების მარკეტინგს, მის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემისა და მოთხოვნილების არჩევა, მაგალითად, იმიჯის შექმნა და წინ წაწევა საქართველოსათვის, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, სოციალური დახმარება, კულტურა და ხელოვნება,

განათლება, ჯამრთელობის სფერო, ეკოლოგია, მოქალაქეთა უფლებების დაცვა და ა.შ. ამ შემთხვევაში სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემის მარკეტინგი წარმოგვიდგება როგორც თავისებური მარკეტინგული ტექნოლოგია, რომლის ფარგლებშიც გამოიყენება სოციოტექნოლოგიური მიდგომა.

სოციალური პრობლემების მარკეტინგის ჩარჩოებში წყდება შემდეგი მნიშვნელოვანი პრობლემები:

- მოცემულ პრობლემაზე საზოგადოებრივი აზრის შესწავლა;
- სოციალური პრობლემის გადაწყვეტის სტრატეგიის დამუშავება;
- ყურადღების მიპყრობა პრობლემაზე – სახელმწიფოსგან, კომერციული სტრუქტურისგან, საზოგადოებისგან;
- საზოგადოებრივი აზრის ლიდერებთან თანამშრომლობა, ამ მიმართულების სოციალური მარკეტინგი ნაკლებადაა დამუშავებული, მიახლოებით მისი განსაზღვრა შეიძლება შემდეგნაირად:

სოციალური პრობლემების მარკეტინგი – სოციალური მარკეტინგული ტექნოლოგიაა, რომლის საფუძველია აქტუალური სოციალური პრობლემისადმი წინ წაწევის გამოყენება, ე.ი. მაქსიმალური საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობა და პიროვნებაზე, სოციალურ ჯგუფებზე, საზოგადოებაზე შესაფერისი ზემოქმედება ამ პრობლემათა გადასაწყვეტად.

სოციალური მარკეტინგის ძირითადი ტიპები – აქ აღწერილი სოციალური მარკეტინგის თანამედროვე მიმართულებისა და კონცეფციების მრავალფეროვნება მოითხოვს მათ ღრმა, დეტალურ ანალიზს, პირველ რიგში, მათი ტიპებისა და მრავალსახეობის დადგენას. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებულია შემდეგი ძირითადი ტიპები:

- პოლიტიკური მარკეტინგი;
- სახელმწიფო მარკეტინგი;
- ტერიტორიული მარკეტინგი;
- სოციალური მარკეტინგი.

პოლიტიკური მარკეტინგი ყველაზე სრულყოფილადაა შესწავლილი სოციალური მარკეტინგის თეორიისა და პოლიტიკის ისეთი ავტორიტეტული ფრანგი სოციოლოგების მიერ, როგორებიცაა პიერ ბურდე და პატრიკ შამპანე. მეორე მხრივ, ხელშემწყობი აღმოჩდა პოლიტიკურ მარკეტინგებში პოლიტიკური ბაზრის არსებობა, რომელიც განვითარების მხრივ არ ჩამორჩება არც ერთი ატრიბუტის კლასიკური ბიზნესის ბაზარს. მესამე მხრივ, პოლიტიკური მარკეტინგის აქტუალურობა განსაზღვრა მისმა კავშირმა საარჩევნო კომპანიის ორგანიზაციასთან. ამიტომ გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ დღეისათვის პრაქტიკულად ჩამოყალიბებულია პოლიტიკური მარკეტინგის კონცეფცია.

სახელმწიფო მარკეტინგი პოლიტიკური მარკეტინგისაგან განსხვავებით, რომლის აუცილებლობაზე, აგრეთვე მისი ძირითადი ფუნქციების, სუბიექტებისა და ობიექტების ფორმულირებაზე სრული სოლიდარობა არსებობს ამ სფეროში მომუშავე მეცნიერებს შორის, მის მიმართ დამოკიდებულება სრულიად განსხვავებულია. პირველი ის, რომ სპეციალისტების ნაწილს პრინციპულად დაუშვებლად მიაჩნია სახელმწიფო მმართველობაში მარკეტინგის გამოყენება, რადგან იგი გამოიწვევს არაკომერციული ორგანიზაციების კომერციალიზაციას, ე.ი. მათი სოციალური და ჰუმანური მისიის გაუქმებას. მეცნიერთა მეორე ჯგუფს, პირიქით, დასაშვებად მიაჩნია მარკეტინგული მიდგომების გამოყენება სახელმწიფო მმართველობაში, რამდენადაც იგი ხელს შეუწყობს სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებას. ამ მოსაზრების გამო ამჟამად სახელმწიფო მარკეტინგის კონცეფცია განვითარების სტადიაზეა. სახელმწიფო მმართველობაში მარკეტინგის გამოყენების შესაძლებლობაზე თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში მხარდამჭერი სპეციალისტები იშველიებენ სამ ფაქტორს: საბაზრო ტენდენციების განვითარება და მათი გავლენა თანამედროვე ადმინისტრაციულ მოდერნიზაციაზე; თანამედროვე დემოკრატიული და საბაზრო სახელმწიფოს კონცეფციის განვითარება, როგორც მოსახლეობისათვის მომსახურების მიმწოდებლის ფუნქციის როლის შემსრულებლის; სახელმწიფო მარკეტინგის განვითრების მესამე ფაქტორია

სახელმწიფოსა და მოსახლეობას შორის, სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის რეგულირებისათვის საბაზრო, მარკეტინგული მიდგომების რეალიზაცია.

ტერიტორიული მარკეტინგი. მარკეტინგის კონცეფცია, საქონლისა და მომსახურების მარკეტინგის თეორიასთან ერთად ითვალისწინებს ტერიტორიის მარკეტინგის კონცეფციის დამუშავებასაც. სინამდვილეში ყიდვა-გაყიდვა ხდება არა მარტო საქონლისა და მომსახურების, არამედ ტერიტორიისაც. თანაბარზომიერად ეს ეხება როგორც ინვესტორს, რომელიც წყვეტს კაპიტალის ჩადების პრობლემას ამა თუ იმ ტერიტორიის განვითარებისათვის, არამედ მოსახლეობასაც, რომელიც ახლა იღებს გადაწყვეტილებას მიგრაციაზე, საცხოვრებელი ადგილის შერჩევაზე და ა.შ. თუმცა, ამ პროცესების ზოგიერთი თავისებურება მოითხოვს ტერიტორიული მარკეტინგის აღიარებას არა კლასიკური, არამედ არაკომერციული, სოციალური ფორმით.

სოციალური მარკეტინგი ორი მნიშვნელობით იხმარება, ერთი ზოგადი დახასიათებისათვის არაკლასიკური, ე.ი. არაკომერციული მარკეტინგის სახით და მეორე სოციალური მარკეტინგის დახასიათებისათვის ვიწრო სოციალური გაგებით, ე.ი. როგორც მარკეტინგი, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებაში სოციალური პროგრამების, პროექტების, ინიციატივების წინ წაწევასთან. სწორედ ასეთი გეზით განიხილება საციალური მარკეტინგი.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ სოციალური მარკეტინგის თანამედროვე კონცეფცია მიზნად ისახავს უმნიშვნელოვანეს, პრინციპულად ახალ, კრეატიულ მიდგომას სოციალური ცვლილებებისა და სოციალური პროცესების რეგულირებისათვის დემოკრატიულ, საბაზრო საზოგადოებაში. ამ კონცეფციაზე დაყრდნობით ტექნოლოგიები შეიძლება გავრცელდეს არა მარტო ვიწრო – სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე, არამედ სახელმწიფო და ტერიტორიული სფეროების მართვაზე, აგრეთვე, პოლიტიკური საქმიანობის ორგანიზაციაზეც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Андреев С. Мельниченко Л. Основы некоммерческого маркетинга, М., 2000.
2. Багоцци Р. Маркетинг как обмен. СПб, 2001.
3. Бурде П. Социология политики. М., 1993.
4. Котлер Ф., Бауэн Д., Меиткенз Д. Маркетинг. Гостеприимство и туризм. М., 1998.
5. Ламбен Ж. Стратегический маркетинг. СПб. 1996.
6. Морозова Е. Политический Рынаки Политический маркетинг: Концепции, методы, Технологии. М., 1998.
7. Шинкаренко И. Мантры и смертные грехи маркетинга: интервьюс Ф. Котлеров. Журналь, Эксперт. N 34, 2006.

თამარ ჯანგულაშვილი

სოციალური მარკეტინგი: არსი, კონცეფცია, ტიპები

რეზიუმე

თანამედროვე საზოგადოებაში მარკეტინგულმა საქმიანობამ შეიძინა მრავალი ნაირსახეობა და შეინარჩუნა არსებითი კავშირი გაცვლის პროცესებთან. მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ინტერესი სოციალური მარკეტინგისადმი, როგორც სოციალური პროცესების რეგულირების თეორიისა და პრაქტიკისადმი. სტატიაში განხილულია სოციალური მარკეტინგის წარმოშობის მიზეზები და დღევანდელი ვითარება, კონცეფციის ფორმირების პროცესი და ძირითადი ტიპები.

Tamar Jangulashvili

Social Marketing: Essence, Concept, Types

Summary

In the contemporary society the marketing activities gained varieties and maintained substantial link to the processes of change. Interest towards the social marketing as a theory and practice of regulations of social processes has been intensified worldwide.

The article deals with reasons and present situation, process of concept formation and basic types of social marketing.

Тамар Джангулашвили

Социальний маркетинг: сушность, концепция, типы.

Резюме

Маркетинговая деятельность в современном обществе приобрела множество разновидностей, сохраняя существенную связь с процессами обмена. Во всем мире значительно усилился интерес к социальному маркетингу как к теории и практики регулирования социальных процессов. В статье рассмотренны причины и обстоятельства появления социального маркетинга, процесс формирования концефции и основные типы.

გედევან ხელაია
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნიკო ნიკოლაძის ზოგიერთი ეკონომიკური შეხედულება

უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანია ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური შეხედულებების მწყობრი სისტემა. ეს შეხედულებები ისეთი მრავალფეროვანია და აზრთა სიღრმით გამორჩეული, რომ მათ განხილვას სქელტანიანი მონოგრაფიაც ძნელად დაიტევს. მოკლედ შევეხები მხოლოდ ზოგიერთ მათგანს, ჩემი აზრით, სადღეისოდ საჭიროს და აუცილებელს – მოშლილი და დანგრეული ეკონომიკის აღორძინება-განვითარების საქმეში რომ დაგვეხმარება.

ნიკო ნიკოლაძემ დიდი დამაჯერებლობით გვიჩვენა, რომ მარტო დედა ენის უფლებების აღდგენით და დაცვით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სასურველ საბოლოო მიზანს ვერ მიაღწევს, თუ საქმეში სხვა ძირითადი ფაქტორები არ ჩაერთო. „არც მარტო ენა აღადგენს ეროვნებას-მეთქი, ვფიქრობდი, საჭიროდ ვთვლიდი, წერდა ნიკო, შემეძრა ის ცხოველმყოფი ძალები, რომლის მოქმედება და ურთიერთობა ერს ზრდის, ამაღლებს, აძლიერებს. შევეხე ეკონომიკას, კრედიტს, მრეწველობას, მიწათმფლობელობას და თვითმართველობას“(1,63).

ამ სიტყვიდან ცხადია, რომ ნ. ნიკოლაძისათვის წარმოუდგენელია ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება მყარი და ძლიერი ეკონომიკური საფუძვლების გარეშე. სწორედ ამით აიხსნება მისი განსაკუთრებული ინტერესი ეკონომიკური საკითხებისადმი. პარიზიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში კ. ლორთქიფანიძისადმი, 1864 წლის 19 ოქტომბერს, იგი აღნიშნავს: „ახლა მე ვმუშაობ ეკონომიკაზე ათ საათს დღეშიო“, 9 წლის შემდეგ კი, 1873 წლის სექტემბერში, ბატონი ნიკო ხაზგასმით მიუთითებს იმის შესახებ, რომ ხუთი და ექვსი წელი სპეციალურად სწავლობდა პოლიტიკურ ეკონომიასა და ფინანსურ მეცნიერებას“ (1,65).

ასეთმა შრომამ ნიკო ნიკოლაძე მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სამყარო ვითარდება ბუნებისა და საზოგადოების კანონების მიხედვით, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებებში. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საზოგადოებრივი მეცნიერების ღრმად შეთვისებას, პირველ რიგში, პოლიტიკური ეკონომიის შესწავლას და შეწუხებულია იმით, რომ „მეცნიერების ის ნახევარი, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებას შეისწავლის და მისი გაუმჯობესების წლებს იკვლევს ჯერ არ მოჩვენებია ჩვენს საზოგადოებასაო“ (1,45). თავის მხრივ იგი ცდილობს საქმით დაინტერესებული ქართველი ახალგაზრდობისათვის ხელმისაწვდომი გახადოს საზოგადოებრივი, განსაკუთრებით პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერების ელემენტარული კანონები და მრავალრიცხოვანი წერილებითა და ნარკვევებით მნიშვნელოვანი წვლილიც შეაქვს ამ საქმეში.

პოლიტიკური ეკონომიის საკითხებისადმი ნიკო ნიკოლაძის დიდმა ინტერესმა განსაზღვრა მისი სადოქტორო დისერტაციის თემაც – „განიარაღება და მისი ეკონომიკურ-სოციალური შედეგები“, რომელიც წარმატებით დაიცვა ციურიხის უნივერსიტეტში 1868 წელს. საკმარისია გულდასმით გავეცნოთ თუნდაც ამ ნაშრომს და დავრწმუნდებით, რომ ნ. ნიკოლაძე მოწოდებით ეკონომისტია და ფართო და ყოველმხრივი განსწავლულობა შესაძლებლობას აძლევს სწორი მეცნიერული თვალთახედვით გადაწყვიტოს ეკონომიკის რიგი აქტუალური საკითხები. ამ საკითხების ცოდნა, წერდა ნიკო, ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი წესიც კაცის ხელით შექმნილია, რომ ის ათასჯერ შეცვლილი და გაუმჯობესებულია. მაშასადამე, ხალხის ბედ-იღბალი ხალხის ხელშია და მისი პრაქტიკული განხორციელება მთლიანადაა დამოკიდებული ხალხის განათლებაზე, ეკონომიკური ცოდნის შეთვისების სიღრმეზე.

დასახელებული ნაშრომის მთავარი იდეა არის ის, რომ ნებისმიერი რადიკალური სახის ღონისძიებების გატარება წინასწარ უნდა იყოს ეკონომიკურად გამართლებული და მეცნიერული არგუმენტებით დასაბუთებული. მაგალითად, ნიკო ნიკოლაძე ილაშქრებს იმ ეკონომისტების წინააღმდეგ, რომლებიც მხარს უჭერენ განიარაღების მიმზიდველ ლოზუნგს ისე, რომ არ უკეთებენ ანალიზს, მომზადების გარეშე, მისი განხორციელების მოსალოდნელ შედეგებს. ამ უაღრესად საჭირო და საინტერესო სამუშაოს შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების თანდართვით იგი ამტკიცებს, რომ განიარაღების ხელაღებით განხორციელება გამოიწვევს წარმოების შეკვეცას, „საზოგადო დოვლათის“ გაჩანაგებას.

ნიკო ნიკოლაძის რწმენით, წარმოების გაფართოებისა და გაძლიერების გარეშე, რაც, პირველ რიგში, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების ზრდით უნდა გამოიხატოს, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის სიმტკიცე შეუძლებელია. ნიკო ნიკოლაძემ განიარაღების საკითხის საფუძვლიანი განხილვით სათანადოდ გვიჩვენა ის წინააღმდეგობანი, რომლებიც არსებობდა და ახლაც არსებობს განიარაღებისადმი მისწრაფებასა და ამ უაღრესად კეთილშობილი იდეის პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობათა შორის. გამოსავალს დიდი მამულიშვილი ხედავს იმაში, რომ განიარაღების დაწყებამდე აუცილებლად მოვამზადოთ ნიადაგი „სოციალურ ურთიერთობათა რადიკალური და სრული რეორგანიზაციისათვის“. ნიკო იზიარებს ცნობილი სწავლულის დე–ლავერნის აზრს იმის შესახებ, რომ „ნაკლებად განათლებულ ქვეყანაში თითქმის მთელი მოსახლეობა სასოფლო მეურნეობას მისდევს, ხოლო იმ ქვეყანაში, რომელიც განათლების უმაღლეს წერტილამდეა ასული ... მიწათმომქმედთა რიცხვი მთელ მცხოვრებთა მეოთხედს ან მეხუთედს შეადგენსო და, თავის მხრივ დასძენს, სოფლის მეურნეობაში წარმატებული მოღვაწეობისათვის საჭიროა „სააგრონომო ცოდნაც და მიწის დასამუშავებელი თანხაცო“.

ნიკო ნიკოლაძე სწავლული ეკონომისტის თვალით განიხილავს საკითხს იმის შესახებ, თუ რა ზეგავლენას მოახდენს მომუშავეთა ხელფასის შემცირება „ნაწარმი საქონლის თვითღირებულებაზე“, კერძოდ გაიაფდა თუ არა იგი, ამტკიცებს: როგორადაც არ უნდა შემცირდეს ხელფასი, მოხმარების სფეროში საქონელი საგრძნობლად არ გაიაფდება. მისი ფასი დაახლეობით რაც ადრე იყო იმავე დონეზე დარჩება. ასეთ დასკვნას იგი აკეთებს საქონლის ფასის, თვითღირებულების, ხელფასის, სარგებლის, დაბანდებული კაპიტალის კრიტიკული ანალიზისა და სათანადო მეცნიერული არგუმენტაციების მოშველიებით. ნიკო ნიკოლაძემ გააქარწყლა მითი იმის შესახებ, რომ თითქოს მუშა-ხელის სიჭარბე და მათი ხელფასის შემცირება გამოიწვევდა ცხოვრებისათვის აუ-

ცილებელი საქონლის ფასის გაიაფებას და ამით თავისი დროის ერთ-ერთ მოდურ ეკონომიკურ ფიქციას ფარდა ახადა რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალ-პოლიტიკური თვალსაზრისით.

ნიკო ნიკოლაძე ამის შემდეგ ჩვეული დამაჯერებლობით და საქმის ღრმა ცოდნით განიხილავს განიარაღების სოციალურ შედეგებს, მის პირდაპირ კავშირს სახელმწიფო სტრუქტურებთან, საზოგადოების განვითარების დონესთან, მეზობელი სახელმწიფოების ურთიერთობის ხასიათთან, მათ სამხედრო პოტენციალთან, გეო-პოლიტიკურ მდგომარეობასთან და ა.შ. „მოწინავე აზრების ხალხმა, წერდა იგი, „ვინც სოციალური პრობლემების გადაწყვეტასა სცდილობს, უნდა გამონახოს და გადაგვიშალოს პრაქტიკული გზა, რომელსაც შეუძლია საზოგადოება უკეთეს დღეში ჩააყენოს“. მთავარი ორიენტირი კი ამ საქმეში უნდა იყოს „საეკონომიო მეცნიერება“, რომელიც მისივე თქმით, იმდროისათვის სრულებით უძლური იყო ეწინამძღვრა საზოგადოებისათვის და ამ საპატიო მოვალეობის შესასრულებლად საჭიროებდა ეკონომისტების თავდადებულ შემოქმედებით კვლევა-ძიებას.

ნიკო ნიკოლაძეს აღებ–მიცემობის გეგმაზომიერი და გონივრული ვაჭრობის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების განმტკიცებისა და გაუმჯობესების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად მიაჩნია და მის შესახებ მეცნიერულად დასაბუთებულ მთელ რიგ რჩევა-დარიგებებსა და რეკომენდაციებს გვთავაზობს, რომლებიც მისი ეკონომიკური იდეების განუყოფელ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ.

1871 წელს, ჟურნალ „კრებულში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ჩვენი ახალგაზრდობა“, ახალგაზრდა თაობის მთავარ ნაკლად, ბატონ ნიკოს მიაჩნია „აღებ-მიცემობის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისადმი უყურადღებობა“. იგი აღშფოთებულია იმის გამო, რომ ჩვენში ვაჭრობას ბევრი სპეკულაციასა და მყიდველის მოტყუებას ეძახის, რაც დიდი შეცდომაა, ამიტომ „არავის ესმის ვაჭრობის ნამდვილი დანიშნულება და მნიშვნელობა“. მარტივი და ცხადი ეკონომიკური არგუმენტებით, ბატონი ნიკო გვიდასტურებს, რომ ვაჭრობა და საერთოდ ყოველგვარი გონივრული კომერციული საქმიანობა, საზოგადოების, ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უმნიშვნელოვანესი რეგულატორია, რომელიც ეკონომიკური ბერკეტებით ეფექტიან ზემოქმედებას ახდენს სახელმწიფოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაზე. ამიტომ, ამ უაღრესად და სასიცოცხლო დანიშნულების საქმეს, დიდი პასუხისმგებლობით და საფუძვლიანი ცოდნით უნდა მიუდგეთ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის და ტაქტიკის განსაზღვრაში კომერცია ერთ-ერთ ძირითად ადგილს იჭერს“ (1,41).

ნიკო ნიკოლაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მყიდველ-გამყიდველის განვითარებისა და კულტურის დონის ურთიერთ შესაბამისობას, იგი აღნიშნავს: „როდესაც ორ სხვადასხვა ქვეყნებსა და ხალხებს შორის მისვლა-მოსვლა და აღებ-მიცემობა გაიმართება, თუ რომ განათლებისა და კულტურის მხრით დიდი განსხვავება აქვთ ამით ერთი მეორისაგან, მაშინ ძალიან ადვილია და ხშირად აუცილებელი... დაღარიბება დაბალი კულტურის ხალხისა მაღალი კულტურის ხალხისაგან“, ვინაიდან ცხოვრებაში, საერთოდ კი ეკონომიკაში, კერძოდ იმარჯვებს ის „ვისაც ღონე, ხერხი, ცოდნა, გამბედაობა აქვთ და ჭკუით იმორჩილებს უღონობას“ (2,450).

აღებ-მიცემობისა და სავაჭრო ცენტრების სოციალურ-ეკონომიკური და გეოგრაფიული მდგომარეობის ღრმა ანალიზის საფუძველზე ნიკო ნიკოლაძე ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებს ფოთს, ჯერ კიდევ 1871 წელს, როდესაც იგი „როგორც ქალაქი მშენებლობის პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებს დგამდა“. „ფოთს დიდი როლი და კარგი სვე მოელის მომავალში, წერდა იგი. რკინის გზა მალე შეაერთებს მას თბილისთან, მერე კასპიის ზღვასთან, შემდგომ „შუა აზიასთან, სპარსეთთან და შესაძლებელია ინდოეთთანაც. მაშინ ამ გზით გაიმართება „აღებ-მიცემობა ერთის მხრივ ევროპასა და მეორეს მხრით საქართველოს, შუა აზიასა და სპარსეთს შორის... და იგი შეიქმნება ერთი უდიდესი და უმდიდრესი სავაჭრო ქალაქთაგანი თავისი პორტით“ (3,2).

სხვა პირობებთან ერთად, ამისათვის მას აუცილებლად მიაჩნდა ქართველი ხალხის განათლებისა და კულტურის დონის ევროპის შესაბამის დონემდე ამაღლება. ცნობილია ისიც, რომ სწორედ ბატონმა ნიკომ 1894 წლიდან, თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობის 18 წელი მოახმარა აღნიშნული წინასწარმეტყველების სინამდვილედ ქცევას და თუ დღეს ქალაქი ფოთი, უკვე ცნობილი, მაგრამ კიდევ უფრო დიდი მომავლის მქონე პორტით, შა-

ვიზღვისპირეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო და სამგზავრო ცენტრია. ფოთმა მართლაც დააკავშირა ევროპა მთელ აღმოსავლეთთან და ამ ისტორიულ საქმეში საშვილიშვილო დამსახურება ნიკო ნიკოლაძეს მიუძღვის.

გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური თვალთახედვის არეში ექცევა საფინანსო–საბანკო პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა მოგვარებასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარება-გაუმჯობესების საქმეში. იგი ჩვეული სიმარტივით და დამაჯერებელი მეცნიერული არგუმენტებით აშუქებს საფინანსო-საბანკო საქმეების ძირითად საკითხებს ქართულ და რუსულ პრესაში გამოქვეყნებულ ნარკვევებსა და სტატიებში, ისეთებშიც როგორიცაა: „ბანკის საქმე ჩვენში“ (5,6).

„ქუთაისის ბანკი“ (6,2), „დროება“ №34, 1873), „ბეს. ღოღობერიძის ტიტანი“ (7,2) და ა.შ. აქ უკვე ნიკო ნიკოლაძე გვევლინება როგორც საბანკო-საკრედიტო საქმის დიდი მცოდნე, ამ საქმეში ღრმად ჩახედული ეკონომისტი. ილია ჭავჭავაძესთან ერთად ბატონმა ნიკომ გაშალა მუშაობა ბანკის წესდების, მისი მიზანდანიშნულების განსასჯელად, ჩამოსაყალიბებლად და 1871-73 წლებში უკვე საბოლოოდ შექმნა სრული კონცეფცია საბანკო საქმის შესახებ. მან ჯეროვანი როლი შეასრულა, აგრეთვე, თბილისის საადგილმამულო ბანკის დაარსებაში, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 1875 წლიდან. მისი ბევრი დებულება დღესაც ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას და უეჭველია ახლაც, არ შეიძლება საბანკო საქმეების მოგვარება მათ გაუთვალისწინებლად.

როგორც ვხედავთ, ნიკო ნიკოლაძე კომერციული საქმიანობის მთელ სისტემას ორგანულად უკავშირებს საბანკო საქმეს. პატიოსანი გზით „ფულის შოვნის“ და საზოგადოების საკეთილდღეოდ მისი გამოყენების გზებსა და საშუალებებს, ეს საკითხები გამსჭვალულია მისი ზოგადეკონომიკური შეხედულებების სულისკვეთებით დაცემის გზაზე დამდგარი „ეროვნული ვინაობის“ აღდგენის საფუძველთა-საფუძველის აღორძინებისა და განვითარება-განმტკიცების თვალსაზრისით.

ძირითადად ასეთია ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური იდეების ზოგადი სურათი, რომელშიც ნათლად მოსჩანს ღირსეული მამულიშვილის, ღრმად განსწავლული ეკონომისტის, XIX საუკუნის სამოციანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერის მიერ გაწეული პრინციპული და თავდადებული ბრძოლის ძირითადი მიმართულება, რაც უკვდავი შარავანდედით მოსავს ბატონ ნიკოს დიდებულ სახელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნიკოლაძე ნ., განიარაღება და მისი ეკონმიკურ-სოციალური შედეგები, თხზულებანი, ტ. 1, თბ., 1962.
2. ნიკოლაძე ნ., ფოთი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1962.
3. ნიკოლაძე ნ., დროების გამოცემაზე მომავალ 1871 წ. თხზ., ტ.II, თბ., 1962.
4. ნიკოლაძე ნ., ჩვენი ახალგაზრდობა, ჟურნალი „კრებული“, 1871, №3
5. ნიკოლაძე ნ., ბანკის საქმე ჩვენში, ჟურნალი „კრებული“, 1872, №6.
6. ნიკოლაძე ნ., ქუთაისის ბანკი, გაზეთი „დროება“, 1873, №21.
7. ნიკოლაძე ნ., „ბეს. ღოღობერიძის ტიტანი“, გაზეთი „დროება“, 1873, №30.
8. ნიკოლაძე ნ., ქუთაისის ბანკის საქმე, გაზეთი „დროება“, 1873, №34.

გედევან ხელაია

ნიკო ნიკოლაძის ზოგიერთი ეკონომიკური შეხედულება

რეზიუმე

უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანია ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური შეხედულებების მწყობრი სისტემა, რომელშიც ნათლად მოსჩანს ღირსეული მამულიშვილის, XIX საუკუნის სამოციანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერის მიერ გაწეული პრინციპული და თავდადებული

ბრძოლის ძირითადი მიმართულება. ნ. ნიკოლაძის ფართო და ყოველმხრივი განსწავლულობა შესაძლებლობას აძლევს ეკონომისტის თვალით, კრიტიკული ანალიზისა და სათანადო მეცნიერული არგუმენტების მოშველიებით, განიხილოს საქონლის წარმოება, ფასი, თვითღირებულება, ხელფასი, ვაჭრობა, ბანკები, კრედიტი, სარგებელი, დაბანდებული კაპიტალი, ფოთის ნავსადგურის მშენებლობა, და სწორი მეცნიერული თვალთახედვით, დასკვნის სახით, ჩამოაყალიბოს რიგი აქტუალური საკითხები სათანადო რეკომენდაციებით.

ნიკო ნიკოლაძე ჩეული დამაჯერებლობით და საქმის ღრმა ცოდნით განიხილავს სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებსა და მის პირდაპირ კავშირს სახელმწიფოს სტრუქტურებთან, საზოგაოების განვითარების დონესთან, მის სამხედრო პოტენციალთან, გეოპოლიტიკურ მდგომარეობასთან და ა.შ. მისი აზრით, მთავარი ორიენტირი ამ საქმეში უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და თავდადებული მეცნიერული კვლევა-ძიება.

Gedevan Khelaia

Nicko Nikoladze`s Some Economic Views

Summary

N. nikoladze’s coherent system of economic views is extremely rich and diverse. There is clearly visible the main direction of principal and dedicated struggle of the great patriot and one of the recognized leaders of the national liberation movement in the sixties of the XIX century. N Nikoladze’s broad and comprehensive erudition enables with the eye of economist and through the critical analysis and proper scientific arguments to consider the production of goods, cost price, salary, trade, banks, credit, interest, invested capital, the Poti port’s construction, and from the scientific point of view, to formulate in the form of conclusion a number of topical issues with relevant recommendations.

N. Nikoladze with usual confidence and a deep knowledge of the case considers the socio-economic consequences and its direct relationship with the state structures, the development level of society, its military potential, geopolitical situation etc. In his view, the main focus of this work should be people’s economic development and dedicated scientific researches.

Гедеван Хелая

Некоторые экономические взгляды Нико Николадзе

Резюме

Система формирования экономических взгладов Н. Николадзе необычайно богата и разнообразна. В его работах оснавное направление принципиальной и самоотверженной борьбы одного их выдающихся лидеров национально-освободительного движения шестидесятых годов XIX века.

Обширные и разносторонние познания Н. Николадзе дают возможность как экономисту, посредством критического анализа и соответствующих научных аргументов рассмотреть товарное производство, цены, себестоимость, заработную плату, торговлю, банки, кредиты, прибыль, инвестированный капитал, строительство порта в городе Поти, и в результате точного научного обзора сформировать ряд актуальных вопросов с сответствующими рекомендациями.

Н. Николадзе привычным даром убеждения и с глубоким знанием дела рассматривает социально-экономические итоги и их прямую связь с государственными структурами, уровнем общественного развития и военным потенщиалом, геополитическим положением и т.д. По его мнению, главным ориентиром в данном деле должно быть повышение экономического образования страны и углубление научных исследований.

მაია თეთრუაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი და საქართველო

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (World Economic Forum) — საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, შეიქმნა 1971 წელს, როდესაც ჟენევაში სიმპოზიუმზე ევროპის 400 წამყვანი კომპანიის ხელმძღვანელი შეიკრიბა. 1971 წლიდან 1986 წლამდე ორგანიზაციას „მენეჯმენტის ევროპული ფორუმი“ (European Management Forum)ეწოდებოდა(1). ფორუმის პირველ შეხვედრებზე ძირითადი განსახილველი თემა კონკურენტულ ბრძოლაში დასავლეთ ევროპის პოზიციების გაუმჯობესება იყო. დროთა განმავლობაში თემატიკა თანდათან გაფართოვდა, დაემატა პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები, სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესის შედეგები, განვითარებადი ქვეყნების დავალიანების პრობლემები. 1970–იანი წლების შუა პერიოდში დავოსში მსოფლიოს გავლენიანი პირების მიწვევა დაიწყეს (მთავრობების წევრებისა და ბიზნესის ლიდერებისა) და უკვე მომდევნო ათწლეულში ფორუმმა წლის ერთ–ერთი უმთავრესი მოვლენის სტატუსი შეიძინა. ფორუმის წევრები მსოფლიოს 50 ქვეყნის ათასამდე მსხვილი კომპანია და ორგანიზაციაა. ფორუმის წევრი ტიპური კომპანია — წელიწადში 5 მლრდ დოლარის ბრუნვის მქონე კომპანიაა. ფორუმის დამფუძნებელი და უცვლელი ხელმძღვანელია ჟენევის უნივერსიტეტის ბიზნეს–ადმინისტრირების პროფესორი კლაუს შვაბი. ორგანიზაციის შტაბ-ბინა ჟენევაში მდებარეობს. ეკონომიკური ფორუმის უმთავრესი ღონისძიება არის ყოველწლიური შეხვედრები, რომლებიც ტრადიციულად საქვეყნოდ ცნობილ სამთო–სათხილამურო კურორტ დავოსში ტარდება იანვრის ბოლოსა და თებერვლის დასაწყისში (გამონაკლისი იყო 2002 წლის სესია, რომელიც ნიუ–იორკში ჩატარდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ აშშ–ისადმი სოლიდარობის ნიშნად). დავოსის ყოველწლიური შეხვედრების მიზანია არაფორმალურ გარემოში უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების განხილვა. დავოსი ცნობილია არა მარტო იმით, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ადამიანებს — სახელმწიფოებისა და მთავრობების, მსოფლიო ბიზნესის ლიდერებს, გამოჩენილ მეცნიერებსა და ეკონომისტებს, პოლიტოლოგებს უყრის თავს, არამედ იმითაც, რომ არაოფიციალურ გარემოში პოლიტიკურ ოპონენტთან შეხვედრის შესაძლებლობასაც იძლევა. დავოსის დისკუსიები ტრადიციულად ბევრით განსაზღვრავს ეკონომიკური წლის პრობლემატიკას. ფორუმის ფარგლებში შექმნილია და მოქმედებს პროფესიული ინტერესების გამომხატველი ჯგუფები და კლუბები: უმსხვილეს მეწარმეთა კლუბი, მრეწველობის სხვადასხვა სექტორის კომპანიებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ჯგუფი, ეროვნული კვლევითი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ჯგუფი, ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფი. ბოლო წლებში ასევე ჩამოყალიბდა გაერთიანებები: „ხვალინდელი დღის ლიდერები“ და „მაღალი ტექნოლოგიების პიონერები“. მუშაობის ძირითადი ფორმაა სემინარები სხვადასხვა თემატიკაზე. დავოსის შეხვედრების ფარგლებში სამასამდე პლენარული სხდომა, სემინარი, „მრგვალი მაგიდა“ და ასევე „მაღალი დონის მინი შეხვედრები“ ტარდება. აქ არ არსებობს პროტოკოლები, გამოსვლები ოფიციალურად არ ფიქსირდება, დასკვნითი რეზოლუციები არ მიიღება. საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის სპეციალისტები 1979 წლიდან ადგენენ მოხსენებას „გლობალური კონკურენტუნარიანობა“, რომელშიც მსოფლიოს 140–ზე მეტი ქვეყანა ორი მთავარი მაჩვენებლის — პოტენციური ზრდის ინდექსისა და კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით ფასდება. ბოლო წლებში საერთაშორისო ეკონომიკურმა ფორუმმა ეკონომიკის ცალკეული რეგიონებისა და სექტორების დამატებითი რეიტინგების გამოშვება დაიწყო. დავოსის შეხვედრების გარდა, ასევე იმართება საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის რეგიონული სამიტები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის საკითხებში.

კონკურენტუნარიანობის რეიტინგი ეფუძნება საერთო სტატისტიკური მონაცემების კომბინაციას და კომპანიების ხელმძღვანელთა გამოკითხვას. ყოველდღიურ და სისტემატურ კვლევას მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად

ახდენს. ასეთ ორგანიზაციებს წარმოადგენს: საანალიზო ქვეყნის წამყვანი კვლევითი ინსტიტუტები და კომპანიები.

2016 წლისათვის გამოიკითხა 138 ქვეყნის ბიზნესის 14 000 ლიდერი. ანგარიშში ჩართული იყო ასევე ქვეყნების კონკურენტუნარიანობის სუსტი და ძლიერი მხარეების დაწვრილებითი ანალიზი, რაც შესაძლებელს ხდის ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისა და რეფორმებისათვის განისაზღვროს პრიორიტეტული მიმართულებები.

მეფ-ის კვლევაში წარმოდგენილი იყო ორი ინდექსი, რის საფუძველზეც დგება ქვენების რეიტინგი.

- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Global Competitiveness Index, GCI) და
- ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Business Competitiveness Index, BCI).

პირველი ინდექსი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია და საერთო შეფასების საფუძველს წარმოადგენს. იგი 2004 წელს, სპეციალურად მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისათვის შეიმუშავა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ხავიერ სალად და მარტინმა (Xavier Sala-i-Martin) (2).

GCI ინდექსი 12 სხვადასხვა მიმართულებისაგან შედგება და დეტალურად ახასიათებს სხვადასხვა ეკონომიკური განვითარების დონის ქვენების კონკურენტუნარიანობას. ეს მიმართულებებია: ინსტიტუტების ხარისხი; ინფრასტრუქტურა; მაკროეკონომიკური სტაბილურობა; ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება; უმაღლესი განათლება, პროფესიული მომზადება; საქონლისა და მომსახურების ბაზრების სტაბილურობა;, შრომის ბაზრის ეფექტურობა; ფინანსური ბაზრის განვითარება; ტექნოლოგიების დონე; შიდა ბაზრის ზომები; კომპანიების კონკურენტიანობა; საინოვაციო პოტენციალი.

თითოეული ქვეყნისათვის ანგარიში შეიცავს ქვეყნისა და ეროვნული ეკონომიკის დეტალურ აღწერას, იმ სუსტი და ძლიერი მხარეების ანალიზს, რომელიც გამოვლენილია კველვის შედეგად. მოხსენება ასევე მოიცავს რეიტინგებს სხვადასხვა სტატისტიკური ცხრილებით სხვადასხვა ინდიკატორების მიხედვით. დეტალური ანგარიშები მოიცავს კვლევას ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით.

2016 წლის რეიტინგის სათავეში კვლავ შვეიცარია აღმოჩნდა. ამ ქვეყნის პირველი პოზიცია ბოლო რვა წლის განმავლობაში უცვლელი რჩება. მეორე ადგილს, ისევე როგორც შარშან სინგაპური იკავებს, ხოლო მესამეს-ამერიკის შეერთებული შტატები. ეს სამი ქვეყანა ინვაციური პროდუქციისა და მომსახურების სფეროში კვლავ ლიდერია. შემდგომ ლიდერთა ათეულში მოდიან: ნიდერლანდები, გერმანია, შვეცია, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, ჰონგკონგი და ფინეთი.

ამ მიმდევრობით, შარშანდელთან შედარებით პირველი ათეული არ შეცვლილა.

ანალიზი ცხადყოფს, რომ კონკურენტუნარიანობაში მნიშვნელოვნად წინ არიან არადასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები. რაც შეეხება სამხრეთ ევროპას (ესპანეთი, საბერძნეთი, იტალია პორტუგალია), მათ ჯერ კიდევ ვერ დააღწიეს თავი ეკონომიკური კრიზისის მძიმე შედეგებს.

საქართველო მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის წევრია 2004 წლიდან. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015-2016 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის“ („The Global Competitiveness Report“) მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 3 ადგილით გაუმჯობესდა (3).

ქვეყანამ, 4.22 ქულით, 140 ქვეყანას შორის, 69-ე ადგილიდან 66-ზე გადაინაცვლა. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველო წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა – სლოვაკეთი (67-ე ადგილი), მონტენეგრო (70-ე ადგილი), ხორვატია (77-ე ადგილი), უკრაინა (79-ე ადგილი), საბერძნეთი (81-ე ადგილი), სომხეთი (82-ე ადგილი), მოლდოვა (84-ე ადგილი), ალბანეთი (93-ე ადგილი), სერბეთი (94-ე ადგილი).

საქართველოს პოზიციები გაუმჯობესებული აქვს ინდექსის 3 ფაქტორიდან ერთ ფაქტორში, 12 კომპონენტიდან 7 კომპონენტში, ხოლო 114 ქვეკომპონენტიდან – 58 ქვეკომპონენტში.

ეფექტიანობის მასტიმულირებელი ფაქტორები (Efficiency Enhancers) გაუმჯობესდა 2 პოზიციით და 77-ე ადგილზე გადმოინაცვლა. უმაღლესი განათლება, ტრენინგი – გაუმჯობესდა 5 პოზიციით და 87-ე ადგილზე გადმოინაცვლა; სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა – გაუმჯობესდა 12 პოზიციით და 48-ე ადგილზე გადმოინაცვლა; შრომითი

ბაზრის ეფექტიანობა – გაუმჯობესდა 9 პოზიციით და 32-ე ადგილზე გადმოინაცვლა; საფინანსო ბაზრის განვითარება – გაუმჯობესდა 8 პოზიციით და 68-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბაზრის მოცულობა – გაუმჯობესდა 4 პოზიციით და 99-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

განვითარების შეფასების მიხედვით, საქართველოს კვლავ ეფექტიანობით მამოძრავებელი (Efficiency Driven) ქვეყნის სტატუსი აქვს. გაუმჯობესებული კომპონენტებია: ინსტიტუტები – გაუმჯობესდა 8 პოზიციით და მე-40 ადგილზე გადმოინაცვლა; უმაღლესი განათლება და ტრენინგი – გაუმჯობესდა 5 პოზიციით და 87-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბაზრის ეფექტიანობა – გაუმჯობესდა 12 პოზიციით და 48-ე ადგილზე გადმოინაცვლა; შრომის ბაზრის ეფექტიანობა – გაუმჯობესდა 9 პოზიციით და 32-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ფინანსური ბაზრის განვითარება – გაუმჯობესდა 8 პოზიციით და 68-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბაზრის მოცულობა – გაუმჯობესდა 4 პოზიციით და 99-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბიზნესის განვითარება – გაუმჯობესდა 1 პოზიციით და 112-ე ადგილზე გადმოინაცვლა; გაუმჯობესებული ქვეკომპონენტებს შორისაა:

1. ინსტიტუტები: საკუთრების უფლება – გაუმჯობესდა 27 პოზიციით და 58-ე ადგილზე გადმოინაცვლა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა – გაუმჯობესდა 5 პოზიციით და 101-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ნდობა პოლიტიკოსების მიმართ – გაუმჯობესდა 2 პოზიციით და 77-ე ადგილზე გადმოინაცვლა; სასამართლოს დამოუკიდებლობა – გაუმჯობესდა 9 საფეხურით და 56-ე ადგილზე გადმოინაცვლა; სახელმწიფო რეგულაციების ტვირთი – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და მე-7 ადგილზე გადმოინაცვლა; დავების სამართლებრივი გზით მოგვარების ეფექტიანობა – გაუმჯობესდა 17 საფეხურით და 54-ე ადგილზე გადმოინაცვლა; კანონმდებლობის ეფექტიანობა რეგულაციებში გაუმჯობესდა 28 საფეხურით და 55-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბიზნესის დანახარჯები სამართალდარღვევებზე და ძალადობაზე – გაუმჯობესდა 11 საფეხურით და მე-18 ადგილზე გადმოინაცვლა; ბიზნესის დანახარჯები ტერორიზმზე – გაუმჯობესდა 21 საფეხურით და მე-14 ადგილზე გადმოინაცვლა; ორგანიზებული კრიმინალი – გაუმჯობესდა 10 საფეხურით და მე-17 ადგილზე გადმოინაცვლა; ფირმების ქცევის ეთიკა – გაუმჯობესდა 3 საფეხურით და 51-ე ადგილზე გადმოინაცვლა; აუდიტისა და ანგარიშის სტანდარტის სიძლიერე – გაუმჯობესდა 20 საფეხურით და 65-ე ადგილზე გადმოინაცვლა; კორპორატიული საბჭოს ეფექტიანობა – გაუმჯობესდა 17 საფეხურით და 84-ე ადგილზე გადმოინაცვლა; უმცირესობაში მყოფი აქციონერთა ინტერესების დაცვა – გაუმჯობესდა 22 საფეხურით და 88-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

2. ინფრასტრუქტურა: საჰაერო მიმოსვლისას ადგილები კვირაში – გაუმჯობესდა 6 საფეხურით და 99-ე ადგილზე გადმოინაცვლა; მობილურის მომხმარებელთა რაოდენობა – გაუმჯობესდა 14 საფეხურით და 51-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

3. მაკროეკონომიკური გარემო: ინფლაცია, წლიური %-ული ცვლილება – გაუმჯობესდა 25 საფეხურით და 53-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

4. ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება: ტუბერკულიოზის გავლენა ბიზნესზე – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და 66-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ტუბერკულიოზის შემთხვევები/100,000 მოსახლეზე – გაუმჯობესდა 3 საფეხურით და 95-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ახალშობილთა სიკვდილიანობა/1000 დაბადებულზე – გაუმჯობესდა 23 საფეხურით და 61-ე ადგილზე გადმოინაცვლა; დაწყებითი განათლების ხარისხი – გაუმჯობესდა 2 საფეხურით და 90-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

5. უმაღლესი განათლება და ტრენინგი: საშუალო განათლებაში ჩართულობა, გაუმჯობესდა 50 საფეხურით და 30-ე ადგილზე გადმოინაცვლა; პროფესიულ განათლებაში ჩართულობა – გაუმჯობესდა 10 საფეხურით და 74-ე ადგილზე გადმოინაცვლა; მათემატიკური და სამეცნიერო განათლების ხარისხი – გაუმჯობესდა 8 საფეხურით და 97-ე ადგილზე გადმოინაცვლა; მენეჯმენტის სკოლების ხარისხი – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და 97-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

6. ბაზრის ეფექტიანობა: ადგილობრივი კონკურენციის სიძლიერე – გაუმჯობესდა 14 საფეხურით და 91-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბაზარზე დომინირება – გაუმჯობესდა 15 საფეხურით და 88-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტი – გაუმჯობესდა 11 საფეხურით და 116-ე ადგილზე გადმოინაცვლა; მთლიანი საგადასახადო განაკვეთი, მოგების % – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და მე-9 ადგილზე გადმოინაც-

ვლა; დანახარჯები სოფლის მეურნეობაში – გაუმჯობესდა 27 საფეხურით და 72-ე ადგილზე გადმოინაცვლა; სავაჭრო ტარიფები – გაუმჯობესდა 28 საფეხურით და მე-4 ადგილზე გადმოინაცვლა; ბიზნესის გავლენა ინვესტიციებზე – გაუმჯობესდა 7 საფეხურით და 21-ე ადგილზე გადმოინაცვლა; იმპორტის წილი მშპ-ში – გაუმჯობესდა 5 საფეხურით და მე-40 ადგილზე გადმოინაცვლა; მომხმარებელთა მოთხოვნები – გაუმჯობესდა 7 საფეხურით და 114-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

7. შრომის ბაზრის ეფექტიანობა: ხელფასის განსაზღვრის მოქნილობა – გაუმჯობესდა 16 საფეხურით და მე-10 ადგილზე გადმოინაცვლა; დაქირავებისა და გათავისუფლების პრაქტიკა – გაუმჯობესდა 2 საფეხურით და მე-12 ადგილზე გადმოინაცვლა; თანამშრომლობა დამქირავებელ-დაქირავებულს შორის – გაუმჯობესდა 15 საფეხურით და 65-ე ადგილზე გადმოინაცვლა; გადასახადების გავლენა სამუშაო სტიმულზე – გაუმჯობესდა 5 საფეხურით და მე-15 ადგილზე გადმოინაცვლა; პროფესიულ მენეჯმენტი – გაუმჯობესდა 18 საფეხურით და მე-60 ადგილზე გადმოინაცვლა; ფინანსური ბაზრის განვითარება; ფინანსური მომსახურების არსებობა – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და 88-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ფინანსურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა – გაუმჯობესდა 2 საფეხურით და 73-ე ადგილზე გადმოინაცვლა; სესხზე ხელმისაწვდომობა – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და 109-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბანკების სიმყარე – გაუმჯობესდა 10 საფეხურით და 57-ე ადგილზე გადმოინაცვლა; საფონდო ბირჟის რეგულაცია – გაუმჯობესდა 11 საფეხურით და 110-ე ადგილზე გადმოინაცვლა (4).

8. ტექნოლოგიური მზაობა: ინტერნეტის მომხმარებელი – გაუმჯობესდა 8 საფეხურით და 72-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ინვესტიციები და ტექნოლოგიების ტრანსფერი – გაუმჯობესდა 4 საფეხურით და 109-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი 100 მოსახლეზე – გაუმჯობესდა 2 საფეხურით და მე-60 ადგილზე გადმოინაცვლა;

9. ბაზრის მოცულობა – გაუმჯობესდა 4 პოზიციით და 99-ე ადგილზე გადმოინაცვლა. შიდა ბაზრის მოცულობის ინდექსი – გაუმჯობესდა 3 საფეხურით და 98-ე ადგილზე გადმოინაცვლა; უცხოური ბაზრის ინდექსი – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და 107-ე ადგილზე გადმოინაცვლა; მშპ (PPP–აშშ მლრდ დოლარი) – გაუმჯობესდა 3 საფეხურით და 103-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

10. ბიზნესის განვითარება: ადგილობრივ მიმწოდებელთა ხარისხი – გაუმჯობესდა 3 საფეხური და 117-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ადგილობრივ მიმწოდებელთა რაოდენობა – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და 137-ე ადგილზე გადმოინაცვლა; შედარებითი უპირატესობა – გაუმჯობესდა 5 საფეხურით და 75-ე ადგილზე გადმოინაცვლა; საერთაშორისო დისტრიბუციაზე კონტროლი – გაუმჯობესდა 4 საფეხურით და 95-ე ადგილზე გადმოინაცვლა; წარმოების პროცესის დახვეწა – გაუმჯობესდა 4 საფეხურით და 110-ე ადგილზე გადმოინაცვლა; მარკეტინგის ხარისხი – გაუმჯობესდა 15 საფეხური და 89-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

11. ინოვაციები: მეცნიერებისა და ინჟინრების არსებობა – გაუმჯობესდა 9 საფეხურით და 113-ე ადგილზე გადმოინაცვლა. პატენტით სარგებლობის საკითხში თანამშრომლობა – გაუმჯობესდა 5 საფეხურით და მე-60 ადგილზე გადმოინაცვლა.

მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), რომელსაც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი განსაზღვრავს, ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს.

რეიტინგი ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ (სტატისტიკურ) მონაცემებსა (WB; UNESCO; World Health Organization, IMF და სხვა) და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელ პირთა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს, რომელიც ბიზნესექტორის მიერ კითხვარების შევსებას მოიცავს. ის განიხილავს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ახდენს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას პოლიტიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისათვის. 2015-2016 წლის კვლევა მოიცავს 140 ქვეყანას. GCI მოიცავს ქვეყნის განვითარების სამ ძირითად საფეხურს 1. ფაქტორ-მამოძრავებელი; 2. ეფექტიანობის მამოძრავებელი; 3. ინოვაციის მამოძრავებელი, რომელიც 12 კომპონენტს აერთიანებს: სამ ფაქტორთა ჯგუფში შემავალი 12 კომპონენტი, თავის მხრივ, 114 ქვეკომპონენტს მოიცავს

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://en.wikipedia.org/wiki/World_Economic_Forum
2. https://regnum.ru/news/dossier/2328.html
3. http://gtmarket.ru/news/2016/09/28/7304
4. http://sputnik-georgia.com/spravka/20160111/229740449.html

მაია თეთრუაშვილი

მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი და საქართველო

რეზიუმე

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (World Economic Forum) — საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია შეიქმნა 1971 წელს, როდესაც ჟენევაში სიმპოზიუმზე ევროპის 400 წამყვანი კომპანიის ხელმძღვანელი შეიკრიბა. 1971 წლიდან 1986 წლამდე ორგანიზაციას „მენეჯმენტის ევროპული ფორუმი“ (European Management Forum)ეწოდებოდა. ფორუმის პირველ შეხვედრებზე ძირითადი განსახილველი თემა კონკურენტულ ბრძოლაში დასავლეთ ევროპის პოზიციების გაუმჯობესება იყო. დროთა განმავლობაში თემატიკა თანდათან გაფართოვდა, დაემატა პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები, სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესის შედეგები, განვითარებადი ქვეყნების დავალიანების პრობლემები. 1970–იანი წლების შუა პერიოდში დავოსში მსოფლიოს გავლენიანი პირების მიწვევა დაიწყეს (მთავრობების წევრებისა და ბიზნესის ლიდერებისა) და უკვე მომდევნო ათწლეულში ფორუმმა წლის ერთ–ერთი უმთავრესი მოვლენის სტატუსი შეიძინა.

Maia Tetruashvili

The World Economic Forum and Georgia

Summary

The World Economic Forum (WEF) is a Swiss nonprofit organization, formed in 1971, Geneva. It is recognized by the Swiss authorities[1] as the international institution for public-private cooperation, its mission is cited as "committed to improving the state of the world by engaging business, political, academic, and other leaders of society to shape global, regional, and industry agendas".

The Forum is best known for its annual meeting at the end of January in Davos, a mountain resort in Graubünden, in the eastern Alps region of Switzerland. The meeting brings together some 2,500 top business leaders, international political leaders, selected intellectuals, and journalists for up to four days to discuss the most pressing issues facing the world. Often this location alone is used to identify meetings, participation, and participants with such phrases as, "a Davos panel" and "a Davos Man" .

The organization also convenes some six to eight regional meetings each year in locations such as Latin America and East Asia, as well as undertaking two further annual meetings in China and the United Arab Emirates. Beside meetings, the foundation produces a series of research reports and engages its members in sector specific initiatives.

Майя Тетруашвили

Всемирный экономический форум и Грузия

Резюме

Идея о создании всемирного экономического форума (World Economic Forum – неформальная международная организация) зародилась в 1971 году в Женеве на Европейском симпозиуме, где присутствовали руководители 400 передовых компаний. С 1971 года до 1986 - го организация называлась “Форум Европейского менеджмента”. На первых собраниях форума рассматривали тему улучшения позиций западной Европы в конкурентных условиях. Со временем тематика расширилась. К экономическим добавились вопросы политические и научно-технические, а также касающиеся проблем задолженности развивающихся стран. В середине 70 годов в Давос начали приглашать влиятельных лиц мира (членов правительств и крупных бизнесменов) и уже в следующем десятилетии форум имел статус одного из самых главных событий года.

გიორგი ცაავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ლია ოტიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

საბანკო საქმის მდგრადობის, სტაბილურობისა და საიმედოობის თეორიული საფუძვლები

ეკონომიკური ლიტერატურის ანალიზმა დაგვანახა, რომ საბანკო სისტემის მდგომარეობის აღწერისას ყველაზე ხშირად გამოიყენება ზედსართავების „მდგრადი“, „სტაბილური“, „საიმედო“ შესაბამისი სიტყვებისაგან წარმოქმნილი განყენებული სახელწოდებები. ამასთან შეხედულებების ერთიანობა არ არის, საბანკო საქმისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კვლევებსა და ლიტერატურაში აღნიშნული ცნებების განსჯაში ტერმინოლოგიური გაურკვევლობა შეიმჩნევა.

საბანკო საქმეში მოცემული ცნებების განსჯის დამახასიათებელი ნიშანთვისებებია: უპირველეს ყოვლისა, ბანკის საიმედოობის, სტაბილურობისა და მდგრადობის მიმართებაში ერთიანი თვალსაზრისების არ არსებობა; მეორე მხრივ, მოცემული ტერმინების განსაზღვრება ტრანსფორმირდება ავტორების თვალსაზრისებთან დამოკიდებულებაში; მესამე, ცნებების დაქვემდებარებულობის განსჯის კონტექსტში ერთიანობა არ არის; მეოთხე, ინგლისურენოვან პუბლიკაციებში გამოიყენება ტერმინი „Stability“, რომელიც კონტექსტიდან დამოკიდებულებაში შეიძლება როგორც „სტაბილური“, ასევე როგორც „მდგრადის“ სახით იქნეს გადათარგმნილი.

მოცემული ცნებების აპარატის დამახასიათებელი ნიშანთვისებები

ცხრილი 1

კატეგორია:	ტერმინი:	განსაზღვრა:
ლექსიკური:	მდგრადობა	მყარად დგომის თვისების მქონე, დაცემის გარეშე, მერყეობის გარეშე; ასეთი მდგომარეობის შენარჩუნების შემძლე, მიუხედავად სხვადასხვა ძალების ზემოქმედებისა; რაიმე სახის ზემოქმედებზე დაუმორჩილებელი, მყარი, მდგრადი, საიმედო.
	სტაბილურობა	მდგრადი, მუდმივი, უცვლადი.
	საიმედოობა	ნდობის მომცემი, ისეთი რომელზედაც შეიძლება დაყრდნობა; მტკიცე, მაგარი (საგნების შესახებ); მიზნის მიღწევის უზრუნველმყოფელი, საიმედო; იმედის მქონე, დარწმუნებული ვიღაცის მიმართ, რაღაცის მიმართ.
ფილოსოფიური:	სტაბილურობა	თავისებურებების მკაცრი ნაკრები, სადაც მცირეოდენი რყევებიც კი განიხილება როგორც დაბრკოლებები, როგორც არასტაბილურობაში გადახრა.
მათემატიკური:	მდგრადობა	აღუშფოთველი მოძრაობა მდგრადია, თუ, დროის საწყის მომენტში აღშფოთებულობა შემდგომში მთლიანად თავისი საწყისი მდგომარეობის უშუალო სიახლოვეს მიმდინარეობს და აღნიშნულ სამეზობლო სფეროს არ ტოვებს.
	საიმედოობა	ობიექტის თავისებურება საჭირო ფუნქციების შესრულების შესაძლებლობის მახასიათებელი ყველა პარამეტრების მნიშვნელობების დასახულ ჩარჩოებში დროში შენარჩუნებასთან დაკავშირებით.
ეკონომიკური:	მდგრადობა	ეკონომიკური სისტემის შესაძლებლობა, რომელმაც მისი დასაშვები მნიშვნელობის ჩარჩოებს გარეთ არასასურველი გადახრები განიცადა, შიდა და საგარეო რესურსების ხარჯზე წონასწორობის მდგომარეობაში დაბრუნებასთან დაკავშირებით.
	სტაბილურობა	ბაზრის ეკონომიკური სისტემის მდგომარეობა, რომელიც ორი სხვადასხვა მიმართულების ფაქტორების დაბალანსებულობის, გაწონასწორებულობის არსებობით ხასიათდება.

აღნიშნულთან დაკავშირებით საბანკო საქმის მოცემულ კატეგორიებში გარკვეული დაზუსტებების შეტანა მიგვაჩნია მიზანშეწონილად.

თანამედროვე მკვლევარები საბანკო საქმის საკითხებთან მიმართებაში ტერმინებს „სტაბილურობა“, „მდგრადობა“, „საიმედოობა“-ს იყენებენ ეკონომიკის საბანკო სექტორის ჩამოყალიბების პრინციპების დამუშავების ამოცანების გადაწყვეტისას შემდეგი სახის შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით: საბანკო სექტორის მიერ მოცემული ფორ-მაციისათვის დამახასიათებელი ფუნქციების განხორციელებისადმი მიმართებაში; ნეგატი-ური შიდა და საგარეო ზემოქმედებისადმი წინააღმდეგობის გაწევასთან მიმართებაში; საგარეო გარემოცვის მხრიდან საბანკო სექტორისადმი ნდობის გამოწვევასთან მიმართე-ბაში.

სანამ საბანკო სისტემის მდგრადობის შეფასებისა და რეგულირების მეთოდების შესახებ გვექნება საუბარი, საბანკო ბიზნესის არამდგრადი მდგომარეობის ალბათობით განმაპირობებელი მიზეზების ანალიზის ჩატარება არის საჭირო. აღნიშნულთან დაკავშირებით ცნებების „ბანკი“ და „საბანკო სისტემის“ არსთან მიმართებაში ჩამოყალიბება არის მნიშვნელოვანი. პროფესორ ა.პ. მერკიტანოვის მიერ ჩატარებულმა ანალიზმა (3) გვიჩვენა, რომ აღნიშნულ საკითხშიც თვალსაზრისების ერთიანობა არ არსებობს, რის შესახებაც თვალნათლივ მოწმობს მე-2 ცხრილის მონაცემები.

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული კონცეფციები არა იმდენად წინააღმდეგობრივია, რამდენადც ავსებენ ერთმანეთს და ცნება „ბანკის“ სირთულეს ამყღავნებენ და მისი საქმიანობის მრავალმიზნობრივ ხასიათს ადასტურებენ. საბანკო ბიზნესი მოიცავს: დეპოზიტურ, საკრედიტო, საანგარიშსწორებო, საკონვერსიო, საფონდო, საგარანტიოოვალურ ოპერაციებს. ამასთან, მიუხედავად მრავალფეროვანი ნაირსახეობისა, საბანკო ბიზნესი გარკვეული ხარისხით ერთგვაროვანი მოვლენაა. თითოეულ ცალკეულ ბანკს შეუძლია ოპერაციების სპეციალიზირება გარკვეულ ნაკრებზე განახორციელოს, მაგრამ საბანკო სისტემა მთლიანობაში საქმიანობის მიმართულებების მთლიანი სპექტრის რეალიზებას ახორციელებს. შესაბამისად ბანკისა და საბანკო სისტემის ფუნქციები შეიძლება კომპლექსურად იქნეს განხილული და დაყვანილი შემდეგზე: აკუმულირება მოსახლეობის, საწარმოებისა და ორგანიზაციების ფულადი სახსრებისა და მათი გადანაწილება კრედიტებსა და ინვესტიციებში; რეგულირება ეკონომიკაში ფულის მოთხოვნისა და მიწოდების; ჰარმონიზაცია ეკონომიკაში გადახდების.

ცნება „ბანკის“ განსჯა

ცხრილი 2

მიდგომა:	ცნებების განსჯა:	განსაზღვრა:
სამართლებრივი:	სამართლებრივი უფლებამოსილება	საკრედიტო ორგანიზაცია, რომელსაც საბანკო ოპერაციების განხორციელების განსაკუთრებული უფლება გააჩნია.
ფუნქციონალური:	ფინანსური შუამავალი	საშუამავლო ორგანიზაცია, რომელიც თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირებასა და მოთხოვნის გათვალისწინებით მათი საზოგადოებრივი წარმოების სხვა მონაწილეებზე მიწოდებას ახორციელებს (3). ბანკი არის ფულადი მიმოქცევის სფეროს ძირითადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც კრედიტორებიდან მსესხებლებისაკენ და გამსაღებლებისაგან მყიდველებისაკენ ფულადი სახსრების გადაადგილებაში შუამავლის როლს ასრულებს (1).
	მომსახურეობების მწარმოებელი	ბანკი - არის პროფესიული საკრედიტო დაწესებულებების მიერ მიწოდებადი ფინანსური მომსახურეობის განმახორციელებელი ფირმა (1).
	ეკონომიკური მარეგულირებელი	საწარმო ან ფულად-საკრედიტო ინსტიტუტი, რომელიც საგადახდო ბრუნვის ნაღდი და უნაღდო ფორმებში რეგულირებას ახორციელებს (2).

მითითებული ფუნქციები მნიშვნელოვანი ხარისხით საერთო ეკონომიკური ხასიათის საკითხებთან უშუალოდ არიან დაკავშირებულები და სწორედ აღნიშნულ კონტექსტში ეკონომიკის საბანკო სექტორის ინსტიტუციონალურ და ფუნქციონალურ მთლიანობასთან და ადეკვატურობასთან დაკავშირებული პრობლემები წინა პლანზეა წამოწეული. საერთო ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით კანონზომიერია საუბარი ეკონომიკური სექტორის დანარჩენი მონაწილეების მხრიდან მოთხოვნილებებისადმი საბანკო სექტორის მხრიდან შესაბამისობის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ, მათ შორის თვით საბანკო სექტორის განვითარების პროცესების დროის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შესაძლო მოლოდინისა და უცვლელობის გამართლების თვალსაზრისითაც, თუნდაც თვით საბანკო სექტორის განვითარების პროცესების საზიანოდაც. ანუ ეკონომიკის საერთო განვითარების უზრუნველყოფის მიზნით საბანკო სექტორის სტაბილური მდგომარეობის უზრუნველყოფა არის აუცილებელი. აღნიშნულთან დაკავშირებით არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პროფესორ გ.გ. ფეტისოვის მოსაზრებას, რომელიც ამტკიცებს: „საბანკო სისტემისა და მისი ცალკეული ელემენტების სტაბილიზაცია ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად წარმოგვიდგება“ (5).

თვით საბანკო სისტემისა და მის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაშიც დაკისრებული ფუნქციების შესრულების შესაძლებლობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ცვალებად შიდა და საგარეო ფაქტორებზე ადეკვატურად რეაგირება. მოცემულ შემთხვევაში საუბარი შეიძლება მიდიოდეს არა მარტო და არა იმდენად საბანკო თანამეგობრობის სტრუქტურული და ფუნქციონალური სტაბილურობის შესახებ, არამედ მაკრო და მიკროეკონომიკური შიდა პროცესებზე ზემოქმედებისა და ამ ფაქტორების ცვლილებებისადმი მგრძნობელობის შესახებაც. აღნიშნულიდან ჩანს, რომ ამ თვალსაზრისით ყველაზე აქტუალურს საბანკო თანამეგობრობისა და ცალკეული ბანკების მხრიდან მკვეთრი ცვლილებებისადმი, რომლებიც ხასიათდებიან როგორც კრიზისი, მდგრადობით დაპირისპირების შესაძლებლობის ანალიზი წარმოადგენს.

ამრიგად, ცნება „სტაბილურობა“ გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მოვლენების ანალიზისას, რომლებიც საბანკო სისტემის მიერ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სტრუქტურული და ფუნქციონალური მთლიანობის შენარჩუნების შესაძლებლობასთან იქნება დაკავშირებული. ამასთან ანალიზის საფუძველში სისტემის წონასწორობისა და მისი ელემენტების ფუნქციონალურობის (საიმედობის) მდგომარეობაზე ზემოქმედი ფაქტორების შესწავლა ჩაიდება. ასეთი მსჯელობისას საიმედობის ეკონომიკური თეორიისა და კიბერნეტიკული თეორიის გამოყენება კანონზომიერი ხდება.

ტერმინი „მდგრადობა“ მეტი ხარისხით საბანკო სისტემის კრიზისულ მოვლენებზე რეაქციის შესწავლისას არის გამოყენებადი. ამ შემთხვევაში მეთოდოლოგიური საფუძვლის სახით შეიძლება მდგრადობის მათემატიკური თეორიისა და რისკების თეორიის მეთოდები იქნეს განხილული.

ცნება „საიმედოობა“ დამოუკიდებელ განხილვაში (უფრო ფუნდამენტური ცნებების ჩარჩოების გარეთ, ისეთების რიგორიცაა სტაბილურობა და მდგრადობა) შეიძლება შესაბამისი მეთოდოლოგიური აპარატის გამოყენების მეშვეობით საბანკო სისტემის ცალკეული ელემენტების შედარებითი მახასიათებლების ანალიზისას იქნეს გამოყენებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცაავა გ., ხანთაძე გ., საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო, თბ., 2014.
2. Банковское дело: Учебник / Под ред. О.И. Лаврушина. – М., 1999.
3. Меркитанов А.П. Теоретические основы устойчивости, стабильности и надежности банковского дела. Оренбург, Вестник ОГУ, №1 / январь 2007.
4. Роуз Питер С., Банковский менеджмент, М.,1997.
5. Фетисов Г.Г. Некоторые вопросы формирования устойчивой банковской системы Журнал „Банковское дело в Москве”, №8 (92), 2002.

გიორგი ცაავა, ლია ოტიაშვილი

საბანკო საქმის მდგრადობის, სტაბილურობისა და საიმედოობის თეორიული საფუძვლები

რეზიუმე

ბანკისა და საბანკო სისტემის ფუნქციები კომპლექსურად უნდა იქნეს განხილული. ისინი თანამედროვე პირობებში ასრულებენ შემდეგ ოთხ ძირითად ფუნქციას: ფულადი სახსრების აკუმულირებისა და განაწილების; ეკონომიკაში ფულის მოთხოვნისა და მიწოდების რეგულირებას; ეკონომიკაში გადახდების ჰარმონიზაციას.

განსაზღვრულია ცნებების „სტაბილურობა“, „მდგრადობა“, „საიმედოობა“ – გამოყენების სფეროები და წესი. ცნება „სტაბილურობა“ გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მოვლენების ანალიზისას, რომლებიც საბანკო სისტემის მიერ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სტრუქტურული და ფუნქციონალური მთლიანობის შენარჩუნებასთან იქნება დაკავშირებული; ცნება „მდგრადობა“ მეტი ხარისხით საბანკო სისტემის მიერ კრიზისულ მოვლენებზე რეაქციის შესწავლისას უნდა იქნეს გამოყენებული, ხოლო ცნება „საიმედოობა“ გამოყენებულ უნდა იქნეს საბანკო სისტემის ცალკეული ელემენტების შედარებითი მახასიათებლების ანალიზისას.

Giorgi Tsaava, Lia Otiashvili

Theoretical Foundations of Stability, Sustainability, Reliability of Banking

Summary

The proposal that the functions of the bank and the banking system should be considered as a whole and in modern conditions they perform the following four basic functions: accumulation and redistribution of funds; regulating demand and supply of money in the economy; harmonization of payments in the economy.

We define the scope and procedure for applying the concepts of "stability", "sustainability", "reliability" and that: the concept of "stability" should be used in the analysis of phenomena associated with the ability of the banking system to maintain long-term structural and functional integrity; the concept of "sustainability" is more applicable in the study of the reaction of the banking system in the crisis; the concept of "reliability" should be used in the analysis of the comparative performance of individual elements of the banking system.

Гиорги Цаава, Лия Отиашвили

Теоретические основы устойчивости, стабильности и надежности банковского дела

Резюме

В статье предложенно, что функции банка и банковской системы должны рассматриваться в комплексе и они в современных условиях выполняют следующие основные четире функции: аккумулирование и перераспределение денежных средств; регулирование спроса и предложения денег в экономике; гармонизация платежей в экономике.

Определены сферы и порядок применения понятий «стабильность», «устойчивость», «надежность» и что: понятие «стабильность» следует использовать при анализе явлений, связанных со способностью банковской системы сохранять в течение длительного времени структурную и функциональную целостность; понятие «устойчивость» в большей степени применимо при изучении реакции банковской системы на кризисные явления; понятие «надежность» следует использовать при анализе сравнительных характеристик отдельных элементов банковской системы.

შოთა ვეშაპიძე
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული
თავდაცვის აკადემიის პროფესორი

ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ეკონომიკური კვლევის მეთოდების გამოყენების შესახებ

ილია ჭავჭავაძე (1837-1907) ცხოვრების მოვლენებისა და პროცესების შესწავლისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ადეკვატური კვლევის მეთოდების გამოყენებას. ასეთი მიდგომა ჭეშმარიტი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა.

მნიშვნელოვანი მეცნიერული მეთოდი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე კვლევა-ძიებისა და ნაკვლევ-ნაძიების დალაგება-გადმოცემისას იყენებს, არის „შედარებითი მეთოდი". იგი აღნიშნავს, რომ ამ მეთოდის „ახსნას ჯონ სტიუარტ მილლმა რამდენიმე დაბეჭდილი თაბახი მოანდომა თავის სახელოვან თხზულებაში, რომელსაც „სისტემა ლოღიკისა" ჰქვიან (1, 151). ილიას აზრით შედარებითი მეთოდი უნივერსალური ხასიათისაა და მას ყველა მეცნიერება იყენებს. იგი კერძოდ წერს: „ამ მეთოდმა, სიფრთხილითა და ცოდნით ხმარებულმა, ისეთი უტყუარობა, ისეთი ზედმიწევნილობა აღმოიჩინა, ისეთი სახელი დაიგდო, რომ არ არის მეცნიერება, რომელიც, საცა საჭიროა, ამ მეთოდს არა ჰხმარობდეს. ამ მეთოდით ბევრს წყვდიადსა და ბნელს ნათელი მოეფინა, ბევრი დაფარული გამომზევდა" (1, 155-156). ილია ჭავჭავაძე მოკლედ განმარტავს კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის, ედუარდ ფრიმანის აზრს ამ მეთოდის შესახებ. კერძოდ იგი აღნიშნავს, რომ ფრიმანის სიტყვით, „ამ მეთოდმა იმისთანა გზა გაგვიჭრა, რომლის შემწეობითაც დღეს შესაძლოა მთლად და უეჭვოდ დავრწმუნდეთ იქ, საცა უწინ მარტო ამოცანებით და ეჭვით ლაპარაკი იყო. ამ მეთოდმა მოგვცაო, ამბობს იგი, ღონე და სახსარი შინაგანის საბუთებით დავამტკიცოთ უფრო ცხადად და უტყუარად ის, რასაც გარეგანი საბუთები არა აქვსო " (1, 156).

შემდეგ ილია ჭავჭავაძე აგრძელებს: „თითონ სიტყვა „შედარება", ცოტად თუ ბევრად გვამცნევს, - რა უნდა ვიგულისხმოთ, როცა ვამბობთ „შედარებითი მეთოდი". შედარება იმ მოქმედებას გონებისას ჰქვიან, როცა ორს ანუ რამდენსამე საგანს ერთმანეთს წაუყენებს, დაუპირისპირებს, რომ აღმოჩნდეს, რაში აქვთ მსგავსება, ერთნაირობა, და რაში სხვაობა და სხვანაირობა. შედარების საგნად შესაძლოა რამდენიმე სხვადასხვანაირი შემთხვევაც იყოს ერთისა და იმავე მოვლენისა, ხოლო იმისთანა შემთხვევანი კი, რომელშიაც გამოსაძიებელი მოვლენა თავს იჩენს ასე თუ ისე" (1, 157).

ილია ჭავჭავაძეს მიაჩნია, რომ სიტყვა „შედარება" ამ მეთოდის სრულ შინაარსს ვერ ასახავს და წერს: „სწორედ, რომ ვსთქვათ, სიტყვა „შედარება" სრულიად არ უხდება, სრულიად არ შეეფერება იმგვარს კვლევას საგნისას, რომელსაც ამ სიტყვით ჰხატავს მეცნიერება ყველა ენებში. ესგვარი კვლევა-შედარება კი არ არის, სწორედ ის არის, რომ კაცი კვალში ჩაუდგეს რომელსამე საგანს, ანუ მოვლენას, რომ ან სათავიდამ ბოლომდე ჩამოჰყვეს, თუ სათავე ვიცით და ბოლო არა, და ან ბოლოდამ სათავემდე აჰყვეს, თუ ბოლო ვიცით და სათავე არა, და ამისათვის კიბედ გაიხადოს ყოველივე შემთხვევა, ყოველივე დრო, ყოველივე ადგილი, სადაც კი ან საგანს, ან მოვლენას თავი გამოუჩენია" (1, 157).

აზრი საბუთიანი უნდა იყოსო, აღნიშნავდა ილია. ამისათვის კი „ყველაფერი დროთა-ვითარებას, ცხოვრების მოთხოვნილებას" უნდა შევუფეროთო, რადგანაც ყველაფერი დამოკიდებულია პირობებზე, ადგილსა და დროზე. ილიას ღრმად სწამდა, რომ დასაბუთებულ აზრს ყოველთვის წინ მივყავართ და წერდა: „ხანგრძლივობა და გამარჯვება, თუ დღეს არა, ხვალე მაინც საბუთიანს აზრს დარჩება, ესეა ქვეყნის წარმატების კანონი. ეს იმედი ამხნევებს ყოველს მას, ვისაც კი ჰსწამს პროგრესი ადამიანისა" (2, 549-550).

ილია გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ თავისი აზრი ადვილად გადაეცა სხვისთვის და მისი სიტყვა ადვილად გსაგები ყოფილიყო. „ხიზნების საქმის" დასაწყისში იგი აღნიშნავს: „ბოდიშს ვიხდით ჩვენ მკითხველებთან, რომ სიტყვა ჩვენი მძიმეა და ადვილად გასაგები არ არის: იმ საგნისათვის, რომლის გამოც ჩვენ მოგვიხდა ამჟამად ლაპრაკი, ტერმინები და თვით წყობა სიტყვიერებისა ჯერ არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს ენაში შემოტანილი და გაშინაურებული. სიმძიმე სიტყვისა იქნება ჩვენ

მიერ ენის უცოდინარობის მიზეზითაც იყოს; არც ამაზედ ავუხირდებით ვისმე, მხოლოდ ჩვენ გვსურს დავარწმუნოთ მკითხველნი, რომ ჩვენ ჩვენის მხრით ყოველი ღონე ვიხმარეთ, ჩვენი აზრი ადვილად გადაგვეცა სხვისთვის, სწორედ მოგახსენოთ, ზოგან თვით აზრს მისი მნიშვნელობა მოვაკელით, რომ სიტყვა ადვილად გასაგები ყოფილიყო" (3, 140-141).

„გაბერილი ფრაზების", „გაუგებარი ფრაზების", „მაღალფარდოვანი სიტყვების" ხმარება ილია ჭავჭავაძეს უმეცრებად და მიზანშეუწონლად მიაჩნდა და წერდა" „არ არის ქვეყანაზე საგანი, რომ უჭკუო უმეცარმა არ დაიჩემოს მისი ზედმიწევნით ცოდნა და თავისს უგემურ და უთავბოლო საღეჭავად არ გახადოს მსმენელთა სააბეზაროდ. რაც ენაზე მოადგება, ჰროშავს გამარჯვებულსავით დოინჯშემოყრილი და თავმოწონებული, მაღალფარდებიან სიტყვებს ჰხმარბს უანგარიშოდ, განუკითხველად, მოგაყრით ტყუილუბრალოდ გაბერილ ფრაზებს, რომელიც არც თითონ ესმის და არც მსმენელს გაეგება და ჰყოყოჩობს, აი რაები მცოდნია და რა ბრძენი კაცი ვარო! ბალღებს, რასაკვირველია, გაბერილი, გაუგებარი ფრაზები სავსე ჰგონიათ, როგორც გაბერილი ტიკი, და უკვირთ როგორც ერთი რამ უტყუარი ნიშანი აუარებლის სიბრძნისა და მეცნიერებისა, ჭკუადამჯდარს კაცს კი ეს სამასხარო ოინები სასაცილოდაც არა ჰყოფნის"(4, 242).

ეს პრობლემა დღესაც იგივე ცხოველმყოფელობით დგას ჩვენს რეალურ სინამდვილეში, როგორც მაშინ, თითქმის საუკუნენახევრის წინათ. ჩვენი დაკვირვება და ემპირიული კვლევა, საზოგადოების განწყობა ყოველდღიურ ცხოვრებაში ნათლად წარმოაჩენს, რომ ხშირად ჩვენი ექსპერტები და საჯარო მოხელეები ერთმანეთისა და ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის გაუგებარ ენაზე საუბრობენ. ეს პრობლემა არც სხვა ქვეყნებისათვის არის უცხო, იგი ყველა ქვეყანას აწუხებს. მისი ფაქტები უამრავია. მაგალითად, „გფრ-ის პრეზიდენტი რომან ჰერცოგი ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ სხვადასხვა ექსპერტის მოხსენებების მოსმენა მას ძალიან სტანჯავს. კიოლნის გაზეთ „ექსპრესის" ინფორმაციით, გერმანიის პრესიდენტს მიაჩნია, რომ მათი ტექსტი ძირითადად შედგება სამეცნიერო ტერმინებისაგან, რაც არ იძლევა ნორმალური ადამიანის მიერ მისი ადექვატურად აღქმის საშუალებას. გაზეთის ცნობით, რომან ჰერცოგმა მოუწოდა ჩინოსნებს, არ დაივიწყონ ის, რომ გერმანელები არიან და ურთიერთობა იქონიონ ნორმალურ, ადამიანურ ენაზე, რომლის გაგებაც შესაძლებელია არა მარტო სახელმწიფოს მაღალი ჩინოვნიკების, არამედ რიგითი ადამიანებისთვისაც" (8, 3).

აზრის საბუთიანობის საკითხებზე ილია ჭავჭავაძეს ფუძემდებლური მეთოდური მითითებები აქვს ჩამოყალიბებული. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი ნაშრომი „პოლემიკური წერილები „ცხოვრება და კანონის გამო". ილია ფრიად ორიგინალურ მოსაზრებებს აყალიბებს, შეიძლება თუ არა აზრის საბუთიანობა დაემყაროს ცნობილ მეცნიერთა შეხედულებების დამოწმებას? ვის შეიძლება ეწოდოს ავტორიტეტი? როგორ უნდა მივუდგეთ მათი სიბრძნის გამოყენებას?

ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ყველაფერს კრიტიკის თვალით უნდა შევხედოთ, არ შეიძლება სხვების ბრმად აყოლა. საჭიროა თვითონ ვიკვლიოთ, შევამოწმოთ და თუ ავტორიტეტის აზრი გამართლდა, მაშინ დავიჯეროთ და ჩვენს რწმენად გარდავქმნათ.

როგორც ილია აღნიშნავს, ავტორიტეტობა „იმ გავლენიან სახელოვანებასა ჰქვიან, რომელსაც ადამიანი მოიპოვებს ხოლმე დიდის სიბრძნით, დიდის გამოცდილებით, დიდის მეცნიერობით. ავტორიტეტი მეცნიერებაში იგი კაცია, რომელსაც მის მიერ შეთვისებულს მეცნიერებაში გაუთქვამს სახელი და მოუპოვებია ნდობა იმოდენად შეურყევლად და უცილობლად, რომ ერთიც და მეორეც საკმაო თავმდებია მისის აზრის შეუცდომელობისა" (6, 108).

უნდა გვჯეროდეს თუ არა ყველაფერი ავტორიტეტების? ეს მეტად საინტერესო კითხვაა, რომელზეც ილია ჭავჭავაძე, ამის მოწინააღმდეგე ბ-ნ ხუდადოვს, ასე მიმართავს: „ნეტა რომელი კაცი იტყვის ქვეყანაზედ, რომ ნურას დაუჯერებთო ამ ჭკუით, ცოდნით, სიბრძნით, მეცნიერებით გამოჩენილს და მთელის ქვეყნისაგან ამ სახით ცნობილს კაცებს, და თუ დაუჯერებთ, უგუნურობა იქნებაო. მაშ ყველაფერი დავიჯეროთ ამათიო? – იკითხავთ თქვენ. დიახ, სწორედ ყველაფერი, ვიდრე წინააღმდეგის უეჭველი საბუთი ხელთ არა გაქვთ" (6, 109).

ილია ჭავჭავაძე იწონებს იმას, რომ რა ავტორიტეტიც უნდა იყოს ადამიანი, საჭიროა მისი მოძღვრება კრიტიკის ქარცეცხლში გამოვატაროთ. ამით მათი

ავტორიტეტობა კი არ დადნება და შეიმუსრება, არამედ უფრო შემოწმდება, გამართლდება და მით უფრო თაყვანისცემა მოემატება. ეს იმიტომ, რომ როგორც ილია წერს: „სწორედ კრიტიკით შემოწმებულთა და გამართლებულთა მეცნიერთა მოიპოვეს იგი სახელი და თაყვანისცემა“ (6, 110). ამიტომ ილია ჭავჭავაძეს სწამდა, რომ ავტორიტეტების ნააზრევს, მათ მიერ საქმის ცოდნის გამოყენებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს და მის გარეშე საქმე ისე სწრაფად ვერ წავა წინ, როგორც მათი გამოყენებით.

ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ავტორიტეტებს ძალიან ფაქიზად უნდა მოვეპყროთ, მათ გვერდს ვერ ავუვლით. ილია აღნიშნავდა: „თუმცა ბრმად მინდობა და აყოლა სხვისა ძალინ ცუდია, მაგრამ არც კი ბრმად დაუინებაა კარგი იმისი, რომ დიდსახელოვანის, სახელგანთქმულის მეცნიერის პატივი და თაყვანისცემა უგუნურობა იყოს. არა, ბატონო, სწორედ ამისთანა კაცს უნდა პატივი და თაყვანისცემა, თუნდა იმით, რომ იმისი სიტყვა, თუნდ შეუმოწმებლადაც კი, სხვისაზედ წინ დააყენო, თუ გამტყუნებული არ არის უეჭველის საბუთითა“ (6, 111).

აკრიტიკებდა რა ბ-ნ ხუდადოვს, ილია თვლიდა, რომ არც ავტორიტეტების ბრმად აყოლაა კარგი და არც მათი ბრმად უარყოფა. ეს ორი უკიდურესობაა. მთავარი ის არის, რომ ჩვენს აზრებს დიდ მეცნიერთა დასკვნებით ვამოწმებდეთ. ამით ჩვენი კვლევა უფრო სანდო და დასაჯერებელი გახდება. ასეთია ნამდვილი ჭეშმარიტება. ილია ჭავჭავაძე ასე მიმართავდა ბ-ნ ხუდადოვს: „დღეს ბალღმაც კი იცის, რომ თქვენი აზრი, დიდის რომელისამე მეცნიერის სიტყვით შემოწმებული, უფრო სანდოა, უფრო დასაჯერი, და ამ მოწმობას ქვეყანაზედ არავინა ჰთაკილობს“ (6, 111-112).

ილია ჭავჭავაძეს ავტორიტეტების აზრის მოხმობა საჭიროდ იმიტომ მიაჩნდა, რომ მათ აზრს დასაბუთებულად მიიჩნევდა, რადგან იგი თვალით ნახულს ეყრდნობოდა. „ხიზნების საქმეში“ სწორედ ამ კრიტერიუმით მიმართავს იგი ბევრ გამოჩენილ მეცნიერს, რომლებსაც ხიზნობის შესახებ თავისი აზრი გამოუთქვამთ და რომლებიც ამის გამო „ცნობილნი არიან ვითარცა ზედმიწევნით მცოდნენი ამგვარის საქმეებისა“. ილია წერს: „ამათი აზრი მით უფრო საყურადღებოა, რომ ხილულს საბუთზეა დამყარებული. იტალიის ლიველლო, რომელსაც სტუარტ მილლი „ონახევრობას“ ეძახის, რადგანაც აქ უფრო ბევრგან ხიზნები ნახევარს მოსავალს ღალად აძლევენ მამულის პატრონებს, - პორტუგალიის აფორამენტო, ჰოლანდიის ბეკლემრეხტი, - ყოველივე ეს ჩვენებურის ხიზნობის მაგვარი მფლობელობა მიწისა ადგილობრივვე განხილულია და გაჩხრეკილი მეცნიერთაგან, და ამის გამო მათი აზრი თვალით ნახულს საბუთიდამ არის წარმომდინარი“ (3, 160).

ილიასეული კვლევის მეთოდი მოითხოვს ამა თუ იმ მოვლენის, საქმის შინაგანი ავ-კარგიანობის გამოკვლევას, „რომ საზრისს თავისი ჭეშმარიტი და უეჭველი საბუთი ჰქონდეს“. ამას კი მაშინ მივაღწევთ თუ გვექნება საქმის ვრცელი, გამოწვლილვითი „გამონაძიები და გამონარკვევი“. საქმისადმი ამ მეთოდით მიდგომის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს 1897 წელს ილიას მიერ დაწერილი ნაწარმოები „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“. ეს გამოკვლევა იმით იწყება, რომ ილია პირდაპირ საქმეზე გადადის, დასაწყისშივე ახასიათებს შესასწავლ მოვლენას, ამიერკავკასიაში იმჟამად გავრცელებულ და გახშირებულ ავაზაკობას, ძარცვას, ქურდობას და კაცის კვლას, ლაკონურად გამოჰყოფს მის საფეხურებს და ლაპიდარულად გადმოგცემს მის ყველა ძირითად დამახასიათებელ ნიშანს.

ამით ნათლად ჩანს, კვლევის პირველი ანუ საწყისი საფეხურის შინაარსი, კერძოდ ის, თუ რას ვიკვლევთ, რა მოვლენასთან, ანუ რა საქმესთან გვაქვს საქმე. როგორც ჩანს, საქმე გვაქვს განსაკუთრებით გახშირებულ ავაზაკობასთან. საბოლოო მიზანიც ნათელია: უნდა გავიგოთ მისი გამომწვევი ეკონომიკური მიზეზები და დავსახოთ მისი წამლობის გზები. როგორ გამოვარკვევთ ამ მიზეზებს? ესეც კვლევის ილიასეული მეთოდის მთავარი შემადგენელი ნაწილია. ამას მაშინ მივაღწევთ თუ გვექნება ცნობები იმის შესახებ, „...თუ სად და როგორ მოწყობილნი არიან მკვიდრნი საშინაოდ და საგარეოდ, რა აიძულებთ საავაზაკოდ და რა არა, რა აქეზებს და ხელს უწყობს ავაზაკობის თარეშობასა, რომელი ადგილი და თესლი ერისა იძლევა ავაზაკსა და მძარცვავ-მტაცებელს“ (7, 201). თუ ეს არ გვეცოდინება, გამოურკვეველი დარჩება ავაზაკობის როგორც მიზეზი, ასევე მისი წამალი.

ყოველივე ამას მოსდევს კვლევის შემდეგი საფეხური. შესასწავლ საკითზე სხვათა მიერ მოკვლეული და გამორკვეული მასალების მოძიება და გამორკვევა იმისა, თუ რამდენად გვაკმაყოფილებს იგი, შეესაბამება თუ არა იგი პირველ საფეხურზე დასმულ ამო-

ცანებს. ამის შემდეგ იწყება კვლევის უმთავრესი საფეხური, დასახული მთავარი პარამეტრების მიხედვით მისი შესწავლა, საკუთარი კვლევა-ძიების ჩატარება. როგორც ავტორი ბრძანებს: „აქ საჭირო ნამდვილი შინაგანი ავკარგიანობა საქმისა, რომ საზრისს თავისი ჭეშმარიტი და უეჭველი საბუთი ჰქონდეს, და რაკი ამ გზით მიზეზი აიხსნება, წამლის პოვნაც შესაძლოდ გახდება“ (7, 202).

ილია ყველა საკითხის შესწავლას ცალ-ცალკე მიჰყვება, საკითხის უმნიშვნელო ნიუანსსაც შეუსწავლელს არ ტოვებს და ბოლოს ამას მოსდევს კიდევ ერთი საფეხური, ეს არის დასკვნა, ანუ „გრძლად თქმულის მოკლედ გამონასკვა“, რომ შესაძლებელი იყოს ნასკვი საქმისა უფრო ცხადად გავითვალისწინოთ“ (7, 220).

ასეთია კვლევის ძირითადი საფეხურები, რომლებსაც ილია ჭავჭავაძე განუხრელად მიჰყვებოდა და იცავდა. ილია ჭავჭავაძის მიერ ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების კვლევის საფეხურებრივი, ანუ შეიძლება ითქვას ეტაპობრივი, მიდგომისათვის დამახასიათებელია: 1. საწყის საფეხურზე საკვლევი მოვლენის ან პროცესის რაობის გარკვევა, იმის ნათლად ჩვენება რა მოვლენას ვიკვლევთ, რა არის მისი ამოცანები და საბოლოო მიზანი; 2. საკვლევი ობიექტის შესახებ უკვე არსებული კვლევების მოძიება და პირველ საფეხურზე დასმულ ამოცანებთან შესაბამისობის გამორკვევა; 3. მთავარი პარამეტრების მიხედვით საკუთარი კვლევა-ძიების ჩატარება და მისი გამომწვევი მიზეზების ახსნა; 4. ფასეული დასკვნების ჩამოყალიბება და ცხოვრებაში მისი გათვალისწინების გონივრული გზების განსაზღვრა.

ზემოაღნიშნული მიდგომებით ილია ჭავჭავაძე აღწევს იმას, რომ ყოველი მისი დასკვნა დაფუძნებულია დაფიქრებაზე, ფაქტების ცოდნასა და მეცნიერულ ჭეშმარიტებაზე. მას აქვს სახელმძღვანელოდ მეცნიერული კრიტიკა და ამ კრიტიკის საშუალებით იკვლევს იგი გზას. „არის კრიტიკა, რომელსაც მეცნიერული კრიტიკა ჰქვიან. იგი „ჰოს“ სათქმელსაც და „არას“ სათქმელსაც ერთნაირის სიფრთხილით, ერთნაირის აწონდაწონით ეპყრობა. იგი იმითაა ღირსეული, რომ „ჰოს“ საბუთსაც ისეთისავე გულმოდგონებით იძიებს, როგორც „არას“ საბუთსა, რადგანაც სახეში მარტო მართალი აქვს და სხვა არარა. ამისთანა კრიტიკა მართლმოყვარე გამომძიებელია და მართლგამკითხავი სასწორი: თუნდ რომ „ჰოს“ გზით შეუდგეს თავის საქმეს, თუნდ „არას“ გზით, ორმავე გზამ მართალთან უნდა მიიყვანოს. ამიტომაც კრიტიკა ერთს გზასაცა ჰხმარობს და მეორესაც, იმისდა მიხედვით, თუ – რა საქმეში რომელი უფრო უტყუარად და ადვილად აპოვნინებს მართალს“ (1, 69).

ილიას კვლევის მეთოდოლოგიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ იგი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კვლევა-ძიების დასაწყისს, მის პირველ საფეხურს. ამის კლასიკური მაგალითია მისი ნაშრომი – „ხიზნების საქმე“, რომელშიც ავტორს დასაწყისში სათაურები ასე ჩამოუყალიბებია: „შესავლის მაგიერ. ხიზნების საქმე საიდამ უნდა დაწყებულიყო“. ე.ი. ილია სათაურითვე გვამცნობს, რომ კვლევის დასაწყისში არ უნდა გამოგვრჩეს თავი და თავი, პირველი საფეხური, იმის გამორკვევა, თუ რას უნდა ჩავჭიდოთ ხელი, რას უნდა მივაპყროთ მთავარი ყურადღება თავიდანვე, რომ მას მივყვეთ ბოლომდე და სრულად გამოვარკვიოთ შესასწავლი მოვლენის ავკარგიანობა.

კვლევის პირველ საფეხურზე გაკეთებულ დასკვნას ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ მოთხოვნებს იმიტომ უყენებს, რომ სწორედ ამ საფეხურზე ისახება მარადიული იდეალი, ის ჭეშმარიტება რის მიღწევასაც ვისახავთ მიზნად. ამის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს „ცხოვრება და კანონში“ იმის დახასიათება, თუ როგორი სამართალი სჭირდება ხალხს. ილია აღნიშნავდა: „ამ სახით, ეხლა ჩვენ ვიცით, რა აზრი ჰქონია უმაღლესს მთავრობას, რომ მომრიგებელი მოსამართლობა დაუწესებია, და რა ღონისძიება მიუღია, რომ ის აზრი უნაკლოოდ აღსრულებაში მოსულიყო. მოკლედ განვიმეოროთ ზემოთქმული, რომ უფრო გარკვევით გზა გავიგნოთ და უფრო ცხადი აზრი წავიმძღვაროთ წინ ჩვენს გამოკვლევაში“ (5, 78).

შედარებით და სხვა მეთოდებთან ერთად, ილია ჭავჭავაძე თავის კვლევებში იყენებს სისტემური მიდგომის მეთოდს. ეს გზა საშუალებას იძლევა, არ გამოგვრჩეს მოვლენის არც ერთი არსებითი ნიშანი და არც ერთი ძირეული აზრი. ილია აღნიშნადა: „თვითმმართველობამ რომ თავისი ჩვეულებრივი ნაყოფი მოიტანოს და თავის თავს არ უმტყუნოს, მისდა შესაფერად უნდა იყოს მოწყობილი და დარგული. ამ მოწყობაში არც

ერთი მისი არსებითი კუთვნილება დავიწყებული არ უნდა იქმნას, არც ერთი ძირეული აზრი არ უნდა და იქმნას, არც ერთი ძირეული აზრი არ უნდა დაირღვეს. თუ ეს სიფრთხილე არ იხმარა ადამიანმა, თვითმმართველობა უფრო უქმი სიტყვა იქნება, უფრო სახელი იქნება, ვიდრე სახრავი“ (5, 42).

ილია ჭავჭავაძის მიდგომები ეკონომიკური კვლევის მეთოდების გამოყენების შესახებ, დღესაც ჭეშმარიტი გზამკვლევის როლს ასრულებს, რადგან ისინი ისეთი პრაქტიკული დასკვნების გამოტანაში გვეხმარება, რომელთა რეალური გამოყენება აუცილებლად დაგვეხმარება თითოეული ადამიანის კეთილდღეობის ამაღლებასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე ი., აი ისტორია. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ.XI, თბ., 2007.
2. ჭავჭავაძე ი., შინაური მიმოხილვა (გაზაფხული ჩვენში...) თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ.VI, თბ., 1997.
3. ჭავჭავაძე ი., ხიზნების საქმე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი VI, თბ., 1956.
4. ჭავჭავაძე ი., პოლემიკა ნოე ჟორდანიასთან. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი VI, თბ., 1956.
5. ჭავჭავაძე ი., ცხოვრება და კანონი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი VI, თბ., 1956.
6. ჭავჭავაძე ი., პოლემიკური წერილები „ცხოვრება და კანონის“ გამო. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი VI, თბ., 1956.
7. ჭავჭავაძე ი., საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი VI, თბ., 1956.
8. გფრ-ის პრეზიდენტს სამეცნიერო ტერმინები აღიზიანებს. გაზეთი „ახალი თაობა“, 13 ივლისი, თბ., 1997.

შოთა ვეშაპიძე

ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ეკონომიკური კვლევის მეთოდების გამოყენების შესახებ

რეზიუმე

მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის მიერ ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების კვლევისას შედარებითი ანალიზის, სისტემური კვლევის, კრიტიკული ანალიზის, ლოგიკის მეთოდების გამოყენება, აზრის მარტივად და გასაგებად ჩამოყალიბების პრინციპის დაცვა, ჭეშმარიტ არგუმენტებზე დაყრდნობით მისი დასაბუთება, ავტორიტეტების დამოწმება, ორიგინალური, საფეხურებრივი ანუ ეტაპობრივი მიდგომების გამოყენება.

Shota Veshapidze

Ilia Chavchavadze`s Approaches on the Application of the Methods of Economic Research

Summary

It is important to point out that Ilia Chavchavadze applied: comparative analysis, logical methods, the principles of expressing opinions and ideas clearly and simply, justification of opinions on the basis of the established principles, works and researches conducted by prominent scientists for justification, original and cross- sectional approaches for studying economic events and processes.

Шота Вешапидзе

Взгляды Ильи Чавчавадзе о применении методов экономических исследований

Резюме

При исследовании экономических явлений и процессов, Илья Чавчавадзе считал важным применение методов сравнительного анализа, системного исследования, критического анализа и логики, защиту принципов простого и ясного формулирования мысли, обоснование истинными аргументами, засвидетельствование авторитетов, применение оригинального, ступенчатого или поэтапного подхода к исследованиям.

თინათინ ჩხეიძე
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ევროკავშირის მოთხოვნები და საქართველოს ფერმერული მეურნეობის გამოწვევები

ევროკავშირის სამეზობლო პროგრამასა და პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერისა და განმტკიცების ხელშეწყობის საკითხებს. ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოს აგროსექტორის განვითარების სტრატეგიისადმი გათვალისწინებულია აგრეთვე ევროპის სურსათის უსაფრთხოების 2007წ. პროგრამაში (EU-FSP), აგრარული და სოფლის განვითარების 2012-13წ.წ. ევროპის სამეზობლო პროგრამებსა (ENPARD) და 2016წ. განახლებულ ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (1).

საქართველოში სურსათის წარმოების ზრდისა და სოფლად სიღარიბის, შემცირების მიზნით ევროკაშირმა 2013 წელს შეიმუშავა პროექტი (სამწლიანი ვადით, 2016წ-მდე). რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული სტრატეგიის განხორციელების მხარდაჭერას.

ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების (ENPARD) – (Georgia) სამ ძირითად კომპონენტს შეიცავს: ესაა მცირე ფერმერებისათვის მომსახურების გაზრდა და განვითარება, ბიზნესზე ორიენტირებული მცირე ფერმერთა ჯგუფების ასოციაციებისა და ფერმერთა შორის მოგების მიღებაზე დაფუძნებული სხვადასხვა ფორმის სათანამშრომლო საქმიანობის განვითარება. პროექტის მიზანია გააძლიეროს მცირე ფერმერები, რომლებიც შეიძლება ქვეყანაში სოფლის მეუნეობის ხერხემალი გახდეს (4).

საქართველოს მთავრობა მიესალმება შემოთავაზებულ ინიციატივებს და ცდილობს ევროკავშირის მიერ დასახულ აქტივობებთან თანხვედრას, რისთვისაც ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს სოფლად სიღარიბის დასაძლევად და მცირე ფერმერთა მხადასაჭერად ა.შ.

თუ საქართველოს სურს ევროკავშირის აქტივობებთან თანხვედრა და ჰარმონიზაცია, პირველ რიგში, უნდა აღმოფხვრას ის ხარვეზები, რომელიც გააჩნია საქართველოს აგრარულ სექტორს და ხელს უშლის ევროკავშირთან ჰარმონიზაციის პროცესს. იმ ხარვეზთა შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც სერიოზულ განხილვასა და დროულ გადაწყვეტას მოითხოვს, არის სწორედ ფერმერთა საკითხი, რომლის გარკვევასაც შევეცდებით წინამდებარე სტატიაში.

საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ქვეყანაში ნაჩქარევად და ხარვეზებით ჩატარდა აგრარული რეფორმა, სამთავრობო დადგენილების საფუძველზე (1992წ.) დაიწყო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაჩქარევი განაწილება. ქვეყნის მფლობელობაში არსებული მიწები დაიყო პატარ-პატარა ნაკვეთებად და დაექვემდებარა პრივატიზაციას. პრაქტიკულად მთლიანად მოიშალა საბჭოთა პერიოდში არსებული ინსტიტუტები, ფუნქციონირება შეწყვიტა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ორგანიზაციებმა, მოიშალა აგრონომიული და ვეტერინარული სამსახურები, სოფელი

დარჩა სასუქების, შხამქიმიკატების, მექანიზაციისა და, რაც მთავარია, მათი გამოყენების მცოდნე სპეციალისტების გარეშე.

მთავრობის მიერ მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და, საერთოდ, ქვეყნის წინსვლის პროცესში სოფლის მეურნეობისა და სოფლის როლის უგულებელყოფამ, აგრარული სექტორის უყურადღებოდ მიტოვებამ ქვეყანა სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა. საქართველოში აგრარული სექტორი მრავალი პრობლემის წინაშრე აღმოჩნდა, კერძოდ: შემცირდა სათესი ფართობები, ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა, დაბალი მაჩვენებელი, გაიზარდა სიღარიბის დონე. სოფლად მცხოვრებმა მოსახლეობამ, მათი ძირითადი დამსაქმებლების - კოლმეურნეობებისა და საბჭოთა-მეურნეობების დაშლის გამო, დაკარგა სამუშაო ადგილები, კერძო სექტორმა (მ.შ ფერმერულმა მეურნეობამ) კი მოსახლეობა ვერ დაასაქმა.

როდესაც ხელისუფლებაში ეროვნული ძალები მოვიდნენ, გაჩნდა იმედი, რომ მიწისაგან გაუცხოებული გლეხი დაუბრუნდებოდა ქვეყნის მარჩენალ მიწას, აღადგენდა მდიდარ სამიწათმოქმედო ტრადიციას. ის არ მუშაობდა მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული ფერმერული მეურნეობების მდიდარი გამოცდილებით, და მიუსადაგებდა მას გლეხური მეურნეობის უნიკალურ ქართული ტრადიციებს, რაც ახალ იმპულსს მისცემდა სოფლის მეურნეობას. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, მოსახლეობისათვის სოფლის მურნეობა შემოსავლის ძირითადი წყარო გახდა, რამდენადაც ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარი ამ სექტორში დასაქმდა. 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგად გამოვლინდა, რომ სასოფლო-სამეურნეო აღწერის ობიექტი იყო მეურნეობა, რომელიც ეწეოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას. განიხილებოდა როგორც ეკონომიკური ერთეული, მიუხედავად მისი ზომისა და იურიდიული სტატუსისა.

სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, საქართველოში დაფიქსირდა 729542 მეურნეობა: მათ შორის ოჯახური მეურნეობა 728247 ერთეული (99,8%), საერთო სასოფლო-სამეურნეო საწარმო მეურნეობები კი 820 (0,19%).

ამრიგად, 1990 წელს განხორციელებული პრივატიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა „ფერმერთა“ ახალი ფენა, რომელთა ძირითადი საარსებო საშუალება მიწის მცირე ნაკვეთზე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაა. ამან მიწის მეპატრონეს თვითდასაქმებულის სტატუსი შესძინა. თვითდასაქმებულად კვალიფიცირებულთა შორის 95% „წვრილი ფერმერია“, რომელსაც ჩვეულებრივ 1,2 ჰა მიწის ნაკვეთი და 2 ძროხა ჰყავს (3).

სოფლად ტიპური ფერმერული მეურნეობა ვერ განვითარდა, რამდენადაც მას არ ჰქონდა სახელმწიფოს მხარდაჭერა, მეწარმეობითი უნარი, და როგორც ფაქტორი ვერ იქნა გამოყენებული. სოფლად მცხოვრები მოსახლეობა მიწის ნაკვეთის სიმცირისა და რელიეფის არახელსაყრელი პირობების გამო, განწირული იყო უპერსპექტივო ნატურალური მეუნეობისათვის. მათი უმეტესი ნაწილი ორიენტირებული იყო მხოლოდ თვითუზრუნველყოფაზე და ხასიათებოდა მეტად დაბალი სასაქონლო წარმოების დონით, ეგრეთწოდებულ „ფერმერებს“ არ გააჩნდათ სათანადო შემოსავალი ტექნიკის დასაქირავებლად, სასუქების შესაძენად, კრედიტის ასაღებად, რის გამოც ვერ ხერხდებოდა ახალი ჯიშის კულტურების დანერგვა, რამაც განაპირობა მხოლოდ ბუნებრივი მოვლენების იმედად დარჩენა. სწორედ ამიტომ იყო, რომ 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, საოჯახო მეურნეობის 82,5% აწარმეობდა პროდუქციას საკუთარი მოხმარებისათვის, ხოლო 17,8% კი – რეალიზაციისათვის.

ამჟამად სოფლად არსებული გლეხური საოჯახო მეურნეობები, არ წარმოადგენენ ფერმერულ მეურნეობებს, მათი საქმიანობით ისინი მოიხსენიება როგორც თვითდასაქმებული. თუ სოფლად მცხოვრები ოჯახი ფლობს მიწის ნაკვეთსა და ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას საკუთარი ოჯახის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ხოლო ნამეტ პროდუქტს ჰყიდის, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი ფერმერია. რადგან ფერმერი მეწარმეა, რომელიც აწარმოებს სასაქონლო პროდუქციას ბაზრისათვის.

თუ საქართველოს ოჯახური მეურნეობა ფერმერული მეურნეობაა, მაშინ იგი უნდა აკმაყოფილებდეს მეწარმისადმი წაყენებულ შემდეგ მოთხოვნებს:

1. დამოუკიდებლობა (ანუ დამოუკიდებელი უნდა იყოს საქმიანობის ტიპის არჩევაში);
2. საკუთარი რისკით საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა;
3. საქმიანობის მიზანი – მოგება;
4. საქმიანობის რეგისტრაცია.

მეწარმე-ფერმერი აუცილებლად უნდა იყოს რეგისტრირებული და იხდიდეს ყველა დაწესებულ გადასახადს, ხოლო წარმოება უნდა იყოს ორიენტირებული მოგებაზე და დაექვემდებაროს საგადასახადო კანონმდებლობას.

ტერმინები „ფერმა“ და „ფერმერი“ ლექსიკონების მიხედვით შემდეგნაირად არის განმარტებული: **ფერმა** – (ინგლ. farm) სასოფლო-სამეურნეო საწარმო, რომელიც უმეტესად საქმიანობს საკუთარი მიწის ნაკვეთზე, სადაც იგი უძღვება მეურნეობის სხვადასხვა დარგს (მეცხოველეობის ფერმა, მეფრინველეობის ფერმა და სხვ.). **ფერმერი** კი ფერმის მეპატრონეა, რომელიც სოფლის მეურნეობაში ეწევა მეწარმეობას საკუთარი ან არენდით აღებული მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული ტერმინების არადანიშნულებისამებრ გამოყენება იწვევს მთელ რიგ უარყოფით შედეგს, განსაკუთრებით საგადასახადო კუთხით (მაგ., საოჯახო მეურნეობა არ იბეგრება, ფერმერი იბეგრება).

საქართველოს კანონმდებლობა არ მიჯნავს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მეწარმეს ურბანული დარგების მეწარმეებისაგან. ფერმრეულ მეურნეობებს აიგივებს ინდმეწარმეობასთან, რაც არასწორად მიგვაჩნია. ამიტომ, ფერმერული მეურნეობა, საგადსახადო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, შექმნილია კანომდებლობით დადგენილი წესით და დაბეგვრის თვალსაზრით განიხლება, როგორც **ინდივიდუალური საწარმო**. აქედან გომომდინარე, ფერმერული მეურნეობები იბეგრებიან იგივე პრინციპით, როგორც **ინდივიდუალური მეწარმეები** (დღგ-ით, სოციალური გადასახადითა და დაქვეითებით, საშემოსავლო გადასახადით) და, რა თქმა უნდა, მიწაზე მიწის გადასახადით (ინდმეწარმისაგან განსხვავებით), როგორც „ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელთაც საკუთრებაში ან კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში აქვთ მიწის ნაკვეთი“ (მუხლი 147).

საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც წარიმართება **მიწიდან შემოსავლის** ან **კომპენსაციის** მისაღებად“. საგადასახადო კოდექსის 148-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 150-ე მუხლის 1 ნაწილში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები ექვემდებარება **მიწის გადასახადს**. მიწის გადასახადის საბაზისო განაკვეთები დიფერენცირებულია მიწის ხარისხის, ადგილმდებარეობის ან ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით. აქედან გამომდინარე, ყოველი მიწათმფლობელი ეკონომიკურად დაინტერესებულია მიწის ნაყოფიერებით და მისი ყაირათიანი გამოყენებით. ამიტომ, მნიშვნელოვანია მის მფლობელობაში არსებული ნიადაგის ნაყოფიერების განსაზღვრა და ყველა იმ ფაქტორის რაოდენობრივად დაფიქსირება, რომელიც ამ ნაკვეთზე მოქმედებს. ამის დადგენა-განსაზღვრა საჭიროა, ვინაიდან სწორედ ამ ხელშემწყობ ან ხელშემშლელ პირობებზეა დამოკიდებული მიწის ნაკვეთის ფუნქციონირების ეფექტიანობა, რაც პირდაპირ კავშირშია ფერმერის შემოსავალის, მოგებისა და დაბეგვრის ოდენობასთან.

დღეისათვის სოფელში მცხოვრები ოჯახი, რომელიც პრივატიზაციის შედეგად ფლობს მიწის ნაკვეთს და მისდევს სოფლის მეუნეობას, ფერმერად ითვლება. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, როგორც აღვნიშნეთ, აგრო და ურბო მეწარმეობა გათანაბრებულია, რაც სწორი არ არის, რადგანაც აგრომეწარმისა და ურბომეწარმის საქმიანობა და წარმოების პირობები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. ძირითადი განსხვავება კი იმაშია, რომ ინდმეწარმეს არ ეხება მიწის გადასახადი, რაც აუცილებელია ფერმერისათვის. ამიტომ, საჭიროა აგროფერმერების გამიჯვნა ურბომეწარმეებისაგან და მათთვის სპეციალური საკანონმდებლო პირობების განსაზღვრა.

ამდენად, სოფლად მცხოვრები გლეხი არ უნდა ჩაითვალოს ფერმერად თუ იგი არ არის რეგისტრირებული, როგორც მეწარმე. ოჯახური მეურნეობები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოფლის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს წარმოადგენენ (82,2%). ისინი იწოდებიან „ფერმერებად“ და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ძირითადად აწარმოებენ

საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, 17,8% კი მხოლოდ ბაზრისათვის იწარმოება. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სოფლად აღნიშნული ოჯახური მეურნეობები არ არიან „მეწარმეები“, ანუ ფერმერები.

საქართველოში ფერმერულმა მეურნეობამ ფეხი ვერ მოიკიდა, იგი ვერ განვითარდა შემდეგი მიზეზების გამო:

1. მთავრობას იმ იმედით, რომ ყველაფერს ბაზარი დაარეგულირებდა, აგრარული სექტორი უყურადღებოდ ჰყავდა მიტოვებული. სახელმწიფოს ჩაურევლობის პოლიტიკის შედეგად კი სოფლის მეურნეობა და სოფელი გაღარიბდა, ღარიბ გლეხს წარმოების დაწყების საწყისი ფინანსური საშუალება არ გააჩნია.
2. ფერმერული მეურნეობებისათვის არ არის საკმარისი მიწის პრივატიზაციის შედეგად მიღებული 1,25 ჰა მიწის ნაკვეთი, ხოლო მიწის დამატებითი ფართობის შესყიდვა ან იჯარით აღება არ შეუძლია მიწის ბაზრის არარსებობის გამო.
3. სოფლად არ რჩება ახალგაზრდა ოჯახები (პოტენციური ფერმერები). მათ სოფელი მიატოვეს იმის გამო, რომ იქ დაიხურა საბავშო ბაღები, სკოლები, სამედიცინო დაწესებულებები და სხვა ინფრასტრუქტურული ორგანიზაციები, ხოლო სოფელში დარჩენილ ხანდაზმულ ოჯახებს, სიღარიბის გამო, ფერმერული მეურნეობების შექმნის შესაძლებლობა არ გააჩნიათ.
4. ბანკები თავს იკავებენ გლეხებისათვის კრედიტის გაცემაზე (სოფლის მეურნეობის წარმოების რისკიანობის გამო) და არც გირაოში იღებენ მიწის მცირე ზომის ნაკვეთებს.
5. სოფელი დარჩენილია სპეციალისტების – ვეტერინარების, ზოოტექნიკოსების, აგრონომების და ა.შ. გარეშე.
6. მოშლილი და გაუქმებულია მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, რომლებიც სოფელს ეხმარებოდა ხვნა-თესვასა და მოსავლის აღებაში. ღარიბ გლეხს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (ტრაქტორის, კომბაინის და ა.შ) კერძო საკუთრებაში შეძენა, უსახსრობის გამო არ შეეძლია.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს საქართველოს მთავრობამ ყურადღება მიაქცია აგროსექტორს, რაც გამოიხატა რიგი ღონისძიებების გატარებაში.საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი - „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“, რომელიც ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამეწარმეო საქმიანობას, მათ მფლობელობაში არსებული მიწების დამუშავებასა და ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვას.

ჩამოყალიბდა სსიპ „სოფლის-მეურნეობის სამეცნიერო – კვლევითი ცენტრი“, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობისა და სურსათის წარმოების განვითარების, აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშეწყობა და ა.შ.

2011 წელს საქართველოში სოფლის მეურნეობა გამოცხადდა პრიორიტეტულ დარგად. ეს ხაზგასმით აღინიშნა 2011-2015 წლების 10 პუნქტიან გეგმაში, რომლის იდეა იყო სოფლის მეურნეობაში კომერციული წარმოებების განვითარება, საოჯახო მეურნეობის განვითარებასთან ერთად (3).

მცირემიწიანი ფერმერები სარგებლის სახით უსასყიდლოდ იღებენ მიწის ნაკვეთის ხვნის სერვისსა და სასოფლო დანიშნულების საქონელს – სასუქს, სათესლე მასალას, ქიმიურ საშუალებებს (პროექტის პოტენციური ბენეფიციარები არიან ის ფიზიკური პირები, რომლებსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვთ 1,25 ჰა მიწა).

2012 წ. საგადასახადო კოდექსით საშემოსავლო და მოგების გადასახადიდან 2014 წლის 1 იანვრამდე განთავისუფლდნენ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ფიზიკური და იურიდიული პირები, თუ პირველადი მონაწილეობით მიღებული შემოსავალი არ აღემატებოდა 200 000 ლარს. 2013 წლის 30 ივლისის ცვლილებით აღნიშნული ვადა გახანგრძლივდა 2017 წლის 1 იანვრამდე. გლეხებს და ფერმერებს დაუწესდათ საგადასახადო შეღავათები.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო ინფორმაციით სამინისტრო კოოპერატივებს უზრუნველყოფს მოტობლოკებითა და ხელით სათესით.

საგადასახადო კოდექსში 2013 წლის 12 ივლისს განხორციელებული ცვლილებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს დაუწესდა სარგებლობა შეღავათებით: არ

იბეგრება კოოპერატივის ქონება ქონების გადასახადითა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი და ა.შ.

ამჟამად სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას, რომლებიც სოფლის მეურნეობაში არიან დასაქმებულნი მოიხსენიებენ სხვადასხვა სახელწოდებით: „გლეხური მეუნეობა“, „ფერმერული მეურნეობა“, „გლეხური (ფერმერული) მეურნეობა“, „საოჯახო მეურნეობა“, „სასოფლო შინამეურნეობა“, „თვითდასაქმებულთა მეურნეობა“, „პირადი დამხმარე მეურნეობა“, „საბაღე მეურნეობა“ და ა.შ. გარდა ამისა, ეკონომიკურ ერთეულად ითვლება ქალაქში მცხოვრები მოქალაქე, რომელმაც პრივატიზაციის შედეგად სოფლად მიიღო მიწის ნაკვეთი, მაგრამ შემდეგ ქალაქიდან ვეღარ შეძლო მისი დამუშავება და მიატოვა იგი. აქედან გამომდინარე, საკითხავია ვინ ჩაითვლება სახელმწიფოსა და დონორი ქვეყნების მიერ დაწესებული ღონისძიების ბენეფიციარებად, ვინ გლეხად და ვინ ფერმერად? ვინ მიიღებს ამ შეღავათებს?

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სოფლად მცხოვრები ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, საკუთარ ან არენდით აღებულ მიწაზე და არ არის რეგისტრირებული, როგორც მეწარმე, საგადასახადო ორგანოში უნდა იწოდებოდეს – „გლეხად“.ხოლო თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი საკუთარ ან არენდით აღებულ მიწის ნაკვეთზე აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო სასაქონლო პროდუქციას მოგების ან კომპენსაციის მიზნით და ამავე დროს რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში, უნდა ეწოდებოდეს - „ფერმერად“ ანუ „მეწარმე - ფერმერად“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკა http://www.fao.org/3/a-aq6730.pdf.
2. გოგოხია რ., კილასონია გ., ფერმერული მეურნეობების ჰორიზონტები, თბ., 1999.
3. ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში ... საქართველო [ENPARD].
4. ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის (ENPARD-georgia).
5. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ანგარიში 2013-2014.
6. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, თბ., 2014.
7. საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2012 წლის 20 ოქტომბრის მდგომარეობით, 82-ე მუხლის “ლ” პუნქტი.
8. Закон о фермерском хозяйстве. http://pzavovedus.ru/lpzactival-paw/land/zakon-o-fermerskomhozgagzve /.

თინათინ ჩხეიძე

ევროკავშირის მოთხოვნები და საქართველოს ფერმერული მეურნეობის გამოწვევები

რეზიუმე

ევროკავშირის სამეზობლო პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარების საკითხებს.საქართველოს მთავრობა მიესალმება ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ ინიციატივებსა და ცდილობს დასახული აქტივობების თანხვედრას.

ფერმერულ მეურნეობებთან დაკავშირებით ევროკავშირის რეკომენდაციის თანხვედრისათვის ავტორს მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველოში ფერმერთა სტატუსის დამტკიცება და ფერმერთა შესახებ კანონის მიღება, რათა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან მეწარმე – ფერმერი, ანუ აგრომეწარმე და ინდმეწარმე ანუ ურბომეწარმე.

Tinatin Chkheidze

Requests of the European Union and Challenges of Georgian Farmer Economy

Summary

In the European Neighbourhood Programme agriculture and rural development issues play an important role. The government welcomes the EU's proposed initiatives and tries to achieve coherence of activities.

For harmonizing farms in the EU recommendations the author considers it appropriate to approve the status of Georgia's farmers and the introduction of the law about farmers in order to be separated from each other a farmer ie. agro entrepreneur and the individual or urban entrepreneur.

Тинатин Чхеидзе

Требования Евросоюза и вызовы фермерского хозяйства Грузии

Резюме

В программе Европейского соседства значительное место занимают вопросы сельского хозяйства и развития села. Грузинское правительство приветствует инициативы Евросоюза и стремится к согласованности с ними.

Согласно с рекомендациями Евросоюза о фермерских хозяйствах автор считает целесообразным введение статуса фермера и принятие закона о фермерах, для того чтобы различить друг от друга термины: фермер или агропредприниматель от индпредпринимателя т. е.урбопредпринимателя.

გივი დუჩიძე

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სასურსათო საქონლის ფასები და ფასწარმოქმნაზე მოქმედი ფაქტორები

სასურსათო ბაზრის მუშაობის ეფექტიანობის მაჩვენებელია საქონლის ფასი. იგი მიეკუთვნება საბაზრო სისტემის უნარს, მომხმარებლის მოთხოვნილების შესაბამისად ეფექტიანად გაანაწილოს რესურსები, კოორდინაცია გაუწიოს წარმოების ერთიან პროცესსა და სურსათის რეალიზაციას. ბაზარზე არსებული ფასების ეფექტიანობა იმდენად მაღალია, რამდენადაც იგი ითვალისწინებს მომხმარებლის ინტერესებს და კოორდინაციას უწევს ფერმერების, გამსაღებლებისა და მომხმარებლების ფულად-სასაქონლო ურთიერთობებს. სასურსათო ბაზრის რეგულირების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ფასების განსაზღვრა ფერმერთა მიერ მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად.

თავისი საქმიანობისას ფერმერულ მეურნეობას არ შეუძლია იზოლაციაში არსებობა, რადგან მას აქვს ურთიერთობა პარტნიორებთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფერმერმა წარმოებაზე მოქმედი ფაქტორების – მიწის, სავარგულების, საწარმოო ფონდების, კლიმატის, შრომითი რესურსების გარდა, უნდა გაითვალისწინოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორებიც, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მთლიანად სოფლის მეურნეობაზე, მის საწარმოთა განვითარებაზე.

თანამედროვე ეტაპზე სასურსათო ბაზრის მდგომარეობის შეფასება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მისი განვითარება სტიქიურად მიმდინარეობს. ხშირია ფასების ზრდა პროდუქციაზე, როდესაც არსებობს ზოგიერთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დეფიციტი, მისი ხარისხი კი დაბალია და ა.შ. მომხმარებელს აწუხებს სურსათზე მაღალი ფასი და არასტაბილური ფასების გარემო, ხოლო მწარმოებელი თავის მხრივ უკმაყოფილოა ბითუმად მყიდველთა რაოდენობის შემცირებით, საშუამავლო სტრუქტურების მხრიდან შესასყიდი ფასების კონტროლით, შესასყიდ და საცალო ფასებს შორის შეუსაბამობით და სხვ.

სასურსათო ბაზრის მაჩვენებელთა შორის შეიძლება აღინიშნოს სურსათზე საცალო ფასების ცვლილების ტენდენცია, სამომხმარებლო კალათის ღირებულება, მოსახლეობის საოჯახო ბიუჯეტიდან სასურსათო დანახარჯების წილი, საცალო ფასების დონე და სტაბილურობა, ფერმერთა შემოსავალი, პროდუქციის საცალო ფასების წარმოქმნაში ფერმერთა როლი და ა.შ. სასურსათო ბაზარი რთული სისტემაა, ამიტომ მისი აღნიშნული მახასიათებლებისა და მაჩვენებლების ინტერპრეტაციისას საჭიროა ფრთხილი მიდგომა. უფრო მეტიც, ამ მაჩვენებელთა ბალანსი ხშირად ირღვევა ახალი ტექნოლოგიების, მარკეტინგის მეთოდების, ბაზრის კონიუნქტურისა და პოლიტიკური ცვლილებების შედეგად. აქედან გამომდინარე, სასურსათო ბაზარი მუდმივი ცვლილებებით ხასიათდება.

ცნობილია, რომ მოთხოვნის სფეროში მიმდინარე ყოველგვარი ცვლილება, თითქმის ყოველთვის აისახება საქონლის ფასზე. ამასთან დაკავშირებით მოთხოვნის, როგორც ფასზე მოქმედი ფაქტორის ურთიერთკავშირის განსაზღვრით უნდა დადგინდეს, რა გავლენას მოახდენს ფასების დონეზე მოთხოვნის სფეროში მიმდინარე ან მოსალოდნელი ცვლილებები.

გარე ფაქტორების მნიშვნელობა დიდად არის დამოკიდებული პროდუქციის მიწოდებაზე, მოთხოვნასა და ფასების ურთიერთკავშირზე. პროდუქციაში იგულისხმება არამარტო ის პროდუქცია, რომელსაც ფერმერი აწარმოებს და ჰყიდის, არამედ ისიც, რომელსაც ყიდულობს, მაგალითად კომბინირებულ საკვებს პირუტყვის საკვებად და სხვ.

ცნობილია, რომ საქონლის და მათ შორის სასურსათო საქონლის ფასი მიწოდება-მოთხოვნის თანაფარდობასა და მათ ცვალებადობაზეა დამოკიდებული. რამდენადაც მაღალია მოთხოვნა, იმდენად მაღალია ფასი და პირიქით. ფასი იდეალურია მაშინ, როდესაც პროდუქციაზე მოთხოვნა მთლიანად შეესაბამება მიწოდებას, მაგრამ პრაქტიკაში აუცილებელი ღონისძიებების გატარების მიუხედავად მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ბალანსის მიღწევა იშვიათია.

როგორც წესი, პროდუქციაზე მოთხოვნა ფასების შემცირებასთან ერთად იზრდება, რადგანაც ადამიანის თვისებაა დიდი რაოდენობით იყიდოს ის პროდუქცია, რომელიც შედარებით იაფია. როდესაც ფასი იზრდება და მწარმოებელს ექმნება პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გადიდების სტიმული, მიწოდება ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ხოლო როცა მიწოდება და მოთხოვნა მიუახლოვდება ერთმანეთს, ყალიბდება იდეალური ფასი. თუ ფასი მაღალია იდეალურზე, მაშინ იქმნება ნამატი პროდუქცია, ხოლო როდესაც ფასი იდეალურზე დაბალია, მოთხოვნა ჭარბობს მიწოდებას, ანუ იქმნება პროდუქციის დეფიციტი. ასევე, სასურსათო საქონლის ფასი დამოკიდებულია, როგორც ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობაზე, ასევე მოსახლეობის მსყიდველობით უნარსა და ლარის კურსის მერყეობაზე. მაგალითად, როდესაც მარცვლეულის მოსავალი დაბალია, ხოლო მეცხოველეობა საშუალო დონეზე ვითარდება, ასეთ შემთხვევაში კომბინირებულ საკვებზე მოთხოვნა და ფასი იზრდება, მიწოდება კი მცირდება და დეფიციტი იქმნება, ხოლო მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობის პირობებში ფასი იზრდება, რაც იმას ნიშნავს რომ მოთხოვნა აღემატება მიწოდებას, რადგანაც ბაზარს აწვდიან ნაკლებ მარცვალს, ვიდრე მაღალი მოსავლიანობის შემთხვევაში. დეფიციტის გათვალისწინებით მეცხოველე ფერმერი ამცირებს მარცვლეულის შესყიდვას, რაც ფასების რამდენადმე შემცირებას იწვევს და ამით მყარდება თანაფარდობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის.

მარცვლეული კულტურების მოსავლიანი წლის დროს პირიქით ხდება. მარცვლეულზე ფასების ზრდის პირობებშიც მეცხოველე ფერმერმა პირუტყვი უნდა გამოკვებოს. ამიტომ ფერმერთა ნაწილი ერთი სახის მარცვლეულს ცვლის მეორე უფრო იაფი მარცვლეულით ან მოძებნის სხვა ალტერნეტიულ საკვებს, ხოლო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ან ღორის ხორცის მწარმოებელი ფერმერი შეცვლის სუქების ტექნოლოგიასა და მეთოდს და გადავა უფრო ინტენსიურ სუქებაზე, ხოლო ფერმერთა მეორე ნაწილი კი შეამცირებს პირუტყვის სულადობას, უფრო გამოცდილი ფერმერი, რომელმაც წინა წლებში მოიმარაგა მარცვლეული, პროდუქციის წარმოებას გააგრძელებს ჩვეულებრივ რიტმში.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ როდესაც ბაზარზე მარცვლეულის ნაკლებობა იგრძნობა, მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულება იზრდება და პირიქით. ფასების თეორიის კლასიკური მოდელის თანახმად, მიწოდების ზრდა ავტომატურად იწვევს ფასების შემცი-

რებას, რასაც შედეგად მოსდევს წარმოების დაცემა და პირიქით, მოთხოვნის ზრდის პირობებში ფასებიც იზრდება.

ამდენად, მოთხოვნა-მიწოდების დამაბალანსებელი ფუნქციის შესრულება შეუძლია ფასს. ფასის მეშვეობით მყარდება კავშირი წარმოებას, მოხმარებას, მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ბაზარზე. მოთხოვნა-მიწოდებას შორის პროპორციის დარღვევისას ფასები რეაგირებენ და აუცილებელი ხდება მათი რეგულირება. აღნიშნული იძლევა საშუალებას დავასკვნათ რომ ფასი არის საბაზრო ეკონომიკის ინსტრუმენტი, რომელიც ეკონომიკური პროცესების მართვის მძლავრი ბერკეტიცაა.

სხვა ფაქტორებთან ერთად, აგრარულ სფეროში ფასი არის მთავარი სტიმულატორი მატერიალური წარმოების ზრდისა და შემცირებისა, ასევე წარმოების რაციონალური გადაადგილებისა ქვეყნის მასშტაბით. ამა თუ იმ პროდუქციის წარმოების გადაადგილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას ფასი არის მთავრი ბერკეტი, რადგან თუ პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ხარჯები ფარავს და ფერმერს სასურველი მოგების მიღების საშუალებასაც აძლევს, ასეთი პროდუქციის მწარმოებელი დარგის გადაადგილებაა მიზანშეწონილი მოცემულ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში და პირიქით.

ფასი წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, მომსახურების, ფასიანი ქაღალდების ან სხვა აქტივების ღირებულების ფულად გამოხატულებას, რომელიც საქონლის ყიდვის დროს მყიდველმა უნდა გადაიხადოს. პროდუქციის სხვა მახასიათებლებს შორის ფასის განსაკუთრებულობა იმას ემყარება, რომ იგი ფულით გამოიხატება და, აქედან გამომდინარე როგორც საწარმოს, ასევე საოჯახო ბიუჯეტის დაგეგმვის უშუალო საფუძველია. ამის გარდა, მაღალი და დაბალი ფასი სიტუაციის მიხედვით დადებითად ან უარყოფითად ზემოქმედებს საქონლის ყიდვაზე გადაწყვეტილების მიღების დროს.

ფასი ეკონომიკური გაზომვის საიმედო ინსტრუმენტია და პროდუქციის წარმოებაზე აუცილებელ დანახარჯებს ასახავს. ამასთან ერთად, ფასი როგორც საზომი, იძენს აღრიცხვის ფუნქციასაც, რაც ასახავს ღირებულების ფულად გამოხატულებას და გვიჩვენებს რა ჯდება ამა თუ იმ პროდუქციის წარმოება. სწორედ ფასების აღრიცხვის ფუნქციის გამოყენებით ხდება ფინანსური დაგეგმვა და აღრიცხვა, რომლის გამოყენება საშუალებას იძლევა ისეთი ღირებულებითი მაჩვენებლები განისაზღვროს, როგორიც არის დაგროვება, ძირითადი და მატერიალური საბრუნავი საშუალებების დაგროვება, შემოსავლები და გასავლები და სხვ.

ფასების პოლიტიკა ფერმერი-მწარმოებლის განსაკუთრებული მნიშვნელობის ინსტრუმენტია, ოღონდ მისი გამოყენება გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული, რადგან მის მიმართ უცოდინარი დამოკიდებულებით შეიძლება მიღებულ იქნეს ყველაზე უარყოფითი შედეგი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს არის ბაზარზე არსებული მდგომარეობის მიხედვით განსაზღვრული ფასების დადგენა და მათი მანევრირების ხერხები, რომელიც ბაზრის მიზნობრივი ნაწილის დაუფლების, გარკვეული მოგებისა და სხვა სტრატეგიული და ოპერატიული ამოცანის გადაწყვეტის საშუალებასაც იძლევა.

ფასწარმოქმნის სფეროში პოლიტიკის შემუშავებამდე აუცილებელია ფასის დადგენის საწყის დონეზე მოქმედი და გარე ისეთი ფაქტორების გაანალიზება, როგორიცაა მოთხოვნილება, ხელისუფლების პოლიტიკა, გასაღების არხების მონაწილეები, კონკურენტები, წარმოების დანახარჯები.

საწამოს მიერ დასახული მიზნის მიხედვით განისაზღვრება აგრეთვე ფასწარმოქმნის სხვადასხვა მიდგომაც:

- გადარჩენის უზრუნველყოფის მიზნით ორგანიზაციას (ფერმა, ფირმა, კორპორაცია) დაბალი ფასების დადგენა უხდება, რადგანაც გადარჩენა მოგების მიღებაზე უფრო მნიშვნელოვანია. ვიდრე სასოფლო-სამეურნეო საწარმო თავის დანახარჯებს ფარავს, ორგანიზაციას კომერციული საქმიანობის გაგრძელების საშუალება ეძლევა;
- მიმდინარე მოგების მაქსიმიზაციის პირობებში გრძელვადიანთან შედარებით მიმდინარე შედეგები უფრო მნიშვნელოვანია;
- ბაზრის წილის დაპყრობაში ლიდერობის მოპოვების ამოცანის რეალიზაციის დროს ორგანიზაცია მიდის ფასების მაქსიმალურად შესაძლო შემცირებაზე;

- ხარისხის მაჩვენებლის მიხედვით ლიდერობის ამოცანის გადაწყვეტისათვის აუცილებელია იმის მიღწევა, რომ მისი საქონელი ბაზარზე წარმოდგენილ ყველა

დანარჩენ საქონელთან შედარებით მაღალხარისხივანი იყოს, რაც მაღალი ფასის დაწესებას ამართლებს.

ნებისმიერი ფასი გავლენას ახდენს მოთხოვნაზე, რადგან უმეტეს საქონელზე ფასების შემცირება მოთხოვნის ზრდას იწვევს.

უცვლელი ფასის შემთხვევაში ეკონომიკური სიტუაციის ცვლილების დროს შეიძლება მეტი საქონელი გაიყიდოს, ამიტომ აუცილებელია იმის ცოდნა, ფასის მიხედვით როგორია მოთხოვნის ელასტიურობა. მოთხოვნის ელასტიურობა იმას ნიშნავს, რომ ამონაგები ფასების შემცირების დრო მცირდება.

ამდენად, ფასწარმოქმნა უაღრესად რთული პროცესია, რომელზეც მრავალი ფაქტორი ახდენს ზემოქმედებას. მარკეტინგული საქმიანობა ფასწარმოქმნაში ერთ-ერთი მთავარია, რომლის როლი და მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდება. აქედან გამომდინარე, ფასები მარკეტინგის სხვა ცვლადებთან და ფერმის საქმიანობასთან მჭიდრო კავშირშია.

თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე ფასს შემდეგი ასპექტები ახასიათებს:

- ფასი ყიდვა-გაყიდვის პროცესს ამარტივებს;
- ფასი მოთხოვნას და მიწოდებას აწონასწორებს, არეგულირებს;
- ფასს, როგორც რეგულატორს შეუძლია ხელი შეუწყოს ან შეუშალოს გასაღების პროცესს;
- ფასს უშუალო კავშირი აქვს ღირებულებასა და მოგებასთან;
- ფასი კონკურენტულ ბრძოლაში საიმედო ინსტრუმენტი და იარაღია;
- ფასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფერმის კომერციული წარმატება და წარუმატებლობა.

ფასების ფორმირების სტრატეგიის შემუშავებამდე ფერმამ სრულფასოვნად უნდა გააანალიზოს გადაწყვეტილებაზე მოქმედი ყველა გარე და შიდა ფაქტორი. ისევე, როგორც პროდუქციის მოძრაობის მიხედვით მიღებული გადაწყვეტილება, ფასებზე გადაწყვეტილებაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გარე ფაქტორებზე. იგი განსხვავდება პროდუქციასა და მის მოძრაობაზე მიღებული გადაწყვეტილებისაგან, რომელიც ძირითადად ფერმერის მიერ კონტროლს ექვემდებარება. ზოგჯერ გარე ელემენტები არსებით ზეგავლენას ახდენს ფერმერის უნარზე დაადგინოს ფასი.

ფასის დადგენისას უნდა გავითვალისწინოთ მისი განმსაზღვრელი ფაქტორები, როგორიცაა პროდუქციის თვითღირებულება თავისი პირდაპირი და ზედნადები დანახარჯებით, კონკურენტებისა და ანალოგი პროდუქციის ფასები, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი, პროდუქციის ხარისხობრივი მახასიათებლები და ა.შ.

ფასებზე გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედი ფაქტორებიდან აღსანიშნავია მოთხოვნა, ბაზრის მდგომარეობა, დანახარჯები, კონკურენცია, ვაჭრობა და სხვ. მომხმარებლის მოთხოვნა განსაზღვრავს სხვადასხვა ფასების პირობებში რა რაოდენობის პროდუქცია გაიყიდება, შესაბამისად რამდენი იქნება მიღებული ამონაგები, რაც მოგების განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ხარჯვითი ფაქტორები გამოიყენება ნორმატიული რენტაბელობის განსაზღვრისას, ხოლო დანახარჯებზე აუცილებელი ფასდანამატის საფუძველზე ფასების დადგენისათვის გამოიყენება მაშინ, როცა მომხმარებლის მოთხოვნა ზღვრულ ფასს კარნახობს, ხოლო დანახარჯები განსაზღვრავს ფასების უმცირეს დონეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დუჩიძე გ., საქართველოს ხორცის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების საფუძვლები, ჟურნალი „ეკონომიკა“ №6, 2006.
2. დუჩიძე გ., ღორის ხორცით უზრუნველყოფის მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების პერსპექტივები მსოფლიოსა და საქართველოში, ჟურნალი ეკონომიკა№6, 2006.
3. თურმანიძე ს., ფალელაშვილი ი., გაბაიძე გ., ბიზნესის საფუძვლები, თბ., 2009.
4. ტურაბელიძე ნ., საადგილმამულო ურთიერთობათა საფუძვლები, თბ., 2009.
5. ყამარაული ს., დუჩიძე გ., ყამარაული ი., სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და აგრობიზნესი, თბ., 2011.
6. ძაგნიძე გ., აგრობიზნესი, თბ., 2009.

გივი დუჩიძე

სასურსათო საქონლის ფასები და ფასწარმოქმნაზე მოქმედი ფაქტორები

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია სასურსათო საქონლის ფასები და ფასწარმოქმნაზე მოქმედი ფაქტორები, აღნიშნულია რომ სასურსათო ბაზრის მუშაობის ეფექტიანობის მაჩვენებელია საქონლის ფასი, ამიტომ განხილულია ფასის ასპექტები, განსაზღვრულია რომ ფასის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს მისი განმსაზღვრელი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა პროდუქციის თვითღირებულება, თავისი პირდაპირი და ზედნადები დანახარჯებით, კონკურენტებისა და ანალოგიური პროდუქციის ფასები, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი, პროდუქციის ხარისხობრივი მახასიათებლები და ა.შ.

Givi Duchidze

Food Product Prices and Factors Influencing the Pricing

Summary

The work presents a review of the prices on food products and the factors having influence on pricing; it also states that the price of goods is the indicator of the efficiency of food market performance; therefore, the work also reviews the aspects of prices and defines that the process of pricing includes consideration of the related factors such as the cost of the product with the direct and overhead expenses included, purchasing capacity of the population, the quality characteristics of the product and etc.

Гиви Дучидзе

Цены продовольственных товаров и факторы ценообразования

Резюме

В статье рассмотренны цены продавольственных товаров и факторы влияющие на ценообразование. Отмечено что цена продуктов является показателем эффективности работы продовольственного рынка, расмотренны разные аспекты цен, определено, что для установления цены должны быть предусмотренны такие факторы, как себестоимость продукта, его прямимы и накладными расходами, а также цены конкурентов на аналогичные продукты и т. д.

სოფიო ბლიაძე
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნანა რინკიაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ფასიანი ქაღალდების ბაზრის მიმოხილვა და საფონდო ბირჟების განვითარება საქართველოში

ფასიანი ქაღალდების ბაზარი რთული, მრავალკომპონენტიანი მექანიზმია. შესაბამისად, ამ მექანიზმზე მრავალი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი მოქმედებს. დღესდღეობით, უარყოფითი ობიექტური ფაქტორების უმეტესობა პრაქტიკულად მოხსნილია: ასე მაგალითად, ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობა შედარებით დასტაბილურდა, ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი ეკონომიკაში მინიმალურია, კრიმინალის

დონე შემცირებული, საკუთრების უფლების ხელყოფა ორგანიზებული დანაშაულის თუ სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან პრაქტიკულად აღმოფხვრილი.

1998 წელს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარებით და წამყვანი ამერიკელი ექსპერტების მონაწილეობით შემუშავდა და მიღებულ იქნა კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“. ამით სერიოზული საძირკველი ჩაეყარა საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას და მართლაც, 2000-2007 წლებში ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში თანდათანობით იკრებდა ძალას.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” კანონში, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 1998 წელს მიიღო (და რომელიც აღიარებული იყო იმ დროისათვის ერთ-ერთი საუკეთესოდ პოსტ-კომუნისტურ სივრცეში), ფასიანი ქაღალდების ინდუსტრია გამიჯნული იყო მისი ბუნებრივი კონკურენტის - საბანკო სფეროსაგან, რათა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ახლადჩამოყალიბებულ მექანიზმს მისცემოდა დამოუკიდებლად განვითარების რეალური შესაძლებლობა. ეს გამიჯვნა გამოიხატა რიგ ასპექტებში: ბანკებს არ შეეძლოთ ბაზარზე უშუალოდ მონაწილეობა (მხოლოდ შვილობილი საბროკერო კომპანიების მეშვეობით); საფონდო ბირჟის არც ერთ მესაკუთრეს არ შეეძლო ჰქონოდა ბირჟის 10%-ზე მეტი წილი, ხოლო ბანკებს ერთად არ შეეძლოთ ჰქონოდათ ბირჟის 50%-ზე მეტი; ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და მისი მონაწილეების ზედამხედველობას ახორციელებდა დამოუკიდებელი რეგულატორი - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, რომელიც იყო კოლეგიალური მართვის ორგანო და გარდა ზედამხედველობისა, მოწოდებული იყო ხელი შეეწყო ამ ინდუსტრიის განვითარებისათვის (2, 25). ამ კანონმდებლობის საფუძველზე 1998-2000 წლებში ჩამოყალიბდა და ამოქმედდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი ინფრასტრუქტურა (საქართველოს საფონდო ბირჟა, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, 12-მდე დამოუკიდებელი რეგისტრატორი), შეიქმნა და ამოქმედდა 40-მდე საბროკერო კომპანია და ა.შ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, არც ერთი წინა ხელისუფლება საქართველოში არ იყო დაინტერესებული ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებით, მაგრამ ამ საქმეში ჩემპიონი მაინც ნაციონალური მოძრაობა აღმოჩნდა. ის აქტიურად ეწინააღმდეგებოდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის არსებობის ისეთ საფუძვლებს, როგორიცაა საკუთრების დივერსიფიკაცია, ბიზნესის მართვის დემოკრატიული და გამჭვირვალე მექანიზმების განვითარება. მართლაც, მათთვის ხომ გაცილებით მარტივი იყო რამდენიმე მსხვილი მესაკუთრის „გაკონტროლება“; გაცილებით ადვილი იყო აგრეთვე ორი-სამი მსხვილი ბანკის მეშვეობით მთელი ბიზნესის დაფინანსების გაკონტროლება. იმ ხელისუფლებას არ სჭირდებოდა მესაკუთრეთა ფართო წრე, რადგან ეს სწორედ საშუალო ფენის და „ზედმეტი თავის ტკივილის“ საფუძველი გახდებოდა. სწორედ ამ მიზნით წინა ხელისუფლების მიერ აქტიურად იბლოკებოდა წამყვანი ქართული კომპანიების აქციათა საქართველოში გაყიდვა. მაგალითად, ხშირად ისმოდა მთავრობის ხელმძღვანელის მოსაზრებები საქართველოს რკინიგზის აქციების შანხაის ან ლონდონის ბირჟაზე გატანის შესახებ და, არავითარ შემთხვევაში საქართველოში: თითქოს საქართველოს მოქალაქეები არ იყვნენ ღირსნი რომ გამხდარიყვნენ ამ წარმატებული ქართული კომპანიების მესაკუთრეები. რა თქმა უნდა, ამგვარი ქმედებები ხელს შეუწყობდა ჩინეთის ან დიდი ბრიტანეთის და არა საქართველოს - საფონდო ბაზრის განვითარებას!

ასევე, სწორედ სუბიექტურ ინტერესებში, წინა ხელისფლების ორ პრემიერ-მინისტრთან დაკავშირებული უმსხვილესი საბანკო ჯგუფის ლობირებით, 2007-2008 წლებში მოხდა ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის ისეთი დამახინჯება, რასაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის დისკრედიტაცია და დანგრევა მოჰყვა. კერძოდ:

- გაუქმდა დამოუკიდებელი რეგულატორი და ფასიანი ქაღალდების ზედამხედველობა ჩაბარდა ეროვნულ ბანკს, რომლის მთავარ საზრუნავს ყოველთვის კონკურენტი საბანკო სფეროს განვითარება წარმოადგენდა და ფასიანი ქაღალდების ბაზარი უკეთეს შემთხვევაში მისი „გერის“ როლში თუ მოგვევლინებოდა (ხოლო უკანასკნელ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ იგი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ბევრ ინსტიტუტს თავის კონკურენტადაც კი აღიქვამს);

- ბანკებს მიეცათ უფლება უშუალოდ ჩართულიყვნენ ამ საქმიანობაში;
- გაუქმდა შეზღუდვები საფონდო ბირჟის მესაკუთრეობაზე და ბანკებს მიეცათ შესაძლებლობა სრულად დაპატრონებოდნენ კონკურენტი სფეროს ინფრასტრუქტურას;
- ამის გარდა, თუ ამ ცვლილებებამდე ბირჟაზე დაშვებულ ფასიან ქაღალდებზე გარიგებები აუცილებლად კონკურენტულ და გამჭვირვალე გარემოში - ბირჟაზე - უნდა დადებულიყო, ამ ცვლილებების შემდეგ ეს აღარ იყო აუცილებელი. შედეგად, გარიგებათა 95%-ზე მეტმა ბირჟის გარეთ, ჩრდილში, გაუმჭვირვალე და არაკონკურენტულ გარემოში გადაინაცვლა (იხ. ნახ.1.). ამის შედეგად ფასიანი ქაღალდების ფასების შესახებ ინფორმაცია გახდა ნაკლებად სანდო და ხშირად ცალსახად ხელოვნური (მართლაც, ბირჟისათვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, ხშირად ერთსა და იმავე ფასიან ქაღალდზე ერთი დღის განმავლობაში ფასები 10-ჯერ და მეტჯერ განსხვავდებოდა!).

ყოველივე ზემოხსენებულმა, რა თქმა უნდა, როგორც ადგილობრივი ასევე უცხოელი ინვესტორების სერიოზული უნდობლობა გააჩინა ჩვენი ფასიანი ქაღალდების ბაზრის მიმართ და შედეგად, როგორც ბაზრის კაპიტალიზაციის, ასევე ბრუნვების მნიშვნელოვანი ვარდნა მოჰყვა.



ნახ. 1. **საქართველოს საფონდო ბირჟაზე და მის გარეთ დადებული გარიგებები**

ამასთანავე, სხვა სუბიექტური ფაქტორები უდევს საფუძლად მოვლენებს, რომლებიც დღემდე ხელს უშლიან საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარებას:

- როდესაც 2000-2007 წლების ბაზრის თანდათანობითი, მაგრამ დამაჯერებელი, ზრდის შემდეგ NASDAQ-OMX-მა მოისურვა შეეძინა საქართველოს საფონდო ბირჟის საკონტროლო პაკეტი და განვითარების ახალ ეტაპზე გაეყვანა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი, წინა ხელისუფლების ორ პრემიერ-მინისტრთან დაკავშირებულმა საბანკო ჯგუფმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია მათ შემოსვლას, კანონმდებლობაში შეიტანა ზემოხსენებული დამანგრეველი ცვლილებები და ამით, ერთი მხრივ, უმძიმესი დარტყმა მიაყენა ქვეყნის საფონდო ბაზარს და, მეორე მხრივ, ჩაშალა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი საბირჟო ოპერატორის NASDAQ-OMX-ის შემოსვლა საქართველოში;
- 2012 წლის შემდეგ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ ინიცირებული კანონპროექტი, რომელიც მთავარ მიზნად სწორედ იმ საბედისწერო საკანონმდებლო ცვლილებების გაუქმებას ისახავდა, უკვე 3 წელია იგივე საბანკო ჯგუფის მხრიდან იბლოკება;
- 2014-2015 წლებში სრული კონტროლის დამყარება კონკურენტი სფეროს – ფასიანი ქაღალდების ბაზრის – მთელს ინფრასტრუქტურასა და საკვანძო ინსტიტუტებზე საბანკო ჯგუფის მიერ, რომელშიც ლომის წილი „საქართველოს ბანკს“ ეკუთვნის;

- იგივე ჯგუფის მიერ მიზანმიმართულად ხდება შეცდომაში შემყვანი წარმოდგენის დამკვიდრება, თითქოს საქართველოში ფული არ არის და აუცილებელია საუკეთესო ქართული კომპანიების აქციების უცხოურ ბირჟებზე გაყიდვა (არადა, დღეს მხოლოდ საქართველოს საბანკო სისტემაში 14 მილიარდ ლარამდეა დალექილი დეპოზიტებზე);
- დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლის აუცილებელი პროცესის შენელება.

ამრიგად, ყველაფერი დამოკიდებულია პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე - უპირატესობა მიენიჭება ცალკეული პოლიტიკური ჯგუფებისა და მათთან დაკავშირებული ბანკების მონოპოლისტურ მისწრაფებებს, თუ ქვეყნის განვითარების ინტერესებს. თუ გადავხედავთ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ისტორიას, თვალნათლივ დავინახავთ, თუ როგორი არჩევანი გააკეთეს მათ.

დღესდღეობით, 14 მილიარდ ლარამდეა განთავსებული საბანკო დეპოზიტებზე და ამ თანხების დიდი ნაწილი სხვა საინვესტიციო არხებში წარიმართებოდა ასეთების არსებობის შემთხვევაში. მით უმეტეს, რომ საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ დეპოზიტებზე მნიშვნელოვნადაა შემცირებული წინა წლებთან შედარებით. სასურველია კიდევ ერთხელ გავამახვილოთ ყურადღება იმ ზოგიერთ ღონისძიებაზე მაინც, რაც აუცილებელია ქვეყანაში ნორმალური ფასიანი ქაღალდების ბაზრის ასამოქმედებლად, კერძოდ:

- პირველ ეტაპზე (2015 წლის ბოლომდე) „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონში ცვლილებების განხორციელება, რომლებიც აღადგენს იმ უმნიშვნელოვანეს ნორმებს, რაც 2007-2008 წლის საბედისწერო ცვლილებებამდე მოქმედებდა, ხოლო მომდევნო ეტაპებზე საკანონმდებლო ბაზის საბოლოო ჰარმონიზება ევროკავშირის დირექტივებთან და სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან (2018-2020 წწ.);
- ეროვნული ბანკისაგან დამოუკიდებელი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის სასწრაფო ამოქმედება;
- საბანკო მექანიზმებსა და ფასიანი ქაღალდების ბაზარს შორის არსებული ასიმეტრიის აღმოფხვრა კანონმდებლობისა და რეგულირების სხვადასხვა სფეროებში (მაგ., საგადასახადო, სავალუტო რეგულირება და ა.შ.);
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის (საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი) კონკურენტი საბანკო სფეროს კონტროლიდან გამოყვანა და მათზე საკუთრების დივერსიფიკაციის იმგვარი მექანიზმის დამკვიდრება, რაც უზრუნველყოფს „სამართლიანი სათამაშო მოედნის“ პრინციპს და ინვესტორთა და ემიტენტთა სრულ ნდობას დაიმსახურებს;
- საპენსიო რეფორმის განხორციელება, რომლის შედეგად ამოქმედდება სახელმწიფო დაგროვებითი საპენსიო სისტემა, სადაც აკუმულირებული სახსრების დიდი ნაწილის ინვესტირება სწორედ ადგილობრივ ფასიან ქაღალდებში, ადგილობრივ ეკონომიკაში მოხდება;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მსხვილ ქართულ კომპანიათა აქციებისა და ობლიგაციების საჯარო შეთავაზების განხორციელება საქართველოში, ან პარალელურად საქართველოს და უცხოურ საფონდო ბირჟებზე;
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით:
  - ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის შემდგომი სრულყოფა და გაძლიერება;
  - საერთაშორისო საბირჟო და საკლირინგო-საანგარიშო სისტემებში ამ ინფრასტრუქტურის ჩართვის ხელშეწყობა;
  - საბროკერო კომპანიების - ფასიანი ქაღალდების ბაზრის საკვანძო რგოლის - ინსტიტუციური განვითარება.

საქართველოში ჩამოყალიბდა და ფუნქციონირება დაიწყო სს „საქარათველოს საფონდო ბირჟამ“. ბირჟის საქმიანობის ძირითადი მიზანია საქართველოში ფასიანი ქაღალდების გამჭვირვალე და ლიკვიდური ორგანიზებული ბაზრის ჩამოყალიბება. თუმცა, მისი საქმიანობა დღემდე დაბალი აქტივობით ხასიათდება, რომლის მიზეზიც შემდეგია: საქართველო განიცდის მიმზიდველი ფასიანი ქაღალდების დეფიციტს; თავდაპირველად

აქციების დიდი რაოდენობა სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა და მათი რეალიზება ყოველგვარი ბაზრის გარეშე ხდებოდა.

საქართველოში 1999 წლის იანვარში დაარსდა „საქართველოს საფონდო ბირჟა“, მაგრამ სამწუხაროდ, დღემდე განვითარების სტადიაშია. მეტიც, დახურვის პირამდეა მისული, თუნდაც იმიტომ, რომ მიმდინარე წლის მარტის მონაცემებით, სავაჭრო სესიების ჩავარდნას აქვს ადგილი, ან მხოლოდ ერთი ემიტენტის აქციებზე დგება გარიგებები და ეს ემიტენტი სს „საქართველოს ბანკია”. საქართველოს საფონდო ბირჟის ფორმირება ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ განაპირობა მისი საქმიანობის ძირითადი მიზანი – საქართველოში ფასიანი ქაღალდების გამჭვირვალე და ლიკვიდური ორგანიზებული ბაზრის ჩამოყალიბება, სიცოცხლისუნარიანი სავაჭრო მექანიზმის შექმნა და სრულყოფილი ფუნქციონირების უზრუნველყოფა იყო, თუმცა, მისი საქმიანობა დღემდე დაბალი აქტივობით ხასიათდებოდა. საქმე იმაშია, რომ საქართველო „მომხიბვლელი ფასიანი ქაღალდების დეფიციტს განიცდის. რაც შეეხება 1997 წელს ემიტირებულ სახაზინო ვალდებულებებს, იგი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იყიდებოდა აუქციონის წესით, რის გამოც 2005-2006 წლებში კურიოზული ფაქტებიც კი დაფიქსირდა – სახაზინო ვალდებულებებზე მოთხოვნა იზრდებოდა და საპროცენტო განაკვეთები კი მცირდებოდა, რაც საბაზრო ეკონომიკას ნამდვილად არ ახასიათებს.

მსოფლიო ფინანსური კრიზისი საქართველოს საფონდო ბირჟაზე მეტ-ნაკლებად აისახა, რაზეც მეტყველებს 2008 წლის მონაცემები: მთელი წლის განმავლობაში განხორციელდა 3180 გარიგება, რაც წინა წელთან შედარებით თითქმის განახევრებულია, გაიყიდა 83150154 აქცია (სულ 256,6 მლნ ლარის ღირებულების). 2007 წელთან შედარებით აქციის რაოდენობაც ნაკლებია, მაგრამ მათი ღირებულება 2,5-ჯერაა გაზრდილი. რაც განაპირობა აქციების ფიქსინგის გზით რეალიზებამ (ფიქსინგი არის 2007 წლის 31 მარტის ცვლილების შედეგი „ფასიანი ქაღალდების შესახებ“ კანონში, რომლის თანახმადაც გარიგება საჯარო ფასიანი ქაღალდებით შესაძლებელია დაიდოს ბირჟაზე და მის გარეთაც, საბროკერო კომპანიების მონაწილეობით ან მის გარეშეც). ამასთან, 100 ლარზე მეტი ღირებულების გარიგების შესახებ ინფორმაცია უნდა იქნეს დაფიქსირებული თვითონ საფონდო ბირჟაზე საჯარო ინფორმაციის მიზნით. მაგალითად, მიმდინარე წლის 25 მარტის სავაჭრო სესია საქართველოს საფონდო ბირჟაზე არ შემდგარა. სამაგიეროდ, ფიქსინგით შედგა 3 გარიგება სს „საქართველოს ბანკის“ 54,550 აქციაზე, რომელთა ღირებულებამაც 64,750 ათასი ლარი შეადგინა.

წლის მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში 16 საბროკერო კომპანია საქმიანობდა, რომელთა შორისაც ლიდერობდა სს „galt end Taggarti“. ის 2000 წელს და 2004 წელს სს „საქართველოს ბანკის“ შვილობილი კომპანია გახდა. „galt end Taggartis“ მისია იყო მთავარი ფინანსური მრჩევლის როლში ყოფნა, სანდო პარტნიორობა და კონსულტაციები წამყვანი ქართული კომპანიებისათვის. დღეს მისი საშუალებით შესაძლებელია ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა მსოფლიოს სხვადასხვა ბირჟებზე, მხოლოდ ერთი პირობით – უნდა გახსნან საბროკერო ანგარიში იმ ქვეყანაში, სადაც ბირჟა მდებარეობს. კომპანიის საშუალებით მრავალი უცხოელი ახორციელებს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას და კასტოდიანურ მომსახურებას, რომლის გარანტადაც სს „საქართველოს ბანკი“ გამოდის. საბროკერო კომპანია „galt & Taggartis“ წილი საქართველოს საფონდო ბირჟის მოცულობაში ყოველ წელს იზრდებოდა, განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია 2006 წელს და ბირჟის ვაჭრობის მოცულობამ 90%-ს მიაღწია, რის გამოც საბირჟო საქმიანობის განვითარების ასოციაციამ „galt & Taggarti“ აღიარა როგორც საუკეთესო საბროკერო კომპანია; ყველაზე აქტიური, ბირჟაზე და უმსხვილესი გარიგებების შემსრულებელი ბირჟაზე. საქართველოს საფონდო ბირჟაზე გამოიყენება საბირჟო ინდექსი, „galt & Taggarti”, რომელიც საბროკერო კომპანია „galt end Taggartis“ დაარსებულია და მასში შედის საქართველოს საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებული C&T BLUE CHIP ტიპის რვა კომპანიის აქციები, მათ შორისაა: „საქართველოს ბანკი“, „galt & Taggart kapitali“, უნივერმაღი „თბილისი“, „თელიანი ველი“, „ყაზბეგი“, „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, „გაერთიანებული ტელეკომი“ და ს.ს. „თელასი“. საბირჟო ინდექსი აქციების ფასების დონის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის. აქციების კალათის შემადგენლობა, რომელთა საფუძველზეც ბირჟის ინდექსი გამოითვლება მუდმივი არაა. ის კვირაში ორჯერ გამოითვლება და ყოველ კვარტალურად მოწმდება.

„galt & Taggartis“ ინდექსმა, ჯერ კიდევ 2008 წლის თებერვლიდან დაიწყო ვარდნა, მაშინ ის 0,2%-ით 916,8 პუნქტამდე შემცირდა. „galt &Taggartis“ შემცირების ტენდენცია დღემდე გრძელდება, როგორც მსოფლიო საბირჟო ინდექსების უმრავლესობა, რაც გლობალური ეკონომიკური კრიზისის შედეგია 2009 წლის მარტის მონაცემებით.

2007 წელს საქართველოს საფონდო ბირჟის შესყიდვით მსოფლიო ბირჟების უდიდესი გაერთიანება OMX დაინტერესდა. ეს გარიგება, სამწუხაროდ, მთავრობის ინიციატივით ჩაიშალა, რის გამოც საბროკერო კომპანიებმა 3 მლნ ევროთი იზარალეს. ახლახან „omeqs nasdaqi“ ისევ დაინტერესდა სსბ-ის შესყიდვით, მაგრამ ამ ინტერესის შემაფერხებელი ფაქტორი საკანონმდებლო ბაზაა. ბირჟის შესყიდვის იდეა ახალი არ არის მსოფლიოსათვის, რადგანაც ნებისმიერი ინვესტორი ცდილობს ხელში ჩაიგდოს ახალი მომხმარებელი, რათა მნიშვნელოვნად გაზარდოს თავისი შემოსავლები. საბირჟო ბიზნესის თავისებურებიდან გამომდინარე, ინვესტორი ბაზრის დაცემის ან აღმასვლის შემთხვევაში უფრო დიდ ფულს იშოვის, ვიდრე სხვა სფეროდან. პირველად ბირჟის შესყიდვის იდეა ამერიკელებს გაუჩნდათ, რომლებმაც მსოფლიოს უმსხვილესი ბირჟის - ლონდონის საფონდო ბირჟის - შესყიდვა გადაწყვიტეს, მაგრამ თვითონ ბირჟამ უარი განაცხადა. რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ ამერიკელმა Nasdaq-მა ბირჟის აქციების ყიდვა გადაწყვიტა და 28%-ს დაეპატრონა. ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაც ცდილობს ევროპაში შეჭრას. ამ მიზნით მან უკვე გადაყლაპა ფრანგული Euronext-ი, Nasdaq-მა მთლიანად შეისყიდა შვედური ბირჟა, რომელიც თავის მხრივ სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის ფასიანი ქაღალდების ბაზრის 80%-ს აკონტროლებდა. აღნიშნული ბირჟების შესყიდვით არაბეთის ბირჟა - Dubai-იმ დიდ წარმატებებს მიაღწია Nasdaq-ის 20%-ისა და ლონდონის საფონდო ბირჟის 28%-ის შესყიდვით. ასე, რომ საქართველოს საფონდო ბირჟით დაინტერესება ჩვენი ქვეყნისათვის მისაღებია, რადგანაც უცხოური ინვესტიციების შემოსვლა ხელს შეუწყობს საფონდო ბირჟის ნორმალურ ფუნქციონირებას და განვითარებას.

მაშასადამე, გლობალური საფინანსო ბაზრის განვითარება პირდაპირ კავშირშია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირება-ფუნქციონირებასთან, რადგანაც ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზარი ფინანსური ბაზრის ერთ-ერთი სექტორია. იგი, ერთი მხრივ, მსოფლიო მასშტაბით განხორციელებული რეალური კვლავწარმოებითი პროცესის ასახვაა, მეორე მხრივ კი, შედარებით დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობს და თავის განსაკუთრებულ კანონზომიერებებს ემორჩილება. საფონდო ბაზრის განვითარების პროგრამა უნდა ეფუძნებოდეს ეტაპობრივ, ევოლუციურ განვითარებას, რათა ინფრასტრუქტურის წარმომადგენლებმა წინასწარ მოახერხონ ადაპტირება განსახორციელებელ ცვლილებებთან. აუცილებელია განისაზღვროს კონცეპტუალური პრიორიტეტები საერთაშორისო გამოცდილებისა და ფინანსური ბაზრების განვითარების ბოლო დროინდელი ტენდენციების, საქართველოს მასშტაბისა და ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით. სასურველია, რომ საქართველოშიც თანდათანობით იქნეს დანერგილი გამჭვირვალობის კრიტერიუმები, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. ტრასფარანტულობის დამკვიდრება და ხარისხზე მოთხოვნის ეტაპობრივი ზრდა, მნიშვნელოვან თანხვედრაშია ქვეყანაში ჩასატარებელ ეკონიმიკურ რეფორმებთან, ინვესტორთა ინტერესებთან, საზოგადოებრივ მოთხოვნასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კაკულია რ., ფულად-საკრედიტო პოლიტიკა: თეორიისა და ორგანიზაციის აქტუალური საკითხები, თბ., 2010.
2. ლოლაძე გ., ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში – პრობლემები, გამოწვევები და პერსპექტივები, თბ., 2015.
3. საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, თბ., 2009.
4. http://www.radiotavisupleba.ge/a/25390387.html
5. http://sazogadoeba.ge/?post_id=1493

სოფიო ბლიაძე, ნანა რინკიაშვილი

ფასიანი ქაღალდების ბაზრის მიმოხილვა და საფონდო ბირჟების განვითარება საქართველოში

რეზიუმე

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი რგოლი – ფასიანი ქაღალდების ბაზარი და მისი გამართული ფუნქციონირებაა. ისეთი განვითარებადი ქვეყნები, როგორიც საქართველოა, განიცდიან საკუთარი სახსრების არარსებობას, საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება კი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ამუშავებაა. ფასიანი ქაღალდების ბაზარი გლობალური ეკონომიკის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ელემენტია, რომლის გარეშეც შეუძლებელია საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება.

საქართველოს საფონდო ბირჟა არსებობის 15-წლიან გამოცდილებას ითვლის. მიუხედავად ამისა, ამ სფეროში პრობლემები ჯერ კიდევ ბევრია და სადაო არაა ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოს საფონდო ბაზარი გამოირჩევა ძალიან დაბალი აქტივობით.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს, ეს ბაზარი ხელს უწყობს ფინანსური რესურსების აკუმულირებას და მათ ჩართვას ეკონომიკის, მრეწველობის განვითარების პროცესში.

Sopio Bliadze Nana Rinkiashvili

Overview of Securities' Market and the Development of the Stock Exchange in Georgia

Summary

An important component of economic development of the country is the market of securities and its correct functioning.Developing countries such as Georgia, suffer from the lack of own funds, and one of the best way of attracting investment capital is to activate the securities market.The securities market is necessary and important element in the global economy, without which a market economy can not function properly.

The Georgian Stock Exchange counts the 15-year of experience.However, this field still has a lot of problems, and the fact, that today, the stock market is distinguished by very low activity is not disputable.

Development of Securities Market of Georgia represents one of the most important conditions for the development of economy, this market is contributing to the accumulation of financial resources and their involvement in the economy and the development of the industry.

Софио Блиадзе, Нана Ринкиашвили

Обозрение рынка ценных бумаг и развитие фондовых бирж в Грузии

Резюме

Важным звеном в развитии экономики страны является рынок ценных бумаг и его правилное функционирование.

Такие развивающиеся страны, как Грузия, испитивают отсутствие личных фондов, а для привлечения инвестиций капитала одним из лучших средств запуск рынка ценных бумаг.

Грузинская фондовая биржа насчитывает 15- летний опыт существования. Несмотря на это, в этой сфере еще много проблем и можно сказать, что сегодня фондовый рынок Грузии отличается очень низкой активностью.

Развитие рынка ценных бумаг в Грузии является одним из важнейших условий развития экономики. Этот рынок способствует аккумуляции финансовых ресурсов и их включунию в процесс развития экономики и промышленности.

ლარისა დოლიკაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

„ცის კიბის“ ფესტივალი

„ცის კიბის“ ფესტივალის დაარსების იდეა მაშინ დაგვებადა, როცა ირანიდან ჩამოსულმა ჩვენი ოჯახის სტუმრებმა ერთი ამბავი გვიამბეს. „ფერეიდანში საქართველოზე მხოლოდ ზღაპრები არსებობდა. მოხუცები ბავშვებს უყვებოდნენ ზღაპარს ცისარტყელაზე – ცის კიბეს ერთი ფეხი საქართველოში აქვს, მეორე კი ფერეიდანში, ვინც ცისარტყელაში გაძვრება საქართველოში აღმოჩნდებაო“. ბავშვებიც მოუთმენლად ელოდნენ ცისარტყელას, რათა დადევნებოდნენ მას და ოცნებას, რომელსაც საქართველო ერქვა. ეს ოცნება დიდხანს გაგრძელდა .... ამ ზღაპრის ისტორია კი ასეთია:

დიდ აბრეშუმის გზაზე მდებარე საქართველო ყოველთვის იზიდავდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, მათ შორის ირანსაც. ირანი საქართველოს წინააღმდეგ დამპყრობლურ ომებს გამუდმებით აწარმოებდა. ამ ომების დროს საქართველოს მკვიდრ მოსახლეობას თავისი მიწებიდან სდევნიდნენ და ირანში ასახლებდნენ. ფრანგი მოგზაურის, ჟან შარდენის ცნობით, საქართველოს ოთხგზის დალაშქვრის შედეგად შაჰაბასმა 400 ათასამდე ქართველი ტყვედ წაიყვანა (1614–1677 წწ.) და ირანში ჩაასახლა. ასე გაჩნდა ირანში ქართული დასახლება ფერეიდანი, სადაც ჩვენი გმირი წინაპრების მეთექვსმეტე თაობა ცხოვრობს (დღეს ირანში 500 ათასამდე ქართველია), რომლებიც არ გატყდნენ, მიუხედავად იმისა რომ ირანში არც ერთი ქართული სკოლა არ არსებობს, დღემდე შეინარჩუნეს ქართული ენა და ქართული ადათ-წესები. ირანის სხვა რაიონებში (ხორასანი, მაზანდარანი, ფარსი) ქართულად ვერ მეტყველებენ. ამ ეტაპზე ძირითადი პრობლემაა ანბანის არ ცოდნა და წერითი კულტურის არ ქონა, ზეპირი გადმოცემებით რაც შეინარჩუნეს ეს ნამდვილად გმირობის ტოლფასია. ამიტომ ენის განმტკიცებისა და წერა–კითხვის განვითარებისათვის ძალიან კარგი იქნება თუ მოხდება სასწავლო ტურიზმის ფარგლებში მონდომებული ახალგაზრდების წახალისება და საქართველოში მათი ჩამოყვანა, თუნდაც ეს იყოს თავდაპირველად სუფსიდირებული მოგზაურობა სახელმწიფოს მიერ, რაც სტიმულს მისცემს იქაურებს უკეთესად ისწავლონ მშობლიური ენა. ფერეიდნული ქართული თანამედროვე ქართულისაგან ბევრად განსხვავებულია, რაც გამოწვეულია საქართველოსგან სიშორით, ის უფრო ძველია და გამომდინარეობს კახურ-ინგილოური კილოდან. ქართულ დასახლებებში შემონახული უმთავრესი და უდიდესი არამატერიალური მემკვიდრეობაა – ქართული ენა და ქართველური დიალექტები, ფოლკლორი, თქმულებები, რომელთა შეგროვება და მონაცემთა ბაზის შექმნა (როგორც ვიდეომასალის, ასევე ტექსტების) ყველაზე საშური საქმეა დღეს. ვთვლით, რომ ქართული ენა და მისი განსხვავებული დაიალექტები არის როგორც ქართველი ერის, ასევე ირანის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა; ამ მემკვდირეობის შესანარჩუნებლად აუცილებელია საქართველოსა და ირანის ინტენსიური თანამშრომლობა; მთელი მე–17– მე-18 საუკუნე არაფერი ვიცოდით ერთმანეთის შესახებ, იმიტომ რომ იქ არ ჩასულა არც ერთი მოგზაური, რომელიც ამის შესახებ დაწერდა. 1894 წელს პირველი ქართველი მოგზაური, რომელმაც ფეხი შედგა ფერეიდანის მიწაზე იქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობის გაცნობის მიზნით, იყო ლადო აღნიაშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნებს შორის მზარდი სავაჭრო და ტურისტული ურთიერთობების წყალობით უკვე ბევრი ქართველი ხვდება ირანში და ბევრი ახერხებს საქართველოს მონახულებას. წელს სავიზო რეჟიმის გაუქმებამ პირველ კვარტალში ტურისტების 380 %-იანი ზრდა გამოიწვია.

„ცის კიბის“ საერთაშორისო ფესტივალი, ყველა მსურველს დაიტევს, ეს იქნება ზეიმი ადამიანების გამძლე სულისა და ვაჟკაცობის პატივისცემის ნიშნად, რომელსაც ბოროტება ვერ ამარცხებს.

ფესტივალი „ცის კიბე“ შესაძლებელია ჩატარდეს ღვინობისთვეში (ასე ეძახიან საქართველოში ოქტომბრის თვეს), როცა მთელ საქართველოში ახალი ღვინისა და ყურძნის სურნელი ტრიალებს, დესტინიციად კი მოვიაზრებთ კახეთის რეგიონს საიდანაც

ისინი იქნენ გასახლებულნი. ტურისტებს შევთავაზებთ ქართული ხალხური ტრადიციების მთელ სიმდიდრეს. გაეცნობიან რა ადგილობრივ სამზარეულოს, ასევე გაიგებენ ქვეყნის მატერიალური კულტურის, ფოლკლორისა და საკვები პროდუქტების წარმოების ტრადიციული მეთოდების შესახებ. ყურძნის დაწურვის, ღვინის დაყენების უძველეს ტრადიციებს, მოეწყობა პოეზიის საღამოები, გაიმართება ხალხური მუსიკისა და ცეკვის, ქეთევან დედოფალზე თეატრალიზებული საღამოები, მხატვრული კითხვის კონკურსები, ქართული ანბანის, მხატვრული ნამუშევრების, ქართული სამოსის გამოფენები. დაბოლოს, ფესტივალის დასასრულს ცაში გაფრინდება ცისარტყელას ფერებში ჰაერბურთები და ცისარტყელას იმიტირებული ფეიერვერკები, ნიშნად იმისა რომ ყველა ოცნება შეიძლება ასრულდეს.

ვფიქრობთ, ამ ხალხის წინაშე ყველანი ვალში ვართ, ეგებ ამ გზით მოვახდინოთ იმ უსამართლობის აღდგენა, რაც თავის დროზე ქვეყნის წინაშე ჩადენილი ჰუმანიზმისა და სამართლის პრინციპების დარღვევის, ერის უსაფრთხო განვითარების, სიცოცხლისუნარიანობის, ავტონომიურობის, თვითგანკარგვის შებღალვით მიმდინარეობდა. სამართლიანობის აღდგენას მოჰყვება შესაბამისი პრევენციული განწყობა საზოგადოებაში, მიუხედავად უკეთური მცდელობისა, ისტორიის ქარტეხილებისა მაინც გაიმარჯვებს სიმართლე. ისინი დაუბრუნდებიან თავიანთ ისტორიულ სამშობლოს, ქართულ ენაზე გამართული მეტყველება დაეხმარებათ დაკარგული ცხოვრების წესის აღდგენაში, იყვნენ ადამიანები ერის, კაცობრიობის, სამყაროს, ერთგული, თავდაუზოგავი, მოსიყვარულე და მოქალაქეები საქართველოსი. გვინდა წარმოვადგინოთ „ცის კიბის“ ფესტივალის ჩატარების ჩვენეული პროექტი.

პროექტის სახელწოდება: „ცის კიბის ფესტივალი“ (ირანის ქართველების დღეები და კულტურის ფესტივალი საქართველოში)

პროექტის ხანგრძლიობა: 3 დღე;

პროექტის ვადები:26-28 სექტემბერის ჩათვლით (26 სექტემბერი - ქეთევანობა);

განხორციელების გზები:

1. ფერეიდანში არსებული ქართული სიმღერის ანსამბლის საკრავებითა და ნაციონალური ტანსაცმლით უზრუნველყოფა, საფესტივალოდ ანსამბლების მომზადება;
2. გასვლითი ტურები საქართველოს ისტორიული და კულტურული ძეგლების მოსანახულებლად;
3. რუსთაველის გამზირზე ირანელი ქართველების ხელნაკეთი ნივთებისა და ხელოვნების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა (ნახატები, ქანდაკებები, თექა, ხალიჩები, ჩასაცმელი, ფეხსაცმელი, საყოფაცხოვრებო აქსესუარები);
4. ირანელი ქართველების თემაზე ნაშრომების გამოცემის ხელშეწყობა და ბუკლეტების დამზადება;

მოსალოდნელი შედეგები: ფესტივალის შედეგად ჩვენი თანამოძმეები უშულოდ ეზიარებიან ქართულ კულტურას. საქართველოში გატარებული ეს პერიოდი მათში ქართული ეროვნული იდენტობის გაღვივებისა და გაძლიერების წინაპირობა იქნება. ბედის უკუღმართობით სამშობლოს ჩამოშორებული ქართველები თავს კვლავ ქართველებად იგრძნობენ, გაიჩენენ ახალ ქართველ მეგობრებს, რის შედეგადაც საქართველოს ინტერესების დასაცავად საქართველოს კეთილისმსურველი ელჩები იქნებიან თავიანთ სახელმწიფოში, შესაძლებელია მათ სამშობლოს წიაღში დაბრუნების სურვილიც გაუჩნდეთ, რაც საქართველოს გაძლიერებისა და გაერთიანებისათვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე ა., რწმენა, თბ., 1990.
2. ბართაია ნ., ირანული ჩანახატები, თბ., 2001.
3. გრიფიუსი ა., ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე, თბ., 1975.
4. შარაშენიძე ზ., ფერეიდნელი „გურჯები“, თბ., 1979.
5. ჭიპაშვილი გ., ფერეიდნელი ქართველები, თბ., 1963.
6. ჭელიძე ა., ფერეიდნელი ქართველები, თბ., 1951.
7. ჯოლია გ., ქვეყანათმცოდნეობა, თბ., 2004.
8. http://ick.ge/photogalleries/16459-i.html

9. http://genia.ge/
10. Travel & Tourism Economic impact 2015Iran.

ლარისა დოლიკაშვილი
„ცის კიბის“ ფესტივალი
რეზიუმე

ფესტივალი „ცის კიბე“ – ეძღვნება ირანში გადასახლებულ ქართველებს, რომელიც შესაძლებელია ჩატარდეს ღვინობისთვეში. ფესტივალის შედეგად ჩვენი თანამოძმეები უშულოდ ეზიარებიან ქართულ კულტურას. საქართველოში გატარებული ეს პერიოდი მათში ქართული ეროვნული იდენტობის გაღვივებისა და გაძლიერების წინაპირობა იქნება. ბედის უკუღმართობით სამშობლოს ჩამოშორებული ქართველები თავს კვლავ ქართველებად იგრძნობენ, გაიჩენენ ახალ ქართველ მეგობრებს, რის შედეგადაც საქართველოს ინტერესების დასაცავად საქართველოს კეთილისმსურველი ელჩები იქნებიან თავიანთ სახელმწიფოში, შესაძლებელია მათ სამშობლოს წიაღში დაბრუნების სურვილიც გაუჩნდეთ, რაც საქართველოს გაძლიერებისა და გაერთიანებისათვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

Larisa Dolikashvili
"Sky Ladder" Festival
Summary

The idea of the festival- "Sky Ladder" is dedicated to Georgians who were banished in Iran, can be held in Gvinobistve(so called in my country the October month) in the whole of Georgia, the new wine and grape scent, from which they were exiled destinitsiad even see ourselves as a region. Tourists will offer a wealth of Georgian folk traditions. Learn about the local cuisine, as well as understand the material culture, folklore and traditional methods of food production. Learn about the grapes, wine, ancient traditions. There will be poetry. To be held in folk music and dance, the Queen Ketevan theatrical evenings, the question of artistic competitions, the Georgian alphabet, artistic works, Georgian clothing exhibitions. And at the end of the festival fly balloon shades with rainbows color in the sky, and simulated fireworks rainbow, a symbol of the fact that all dreams are fulfilled.

Лариса Доликашвили
Фестиваль "Небесная лестница"
Резюме

Фестиваль "Небесная лестница" посвещается грузинам, живущим в Иране и возно будет проведён в октябре. В следствии фестиваля наши собратья смогут причастится к грузинской культуре. Проведённые в Грузии дни в них пробудят и укреплят национальную идентичность и по велению судьбы отдалённые от родины грузины вновь почувствую себя сыновьями этой земли. Заимеют новых друзей, в последствии чего окажутся доброжелающими послами и хранителями грузинских интересов в своей стране.

თამარ ზირაქაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი

კომპანიის ფინანსური მენეჯმენტის საინფორმაციო ბაზის სრულყოფა

ეკონომიკურმა კრიზისმა შესაძლოა ბევრი კომპანია მიიყვანოს იმ მდგომარეობამდე, რომელიც ახლოს არის გაკოტრებასთან. ასეთ პირობებში აუცილებელია სიტუაციის ობიექტურად შეფასება ლიკვიდობასთან დაკავშირებული დროებითი პრობლემებისა და სრული გადახდის უუნარობის იდენტიფიცირების გზით. მხოლოდ კომპლექსური და სისტემური ანალიზის საშუალებით არის შესაძლებელი არსებული ან პოტენციური მდგომარეობის ობიექტური შეფასება და სწორი გადაწყვეტილების მიღება. ეს განსაკუთრებით აქტუალურია გრძელვადიანი ურთიერთობების დაგეგმვის დროს, კერძოდ, მის ფასიან ქაღალდებში სახსრების ინვესტირებისას. ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანია მომხმარებლების მრავალი ჯგუფისათვის, მათ შორის, ვინც მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად პირდაპირ ან ირიბად არის დაინტერესებული აღნიშნული ინფორმაციის მიღებით, შეიძლება გამოიყოს შემდეგი ჯგუფები:

კრედიტორები, რომლებიც დაინტერესებულები არიან კომპანიის მდგრადი ფინანსური მდგომარეობის შენარჩუნებით, რაც იძლევა სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტების დროულად დაფარვის შესაძლებლობას. ამ სახის კრედიტორების შემადგენლობა სხვადასხვაგვარია - ეს შეიძლება იყოს ბანკები, საფინანსო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები, კერძო პირები და ა.შ.

კომპანიის მესაკუთრეები, რომელთა ინტერესებშია გაზარდონ საწარმოთა ღირებულება და მათი შემოსავლები, რაც შესაძლებელია მხოლოდ საწარმოს მდგრადობის შენარჩუნების პირობებში.

კომპანიის თანამშრომლები - ხშირად მათ ინტერესებს საკრედიტო ხასიათი აქვთ ხელფასთან მიმართებაში. კომპანია ვალდებულია, რომ თავისდროულად და სრულად შეასრულოს ყველა თავისი მიმდინარე სახელფასო ვალდებულება თანამშრომლების მიმართ, რომლებსაც აინტერესებთ თავიანთი სამუშაო ადგილის შენარჩუნების პერსპექტივა, შრომის ანაზღაურებისა და ასევე, სოციალური შეღავათების გაზრდა რაც დიდად არის დამოკიდებული დამქირავებლის ფინანსურ მდგომარეობაზე. კომპანიის დაქირავებულ თანამშრობლებს შორის მნიშვნელოვანია აღინიშნოს **მენეჯერების** ჯგუფი, რომლებიც პირადად არიან დაინტერესებულები კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის ყველა მიმართულებით პოზიციების გაძლიერებით. კომპანიის გაკოტრება მათთვის არის არა მარტო სამუშაო ადგილის, არამედ პროფესიული იმიჯის დაკარგვაც. გარდა ამისა, ხელმძღვანელები, როგორც წესი, არიან საწარმოს თანამფლობელებიც, რაც ზრდის მათ დანაკარგებს გაკოტრების შემთხვევაში. სწორედ მენეჯერებისათვის არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია კომპანიის მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ, რომლის შესწავლის საფუძველზე ხდება მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება საქმიანობის საწარმოო, კომერციულ და ფინანსურ სფეროებში.

სახელმწიფო-ხელისუფლების ადგილობრივი და ფედერალური ორგანოები, რომელთაც აინტერესებთ:

- რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შენარჩუნება და ზრდა;
- ბიუჯეტში შემოსავლების გადიდება;
- მოსახლეობის დასაქმების აუცილებელი დონის უზრუნველყოფა;
- აუცილებელი საქონლის, სამუშაოების, მომსახურების წარმოება.

პრაქტიკაში კომპანიის მიმართ სახელმწიფოს უპირველესი ინტერესია ფისკალური პრობლემა. კომპანიის არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ბიუჯეტში მოხდეს აუცილებელი რაოდენობის შემოსავლების აკუმულირება როგორც გადასახადების, ასევე დივიდენდების სახით. სწორედ სახელმწიფო ახდენს აღრიცხვის სახეების, ვადების, მისი წარმოების წესისა და მეწარმე სუბიექტების მიერ ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის რეგლამენტირებას. მაგრამ იმის გამო, რომ ანგარიშგებითი ინფორმაცია ხვდება სხვადასხვა უწყებაში -

შემოსავლების სამსახური, სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ა.შ, მისი მიღება და გამოყენება ზოგჯერ გართულებულია თვით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვისაც.

კონკურენტი ფირმები – კონტრაგენტები, რომლებიც დაინტერესებულები არიან ფინანსური მდგომარეობის გაუარესებით და გაკოტრებით. მათ აუცილებელი ინფორმაციის მიღება შეუძლათ როგორც ოფიციალური ანგარიშგებებიდან, ასევე სხვა წყაროებიდანაც.

იმ პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც დაინტერესებულები არიან საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესწავლით, განაპირობებს ანალიზის მეთოდიკის შემუშავების აუცილებლობას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება. ფინანსური მდგრადობა არის არა მარტო ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის დახასიათება, არამედ რაოდენობრივად გაზომვადი მოვლენაც. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის აღწერა რთული, საინტერესო და მრავალმხრივი პროცესია, რომლის სრულად ფორმალიზება შეუძლებელია. საერთო ჯამში, ანალიზის მიზანია საწარმოს მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ობიექტური, სრული და ზუსტი სურათის მიღება და მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში მისი ცვლილებების შესაძლებლობების შეფასება. თითოეულ კონკრეტულ კონტრაგენტთან საწარმოს ურთიერთობებიდან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის ანალიზის კონკრეტული მიზნები განსხვავებულია. კრედიტორისათვის მთავარია კრედიტუნარიანობის დადგენა, ინვესტორისათვის - საინვესტიციო მიმზიდველობის განსაზღვრა და ა.შ. ანალიზის განსხვავებული მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრება განსხვავებები საინფორმაციო ბაზაში და ჩატარების მეთოდიკაში. შესაბამისად, შეიძლება გამოიყოს ანალიზის ორი ძირითადი სახე: გარე და შიდა. როგორც წესი, შიდა ანალიზი გამოიყენება მხოლოდ ამ კომპანიის ხელმძღვანელების მიერ გადაწყვეტილებების მისაღებად, ხოლო გარე ანალიზი - ყველა დანარჩენი დაინტერესებული პირის მიერ.

გარე ანალიზთან შედარებით, შიდა ანალიზი ეფუძნება უფრო ფართო საინფორმაციო ბაზას, რაც, ჩვენი აზრით, განაპირობებს შედეგების მაღალ საიმედოობას. პრაქტიკულად ყველა მაჩვენებელი, რომლებიც გარე ანალიზის მეთოდიკაში გამოიყენება, შეიძლება შესწორდეს და დაზუსტდეს იმ დამატებითი ინფორმაციის დახმარებით, რომელიც შიდა ანალიზში გამოიყენება. თუმცა, კომპანიის ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ, რომ არაკორექტულია თავიანთი კომპანიის შიდა მონაცემების მიხედვით გაანგარიშებული მაჩვენებლების შედარება ამავე დარგის ანალოგიური კომპანიების ანგარიშგების მონაცემებთან, რომლებიც განსხვავებულია რესურსებით უზრუნველყოფისა და საქმიანობის ეფექტიანობის რეალური მდგომარეობისაგან. ასე რომ, ინსაიდერებისთვისაც სასარგებლოა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გარე ანალიზი, რომლის საშუალებითაც ისინი მიიღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ აფასებენ მას ინვესტორები, კრედიტორები და კონკურენტები.

შიდა ანალიზი, იყენებს რა უფრო ზუსტ და სრულ მონაცემებს საწარმოს საქმიანობის შესახებ, საშუალებას იძლევა, რომ დეტალურად განხილული და შესწავლილი იქნეს მისი ფინანსური რესურსების წარმოქმნის, განაწილებისა და გამოყენების მთელი პროცესი, რომლის საფუძველზეც მიიღება სათანადო ზომები ამ პროცესის ოპტიმიზაციისათვის. ფინანსური მენეჯერი დაფინანსების წყაროების სტრუქტურისა და სახსრების განთავსების მიმართულებების ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილებებს ღებულობს სწორედ შიდა ანგარიშგების მონაცემების მიხედვით ჩატარებული ანალიზის საფუძვლეზე. მოცემულ შემთხვევაში ანალიზი კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე უშუალო და ოპერტიული ზემოქმედების საშუალებას იძლევა.

საწარმოს კონტრაგენტებს, რომლებიც გარე ანალიზს ახორციელებენ, მის ფინანსურ მდგომარეობაზე პირდაპირი გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ. თუმცა, როდესაც ისინი მიიღებენ გადაწყვეტილებებს ინვესტირების, დაკრედიტებისა და ხელშეკრულებების დადების შესახებ, ზეგავლენას ახდენენ კომპანიის შესაძლებლობებზე. კაპიტალის მოზიდვისა და სესხის აღების შეფერხებამ, ასევე პროდუქციის რეალიზაციის ბაზრების დაკარგვამ, საბოლოო ჯამში, შეიძლება გაკოტრება

გამოიწვიოს. ასე რომ, ფინანსურ მენეჯმენტში გარე ანალიზის როლის მნიშვნელობის უგულებელყოფა არ შეიძლება.

შიდა ანალიზის შედეგები მაქსიმალურად დაფარულია კომერციული საიდუმლოს შენარჩუნების მიზნით, მაშინ, როდესაც გარე ანალიზის მონაცემები შეიძლება ფართოდ იყოს გავრცელებული მრავალ დაინტერესებულ პირს შორის და გავლენა მოახდინოს მათ გადაწყვეტილებებზე მოცემულ კომპანიასთან მიმართებაში.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის მდგომარეობის ადეკვატური შეფასებისათვის ფინანსურ მენეჯერებს ობიექტურად უფრო მეტი შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე სხვა დანარჩენ დაინტერესებულ პირებს, მაგრამ წყაროები, რომლებსაც ისინი იყენებენ, ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა, ხოლო ინსაიდერების უპირატესობები კი განპირობებულია ინფორმაციის დიდი მოცულობით, სიზუსტითა და მიღების ოპერატიულობით ისეთი წყაროსაგან, როგორიცაა „საწარმოს ფინანსური ანგარიშგება“.

საერთო ჯამში, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფა წარმოადგენს ანალიტიკური პროცედურების ჩასატარებლად აუცილებელი საინფორმაციო რესურსებისა და მათი ორგანიზაციის წესების ერთობლიობას. მომხმარებელი, რომელიც ინსაიდერი არ არის, მონაცემების დიდ ნაწილს გარე წყაროებისგან ღებულობს. პრაქტიკულად, კომპანიის მდგომარეობის შეფასება ძირითადად დამოკიდებულია შემდეგ ინფორმაციაზე: სარგებლიანობა, სანდოობა, სისრულე, თავისდროულობა და ზუსტი ინტერპრეტაცია.

ინფორმაციის სარგებლიანობა განისაზღვრება მმართველობით გადაწყვეტილებებზე მისი გავლენის ხარისხით და იძლევა განვლილი და მიმდინარე მოვლენების შეფასებისა და აუცილებელი პროგნოზების გაკეთების საშუალებას. ინფორმაციის სარგებლიანობა შეიძლება განსხვავებული იყოს არა მარტო მისი შინაარსიდან, არამედ ასევე მომხმარებლების ტიპებიდან გამომდინარე.

ინფორმაციის სანდოობა ნიშნავს, რომ ადეკვატურად მოხდეს მომხდარი მოვლენის აღწერა. მაგალითად, საბუღალტრო ინფორმაციისათვის მნიშვნელოვანია შეცდომების უქონლობა, ოპერაციების ასახვა მათი ეკონომიკური შინაარსიისა და აღრიცხვის მიღებული წესების შესაბამისად. საწარმოების შესახებ ინფორმაციის სანდოობა აუცილებელია იყოს საჭირო დონეზე, რაც მოითხოვს დამატებითი სამუშოების ჩატარებას გამოყენებული მონაცემების კორექტირებისათვის.

ინფორმაციის სისრულე განისაზღვრება, როგორც გადაწყვეტილების მისაღებად ყველა აუცილებელი მონაცემის არსებობა. ამავე დროს, ინფორმაცია არ უნდა იყოს გადაჭარბებული. ზოგიერთი მონაცემის უქონლობის გამო შეიძლება მიღებულ იქნეს არასწორი გადაწყვეტილება.

ინფორმაციის „თავისდროულობა“, ნიშნავს, რომ რაც უფრო ნაკლები დროა სხვადასხვა წყაროში ინფორმაციის ასახვის მომენტამდე, მით უფრო ფასეულია ეს მონაცემები მომხმარებლისათვის.

რაც შეეხება *„სწორ ინტერპრეტაცია“*-ს უშუალოდ უკავშირდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების მეთოდიკის შექმნასა და მის გამოყენებას.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესწავლისა და სრულყოფილი ანალიზისათვის აუცილებელია მონაცემების მნიშვნელოვანი ნაწილის ხელმისაწვდომობა, რომელიც დაკავშირებულია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კომპანიის საქმიანობასთან, რისკებთან და შედეგებთან. სხვადასხვა წყაროდან მიღებული დეტალური მონაცემები წარმოადგენს სწორი პროგნოზის საფუძველს, რადგან იგი იძლევა მოვლენების უფრო სრული სურათის დანახვის საშუალებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ღუდუშაური ზ., ფინანსური მენეჯმენტი, 2007.
2. ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვახოვიჩი, უმცრ., ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2009.
3. Балабанов И. Г., Финансовый анализ и планирование хо субъекта, М., 2001.
4. Ковалев В. В., Введение в финансовый менеджмент: Учебник, М., 2003.
5. Роберт В. Колб, Рикардо Дж. Родригес ,Финансовый Менеджмент, М., 2001.

თამარ ზირაქაშვილი

კომპანიის ფინანსური მენეჯმენტის საინფორმაციო ბაზის სრულყოფა

რეზიუმე

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფა წარმოადგენს ანალიტიკური პროცედურების ჩასატარებლად აუცილებელი საინფორმაციო რესურსებისა და მათი ორგანიზაციის წესების ერთობლიობას. კომპლექსური და სისტემური ანალიზის საშუალებით შესაძლებელია არსებული ან პოტენციური მდგომარეობის ობიექტური შეფასება და სწორი გადაწყვეტილების მიღება. კომპანიის მდგომარეობის ადეკვატური შეფასებისათვის ფინანსურ მენეჯერებს ობიექტურად უფრო მეტი შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე სხვა დანარჩენ დაინტერესებულ პირებს, მაგრამ წყაროები, რომლებსაც ისინი იყენებენ, ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესწავლისა და სრულყოფილი ანალიზისათვის აუცილებელია მონაცემების მნიშვნელოვანი ნაწილის ხელმისაწვდომობა, რომელიც დაკავშირებულია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კომპანიის საქმიანობასთან, რისკებთან და შედეგებთან. სხვადასხვა წყაროდან მიღებული დეტალური მონაცემები წარმოადგენს სწორი პროგნოზის საფუძველს, რადგან იგი იძლევა მოვლენების უფრო სრული სურათის დანახვის საშუალებას.

Tamar Zirakishvili

About the Improvement of Informational Base of Company's Financial Management

Summary

Informational Assurance of company's financial condition analysis is the combination of essential financial resources for analytical procedures and rules of their organization. With comprehensive and systematic analysis of the existing or potential condition it is possible to make objective assessment of the situation and to make right decision. Financial managers have more possibilities than other parties for adequate assessment of company's condition but sources which are used by them are mainly the same. For studies and analysis of company's financial condition, availability of information is necessary, which in long term is connected to company's activities, risks and results. Detailed data received from different sources is the basis for correct prognosis because it gives possibility to see the complete picture.

Тамар Зиракишвили

Совершенствование информационной базы финансового менеджмента компании

Резюме

Информационное обеспечение анализа финансового состояния компании является сочетанием существенных финансовых ресурсов для аналитических процедур и правил их организации. С помощью комплексного и системного анализа существующего или потенциального состояния можно сделать объективную оценку ситуации и принять правильное решение. Финансовые менеджеры имеют больше возможностей, чем другие заинтересованные стороны, для адекватной оценки компании, но источники, которые используются ими в основном те же. Для изучения и анализа финансового состояния компании, доступность информации необходима, что в долгосрочной перспективе связано с деятельностью компании, с рисками и результатами. Подробные данные, полученные из различных источников, являются основой для правильного прогноза, поскольку он дает более полную картину событий.

ლია ოტიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

სახელმწიფო საფინანსო პოლიტიკის აქტუალური საკითხები

ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში სახელმწიფო ფინანსებს იყენებს თავისი ამოცანებისა და ფუნქციების განსახორციელებლად. დასახული ამოცანების რეალიზაციაში უდიდეს როლს ასრულებს საფინანსო პოლიტიკა.

საფინანსო პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. იგი არის სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელების უზრუნველსაყოფად შემუშავებული ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც ვლინდება ფინანსური რესურსების მობილიზაციასა და ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სიტუაციებიდან გამომდინარე, საზოგადოების წევრებს შორის ეროვნული ეკონომიკის, პრიორიტეტული სტრუქტურული დარგებისა და ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებს (რეგიონებს) შორის განაწილება-გამოყენებაში.

საქართველომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში, როცა მიმდინარეობს თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე თანდათანობითი გადასვლა, შეიმუშავა ახალი საფინანსო პოლიტიკა, რომლის განხორციელების ფორმები და მეთოდები, ბუნებრივია, პერიოდულ დაზუსტებას ექვემდებარება ეკონომიკური ურთიერთობების შეცვლა-გარდაქმნის შესაბამისად.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირველი ეტაპის ფინანსურ პოლიტიკას, როცა მისი მთავარი მაზანი ეროვნული სამეურნეო ცხოვრების სტაბილიზაცია და ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის არსებული დისპროპორციის ლიკვიდაციაა. ახალი საფინანსო პოლიტიკის ფარგლებში ამ მიზნის მიღწევა უნდა მოხდეს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: ბიუჯეტის დეფიციტის იმ დონემდე შემცირება მაინც, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავნერგოთ საბაზრო ეკონომიკა, საფინანსო და საბიუჯეტო სისტემის გარდაქმნა, ოპტიმალური და აქტიური საგადასახადო პოლიტიკის განხორციელება, ფინანსური ბაზრის განვითარება.

საფინანსო პოლიტიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებაში და მათ ტერიტორიულ განვითარებაში. საფინანსო პოლიტიკა ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებას. მეცნიერულად დასაბუთებული საფინანსო პოლიტიკა, მისი სწორად და წარმატებით რეალიზაციის პირობებში დადებით შედეგს იძლევა განსაკუთრებით მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში.

საფინანსო მექანიზმის სტრუქტურა რთულია, მასში შედის სხვადასხვა ელემენტები, რომლებიც შეესაბამებიან სხვადასხვაგვარ ფინანსურ ურთიერთობებს. ფინანსურ მექანიზმში შედის ფინანსური მაჩვენებლები, ნორმატივები, ლიმიტები, ფინანსური რეზერვები.

როგორც წესი, მართვა არის განსაზღვრული შედეგების მისაღწევად ობიექტზე მიზანმიმართული ზემოქმედების წესებისა და მეთოდების ერთობლიობა. მართვაზეა დაქვემდებარებული ადამიანთა საქმიანობის ყველა სფერო, მათ შორის ფინანსებიც.

მმართველობითი საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია საფინანსო მართვა, რომელსაც ახორციელებს სპეციალური აპარატი განსაკუთრებული წესებისა და მეთოდების გამოყენებით.

ფინანსების უშუალო მართვა ფინანსური აპარატის დაქვემდებარებაშია, რომლის მთავარი რგოლი ფინანსთა სამინისტროა. იგი ამუშავებს სახელმწიფოს საფინანსო და საგადასახადო პოლიტიკას და სახელმწიფო ხარჯების სფეროს პოლიტიკას, ასევე ახორციელებს ფინანსური კანონების დაცვაზე კონტროლს. ფინანსთა სამინისტრო ადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და ახორციელებს მისი შესრულების ორგანიზებას.

უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ ქვეყანაში ფინანსების მართვაში გარკვეული თავისებურებები არსებობს. მაგალითად, აშშ-ში ფინანსთა სამინისტროს გარდა პრეზიდენტის აპარატშიც არსებობს ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველო, რომელიც ფედერალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს ადგენს.

დასავლეთის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ფინანსთა სამინისტროს წამყვან ქვედანაყოფებს წარმოადგენს: პირდაპირი გადასახადების სფეროში ინსტრუქციულ მასალებს

შეიმუშავებს და გამოსცემს შემოსავლების სამმართველო, რომელიც ასევე მათი შემოსულობების ორგანიზატორია.

ფინანსთა სამინისტროს მნიშვნელოვანი ქვედანაყოფია შიდა სესხებისა და სახელმწიფო ვალის სამმართველო, რომელიც სახელმწიფო სესხების ემისიას, მათზე პროცენტების გადახდასა და სახელმწიფო ვალის დაფარვას მართავს. ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში ასევე ფულად მიმოქცევაზე კონტროლის სამმართველოც შედის.

დიდ ბრიტანეთში ფინანსების მართვას ძირითადად ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს, რომელსაც ხაზინა ეწოდება. გერმანიაში ფინანსების მართვა ასევე ფედერალურ ფინანსთა სამინისტროზეა დაკისრებული. საფრანგეთში ფინანსების მართვა დაკისრებულია ეკონომიკის, ფინანსებისა და ბიუჯეტის სამინისტროზე.

ფინანსების მართვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აკისრია ფინანსური კონტროლის სპეციალიზებულ ორგანოებს, რომლებიც დამოუკიდებელია მთავრობისაგან და ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. აშშ-ში ასეთია მთავარი საკონტროლო სამმართველო, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტისა და ანგარიშგების შესახებ კანონის შესაბამისად არის შექმნილი. მის ფუნქციებში შედის: ფინანსური ნორმატიული აქტების განმარტება; სამთავრობო უწყებების მიერ ჩატარებული ოპერაციების კანონიერებასა და ეფექტიანობაზე კონტროლი; კონგრესზე, მის კომიტეტებსა და კონგრესმენებზე დახმარების განხორციელება; ცალკეული საგადამხდელო ოპერაციების შესრულებაზე კონტროლი; ფინანსური ოპერაციების ჩატარების წესებისა და ფედერალურ დაწესებულებებში ანგარიშგების დადგენა.

მაკონტროლებელი სამმართველოს ფაქტიური საქმიანობა ფედერალური უწყებების ფინანსების მდგომარეობის ყოველწლიურ შემოწმებამდე და შემოწმების ჩატარების საფუძველზე პრეზიდენტისა და კონგრესისათვის საბუთებისა და რეკომენდაციების შედგენამდეა აყვანილი.

დიდ ბრიტანეთში ასეთ სპეციალურ ორგანოს სახელმწიფო კონტროლის სამმართველო წარმოადგენს. გენერალური კონტროლიორი რევიზორი მთავრობის მიერ სიცოცხლის ბოლომდე ინიშნება და მისი გათავისუფლება მხოლოდ პარლამენტის ორივე პალატის გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება. მაკონტროლებელი ორგანოს უფლებამოსილებები უფრო შეზღუდულია, ვიდრე აშშ-ში. კერძოდ, მას ფინანსური ნორმატიული აქტების განმარტების უფლება არ გააჩნია, ასევე სამთავრობო უწყების ფინანსური სამსახურების ოპერატიულ საქმიანობაში ჩარევის უფლება არა აქვს.

სახელმწიფო კონტროლის მართვის უფლებამოსილებაში შედის სამთავრობო უწყების ფინანსური საქმიანობის კანონიერების, აგრეთვე მათ მიერ სახელმწიფო სახსრების გახარჯვის ეფექტიანობისა და მიზანშეწონილობის შემოწმება. სამმართველო ვალდებულია პარლამენტს ასეთი შემოწმების შედეგების შესახებ წარუდგინოს ინფორმაცია.

საფრანგეთში ყველა სახელმწიფო ორგანოების მიერ ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლს საანგარიშო პალატა ახორციელებს, რომელიც შეუცვლელი მაგისტრებისაგან შემდგარ სასამართლო ორგანოს წარმოადგენს.

გერმანიაში ფინანსების სფეროში კონტროლის ფუნქციები ასევე ფედერალურ საანგარიშო პალატაზეა დაკისრებული. ყველაზე უფრო რთული საქმეები გადაეცემა სასამართლოებს, რომლებიც სახელმწიფო სახსრების უკანონო მოხმარებასთან დაკავშირებულ ფინანსურ დავებსა და ქმედებებზეა სპეციალიზებული.

საქართველოში ფინანსების მართვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს კონსტიტუციისა და პარლამენტის მიერ მიღებული შესაბამისი კანონების საფუძველზე ხორციელდება. კერძოდ, ფინანსთა სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით, სხვა საკანონმდებლო აქტებით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტებით, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი აქტებით, სამინისტროს დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიზანი, ამოცანები, ფუნქციები, პასუხისმგებლობა და უფლებამოსილებანი ჩამოყალიბებულია სამინისტროს დებულებაში, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. სამინისტრო ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროში, უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო, საგადასახადო და სააღრიცხვო კანონმდებლობის შემუშავებასა და დაცვას, ახორციელებს ეკონომიკური დანაშაულის სფეროში პრევენციულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებას.

სამინისტრო შეიმუშავებს ფისკალური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსა და შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პროექტებს, საქართველოს კონსტიტუციასა და საბიუჯეტო სისტემის შესახებ კანონზე დაყრდნობით განიხილავს წინადადებებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ორგანოების მიერ შემუშავებული ბიუჯეტების შეწონასწორების საკითხს. ამასთან, სამინისტრო შეიმუშავებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ფორმირების, ეკონომიკური ნორმატივებისა და ამ ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ან მათ მიერ გადმოსაცემი ტრანსფერების საპროექტო სიდიდეებს, ხელმძღვანელობს საბიუჯეტო შემოსავლებით სახელმწიფო ბიუჯეტის სტაბილურ უზრუნველყოფას, სახელმწიფო ფულადი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. შესაბამის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ახორციელებს ღონისძიებებს ქვეყნის ყველა დონის ბიუჯეტების შესრულების უზრუნველსაყოფად.

სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ფინანსთა მინისტრი წარმოადგენს სამინისტროს, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს სამინისტროს გამგებლობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებს; პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო აქტების, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების, საქართველოს მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებების შესრულებისათვის იმ სფეროში, რომელიც სამინისტროს მმართველობას განეკუთვნება.

მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და ოთხი მოადგილე. მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს მინისტრის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილებანი განისაზღვრება მინისტრის შესაბამისი ბრძანებით. მინისტრის პირველი მოადგილე მინისტრის არყოფნისას ხელმძღვანელობს სამინისტროს საქმიანობას და კოორდინაციას უწევს სამსახურების ურთიერთობას. მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე მინისტრის დავალებით ახორციელებს საპარლამენტო მდივნის ფუნქციას.

სამინისტროს ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს, აგრეთვე, სხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე სპეციალისტებს ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად, ფინანსთა სამინისტრო მუდმივ სრულყოფას განიცდის. დღეისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებია: სახელმწიფო ვალისა და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი; იურიდიული დეპარტამენტი; ადმინისტრაციული დეპარტამენტი; საბიუჯეტო დეპარტამენტი; შიდა აუდიტის დეპარტამენტი; საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი; ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი; ანალიტიკური დეპარტამენტი; მინისტრის აპარატი; საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; დავების განხილვის სამსახური; პარლამენტთან ურთიერთობის სამსახური; ადამიანური რესურსების მართვის სამსახური; ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახური.

საქართველოს სამთავრობო დოკუმენტის („ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2015-2018 წლებისათვის“) თანახმად: სახელმწიფო უზრუნველყოფს საჯარო

ფინანსების მართვის სრულყოფას იმისათვის, რომ ბიუჯეტით, ერთი მხრივ, ხორციელდებოდეს პრიორიტეტული სფეროებისა და სოციალური ხარჯების ზრდა, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი შეეწყოს ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებას და ამავე დროს შენარჩუნებულ იქნეს ქვეყნის ფისკალური სტაბილურობა.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში, ბიუჯეტირების მიმართულებით დასახული ღონისძიებები უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების ეფექტიან მართვას და გამჭვირვალობას, სხვადასხვა სექტორის განვითარების მიზნით დასახული პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მობილიზებას ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების პირობებში და სოციალური ვალდებულებების დაფარვის პარალელურად ეკონომიკის ზრდის ხელშემწყობი ფისკალური პოლიტიკის გატარებას. შემუშავდება დაგეგმვის ერთიანი სტანდარტები, რომელიც დაუკავშირდება როგორც ეროვნულ, ისე დარგისა და სხვა სექტორულ საშუალო ვადიან სტრატეგიულ დოკუმენტებს. საშუალოვადიანი გეგმები გამოყენებული იქნება როგორც ეფექტიანი ინსტრუმენტი ფისკალური სტაბილურობის მისაღწევად. ეკონომიკის სტიმულირების მიზნით, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდის პარალელურად, შესაძლებელია კონკრეტულ პერიოდში გაიზარდოს საბიუჯეტო დეფიციტი, თუმცა საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნებული იქნება მისი დაბალი მაჩვენებელი. საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში მნიშვნელოვანია ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური ინდიკატორების ისეთ მაჩვენებლებში შენარჩუნება, რომლებითაც შესაძლებელი იქნება გაუმჯობესდეს სარეიტინგო კომპანიების შეფასებები და ქვეყანა იყოს მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის თვალსაზრისით.

დაიხვეწება ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების მიმართულება. საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით გაუმჯობესდება სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საშუალოვადიანი პროგნოზირების პროცესი; მოხდება პროგნოზების არეალის გაფართოება იმისათვის, რომ ეკონომიკის სექტორები უფრო ფართოდ იყოს მოცული; გაიზრდება პროგნოზების დროითი არეალი, რაც გაზრდის ფისკალური სექტორის გრძელვადიანი დაგეგმვის შესაძლებლობას.

სახელმწიფო ვალის ფორმირებისას უზრუნველყოფილი იქნება ვალის პორტფელის მდგრადობა. სესხების მოზიდვა მოხდება მაქსიმალურად შეღავათიანი პირობებით, აუცილებლობიდან გამომდინარე. ამ პროცესში გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისა და ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობის აუცილებლობა.

გაგრძელდება მუშაობა პროგრამული ბიუჯეტის დანერგვისა და შესაბამისი მეთოდოლოგიის დახვეწის მიმართულებით, მათ შორის, შემუშავდება მეთოდოლოგიური მითითებები მხარჯავი დაწესებულებებისათვის, რაც მათ პროგრამული ბიუჯეტის მომზადების შიდა პროცესის ეფექტიანად მართვის უზრუნველყოფაში დაეხმარება.

უზრუნველყოფილი იქნება შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების სრულყოფილად დანერგვა. ბიუჯეტით განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების, აგრეთვე მათი მოსალოდნელი შედეგების წარმოდგენის მექნიზმები მიუახლოვდება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. განხორციელდება მუშაობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ინფორმაციულობის გაზრდის მიზნით და უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს მოქალაქეებისათვის ყველა საინტერესო და საჭირო ინფორმაციის მარტივი ფორმით მიწოდება.

მუშაობა ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eudget) ფუნქციონალური შესაძლებლობების გაფართოებაზე. სისტემის ფარგლებში მოექცევა საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ფორმირების პროცესი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ანგარიშები გაიხსნება ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში და მათი მართვა განხორციელდება სახელმწიფო ხაზინის ფინანსების მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის მეშვეობით, რითაც მიიღწევა ყველა დონის ბიუჯეტებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახსრებით განხორციელებული ოპერაციების სრული და დროული ანგარიშგება და გაუმჯობესდება ანგარიშვალდებულების ხარისხი.

ეტაპობრივად დაინერგება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო დარიცხვის სტანდარტები, რომელთანაც სრული შესაბამისობის მიღწევის შემდეგ, ყოველწლიურად გამოქვეყნდება მთავრობის ფინანსური ანგარიშგება, დაფუძნებული დარიცხვის მეთოდზე.

დაბოლოს, დაიხვეწება როგორც შიდა, ისე გარე კონტროლისა და აუდიტის მექანიზმები საჯარო ფინანსების მართვის სფეროში. საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გამოყენების ეფექტიანი მექანიზმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვანიშვილი მ., კაცაძე ი., ფინანსები, თბ., 2016.
2. მოსიაშვილი ვ., ფინანსები, თბ., 2016.
3. ცაავა გ., ინგოროყვა ა., ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 2011.
4. ცაავა გ., ხანთაძე გ., საჯარო ფინანსები, თბ., 2013.
5. www.mof.gov.ge
6. www.rs.ge
7. www.geostat.ge

ლია ოტიაშვილი

სახელმწიფო საფინანსო პოლიტიკის აქტუალური საკითხები

რეზიუმე

ქვეყნის საფინანსო პოლიტიკის რეალიზაციისა და მისი ცხოვრებაში წარმატებით განხორციელებისათვის არსებობს ფინანსური მექანიზმი, რომელიც ეკონომიკური მექანიზმის შემადგენელი ნაწილია. ფინანსების მართვის დონე სისტემატურ სრულყოფას განიცდის, რომელიც დამოკიდებულია საფინანსო აპარატის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, საფინანსო მუშაკების კვალიფიკაციაზე, პასუხისმგებლობასა და დისციპლინაზე, იმ ფორმებსა და მეთოდებზე, რომლებიც გამოიყენება ფინანსური მართვის პროცესში.

Lia Otiashvili

Current Issues of State Financial Policy

Summary

For the realization of the state financial policy and its successful implementation in everyday life there is a financial mechanism which is the integral part of economic mechanism. Financial Management level is systematically improving, which greatly depends on organizational structure of financial mechanism, qualification of financial workers, responsibility and discipline, on forms and methods used in the financial management process.

Лия Отиашвили

Актуальные вопросы финансовой политики государства

Резюме

Для реализации финансовой политики страны и её успешного осуществления существует финансовый механизм, который является частью экономического механизма. Правление финансового уровня переживает систематическое у совершенствование, которое зависит от финансового аппарата в организационной структкре, от квалификации финансовых работников и от дисциплины, от тех форм и методов, которые используются во время правления финансовых процессов.

აგრარული მეცნიერებანი

მაგდა ვადაჭკორია
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

სოფლის მეურნეობის საწარმოთა კოოპერაცია და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა დღეს არ არის მზად მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების მოზიდვისა და საჭირო პროექტების განხორციელებისათვის. მაქსიმუმი, რისი ათვისებაც დღეისათვის სოფლის მეურნეობას შეუძლია, 300-350 მილიონი ლარია. იგი გადაუდებლად საჭიროებს დაქუცმაცებული სასოფლო სამეურნეო მიწის ფონდის კონსოლიდაციას და სოფლად კოოპერაციული მოძრაობის სტიმულირებას (რადგან უკიდურესად დანაწევრებულ მიწაზე რაიმე პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, მოსავლიანობის ამაღლება და არსებითი ეკონომიკური შედეგის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია).

არასწორი მიდგომაა, რომ სოფლად დასაქმებული უნდა იყოს მხოლოდ 2-3 პროცენტი მოსახლეობისა. სოფლად უნდა იცხოვროს იმდენმა ადამიანმა, რამდენსაც სოფელი სჭირდება თავის სარჩენად და გასანვითარებლად. დემოკრატიულ განვითარებულ ქვეყნებში ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც თავს ირჩენენ სოფლის მეურნეობით, როგორც წესი, ორჯერ და მეტად აღემატება იმას, ვინც უშუალოდ ხნავს, თესავს, სხლავს, თიბავს და ძროხას წველის. დღეს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ნორმატიული სიდიდე 450 ათასი კაცია, მომავალში იგი ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და ქართული სოფლის სპეციფიკური თავისებურებების გამო, სოფლის მოსახლეობის 15 – 20%-ის ფარგლებში დარჩება (დაახლოებით 300 ათასი კაცი).

სოფლის მეურნეობის დახმარების ფონდი. სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებით იგრძნობა თანხების სიმწირე, პრობლემებია მიწების დამუშავებასთან დაკავშირებით, არის გადამამუშავებელი მრეწველობის ძალიან მცირე ბაზა და სწორედ ამ მიმართულებებზე ხდება კონცენტრირება. ერთი მხრივ, გლეხების დახმარება იმისათვის, რომ მიწა მოიხნას, მეორე მხრივ, ეს არის სოფლის მეურნეობის ფონდი, რომელმაც სწორედ თანხებთან ხელმისაწვდომობა უნდა გაზარდოს სოფლის მურნეობის სექტორში. ეს არის დახმარება იმ საწარმოების მშენებლობის დაფინანსების მოძიებაში, რომლებმაც მიღებული მოსავალი უნდა გადაამუშაონ. იგი არის პირდაპირი ხელშეწყობა იმისათვის, რომ ამ ხალხმა შეძლოს მიწის დამუშავება და მოსავლის მიღება, ანუ რაც უფრო შეზღუდულია გლეხური მეურნეობა და მცირემიწიანია, საკმაოდ რთულია კომერციულად თავი გაართვა თანამედროვე სოფლის მეურნეობის პროცესებს, იგივე სასუქების შეტანას და ასე შემდეგ. ამიტომ, ბარათების დარიგებით ძალიან ბევრი პრობლემა იხსნება და წელს ალბათ უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის მიწა დამუშავდება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია. სახელმწიფო ს/ს პოლიტიკის არსი მიწის მესაკუთრის (გლეხის, ფერმერის) მიმართებაში, ჩვენი აზრით, უნდა გამოიხატებოდეს შემდეგში – „ვასწავლოთ მიწის მფლობელს თუ როგორ დაეხმაროს თავის თავს!“ ამიტომაც სახსრები, სახელმწიფო თუ მოზიდული, მიმართული უნდა იყოს, პირველ რიგში, ისეთი ინსტიტუტების ფორმირებისა და ღონისძიებათა სისტემის დაფინანსებაზე, რომელიც ამ ამოცანის გადაწყვეტას უზრუნველყოფს. მათ უნდა უზრუნველყონ მიწის მფლობელთათვის მეურნეობის გაძღოლის სხვადასხვა ვარიანტების შეთავაზება, სათანადო ადმინისტრაციული ღონისძიებების გარკვევა, რაც ფერმერებს დაეხმარებათ ახალი ს/ს სტრუქტურების შექმნასა და მათში ნებაყოფლობითი გადაჯგუფებისას წარმოშობილი სიძნელეების გადალახვაში. ამ პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მომენტია ს/ს მწარმოებელთა ნებაყოფლობითი, თვითმართვადი, მოქნილი ორგანიზაციების ჩამოყალიბება, რომლებიც სწრაფად მოახდენენ რეაგირებას მათ მოთხოვნებზე, გამოხატავენ და დაიცავენ

მათ ინტერესებს, განავითარებენ მათ შესაძლებლობებს, დაამყარებენ პირდაპირ კავშირურთიერთობებს უცხოურ, ანალოგიურ ორგანიზაციებთან.

კოოპერატივების შექმნის უპირატესობანი. კოოპერატივებში შესაძლებელი იქნება წევრთა მოთხოვნის სრულად შესწავლა და გათვალისწინება მეურნეობის გაძღოლისათვის საჭირო ს/ს საშუალებებზე, კრედიტზე და სერვისზე (ვის რა, რამდენი, როგორ, როდის, რა პირობებში სჭირდება?). წევრისათვის ნებისმიერი ფორმით ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაციისა და კვალიფიციური კონსულტაციის მიღება მისთვის საჭირო საკითხებზე, კვალიფიკაციის ამაღლება სწავლების სხვადასხვა პროგრამებისა და ფორმების გამოყენებით, მეცნიერების, წარმოებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის ხელშეწყობა, კოოპერატივის წევრთა რაოდენობის ზრდის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ს/ს საშუალებების მიტანა და ს/ს პროდუქტის შესყიდვა უშუალოდ ფერმერის მამულში, შემდგომში მისი ქალაქში კოოპერატივის სავაჭრო ცენტრში ან სხვა მიმართულებით რეალიზაციის მიზნით. წევრებს ექნებათ წარმოებული ს/ს პროდუქციის რეალიზაციის (მათ შორის გადამუშავების მეშვეობით) გარანტია, ბაზრის ცვლილებებზე სწრაფი და ზუსტი რეაგირების, სტანდარტული პროდუქციის წარმოებისა და რეკლამირების შესაძლებლობა.

ორგანიზაცია დაიცავს წევრის ინტერესებს სახელმწიფო თუ სხვა ინსტანციაში, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია დღეს; კოოპერატივის მეშვეობით შესაძლებელი იქნება სოციალური პროგრამების განხორციელება: წევრები წლის ბოლოს მიიღებენ მოგების კუთვნილ წილს. ყოველივე ამის შედეგად მიიღწევა სახსრების მნიშვნელოვანი ეკონომია, ზარალისა და დანაკარგების თავიდან აცილება, მეურნეობის სტაბილურობის შენარჩუნება და შემდგომი განვითარების დაგეგმვა, შემოსავლებისა და კეთილდღეობის ზრდა.

ევროპული მოდელი. კოოპერაციის ის მოდელი, რომელიც ქვეყანამ უნდა გამოიყენოს, ინდივიდუალურ ინიციატივაზე უნდა იყოს დაფუძნებული და ევროპული სოფლის მეურნეობის სისტემის ფუნდამენტს უნდა წარმოადგენდეს.

სოფლის მეურნეობის სტრუქტურა საქართველოში ევროპულს ჰგავს, სოფლის მეურნეობის უდიდეს ნაწილს წვრილი საოჯახო მეურნეობანი შეადგენენ. ამიტომ სახელმწიფო გლეხებს ცოდნის მოძიებაში, ინფორმაციის მიღებასა და, შესაბამისად, დამოუკიდებლად მართვის უნარების გაძლიერებაში უნდა დაეხმაროს, რაც საბოლოოდ, ალბათ, გლეხების კოოპერაციულ ერთობებში გაერთიანებას გამოიწვევს. ამ მხრივ სახელმწიფოს ხარჯი მუდმივად უნდა იზრდებოდეს, რადგან სოფლის მეურნეობის განვითარება ქვეყნის გრძელვადიანი, საკვები პროდუქტების უსაფრთხოების ფუნდამენტია. მოკლედ, სახელმწიფო მაქსიმუმს უნდა აკეთებდეს, რომ მიწაზე დასაქმებული პირი, რაც შეიძლება დამოუკიდებელი გახდეს.

შედავათიანი აგროკრედიტის პროექტი. შედავათიანი აგროკრედიტის პროექტი სამ ძირითად მიმართულებად იყოფა და გულისხმობს: უპროცენტო სასაქონლო კრედიტს (განვადება) მცირე ფერმერებისათვის; შედავათიან აგროკრედიტს საშუალო და მსხვილი ფერმერებისათვის; შედავათიან აგროკრედიტს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის.

სოფლის მეურნეობაში იაფი და გრძელვადიანი სესხების გაცემა. პროექტის ფარგლებში სამი სხვადასხვა კომპონენტი განიხილება. ყველა ბანკი და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მონაწილეობს ერთ ან რამდენიმე პროექტში შემდეგი კომპონენტებით:

1. პირველი კომპონენტი გამიზნულია მცირე ფერმერებისათვის – სასაქონლო განვადება 5 ათას ლარამდე;

2. მეორე კომპონენტი გათვალისწინებულია 5 000-10 000 ლარამდე საშუალო და მსხვილი ფერმერებისათვის, რომელიც არის ორწლამდე შედავათიანი აგროკრედიტი (განაკვეთი 8%);

3. მესამე კომპონენტი გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ასეთი საწარმოების მქონე პირებისათვის. ისინი მიიღებენ 7 წლამდე შედავათიან კრედიტს – 1 მილიონამდე ლარს. შედავათიანი საპროცენტო განაკვეთი არა უმეტეს 3%-სა. აღნიშნული კომპონენტით გათვალისწინებულია მინიმუმ 60 საწარმოს გახსნა.

სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჯამში დაეხმარება 700 000-ზე მეტ მიწის მესაკუთრეს, ვისაც აქვს 0-დან 5 ჰექტრის ჩათვლით

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. მცირემიწიანი ფერმერები სასოფლო-სამეურნეო ბარათის ფორმით მიიღებენ მათ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის კატეგორიის შესაბამის სარგებელს.

0.25 ჰექტარზე მცირე ზომის მიწის მესაკუთრეები, რომელთა კუთვნილ ნაკვეთებშიც ტექნიკის შესვლა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, მიიღებენ 100 ლარის ღირებულების ნომინალურ სასოფლო-სამეურნეო ბარათს, რომლითაც შეეძლებათ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლისა და ინვენტარის შეძენა;

0.25 - ჰა-დან 1.25 ჰა-ს ჩათვლით მიწათმესაკუთრეები (ეს არის ბენეფიციართა ძირითადი ჯგუფი), რომელთაც გააჩნიათ სახნავი ფართობი, მიიღებენ 510 ლარის ღირებულების კომბინირებულ სასოფლო-სამეურნეო ბარათს 1 ჰექტარზე გადაანგარიშებით. 1 ჰა-ზე გასაცემი კომბინირებული სასოფლო-სამეურნეო ბარათი შედგება 2 კომპონენტისაგან: 1. ნიადაგის ხვნა, ხნულის დადისკვა/გაფხვიერება; 2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონელი და ინვენტარი – 300 ლარის ღირებულებით.

ის ფერმერები, რომელთაც აქვთ ანალოგიური ზომის მრავალწლიანი ნარგაობა, მიიღებენ 510 ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ბარათს 1 ჰექტარზე გადაანგარიშებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლისა და ინვენტარის შესაძენად;

0.25-ჰადან 5 ჰა-მდე სახნავი ფართობის, ან მხოლოდ მრავალწლიანი ნარგაობის მქონე ფერმერები მიიღებენ 640 ლარის ღირებულების ნომინალურ სასოფლო-სამეურნეო ბარათს, რომლითაც შეეძლებათ მხოლოდ შესაბამისი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლისა და ინვენტარის შეძენა.

ინფრასტრუქტურის მოწყობასა და საირიგაციო სამუშაოების ჩატარებაში შედის დაწყებული ირიგაციით, დრენაჟით, მიწის რეგისტრაციით, ტრაქტორების სერვისებით, ნედლეულის მომარაგებით, სურსათის უვნებლობის სამსახურით, კვლევისა და კონსულტაციის ცენტრებით - ის, რაც ყველას აძლევს სათანადო მხარდაჭერას.

ბიუჯეტიდან 7 მილიონი ლარი მოხმარდება საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაციას, რადგან ამ სისტემების არარსებობა მოსავლის შემცირების უმთავრესი ფაქტორია. საქართველოს გააჩნია რეალური პოტენციალი ფიზიკურად არსებული არხებით მორწყას 280 ათასიდან 300 ათას ჰექტრამდე მიწა. წელს კი, სამწუხაროდ, წყლის მიწოდება მხოლოდ 24 ათას ჰექტარზე მოხერხდა.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით, ჩვენთან კატასტროფული მდგომარეობაა.

არც ერთ რეგიონში აღარ გვაქვს მცენარის ნორმალური ზრდისათვის აუცილებელი ნიადაგის შემადგენლობა. საჰექტარო მოსავლიანობით კი ევროატლანტიკური სივრცის 32 ქვეყანას შორის ბოლოდან მე-2 ადგილზე ვართ.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება ორი ძირითადი მიმართულებით – ქიმიური ან ორგანული სასუქის გამოყენებით ხორციელდება. სოფლის მეურნეობას წელიწადში 100-115 ათასი ტონა ქიმიური სასუქი სჭირდება. მთავარი პრობლემა მისი სიძვირე გახლავთ, მაგრამ გლეხმა ფული რომც იშოვოს, ან სახელმწიფომ მოამარაგოს, მაინც ვერ შეძლებს მის გამოყენებას, რადგან ქიმიური სასუქის გამოყენებამდე აუცილებელია ნიადაგის ანალიზი, რის შემდეგაც ფერმერმა უნდა შეარჩიოს დაბალანსებული ქიმიური სასუქი, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ შხამქიმიკატებით გაჯერებულ მინიმალურ მოსავალს.

მეორე ტრადიციული სასუქი არის ნაკელი. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში 20-25 მილიონი ტონა ნაკელია საჭირო, საქონლის რაოდენობის მიხედვით კი 5 მილიონ ტონაზე მეტი ვერ გროვდება... არსებობს მარტივი ტექნოლოგია – ვერმიკულტივირების მეთოდი, რომელსაც გლეხები ინფორმაციის სიმწირის გამო ვერ იყენებენ. ეს არის მეთოდი, რომლის მიხედვითაც, იქვე, სადაც ნარჩენი წარმოიშობა (ანუ ფერმერის კარ-მიდამოზე სეზონურად დაგროვილი ნაკელი, მოთიბული ბალახი, ჩალა და ა.შ), ჩნდება ჭიაყელა, რომელიც ამ მასით იკვებება და მას გადაამუშავებს.

სასუქებზე მოთხოვნილებით გამოწვეული პრობლემები. მიმდინარე წელს სასუქი და სათესლე მასალა 10–15%–ით გაძვირდა, გასულ წელთან შედარებით მოთხოვნა მნიშვნელოვნად მომატებულია.

წელს ქვეყანაში გასულ წლებთან შედარებით მეტი მიწის ფართობის დამუშავება იგეგმება. მართალია, სასუქისა და საწვავის გაძვირების ფონზე წელს გლეხს მიწის დამუშავება უფრო ძვირი დაუჯდება (ერთი ჰექტარი მიწის გასანოყიერებლად გლეხს საშუალოდ 300–400 ლარის სასუქი სჭირდება), თუმცა სურსათის გაძვირების ფონზე ისინი ამ ხარჯს არ ერიდებიან.

განვითარების შემდგომი ეტაპები. დღევანდელი, სასოფლო-სამეურნეო ბარათის არეალი – 510 ლარი გლეხისათვის სერიოზული თანხაა. სხვა საკითხია, ეს პროგრამა ეფექტიანი იქნება თუ არა, მაგრამ ბარათების დარიგება, პოლიტიკურად სწორი ნაბიჯია – საჭიროა, გლეხობამ დაიჯეროს, რომ ხელისუფლება მისი პრობლემების მოგვარებაზე ფიქრობს.

თუ დახმარება ამ ეტაპზე ყველასათვის იყო გათვალისწინებული, შემდგომში ასეთი დახმარებები, მხოლოდ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის მეურნეობის პირებისათვის უნდა გამოიყოს. ყველაფერ ამას კი, წინ სოფლის მეურნის, ანუ ფერმერის სტატუსის კანონის მიღება უნდა უძღოდეს. მომავალში დახმარებები მხოლოდ ფერმერებზე უნდა გაიცეს და არა მათზეც, ვისაც მოსავალი მხოლოდ საკუთარი ოჯახის გამოსაკვებად მოჰყავს...

სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები. დაფინანსებაზე პასუხისმგებლობა კომერციულ ბანკებზეა გადანაწილებული, რომლებიც ამ 700 მილიონის გარდა, თავიანთ რესურსებსაც გამოიყენებენ. ბანკების დღევანდელი დაბალ პროცენტიანი სამომხმარებლო სესხი გლეხისათვის მიუღებელია. თუკი სამომხმარებლო სესხი, სახელმწიფოსა და ბანკების თანამონაწილეობით, 14 %-იანი იქნება და აქედან 9%-ს სახელმწიფო გადაიხდის, დანარჩენს კი, – გლეხი. ეს სოფლის მეურნეობას ნამდვილად დაეხმარება, მაგრამ აქ მოსავლის დაზღვევის საკითხებიც მოსაგვარებელია;

გასარკვევია ბანკების მიერ სესხის სანაცვლოდ მოთხოვნილი გარანტიები, შესასწავლია ბანკების მიერ შემუშავებული ხელშეკრულებები, არავინ იცის, თუ რა გარანტიებს მოითხოვენ კერძო ბანკები. სოფელში მცხოვრებ ადამიანს თბილისში ბინა შეიძლება არ ჰქონდეს, გირაოში რომ ჩადოს. ბანკი კი, სოფლის მეურნეობის მოსავლით, ან სოფელში მდებარე ნაგებობით, თუნდაც საცხოვრებელი სახლით, შეიძლება, არც დაინტერესდეს.

კოოპერირების შერეული ფორმები. სოფლად შეიძლება ჩამოყალიბდეს ისეთი კოოპერატივებიც, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავებულნი სასოფლო - სამურნეო წარმოების პროცესით, თუმცა უზრუნველყოფენ ამ დარგში პროდუქციის წარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას ანუ, დღევანდელი ტექნოლოგიის შესაბამისად, დაკავებულნი არიან სერვისული მომსახურებით. კერძოდ, უზრუნველყოფენ საჭირო რესურსებით გლეხურ მეურნეობებს შესაბამისი სამუშაოების, პროდუქციის გასაღების, (რეალიზაციის), საბინაო - კომუნალური და სხვა მომსახურეობის სამუშაოების შესრულებას.

მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხი იძულებით გადაადგილებულ და ლტოლვილ მოსახელობასთან მიმართებაში. განსაკუთრებით კომპაქტურად განსახლებულთათვის, რომლებსაც შესაძებლობის ფარგლებში, ერთობლივად შეუძლიათ დაამუშაონ მათზე გადაცემული მიწის ნაკვეთები. ასევე შეიძლება მათდამი მომსახურების გაწევა სხვადასხვა ფორმით, პროდუქციის გაყიდვის, ინფორამციული უზრუნველყოფის, მარკეტინგული მომსახურეობისა და სხვა სახით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთელ რიგ შემთხვევებში სხვადასხვა ფორმით კოოპერირება ჩვენში ფაქტობრივად უკვე ხორციელდება თუმცა, რატომღაც მისი ლეგალიზება არ ხდება. პირიქით, საჭიროა ეს პროცესი უფრო ღიად, აქტიურად და შემოქმედებითად განხორციელდეს და მისადაგებულ იქნეს დღევანდელი ვითარებისადმი.

ინფრასტრუქტურის მოწყობა, საირიგაციო სამუშაოების ჩატარება. საქართველოში 1 ჰექტარზე ნაკლები მიწის ნაკვეთი შეადგენს 3 მილიონ 500 ათას ერთეულს. დაქუცმაცემული მიწის ნაკვეთები გაბნეულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რომელთა მოვლა ძალიან ძნელია. ამას სჭირდება კონსოლიდირება, მიწების ეტაპობრივი გაერთიანება, რათა წარმოება წავიდეს უფრო კომერციული თვალსაზრისით.

განვითარების შესაძლო ფორმები. გლეხური მეურნეობა, მისი შეზღუდულობის გამო, არაა ორიენტირებული განვითარებაზე. მათი გაერთიანებები კი, პირიქით, მათი არსებობის საფუძველი განვითარებაზე ორიენტირებაა.

დღევანდელი ფორმა სოფლის მეურნეობის დაფინანსებისა, საუკეთესო შემთხვევაში, მოგვცემს შემდეგ შედეგს: გლეხი მიიღებს მაღალ მოსავალს და ვერ გაასაღებს ან იმდენად დაბალ ფასში მოუხდება მისი რეალიზაცია, რომ სურვილიც არ ექნება მომავალ წელს მოიყვანოს მოსავალი. პირველ წელს იდება 700 მილიონი, მათ შორის კაპიტალიზაცია ხდება 150-200 მილიონის. მეორე წელს მეორდება იგივე და ასე შემდეგ. 4 წლის თავზე სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზირებული თანხა შეადგენს 600-800 მილიონს. ორგანიზაცული გაერთიანებების(კოოპერატივების) შემთხვევაში კი იგივე მოცულობით დაფინანსების პირობებში კაპიტალიზაცია იქნება 4-ჯერ მეტი. ამიტომ უნდა ხდებოდეს არა წვრილი გლეხური მეურნეობების ინვესტირება, არამედ მათი გაერთიანებების (კოოპერატივების), როგორც განვითარებაზე და კვლავწარმოებაზე ორიენტირებული სუბიექტების დაფინანსება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კუნჭულია თ., საქართველოს სოფლის მეირნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები, თბ., 1997.
2. ოქროცვარიძე ა., ვადაჭკორია მ., ოქროცვარიძე ლ., საგარეო ეკონომიკუირი ურთიერთობები, დამხმარე სახელმძღვანელო., თბ., 2010.
3. http://www.bfm.ge/banks/
4. http://www.bfm.ge/villige/5574-vsopeli.html
5. http://www.bfm.ge/villige/5600-agrosesxi.html
6. http://www.for.ge/view.php?for_id=23053&cat=1

მაგდა ვადაჭკორია

სოფლის მეურნეობის საწარმოთა კოოპერაცია და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

რეზიუმე

სახელმწიფოს მხრიდან აგრარული პოლიტიკის არსი მიწის მესაკუთრის მიმართ მიმართული უნდა იყოს ისეთი სტრუქტურების დაფინანსებაზე, რომელიც საკითხის ოპტიმალურ გადაწყვეტას უზრუნველყოფს. ასეთმა სტრუქტურებმა უნდა უზრუნველყონ მიწის მფლობელთათვის მეურნეობის გაძღოლის სხვადასხვა ფორმების შეთავაზება, სათანადო ადმინისტრაციული ღონისძიებების გარკვევა და არა სხვაზე ამ პრობლემის გადამისამართება. კოოპერირებული მართვის ფორმები განსაზღვრავენ მომავალში განვითარებასა და კვლავწარმოებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის ინვესტირებას.

Magda Vadatchkoria

Cooperation and Agricultural Activities. Problems and Perspectives in Georgia

Summary

The government should develop a policy about agriculture, which should include financing such structures that will decide several problems of agriculture. Such kind of structures should provide different ways of leading forestry for owners of land. They should solve administrative problems and should not re-direct them to other structures. Such kind of leadership will develop this field and in future will provide increasing quantity of investments in agriculture.

Магда Вадачкория

Кооперация производств сельского хозяйства и перспективы её развития в Грузии

Резюме

Смысл аграрной политики государства должен заключаться в направлении на собственника, на финансировании таких структур, которые способны на оптимальные решения вопросов. Такие структуры должны быть способны предложить собственникам земли разные формы управления хозяйством и соответственные административные мероприятия, а не перекладывать эти функции на других. Кооперированные формы управления определяют инвестирование нацеленное на развитие в будущем сельского хозяйства.

მურად გარუჩავა
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
გიორგი ფარულავა
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

საკვები პროდუქტების ხარისხის ფორმირებაზე მოქმედი ზოგიერთი ბიოქიმიური ფაქტორი

საკვები პროდუქტების ხარისხი განაპირობებს ჯანსაღ კვებას. ჯანსაღი კვება კვების ის ფორმაა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის სრლფასოვან განვითარებას და სიცოცხლისუნარიანობის ზრდას. ჯანსაღი კვება მიეკუთნება იმ მნიშვნელოვან ფაქტორთა რიცხვს, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის ჯანრთელობაზე.

ბოლო ათი წლის განმავლობაში კვების სტრუქტურა ბევრ ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა. აღნიშული პროცესები აქტიურად ვითარდება ჩვენს ქვეყანაშიც. დღეისათვის შეიცვალა საკვები პროდუქტების არა მარტო ასორტიმენტი და ხარისხი, არამედ მათი ქიმიური შედგენილობაც და გამომდინარე აქედან, შეიცვალა საკვები პროდუქტებისადმი ადამიანის ფიზიოლოგიური დამოკიდებულებაც. გაიზარდა და განახლდა პროდუქტების ასორტიმენტი. შეიცვალა მათი ხარისხი და სამწუხაროდ, არა უკეთესობისაკენ. მაგალითად, მსოფლიო მრეწველობაში ფართოდ გამოყენებადი რაფინაციის პროცესი იწვევს ნედლეულის რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტის – ვიტამინების, მინერალური, მღებავი, პექტინური და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების დაკარგვას. ადამიანის საკვებში აღნიშნული კომპონენტების უკმარისობა იწვევს არაინფექციური დაავადებების გაჩენას.

სოფლის მეურნეობაში ანტიმიკრობული თვისებების მქონე მინერალური სასუქების, მცენარეებისა და ცხოველების დამცავი საშუალებების გამოყენებამ გამოიწვია ის, რომ გადასამუშავებელი ნედლეული კონსერვანტების დამატების გარეშეც კი შეიცავს მათ ნარჩენ რაოდენობას. მზა პროდუქციაც კი, შეიძლება შეიცავდეს აღნიშნული პროდუქტების უმნიშვნელო რაოდენობას.

მოცემული გარემოება მიგვანიშნებს საკვებ პროდუქტებში აღნიშნული ნივთიერებების ზღვრული დასაშვები რაოდენობის დადგენის აუცილებლობაზე. საკვებ პროდუქტებში არსებული აღნიშნული ნივთიერებების ნარჩენი რაოდენობა ადამიანის ორგანიზმზე ახდენს მავნე ზეგავლენას.

ჯანსაღი და სრულფასოვანი კვების უზრუნველყოფის თვალსაზრისით დიდი ყურადღება ექცევა ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად მიღებული საშიში, მავნე ნივთიერებების არ არსებობას, ან მათი დასაშვები დოზების ფარგლებში არსებობას.

ბუნებრივ, მავნე და საშიშ ნივთიერებებს (პესტიციდებს, მიკოტოქსინებს, გლიკოზიდებს) გააჩნიათ ნედლეულიდან მზა პროდუქტში შეღწევის უნარი, ან წარმოების (მელანოიდინი, ტოქსიკური ელემენტები) და შენახვის პროცესში (მიკოტოქსინები) გაჩენა.

ხელოვნურად მავნე და საშიში ნივთიერებების შეღწევა საკვებ პროდუქტებში შესაძლებელია იმ ტექნოლოგიური დანამატების მეშვეობითაც, რომლებიც აკრძალულია გამოყენებისათვის, ან ნებადართულია, მაგრამ ნაკლებად არის შესწავლილი ორგანიზმზე მათი უსაფრთხო ზემოქმედების გავლენა. გარდა ამისა, ხელოვნურად მიღებული მავნე და საშიში ნივთიერებების შეღწევა საკვებ პროდუქტებში შესაძლებელია კონსერვანტების, კონტამინანტებისა (უცხო წარმოშობის ნივთიერებების) და სხვა ნივთიერებების სახით, რომლებიც საკვებ პროდუქტებში გადადიან შეფუთვის დროს, შესაფუთი მასალიდან ან გამოყენებული ჭურჭლიდან. იგივე შეიძლება გამოიწვიოს ბუნებრივმა საშიშმა და მავნე ნივთიერებებმა. ბუნებრივ საშიშ ნივთიერებას მიეკუთნება ფიტინი. მას გააჩნია დემინერალიზაციის ეფექტი. იგი წარმოადგენს ინოზიტფოსფორ მჟავას კალციუმისა და მაგნიუმის მარილს, რომელიც წყალში ცუდად იხსნება. ფიტინი შეიცავს 6 ატომიან სპირტს-ინოზიტს, რომელთა იზომერებიდან ერთ-ერთს - მიოინოზიტს გააჩნია ვიტამინის თვისებები. თავისი ქიმიური აგებულების გამო იგი წარმოქმნის ძნელად ხსნად იონებს კალციუმთან, მაგნიუმთან, რკინასთან, ცინკთან და სპილენძთან.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ფიტინს შეიცავს მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურები 380-400 მგ/100გ. ფიტინის ძირითადი ნაწილი მოთავსებულია მარცვლეულის გარეთა გარსზე. დადგენილია, რომ პური რომელიც გამომცხვარია რაფინირებული ფქვილით, პრაქტიკულად არ შეიცავს ფიტინს.

კვლევის შედეგად დადგენილია ისიც, რომ ფიტინის მადეკალცინირებელი ეფექტი მით უფრო მაღალია, რაც უფრო მცირეა პროდუქტებში კალციუმისა და ფოსფორის თანაფარდობა და რაც უფრო დაბალია ვიტამინ D-ს შემცველობა ორგანიზმში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიტინის მჟავა. მას ბევრი მეცნიერი ანტინუტრიენტს უწოდებს, რადგანაც იგი ეთერული ბმებით ადვილად იერთებს კალციუმის, მაგნიუმის, თუთიისა და რკინის იონებს და აღარიბებს ამ იონებით ადამიანის ორგანიზმს. იგი დიდი რაოდენობითაა ლობიოსა და ბრინჯის სხვადასხვა სახეობებში.

ფიტინის მჟავის დასახელება ზუსტად შეესაბამება მის ქიმიურ აგებულებას. თავსართი – მიო მიუთითებს ინოზიტის ბირთვში ჰიდროქსილების ჯგუფების გარკვეულ ორიენტაციაზე. თავსართი – ჰექსაკისი – ჰექსასაგან განსხვავებით მიუთითებს იმაზე, რომ ფოსფორმჟავას ჯგუფები არ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან.



ფიტინის მჟავა

მცენარეული წარმოშობის პროდუქტებში ფართოდ არის გავრცელებული მჟაუნმჟავას მარილები, რომლებსაც ოქსალატები ეწოდება. მჟაუნმჟავას მნიშვნელოვან რაოდენობას შეიცავს ზოგიერთი ბოსტნეული, შედარებით ნაკლებს –ხილი, მჟაუნმჟავა მცენარეულ ნედლეულში იმყოფება თავისუფალ და შეკავშირებულ მდგომარეობაში. თავისუფალი ამინომჟავა იკავშირებს კალციუმს და ამით იგი აღარიბებს ორგანიზმს.

მჟაუნმჟავას გააჩნია დემინერალიზაციის ეფექტი. იგი განპირობებულია იმით, რომ მჟაუნმჟავა კალციუმის მარილებთან წარმოქმნის წყალში პრაქტიკულად უხსნად მარილებს. დადგენილია, რომ კალციუმის ერთი მასური წილი იერთებს მჟაუნმჟავას 2,2 ნაწილს. ამიტომ ის პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვანი რაოდენობით მჟაუნმჟავას, შეუძლიათ მკვეთრად შეამცირონ კალციუმის შემცველობა წვრილ ნაწლავში და გახდეს მძიმე მოწამვლის მიზეზი. მჟაუნმჟავას მოქმედება კალციუმის ცვლაზე იმდენად ძლიერია, რომ მისი მაღალი შემცველობის გამო შეიძლება მოხდეს ადამიანის ორგანიზმის ინტოქსიკაცია. ცნობილია ფაქტები, როდესაც მჟაუნმჟავას მაღალი შემცველობის პროდუქტების მიღებით დგება ადამიანის ლეტალური შედეგი.

მჟაუნმჟავას სასიკვდილო დოზა ზრდასრული ადამიანისათვის არის 5 დან 15 გრამამდე, სხვადასხვა ფაქტორებისაგან დამოკიდებულებით. დადგენილია რომ მჟაუნმჟავით ადამიანის ორგანიზმის ინტოქსიკაცია ხდება ვიტამინ D-ს დაბალი შემცველობის დროს. უნდა აღინიშნოს, რომ მჟაუნმჟავა ხელს უშლის აგრეთვე ორგანიზმში კალციუმის შეთვისებას რძისა და რძის პროდუქტებისაგან. რძე და რძის პროდუქტები არის ადვილად შეთვისებადი კალციუმის წყარო. ჩაისა და კაკაოში ოქსალატების მნიშვნელოვანი შემცველობის მიუხედავად საკმაოდ მცირეა მათი რაოდენობა, რომელსაც მოსახლეობა იღებს. ეს საშუალებას გვაძლევს უგულებელვყოთ ოქსალატების მიერ დეკალცინირების ეფექტის მოსალოდნელი საფრთხე. ოქსალატებით მოწამვლას თან ახლავს თირკმლებისა და სისხლძარღვების დაზიანება.

არანაკლებ ბუნებრივად საშიშ ნივთიერებას მიეკუთვნება გლიკოალკალოიდი, სოლანინი და მისი სახესხვაობა - ჩაკონინი.



სოლანიდინი

სოლანინი აგრეთვე მიეკუთნება მცენარეული წამოშობის ბუნებრივ საწამლავს. იგი შედგება გლუკოზისა და სოლანიდინისაგან.

სოლანინსა და ჩაკონინს საერთო აქვთ ალკალოიდი - სოლანიდინი. ისინი განსხვავდებიან მხოლოდ ნახშირწყლების შემცველობით.

სოლანინი შედის კარტოფილის შემადგენლობაში. ორგანოლეპტიკური და ქიმიური შედგენილობით ჯანსაღი კარტოფილის ტუბერების შენახვით, გაზაფხულზე მათში სოლანინის შემცველობა იზრდება სამჯერ. განსაკუთრებით მისი დიდი შემცველობა არის კარტოფილის მწვანე და დამპალ მასაში. კატროფილის ტუბერებზე მოხვედრილი სინათლე საშუალებას იძლევა მასში წარმოიქმნას გლიკოალკალოიდები, ხოლო კანისა და რბილი ნაწილის განათებით ხდება მათი გამწვანება. თერმული დამუშავებისა და სილოსირების დროს ხდება სოლანინის დაშლა და მცენარე კარგავს ტოქსიკურობას. აგრეთვე სოლანინი იშლება მარილწყალში.



სოლანინი

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სოლანინის მცირე დოზები ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმზე იწვევს სასარგებლო მოქმედებას, ხოლო მაღალი დოზები-კონცენტრაციები კი მოწამვლას. მოწამვლის სიმპტომები შეინიშნება მაშინ, როდესაც სოლანინის კონცენტრაცია ორგანიზმში არის 2,8 მგ. 1 კგ. სხეულის წონაზე გათვალისწინებით. სოლანინის შემცველობის გამო ბადრიჯანიც და პომიდორიც ხასიათდება აღნიშნული ტოქსიკურობით. სოლანინს გააჩნია ფუნგიციდური და ინსეკტიციდური თვისებები.

სოლანინი მცირე რაოდენობით ორგანიზმში მოქმედებს დადებითად: ხსნის ნერვული სისტემის დაძაბულობას, ამცირებს გულის უკმარისობას და არეგულირებს არტერიულ წნევას; ამცირებს კუჭში ჭარბი მარილმჟავას გამოყოფას; ზრდის სისხლში კალციუმის შემცველობას და ამცირებს ნატრიუმის შემცველობას. საკვები პროდუქტებით გამოწვეული დაავადებები წარმოადგენს სამამულო ჯანდაცვის ერთ-ერთ ყველაზე მეტად გავრცელებულ პრობლემას. მას თან ახლავს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური შედეგები, რომელიც თანამედროვე ეტაპზე, საკვები პროდუქტების მაღალი გლობალიზაციის პირობებში, ეხება ყველა ქვეყანას, მიუხედავად მათი განვითარების დონისა.

სურსათის უვნებლობის სფეროში არსებული საერთაშორისო მასშტაბის მრავალრიცხოვანი კრიზისი, აიძულებს მთავრობებსა და მთავრობათაშორის ორგანიზაციებს თავიანთ მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სურსათის უვნებლობისა და მისი დარეგულირების საკითხებს. ასევე შეათანხმონ ის აუცილებელი საკითხები, რომლებიც მიმართულია სურსათის უვნებლობის ინციდენტებთან დაკავშირებული რისკების მინიმუმამდე დაყვანასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Блохина Л.В., Кондакова Н.М., Батурин А.К. и др. Изучение фактического питания – важное звено в многоуровневой системе диагностики нарушений пищевого статуса у пациентов с ожирением, Журнал “Вопроси питания”, 2009, № 5.
2. Василевская Л.С., Охнянская Л.Г. Физиологические основы проблемы питания. Журнал “Вопроси питания”, 2002, № 2.
3. Штерншис М.В., Джалилов Ф.С.-У и др. Биологическая защита растений . М., 2004 .
4. Garuchava M. Proceedings of the international scientific conference on “ FOOD SAFITY PROBLEMS “, Tbilisi, 2009.
5. World Health Organization 2011. First global ministerial conference on healthy lifestyles and noncommunicable disease control 28-29 April 2011, Moscow, the Russian Federation.

მურად გარუჩავა, გიორგი ფარულავა

საკვები პროდუქტების ხარისხის ფორმირებაზე მოქმედი ზოგიერთი ბიოქიმიური ფაქტორი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საკვები პროდუქტების ხარისხის ფორმირებაზე მოქმედი ზოგიერთი ბიოქიმიური ფაქტორი. ნაჩვენებია საკვები პროდუქტების როლი ჯანსაღი კვების პროცსში. მოცემულია საკვბ პროდუქტებში ყველაზე უფრო გავრცელებული როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნურად მიღებული საშიში ნივთიერებების ფიზიკო - ქიმიური დახასიათება და საკვებ პროდუქტებში მათი მოხვედრის გზები, ნაჩვენებია აგრეთვე მათი მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე.

Murad Garuchava, Giorgi Parulava

Some Biochemical Factors which Affect on the Formation of Food Products

Summary

The article discusses some biochemical factors that affect on the formation of food products quality. The role of food in the process of healthy diet is shown. Is given physico-chemical characteristics of that harmful substances that are more common in food products. Also there are shown the influence on human body and health.

Мурад Гаручава, Гиорги Парулава

Некоторые биохимические факторы, вляюшие на формирование качества пищевой продукции

Резюме

В статье рассмотренны некоторые биохимические факторы, влияющие на формирование качества пищевой продукции. Показана роль пищевых продуктов в процессе здорового питания. Дана физико-химическая характеристика тех природных и естественных вредных веществ, которые больше всех встречаются в пищевых продуктах. Показаны также пути их поступления в пищевые продукты.

მანანა ცინცაძე
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნათია ნატროშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გიორგი ნატროშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

გალია ცქვიტინიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მეცხოველეობის განვითარების პერპექტივები საქართველოში

ბოლო დროისათვის განვითარებად ქვეყნებში, ცხოველური პროდუქტი შეზღუდული სახით იყო ხელმისწვდომი, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში უფრო დიდი რაოდენობით მოიხმარებოდა. ზოგადად, მაღალი განვითარების მქონე ერები, უფრო მეტად ჯანმრთელნი არიან და ცხოვრობენ ხანგრძლივად, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში მცხოვრებნი.

მსოფლიოში თანამედროვე მეძროხეობის განვითარებას ახასიათებს მისი მთავარი პროდუქტების – რძისა და ხორცის წარმოების ინტენსიფიკაცია. ბოლო წლებში ფაოს მონაცემებით ფურების ყველაზე მაღალ წველადობას მიაღწიეს ისრაელში – საშუალოდ 8531 კგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში 6464 კგ-ს, დანიაში 6307 კგ-სა და შვეიცარიაში 6244 კგ, ხოლო 5000 კგ-ზე მეტი საშუალო წველადობა აღინიშნა ჰოლანდიაში, კანადაში, იაპონიასა და ფინეთში. მიუხედავად პროდუქტიულობის ასეთი მაღალი დონისა, რაც ადრე ძნელად წარმოსადგენი იყო, მის ზრდას ბოლო არ უჩანს და ყურადსაღებია, რომ სადაც ყველაზე მეტი წველადობაა მიღწეული, მისი ყოველწლიური ნამატიც მაღალია. დარგის სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ეს დაკავშირებულია მეცნიერების განვითარებასთან და ცხოველთა კვების, მოვლისა და გენეტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებასთან. საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარება ხელისუფლების მიერ დეკლარირებულ პრიორიტეტულ დარგებს შორისაა დასახელებული.

მეცხოველეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სოფლის მეურნეობის განვითარებაში. რამდენად ახერხებს დააკმაყოფილოს შიდა ბაზრის მოთხოვნა, ამაზე წარმოდგენას ქმნის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც 2014 წლის სამი კვარტლის ბოლოსათვის სოფლის მეურნეობაში არსებულ მდგომარეობას ასახავს. ის ზუსტად მოიცავს მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის სულადობას და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დინამიკას წლების მიხედვით.

საქართველოში, 2014 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით 6,1 %-ით არის გაზრდილი მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის სულადობა, ხოლო ღორის სულადობა შემცირებულია 20,1 %-ით, წიწილაც ანალოგიურ მდგომარეობაშია და ფრინველის რაოდენობა გასული წლისას 12,6%-ით აღემატება. რაც შეეხება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას, წინასწარი მონაცემებით, გაზრდილია რძის წარმოება 3,3%-ით, ხოლო კვერცხის წარმოება - 7,3 %-ით. ხორცის წარმოება კი შემცირებულია 3,3%-ით.

ზოგადად, თუ ბოლო ათწლეულის სტატისტიკას გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ შედარებითი ვარდნა სასაქონლო წარმოებაში 2011 წელს იყო. ხორცის წარმოების პიკი 2010 წელს ემთხვევა და მას შემდეგ თითქმის ერთნაირ დონეზეა. კვერცხის წარმოების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო 2011 წელს და მცირედი კლების შემდეგ დღეს ისევ ამ მაჩვენებელს უბრუნდება.

ბოლო პერიოდში, 10-15 წლის მანძილზე, კვლავ აღდგა ინტენსიური მუშაობა მეცხოველეობის კუთხით, იქმნება ფერმერული სტრუქტურები, რაც სავარაუდოდ შემდგომში გამსხვილდება და საქართველოში კვლავ შეიქმნება ძლიერი მეცხოველეობა, რათა დააკმაყოფილოს მოსახლეობა ადგილობრივი ცხოველური პროდუქციით და მოსახლეობა არ იყოს შემოტანილი უვარგის ცხოველურ პროდუქციაზე ორიენტირებული.

ჩვენ, როგორც სპეციალისტებს მიგვაჩნია, მეცხოველეობის სტაბილურობისა და მომგებიანობის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. უნდა შეიქმნას კვალიფიციური კადრი-მეცხოველეობის სპეციალობით;
2. არსებული ჯიშების გასაუმჯობესებლად საჭიროა მომშენებლობა, სელექციის კუთხით მუშაობის გაძლიერება;
3. შეიქმნას მტკიცე საკვები ბაზა, რაც ესოდენ აუცილებელია არსებული ჯიშების სრულყოფისათვის და პროდუქტიულობის ასამაღლებლად;
4. ფერმები და მეფრინველეობის ფაბრიკები აშენდეს და დამონტაჟდეს იმ ტექნიკური აღჭურვილობით, რასაც მოითხოვს თანამედროვე მეცხოველეობა.

მეცხოველეობის კვლავ ასაღორძინებლად, გარდა ჩამოთვლილი ღონისძიებებისა უნდა მოხდეს „წარმოებისა და მეცნიერების შემჭიდროვება“, ანუ ყველა ახალი ინოვაციური წინადადება, რომელიც მეცნიერების სფროში იქნება განხილული დადებითი შედეგებით, უნდა დაინერგოს წარმოებაში, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს მეცხოველეობის სწრაფ და მომგებიან განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ინტერნეტ სივრცე-სოფლის მეურნეობის სტატისტიკის მონაცემები.
2. სამადაშვილი ა., სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი, თბ., 2009.

მანანა ცინცაძე, ნათია ნატროშვილი, გიორგი ნატროშვილი, გალია ცქვიტინიძე

მეცხოველეობის განვითარების პერპექტივები საქართველოში

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მეცხოველეობის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა. მოყვანილია როგორც ფაოს ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემები, ასევე საქართველოში არსებული აღრიცხვის. ნათლად არის ჩამოყალიბებული ის ჩასატარებული ღონისძიებები, რომელიც დაეხმარება მეცხოველეობას უახლოეს წლებში ეკონომიკურად მეტი მომგებიანი იყოს და მიაწოდოს მოსახლეობას ეკოლოგიურად სუფთა და ჯანმრთელი პროდუქტი.

Manana Tsintsadze, Natia Natroshvili, Giorgi Natroshvili, Galia Tskvitinidze

The Ways of Development and Prospects of Livestock in Georgia

Summary

The Article considers the state of modern animal husbandry. The last statistic data of FAO are presented and indexes of their record in Georgia as well. There are defined the activities which will help animal husbandry for the nearest future in order to make it profitable branch and to present population ecologically pure and healthy products.

Манана Цинцадзе, Натия Натрошвили. Гиорги Натрошвили, Галия Цквитинидзе

Обзор мирового животноводства и пути его развития в Грузии

Резюме

В статье рассмотренно состояние современного животноводства. Приведены последние статистические данные ФАО, а также данные учета в Грузии. Определен перечень тех мероприятий, которые окажут помощь животноводству на ближайший период, для того чтобы превратить её в рентабельную отрасль, а также предоставить населению экологически чистые и здоровые продукты.

მანანა ცინცაძე
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნაილი ორჯანელი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნათია ნატროშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გიორგი ნატროშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

მებოცვრეობის განვითარების გზები – კვებაში რეზერვების გამოყენება

ქვეყნის ეკონომიკური პრობლემის გადასაჭრელად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მეცხოველეობის განვითარებას. სოფლის მეურნეობის პროდუქტების ინტენსიური წარმოება დიდ როლს თამაშობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში. ამ მხრივ აუცილებელია გამოვიყენოთ ყველა ის რეზერვი, რომელიც ხელს შეუწყობს ხორცის წარმოების ზრდას – კერძოდ, აღსანიშნავია მებოცვრეობა, რომელიც მთელი რიგი დადებითი თვისებებით ხასიათდება. გარდა მისი მალმწიფადობისა და მრავალნაყოფიერებისა, რომელთაც შეუძლიათ საშუალოდ წლის განმავლობაში დედალი ბოცვრიდან მივიღოთ 100 კგ-მდე ხორცი და 55 ცალის ოდენობით საქურქე ნედლეული, მისი ხორცი გარკვეული დიეტურობითაც ხასიათდება.

კვების ტიპი დიდ გავლენას ახდენს ბოცვრის ზრდა-განვითარებაზე. ხშირ შემთხვევაში ინტენსიური კვების დროს ხდება მოზარდი ბოცვრის სწრაფი, კუნთოვანი ნაწილის განვითარება და ამავე დროს ვღებულობთ მაღალი ხარისხის პროდუქციას.

საზღვარგარეთის ქვეყნებში მებოცვრეობის მაღალპროდუქტიულობა განპირობებულია იმით, რომ საკვების შემზადება ხდება სამრეწველო საფუძველზე დაყრდნობით, სადაც ნარევს ამზადებენ იმ საჭირო ნედლეულისაგან, რომელიც განაპირობებს ცხოველის მაქსიმალურ პროდუქტიულობას.

ამერკის შეერთებულ შტატებში ამზადებენ ისეთ ულუფას, რომელშიც 50% პარკოსანი ბალახის ფქვილი შედის, ასევე გერმანიაში ძირითად საკვებში დიდი რაოდენობით შედის ბალახის ფქვილი. განსხვავებით სხვა ქვეყნებისაგან, დანიაში კომბისაკვების დასამზადებლად იყენებენ ორი-სამი სახის ზეთოვანი კულტურების შროტს.

რიგი მეცნიერებისა აღნიშნავენ, რომ ულუფაში ნედლი პროტეინის ოპტიმალური ნორმა უნდა იყოს 15-დან 25%-მდე, ხოლო რაც შეეხება ცხიმს, იგი ჯერჯერობით არ არის შესწავლილი, მიუხედავად ამისა, თეგერი თავის ცდებში ადასტურებს, რომ მცენარეული ზეთის 5%-დან 25%-მდე დამატება აუმჯობესებს ბოცვრის ზრდას.

გრანულირებული კომბინირებული საკვების გამოყენებით ბოცვრის ცოცხალი მასა 29%-ით მაღალი იყო, ვიდრე ფხვიერი საკვების გამოყენების დროს.

საკვები ბაზის განმტკიცება არის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენს რესპუბლიკაში მებოცვრეობის განვითარებას. უკანასკნელ წლებში როგორც მეცნიერების, ისე მეწარმეების მხრივ საგრძნობლად დიდი ყურადღება დაეთმო იმას, რომ გამოიყენონ სრულად სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის წარმოების შედეგად მიღებული ანარჩენები მეცხოველეობაში, კერძოდ კი მებოცვრეობაში.

მეცნიერული ლიტერატურის გაცნობით ვიგებთ, რომ უნგრეთში ატარებდნენ ცდას 5 კვირიან ახალზელანდიური ჯიშის ბოცვრებზე, სადაც გამოიყენეს ვაშლის ნაქაჩი 10%-ის ოდენობით, რომელიც ულუფაში შეჰქონდათ ფქვილის მაგიერ, ჩატარებულმა ცდებმა უჩვენეს დადებითი მაჩვენებელი, როგორც ზრდის, ისე პროდუქტიულობის მიხედვით. ანარჩენების სახით იტალიაში წყაროდ გამოიყენეს მარცვლოვანის ჩალა მექანიკური დამუშავების შემდეგ, ასევე გამოიყენეს ტომატის ანარჩენი 10% შვრიის შესაცვლელად. ხილის ნაქაჩი, რომელიც მდიდარია პროტეინით და ცხიმით, მისი ულუფაში შეტანა დასაშვებია დახლოებით – 30%. იტალიაში ასევე გამოიყენეს ციტრუსის, შაქრის ჭარხლის, ყურძნის ნაქაჩები გარკვეული ტექნოლოგიების გამოყენებით.

უნგრეთში ჩატარებულ იქნა ცდა, სადაც ბოცვრის ულუფას დაუმატეს 10-12% ტომატის ანარჩენი, 10% ვაშლის ნაქაჩი, სიმინდისა და ლობიოს ღერო, შესაბამისად 10-15% და 10%.

გერმანიაში მოხდა მშრალი წიწვის დამატება საკვებზე, რომელიც მდიდარია უჯრედანით და რომლის მიღებაც აუცილებელია ბოცვრის ორგანიზმისათვის. მშრალ მდგომარეობაში წიწვი შეიცავს 93-95 გ პროტეინს, 273-275 გ უჯრედანას, 0,8 გ ფოსფორს, 5,4 გ კალციუმს, 0,07 გ ნატრიუმს, k და D ვიტამინებს.

უნგრეთში ანარჩენების სახით ანგორის ჯიშის ბოცვრებში გამოყენებულ იქნა ფრინველის ბუმბულის ფქვილი 2-6%. ფქვილის დასამზადებლად ბუმბულს ამუშავებდნენ გოგირდმჟავას ან კალციუმის ფოსფატით. მისმა დამატებამ საკვებზე შეამცირა ცილოვანი საკვების შემცველობა ულუფაში, რამაც გარკვეული ეკონომიკური მაჩვენებელი აჩვენა. რეკომენდაციაში ნაჩვენებია, რომ ბოცვრის რეალიზაციამდე 1-2 კვირით ადრე უნდა მოხდეს ბუმბულის ფქვილის მიცემის შეწყვეტა, რათა არ მოხდეს ხორცის ხარისხის დაცემა.

ჩეხეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩატარდა ცდები, სადაც გრანულირებულ კომბისაკვებში შეიტანეს 15-25% ქაღალდის ანარჩენი. საკვებში მიმოცვლის ენერგიის მოთხოვნილება 1 კგ მშრალ ნივთიერებაზე შეადგენდა საკონტროლო ჯგუფში 11,5 მჯ, ხოლო საცდელში 11,0 მჯ. სადღეღამისო წონამატი იყო – საკონტროლოში 24,4 გ, ხოლო საცდელში – 23,6 და 23,9 გ. ამის შედეგად ჩეხოსლოვაკიელი მეცნიერები იძლევიან რეკომენდაციას მებოცვრეობაში 15-25% ქაღალდის ანარჩენების გამოყენების შესახებ.

იტალიაში ზოგადი ზოოტექნიის ინსტიტუტში და პერუჯის უნივერსიტეტში ჩაატარეს ცდა, სადაც გამოიყენეს ტკბილი წიწაკის ანარჩენი ფქვილის სახით, რომლის პროცენტული შედგენილობა ასე გამოიყურებოდა: ნედლი პროტეინი – 21,4%, ნედლი უჯრედანა – 29,33%, ნაცარი – 14,55%, თავისუფალი ენერგია იყო 17,75 მჯ/კგ. ცდა ჩაატარეს 3 ჯგუფში, რომელიც დაკომპლექტებული იყო მოზარდი ბოცვრებით. საცდელ ჯგუფს დაუმატეს 4 და 8% ფქვილი. სადღეღამისო წონამატი მაღალი იყო მესამე ჯგუფში – 34,47გ. საკვების დანახარჯი 1 კგ წონამატზე თითქმის ერთნაირი იყო. ასევე არ იყო განსხვავება ბოცვრის ხორცის ხარისხში.

იტალიაში ბოცვრის საკვებად გამოყენებულ იქნა მზესუმზირის ჩენჩო, რომელიც დამუშავებული იყო მწვავე ნატრით და მის გარეშე. ყოველ 100გ ჩენჩოს ამატებენ 2,3,4 და 5გ მწვავე ნატრს. შემდეგ მასას აგრანულირებენ. პირველი ჯგუფი ღებულობდა ჩვეულებრივ საკვებნარევს, მეორე ჯგუფი დაუმუშავებელ მზესუმზირის ჩენჩოს, ხოლო მესამე დამუშავებული მზესუმზირის ჩენჩოს. ყველაზე კარგი შედეგები მიღებული იყო მეორე ჯგუფში, რომლის წონამაც საწყისთან შეადგინა შესაბამისი 665გ – 2122გ, მაშინ როდესაც I ჯგუფში იყო 640გ – 1580გ, II ჯგუფში კი 686გ – 1922გ. ხორცის გამოსავლიანობაც ყველაზე მაღალი მეორე ჯგუფში იყო – 58,59%, რაც 3-5%-ით მაღალია, ვიდრე პირველ და მესამე ჯგუფში.

საფრანგეთში ანარჩენის სახით გამოიყენეს სელის ნამჯა, იგი მდიდარია ნედლი უჯრედანით (68%), რის გამოც მას ძირითადად იყენებდნენ ბოცვრის სუქების დროს. ის ცდებში ოთხი ჯგუფიდან პირველს ეძლეოდა ჩვეულებრივი კომბინირებული საკვები, ხოლო დანარჩენ სამ ჯგუფს ნამჯის მაგიერ სელის ანარჩენი 5-10%-მდე, სადაც ჯგუფების ზრდის ინტენსივობა 20%-ით მაღალი იყო საკონტროლოსთან შედარებით.

საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვამ დაგვანახა, რომ ანარჩენებს იყენებენ როგორც კომბინირებულ საკვებში შესარევად, ასევე ცალკე საკვებადაც.

ჩვენს რესპუბლიკაშიც მეტნაკლებად არის ზოგიერთი სახის ანარჩენი შესწავლილი, რომელიც ამჟამად გამოიყენება მეცხოველეობაში და ხელს უწყობს საკვები ბაზის განმტკიცებას. საკვები ბაზის განმტკიცება კი არის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენს რესპუბლიკაში მებოცვრეობის განვითარებას.

უკანასკნელ წლებში, როგორც მეცნიერების, ისე მეწარმეების მხრივ საგრძნობლად დიდი ყურადღება დაეთმო იმას, რომ გამოიყენონ სრულად სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის წარმოების შედეგად მიღებული ანარჩენები მეცხოველეობაში, კერძოდ კი მებოცვრეობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ორჯანელი ნ., რაციონალური კვების ტიპის დამუშავება საქართველოს პირობებში თბ., 2011.
2. ქუმსიაშვილი ვ., ქუმსიაშვილი გ., მეკურდღლეობა, თბ., 1977.

მანანა ცინცაძე, ნაილი ორჯანელი, ნათია ნატროშვილი, გიორგი ნატროშვილი

მებოცვრეობის განვითარების გზები – კვებაში რეზერვების გამოყენება

რეზიუმე

ნაშრომში საუბარია მეცხოველეობის ერთ-ერთი დარგის – მებოცვრეობის მნიშვნელობასა და მისი აღორძინების გზების ძიებაზე. აღნიშნულია აგრეთვე უკანასკნელი 20 წლის მანძილზე საზღვარგარეთის წამყავან ქვეყნებში რა სახის საყუათო ნივთიერებებია გამოყენებული ბოცვრის კომბინირებულ საკვებში ჩასართავად, განზოგადებულია შედეგები და ნაშრომის ავტორები იძლევიან მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს ჩვენს ქვეყანაშიც ამ დარგის ასაღორძინებლად გამოსაყენებელ რეზერვებთან დაკავშირებით.

Manana Tsintsadze, Naili Orjaneli, Natia Natroshvili, Giorgi Natroshvili

Ways of Development of Rabbit-breeding – Usage of Reserves in Feeding

Summary

This Article reviews importance of animal husbandry and ways of development of one of its branches – rabbit-breeding. In the present work there are considered the varieties of nutrients used to include them into combined feed while 20 years in developed states of the world.

The results are generalized, the authors present suggestions. In our state are used the same reserves in this sphere.

Манана Цинцадзе , Наили Орджанели , Натия Натрошвили. Гиорги Натрошвили

Пути развития кролиководства – использование резервов в кормлении

Резюме

В статье рассмотренны значение животноводства и пути развития одной из ее отраслей- кролиководства. В данном исследовании приведены виды питательных веществ, используемые для включения в состав комбинированных кормов в течении 20 лет в развитых странах мира. Обобщены результаты, которые дополнены конкретными предложениями. В нашей стране для развития этой области используются те же резервы.

მაია კობახიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი

დავით ბასილაძე
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ანტისტრესული პრეპარატების გამოყენება მეფრინველეობაში

მეფრინველეობა ერთ-ერთი მაღალრენტაბელური და სტაბილურად განვითარებადი დარგია სოფლის მეურნეობაში. იგი მოსახლეობას ამარაგებს დიეტური და ხელმისაწვდომი ფასის კვების პროდუქტებით. მისი მეშვეობით ხდება სამომხმარებლო და სამრეწველო ბაზრის შევსება ფრინველის ხორცით, კვერცხით, ბუმბულით, გერმით. ფრინველის კვერცხი და ხორცი ხასიათდება ცხოველური ცილის მაღალი შემცველობითა და დაბალი კალორიულობით. მოხმარების საერთო მოცულობაში ფრინველის ხორცისა და კვერცხის ცილა შეადგენს 27%-ს, საიდანაც ხორცის ცილაზე მოდის 17,5%. განსაკუთრებით მაღალეფექტურია მეხორცული მიმართულების მეფრინველეობის განვითარება. ბროილერული წარმოების ეფექტურობა ბევრად არის დამოკიდებული ფრინველის გენეტიკურ პოტენციალზე, მათ ბალანსირებულ კვებასა და ტექნიკური მოთხოვნილებების დონეზე (2, 10).

მეფრინველეობის ფერმების გამსხვილების, ასევე ფრინველის პროდუქტიულობის გაზრდის ფონზე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ფრინველის დაცვას გარემო ფაქტორების მავნე ზემოქმედებისაგან. ყველა გამღიზიანებელი, რომელიც შეიძლება თან ახლდეს საწარმოო პროცესს, ყოველთვის უარყოფითად მოქმედებს ფრინველის ჯანმრთელობასა და მის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე (1, 603-604) . გამომდინარე აქედან, საჭიროა ფრინველის დაცვა სხვადასხვა მავნე ზემოქმედებისაგან და ისეთი პრეპარატების შერჩევა, რომელთა მეშვეობით აცილებული იქნება სტრესების ზემოქმედება.

კვლევის მიზანი და ამოცანები. მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ბროილერის ჯიშის წიწილებში გამოგვეცადა ისეთი ანტისტრესული პრეპარატი, რომელიც თავისი მოქმედებით სწრაფად და მაქსიმალური ეფექტურობით განაპირობებდა სტრესულ პირობებში ფრინველის ორგანიზმში მიმოცვლითი პროცესების სტიმულირებას და საშუალებას მისცემდა მაკრო ორგანიზმს თავიდან აეცილებინა ორგანიზმში განხორციელებული მეტაბოლური ძვრების უარყოფითი შედეგები. ამ მიზნით შერჩეულ პრეპარატი კატოზალი, რომელიც შეიცავს ორ ძირითად კომპონენტს: ბუტაფოსფანს და ციანკობალამიდს (ვიტ. B12).

ბუტაფოსფანი – ფოსფორის ორგანული შენაერთია, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია. იგი გავლენას ახდენს ორგანიზმში მიმდინარე მრავალ ასიმილაციურ პროცესზე, ხელს უწყობს პროტეინის სინთეზს, აჩქარებს ფრინველის ზრდა-განვითარებას, მკვეთრად აუმჯობესებს ღვიძლის ფუნქციონირებას, აძლიერებს ორგანიზმის არასპეციფიკურ რეზისტენტობას, გააჩნია ძვლოვანი ქსოვილის წარმოქმნისა და განახლების უნარი. ბუტაფოსფანი არ გროვდება ორგანიზმში და არ გააჩნია ისეთი გვერდითი მოვლენები, რომლებიც ახასიათებს არაორგანულ ფოსფორს და ზოგადად მასტიმულირებელ საშუალებებს. აღსანიშნავია, რომ სტრესულ სიტუაციაში ბუტაფოსფანი აწესრიგებს სტრესის ჰორმონის – კორტიზოლის დონეს, ეს კი თავის მხრივ აუმჯობესებს სისხლში გლუკოზის უტილიზაციას და ააქტიურებს ენერგეტიკულ ცვლას (3, 452-462) .

პრეპარატის შემადგენლობის მეორე ძირითადი კომპონენტი – ციანკობალამიდი (ვიტ. B12) აძლიერებს სისხლის წარმოქმნის პროცესს, მონაწილეობს კრეატინის ფორმირების პროცესში, ცხიმების ცვლაში, მეთიონინის ბიოსინთეზში და აწესრიგებს საკვების შეთვისების პროცესს.

მრავალმხრივი გამოკვლევებით დადგენილია, რომ „კატოზალი“ არ ახდენს მავნე ზეგავლენას ორგანიზმზე, არ გააჩნია პიროგენობა. მიეკუთვნება მცირედ ტოქსიურ ვეტე-

რინარულ-ფარმაკოლოგიურ საშუალებას, გააჩნია ცხოველთა ჯანმრთელობის გამაუმჯობესებელი გამოხატული უნარი (4, 20-32) .

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენს ამოცანას წარმოადგენდა: 1)ექსპერიმენტულ პირობებში შეგვესწავლა კატოზალის, როგორც ანტისტრესული პრეპარატის გავლენა ბროილერის ჯიშის სხვადასხვა ასაკის წიწილების ორგანიზმზე ტემპერატურული სტრესის გავლენის დროს; 2) განგვესაზღვრა ფრინველის სისხლის პლაზმაში სტრესის ჰორმონის – კორტიზოლის დონე; 3) დაგვედგინა პრეპარატ კატოზალის მოქმედება წიწილების ორგანიზმზე; ასევე განგვესაზღვრა მისი ეფექტური პროფილაქტიკური და სამკურნალო დოზები ტემპერატურული სტრესების დროს სხვადასხვა ასაკის ფრინველისათვის.

მეცნიერული სიახლე. საქართველოს პირობებში ჩვენს მიერ პირველად იქნა შესწავლილი ბროილერის ჯიშის სხვადასხვა ასაკის წიწილებში ტემპერატურული გამღიზიანებლების ზემოქმედების შემთხვევაში „კატოზალის“, როგორც ანტისტრესული პრეპარატის გავლენა.

საკუთარი გამოკვლევები. ცნობილია, რომ ბროილერის მოზარდის მაქსიმალური ზრდა-განვითარება ხდება გარემო ტემპერატურის +18°C-დან 20°C-ის ფარგლებში, ხოლო სხვა ტემპერატურული რეჟიმები სტრესულ ზეგავლენას ახდენენ, რაც აისახება მათ ზრდა-განვითარებასა და სხვა ფიზიოლოგიურ მაჩვენებლებზე.

ექსპერიმენტი ჩავატარეთ მცხეთის რაიონის სოფ. მუხრანში მცხოვრებ მ. მიქელაძის კერძო მეფრინველეობის ფერმაში.

ცდისათვის ავიყვანეთ 20-დან 60 დღემდე ასაკის 80 ფრთა ფრინველი, რომლებიც თანაბრად გავანაწილეთ 8 გალიაში. საცდელ ფრინველებს ხელოვნურად ვამყოფებდით სხვადასხვა ტემპერატურის ზემოქმედებით გამოწვეულ სტრესულ პირობებში. კერძოდ: შენობაში დილის 7 საათიდან 12 საათამდე გარემოს ტემპერატურას ვზრდიდით +18°C-დან +35°C-მდე და ამ პირობებში ფრინველს ვამყოფებდით 5 საათის განმავლობაში (17 საათამდე), შემდეგ ტემპერატურას ვამცირებდით +20°C-მდე, რომელსაც ვინარჩუნებდით დილის 7 საათამდე.

შევისწავლეთ ბროილერის ჯიშის მოზარდზე ტემპერატურული სტრესის ნეგატიური გავლენა. ვაკვირდებოდით წიწილების ქცევას. შეფასებას ვახდენდით შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: ფრთების მოძრაობა, ნისკარტით ბუმბულის გაწმენდა, სიარული, დოგმა, სუნთქვის ინტენსივობა. აშკარად შეინიშნებოდა მაღალი ტემპერატურის (+32-35°C) სტრესული გავლენა ფრინველის ქმედებებზე. კერძოდ, მატულობდა სუნთქვის ინტენსივობა და ფრთების მოძრაობის სიხშირე, ფრინველები ნაკლები აქტიურობით იწმენდნენ ნისკარტით ბუმბულს, უფრო მოწყენილები იყვნენ და ნაკლებს მოძრაობდნენ.

პრეპარატ კატოზალის ეფექტური პროფილაქტიკური და სამკურნალო დოზის დადგენის მიზნით, ფრინველები დავყავით 8 ჯგუფად, თითოეულ ჯგუფში 10 ფრთა. მათგან ერთი ჯგუფი იყო საკონტროლო, რომელსაც არ ეძლეოდა კატოზალი, ხოლო 7 ჯგუფი იყო საცდელი, რომლებსაც სასმელ წყალში სხვადასხვა დოზით ვუმატებდით კატოზალს. კერძოდ, 1 ლიტრ წყალზე შესაბამისად: 1.0 მლ; 5.0 მლ; 8.0 მლ; 10.0 მლ; 15.0 მლ და 20.0 მლ.

დავადგინეთ, რომ ტემპერატურული სტრესისაგან კატოზალის დამცავი ეფექტი ყველაზე უკეთ შეინიშნებოდა 1 ლ სასმელ წყალში 20 მლ პრეპარატის დამატების შემთხვევაში, როცა ბუტაფოსფანის კონცენტრაცია აღწევს 2000 მ.ე-ს.

ტემპერატურული სტრესის (+32-35°C) ზემოქმედებისას საკონტროლო ჯგუფის წიწილების სისხლის პლაზმაში ხდებოდა ჰორმონ კორტიზოლის დონის აწევა (1.8-2.05 მოლ/გ), ხოლო იგივე პირობებში საცდელი ჯგუფის წიწილების სისხლის პლაზმის შემოწმებით დადგინდა, რომ ჰორმონ კორტიზოლის დონე შენარჩუნებული იყო ნორმის ფარგლებში (1.4-1.6 მოლ/გ), რაც უდავოდ გამოწვეულია პრეპარატ კატოზალის შემადგენლობაში შემავალი ძირითადი ნივთიერების – ბუტაფოსფანის მოქმედებით.

ცდებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ: კატოზალი არის ანტისტრესული პრეპარატი და მისი მიცემა ფრინველებისათვის დოზით – 20 მლ 1 ლ სასმელ წყალზე

პოზიტიურად მოქმედებს მათ ორგანიზმზე ტემპერატურული სტრესის ზემოქმედების დროს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Calnek B.W. and other.- Disease of Poultry. 10-thed Ames; Iowa; 1997.
2. Dowling G. Poultry Industry, 1997, December.
3. Sainsbury D. Poultry Health and Management: CHICKENS, TURCKYS, DACKS, GISYS and QUAILS. Blackwell Sciense inc., ISBN, 2000, 4-th ed., April.
4. Zander D.V. Poultry Disease Investigation Laboratories., Veterinary Medical Sciens., Texas University, 1999.

მაია კობახიძე, დავით ბასილაძე

ანტისტრესული პრეპარატების გამოყენება მეფრინველეობაში

რეზიუმე

საქართველოს პირობებში პირველად იქნა შესწავლილი ბროილერის ჯიშის სხვადასხვა ასაკის წიწილებში ტემპერატურული გამღიზიანებლის ზემოქმედების შემთხვევაში კატოზალის, როგორც ანტისტრესული პრეპარატის გავლენა. დადგინდა პრეპარატის გამოსაყენებელი ოპტიმალური დოზა ფრინველისათვის, კერძოდ, 1 ლიტრ სასმელ წყალზე 20 მლ-ის ოდენობით.

Maia Kobakhidze, David Basiladze

Anti-stress Agents in Poultry

Summary

Drug Katozal was studied for the first time as anti-stress agent in broiler chickens of different ages in Georgia. Also was studied the influence of the temperature of the stimuls. It was confirmed the optimal dose in chicken is 20 ml. per 1 liter of water.

Майя Кобахидзе, Давид Басиладзе

Применение антистресового препарата в птицеводстве

Резюме

В первые в условиях Грузии в экспериментальных условиях на разновозрастных цыплятах-бройлерах было изучено влияние Катозала как антистресового препарата на понижение воздействия температурного раздражителя. Установлена оптимальная доза применения препарата, который составляет 20 мл на 1 л воды.

ინჟინერია

დავით გუბელაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ბუნებრივ კალაპოტებში ნაკადის ჰიდრავლიკური მახასიათებლების კვლევის მეთოდები

მდინარებში წყლის დინების კანონზომიერების შესწავლა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს კალაპოტური პროცესების წარმოქმნასა და დინების ფორმირებაში.

დღეისათვის არსებობს სხვადასხვა სტრუქტურის მქონე დამოკიდებულებანი, რომლებიც აღწერს სიჩქარეთა განაწილების კანონზომიერებებს ფსკერულ შრეში, მაგრამ ისინი საჭიროებენ ექსპერიმენტულ დასაბუთებას. მიღებული ძირითადი თეორიული კონცეფციები და დასკვნები განხვავდება ექსპერიმენტის მონაცემებისაგან, აუცილებელი ხდება მიღებული შედეგების საიმედოობის დადგენა, წინასწარ განსაზღვრული შეფასების მიხედვით, რასაც ვერ უზრუნველყოფს ექსპერიმენტული კვლევის მონაცემების სიმცირე და ამასთან ერთად რიგ შემთხვევაში ინდუცირებული ნაკადის, როგორც ფაქტორის უგულებელყოფა. ამის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია კალაპოტწარმომქნელი პროცესების ფიზიკური მოვლენის რეალური სურათის ამსახველი მოვლენების შესწავლა, მოქმედ ფაქტორთა მაქსიმალური გათვალისწინებით.

კალაპოტის ფსკერზე მდებარე ნაწილაკი ნაკადის მხრიდან იმყოფება ჰიდროდინამიკური ძალის ზეგავლენის ქვეშ. ეს ზეგავლენა გამოწვეულია ფსკერზე მდებარე ან მგორავი ნაწილაკის არასიმეტრიული გარსდენისა, რომელსაც აქვს ორი მდგენელი: ჰორიზონტალური, რომელიც მიისწრაფის, რომ ნაწილაკი დაძრას დინების მიმართულებით და ვერტიკალური, ნაწილაკის წონის შემამცირებელი.

სითხეში მყოფი მყარი სხეულის გარსდენა იწვევს ნაკადის ჭავლის სიმრუდეს, რაც განაპირობებს ცენტრიდანული ძალების არსებობას, რომელიც წარმოქმნის ნაწილაკის გარშემო ველს და იწვევს სხეულის გარსდენისას გვერდითი და უარყოფითი წნევების წარმოქმნას.

ნაკადის ჰიდროდინამიკური ძალის ზემოქმედება სხვადასხვა ზომის ნაწილაკზე არაერთგვაროვანია და დროის განსაზღვრულ მომენტში დამოკიდებულია სიჩქარის პულსაციაზე, დალექილ ფსკერზე ნაწილაკის განლაგებაზე, გარშემო მყოფ ნაწილაკთა მიმართ და თვით ნაწილაკის გეომეტრიულ ფორმაზე.

განვიხილოთ დამოკიდებულება, რომელიც აკავშირებს დინების ხარისხის მაჩვენებელს ნაკადის ჰიდრავლიკურ წინააღმდეგობასთან.

$$\sqrt{\lambda} = k\alpha \qquad (1)$$

სადაც k ემპირიული კოეფიციენტია.

რადგანაც ჰიდრავლიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტი არის ნაკადის გამტარუნარიანობის ერთ-ერთი ინტეგრალური მახასიათებელი, უნდა დაზუსტდეს ზოგიერთი მასთან დაკავშირებული განსაზღვრებები:

$$\lambda(y) = \frac{2U_*^2(y)}{\overline{U}^2(y)} \cdot \frac{h(y)}{R(y)} \qquad (2)$$

სადაც $\lambda(y)$ არის ჰიდრავლიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტი ვერტიკალზე; y - მანძილია ნაპირიდან განსახილველ ვერტიკალამდე;

$R(y)$-ლოკალური ჰიდრავლიკური რადიუსი; τ_0-მხები ძაბვა ნაპირიდან y მანძილზე დაშორებული;

$$U_*^2(y) = \tau_0(y)/\rho_0; \quad R(y) = h(y)/\sqrt{1+(dh/dy)^2}\ .$$

კვლევის მონაცემების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ მდინარეებისათვის ინტეგრალური წინააღმდეგობის კოეფიციენტის განსაზღვრისას ბუნებრივ კალაპოტში m შეიძლება გაანგარიშებული იყოს შემდეგი დამოკიდებულებით:

$$m = 2\frac{h(y)}{R(y)}; \tag{3}$$

სადაც $m(y)$ არის კალაპოტის ფორმა.

ჰიდრავლიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტის განსაზღვრისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ექსპერიმენტული მონაცემები, ასევე დამოკიდებულება (1)–ის დაკავშირება სიჩქარის ლოგარითმულ დამოკიდებულებასთან.

$$\frac{U}{U_*} = \frac{1}{\wp} ln\,\eta + C \tag{4}$$

სადაც $C = \overline{U} + (U_*/\wp)$ არის მუდმივა, რომელსაც აქვს ზედაპირული სიჩქარის მნიშვნელობა, რომელიც (1) დამოკიდებულებიდან ტოლია $(1+\alpha)\overline{U}$,

მიღებულია დამოკიდებულება, რომელიც აკავშირებს ნაკადის დინამიკურ და საშუალო სიჩქარეებს:

$$U_* = \wp\,\alpha\overline{U} \tag{5}$$

ჰიდრავლიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტი λ და $\wp$-დან გამომდინარე მიღებულია თანაფარდობა k-სა და კარმანის პარამეტრს შორის:

$$k = \wp\sqrt{m} \tag{6}$$

ნაშრომში განხილულია ჰიდრავლიკური ამოცანა კალაპოტური ნაკადებისათვის რეინოლდსისა და უწყვეტობის განტოლებების გამოყენებით. ზოგიერთი გარდაქმნებისა და საშვების შემდეგ დამოკიდებულება საბოლოოდ ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$\frac{1}{g}\left(\hat{U}\frac{\partial\hat{U}}{\partial X} + \hat{V}\frac{\partial\hat{U}}{\partial Y}\right) = J_x - \wp^2\alpha^2 F_{rx} \tag{7}$$

$$\frac{1}{g}\left(\hat{U}\frac{\partial\hat{V}}{\partial X} + \hat{V}\frac{\partial\hat{V}}{\partial Y}\right) = -J_y - \wp^2\alpha^2 F_{ry} \tag{8}$$

$$\frac{\partial Re\,x}{\partial X} + \frac{\partial Re\,y}{\partial Y} = 0 \tag{9}$$

სადაც $\hat{U}, \hat{V}$ არის სიჩქარის გეგმილები ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ კოორდინატებზე; $Fr_x = \hat{U}^2/gh;\ Fr_y = \hat{V}^2/gh;$ შესაბამისი ფრუდის ლოკალური რიცხვები; $Re_x = \hat{U}h/\nu;\ Re_y = \hat{V}h/\nu;$ შესაბამისი რეინოლდსის ლოკალური რიცხვები.

თუ გადავალთ ნატურალურ კოორდინატთა სისტემაზე, ე. ი. საკოორდინატო ღერძის ხაზად ავირჩევთ დენის წირს (l), ხოლო ორთოგონალურს მასთან არსებულ

მრუდხაზოვან განიკვეთის წირს (b), რომელიც დინების გეგმას ყოფს თანაბარხარჯიან მონაკვეთებად, მივიღებთ განტოლებათა სისტემას, მიახლოებულს შემდეგი სახის დამოკიდებულებასთან (ნატურალურ კოორდინატებში):

$$J_l = \wp^2 \alpha^2 Fr - \frac{\hat{U}^2}{g}\left(\frac{1}{r_*} + \frac{1}{r_{**}}\right); \qquad (10)$$

$$J_b = Fr_r \qquad (11)$$

$$\frac{\partial Re}{\partial l} + \frac{1}{r_*} Re = 0 \qquad (12)$$

სადაც J_l არის ზედაპირის ქანობი წირის გასწვრივ; $Fr = \hat{U}^2/gh;\ Fr_r = \hat{U}^2/gr;$ r წირის სიმრუდის რადიუსი; $Re = \hat{U}h/\nu;\ r_* = \left(\frac{\partial l}{\partial b}\right)^{-1}$ მრუდხაზოვანი განიკვეთის რადიუსი; $r_{**} = \left(\frac{1}{h}\cdot\frac{\partial h}{\partial l}\right)^{-1}$ სიდიდე, რომელიც ფსკერის სიმრუდეს აღნიშნავს დენის წირის გასწვრივ; ფორმულა (10)-დან გამომდინარეობს, რომ დინების შემთხვევაში, როდესაც r_* და r_{**} საკმაოდ დიდია, სამართლიანია შემდეგი დამოკიდებულება:



ნახ №1. გაანგარიშებული და გაზომილი მონაცემების შედარება

$$J_l = \wp^2 \alpha^2 Fr \qquad (13)$$

დინების დროს, ნაკადის თავისუფალი ზედაპირის მუდმივი ქანობისა და ხარისხის მაჩვენებლის შემთხვევაში დინების საშუალო სიჩქარე ვერტიკალზე პროპორციულია კვადრატული ფესვისა ნაკადის სიღრმიდან.

ფორმულები (10) და (11) შეიძლება გამოყენებულ იქნეს დინების გეგმის ასაგებად ნ. ბერნადსკის მეთოდის თანახმად. იმ დროს ძირითადი საანგარიშო დამოკიდებულება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$K_{i+1} = K_i \left(\frac{h_{i+1}}{h_i}\right)^{3/2} \cdot \frac{\alpha_i}{\alpha_{i+1}} \qquad (14)$$

სადაც $K_i = 2\Delta l/\left(\Delta b_{j+1} + \Delta b_j\right);$ არის კოეფიციენტი, მახასიათებელი Δl გრძივი და Δb განივი უჯრედის ზომისა; i- წირის ნომერი; j-კვეთის ნომერი.

დამოკიდებულებების (10), (11) და (12) გარდაქმნით მივიღებთ შემდეგი სახის დამოკიდებულებას:

$$\frac{\wp^2}{g\Omega J_l}\int_0^b \wp^2 \hat{U}^2 dy = 1 \qquad (15)$$

სადაც Ω არის ცოცხალი კვეთის ფართი.

დამოკიდებულება (15) მიიღება მდინარის თავისუფალი ზედაპირის ქანობის განსასაზღვრავად და გამოიყენება კალაპოტური ნაკადების საანგარიშოდ.



ნახ №2 გაანგარიშებული და გაზომილი მონაცემების შედარება

როგორც ექსპერიმენტული კვლევის ანალიზმა დაგვანახა, რომ ყველა გამოკვლევა დაიყვანება დინების პარამეტრების დადგენამდე, ხოლო ფილტრაციული ამოცანის ამოხსნა ექსპერიმენტებში შეიძლება გადაწყვეტილი იყოს საშუალო სიჩქარისა $\overline{U}$ და α გაზომვებით.



ნახ №3. გაანგარიშებული დამოკიდებულების შედარება ექსპერიმენტულ მონაცემებთან

რადგანაც ნაკადის მახასიათებლები წარმოადგენენ ძირითად პარამეტრებს, ნაშრომში მთავარი ყურადღება ეთმობა მათი გაზომვების მეთოდიკას და ექსპერიმენტებში შესაძლო ცდომილებათა შეფასებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Джумагулова Н.Т., Дебольский В.К., Губеладзе Д.О., Математическая модель трансформации донных форм при наличии индуцированного течения. Тезисы докладов Всесоюзной конференции. - "Методы математического. моделирования в задачах охраны природной среды экологии", Новосибирск, 1990.
2. Yamada T. Kawabata. A theoretical study on the resistan – celaw of the flow over a porous layer. Proc.JSGE.1982 N 525. pp.69-80(in Japanese). M4.
3. Ward J.C. 'Turbulent flow in porous media, Proc.ASCE, .- journal of the Hydraulics Division,vol.90. N 15,1964.ppo1-l2.
4. Walters G.Z., Manam V.P. Hydrodynamic effects Of see page on bed particles л.Hydr.Div. Proc.ASCE.vol.97 l97l. pp.421-459.
5. Zanke I. Grundlagen der sedimen. Tbewe Kun.g. Berlin Heidelberg. New-York,1982 s 401 pp.55-59.

დავით გუბელაძე

ბუნებრივ კალაპოტებში ნაკადის ჰიდრავლიკური მახასიათებლების კვლევის მეთოდები

რეზიუმე

წყალჟონვად კალაპოტებში, კალაპოტწარმომქმნელი პროცესების დარეგულირების დროს, თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის მონაცემების ანალიზის საფუძველზე მიღებული საანგარიშო დამოკიდებულებების პრაქტიკული რეალიზაცია მნიშვნელოვნად დაეხმარება საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებს წყალსამეურნეო ობიექტების პროექტირების, მშენებლობისა და ექსპლოატაციის ეფექტური და საიმედო მეთოდების შემუშავებაში

David Gubeladze

Research Methods Of Hydraulic Characteristics Of The Flow in Natural Riverbeds

Summary

Practical realization of the data, which was worked out during the theoretical and experimental researchs while the adjustment of water leaking and originating riverbed processes, will significantly help for developing effective and reliable methods of constructing water management objects and other aspects of construction.

Давид Губеладзе

Методы исследования гидравлических показателей течения в природном русле

Резюме

На основе анализа данных теоретических и экспериментальных исследований в руслах с водяной утечкой, во время урегулирования процессов создания русла, получены результаты, которые значительно помогут проектирующим и строительным организациям выработать эффективные и надёжные методы проектирования, строительства и эксплуатации.

გიორგი ნაჭყეპია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ღრუბლოვანი გამოთვლების საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემის დაცულობის ალბათობის რაოდენობრივი შეფასება

ინფორმაციული უსაფრთხოება – ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობის და წვდომის შენარჩუნება და დაცვა ასევე დამატებით შესაძლოა მოიცავდეს ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა: აუტენტურობა, ანგარიშვალდებულება, წარმოშობის წყაროსთან ცალსახა შესაბამისობა და სანდოობა.

ხელმისაწვდომობა – ავტორიზებული სუბიექტის მიერ მოთხოვნის შესაბამისად ხელმისაწვდომობისა და გამოყენებადობის მახასიათებლები; კონფიდენციალურობა – მახასიათებლები იმისა, რომ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი არაავტორიზებული ინდივიდების, სუბიექტებისა ან პროცესებისათვის; მთლიანობა – აქტივის სიზუსტისა და სრულყოფილების დაცვის მახასიათებელი თვისება.

ღრუბლოვანი სერვისები შედგება ხუთი დონისაგან. ქვედა ორი დონე ღრუბლოვანი სივრცის ფიზიკური ელემენტებია, რომლებიც სერვისის მომწოდებლის სრული კონტროლის ქვეშ იმყოფება, მიუხედავად მიწოდებული სერვისის მოდელისაგან. დანარჩენი დონეები მოიცავს ღრუბლოვანი გარემოს ლოგიკურ ელემენტებს. ვირტუალიზაციის ინფრასტრუქტურა მოიცავს ჰიპერვიზორს, რომელიც წარმოადგენს ოპერაციულ სისტემას, მაგალითად Vmware ESX, ვირტუალურ მანქანებს, მონაცემთა საცავებს. ლატფორმის დონე მოიცავს ბიბლიოთეკებსა და უტილიტებს. აპლიკაციის დონე მოიცავს პროგრამულ აპლიკაციებს საბოლოო მომხმარებლებისათვის.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ინფორმაციული უსაფრთხოება უნდა განვიხილოთ ორი კუთხით: ღრუბლოვანი სერვისების მომწოდებლისა და სერვისების მიმღებებისაგან. სერვისის მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სერვისის მიმღების ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის შენარჩუნება და დაცვა. ამ ამოცანების რეალიზაცია სერვისის მომწოდებელს საშუალებას მისცემს განსაზღვროს თუ ღრუბლის რა რესურსები შეიძლება იქნეს გამოყენებული კონკრეტული მომხმარებლის ინტერესების გასათვალისწინებლად და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების გასაანალიზებლად. ღრუბლოვანი სერვისის მომწოდებელსა და სერვისების მიმღებს შორის უსაფრთხოების საკითხების რეგულირებისათვის მნიშვნელოვანია „სერვისის დონის შეთანხმების“ SLA (Service Level Agreement) გაფორმება.

ინფორმაციული უსაფრთხოებისა და მოწყვლადობის რისკების შესაფასებლად საკვლევ პრობლემაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია განსხვავებული მიდგომის მეთოდები. ამათგან ყველაზე მეტად ცნობილია:

- ინფორმაციული უსაფრთხოების ექსპერტული შეფასების მეთოდიკა;
- მრავალკრიტერიული შეფასების მეთოდიკა;
- ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის სრული გადაფარვის მოდელი;
- მოწყვლადობის ბაზისურ მაჩვენებელზე დამყარებული მეთოდიკა და სხვ.

არსებული მეთოდიკების ნაკლს წარმოადგენს განაწილებულ სისტემებში თანამედროვე არხებითი ინფორმაციის არასანქცირებული გადაცემის უზრუნველყოფის სირთულე. ეს გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით:

- ინფორმაციის გადაცემის არასანქცირებული არხი განსხვავებულია ღრუბლოვანი გამოთვლების ნებისმიერი ტექნოლოგიისათვის;
- ცნება „კონტროლირებადი ზონის“ – ხდება არააქტუალური;

- საფრთხეების გეოგრაფიული ფაქტორების, ფუნქციონირების პირობებისა და რესურსების დაცვის ხარისხის არცოდნიდან გამომდინარე, არ არსებობს შესაძლებლობა რაოდენობრივი ექსპერტული შეფასებების განსაზღვრის ალბათობისა.



ნახ. 1 განაწილებული გამოთვლითი ქსელის ფრაგმენტი

ამის გარდა შედარებითი იშვიათობა ლოკალურ გამოთვლით სისტემებში ხდომილების წარმოშობისა I საფრთხის j ინფორმაციის გადაცემის არასანქცირებული არხის საფრთხისადმი რეალიზებისა, გვიქმნის სიძნელეებს ალბათობის გამოთვლის სტატისტიკური მეთოდის გამოყენებისას.

რესურსების განაწილება არის ღრუბლოვანი გამოთვლების ძირითადი თავისებურება, რაც იწვევს ღრუბელში განსხვავებული ტიპის კვანძების მრავალფეროვნებას. ეს კი თავისთავად იძლევა საშუალებას შევქმნათ საფრთხეების, მოწყვლადობისა და მათი წარმატებულად აღმოფხვრის შესახებ ინფორმაციების სტატისტიკურად დაგროვების მექანიზმი. მაგალითად შეფასება მოწყვლადობისა n-ქსელის k კვანძის ზემოქმედებისა I – საფრთხის j – ინფორმაციის არასანქცირებული გადაცემის არხის ქსელის ანალოგიური რესურსებისადმი. ასეთი მექანიზმის რეალიზება მოგვცემს ღრუბლის ექსპლუატაციისას საფრთხეების დინამიურად დაზუსტების საშუალებას.

ღრუბლოვანი გამოთვლების საფრთხეების შეფასების აღწერილ მიდგომას მეთოდოლოგიურ საფუძვლად შეიძლება დაედოს მონაცემების ანალიზის ეგრეთწოდებული ინტელექტუალური მეთოდები. მათ შორის ხშირად გამოიყენება ბაიესის მიდგომა, რომელიც ხასიათდება შემდეგი უპირატესობებით:

- ინციდენტის ალბათობის აპოსტერიული შეფასების მიღების საშუალება;
- ახალი მონაცემების მიღების დაკვირვების საშუალება;
- ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე მოქმედი ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენა;
- გამოტანილი დასკვნების ლოგიკურად განმარტების საშუალება და ამოცანის მნიშვნელობების ფიზიკური ინტერპრეტაცია.

ბაიესის ქსელებს საფუძვლად უდევს ბაიესის თეორემა. ეს ალბათობის ელემენტარული თეორიის ძირითადი თეორემაა, რომელიც გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ

ალბათობა იმისა, რომ მოხდა რაღაც ხდომილება გარკვეული სტატისტიკური მონაცემებით.

განვიხილოთ მაგალითი. ნახაზზე მოცემულია განაწილებული გამოთვლითი სისტემის ნიმუში. ჩვენს მიერ წარმოდგენილი სისტემა შედგება განსხვავებული დაცვის დონის მქონე რესურსებისაგან – „A“ - დონე“ , „B“ – დონე“, „C“ – დონე“. დონეები დაყოფილია რესურსების უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად.

ვთქვათ, გვინდა განვსაზღვროთ X – საინფორმაციო ღრუბლოვანი სისტემის რესურსების დაცულობის ხარისხი გარკვეული Y საშიშროებისაგან:

I ჯგუფი – „A დონე“ - დაცული სისტემები;

II ჯგუფი – „B დონე“ – სისტემები მაღალი ხარისხის დაცულობით;

III ჯგუფი – „C დონე“ - სისტემები დაბალი ხარისხის დაცულობით.

აქედან გამომდინარე, კონკრეტული რესურსის ანალიზისას არსებობს სამი ჰიპოთეზა θi თითოეული n ჯგუფის მიმართ, სადაც n = 1,2,3.

დავუშვათ, საერთო სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ცნობილია, რომ ღრუბლის კვანძებზე Y ტიპის საფრთხის ზემოქმედების შედეგად 50% აღმოჩნდა დაცული, 30%-ს აქვს მაღალი დაცვა, ხოლო 20% არის ნაკლებად დაცული. ამ მონაცემებიდან გამომდინარე შეგვიძლია განვსაზღვროთ ალბათობის აპრიორული ჰიპოთეზები:

$$P(\theta 1) = 0.5,\ P(\theta 2) = 0.3 \text{ და } P(\theta 3) = 0.2$$

	ღრუბლოვანი გამოთვლითი სისტემის დაცულობის ტიპი	ჰიპოთეზა	ჰიპოთეზის სტატისტიკური მონაცემები (θi) %	ჰიპოთეზის ალბათობის აპრიორული მნიშვნელობა	
A	დაცული სისტემები	(θ_1)	50	P(θ_1)	0.5
B	მაღალი ხარისხით დაცული სისტემები	(θ_2)	30	P(θ_2)	0.3
C	დაბალი ხარისხით დაცული სისტემები	(θ_3)	20	P(θ_3)	0.2

ცხრილი 1. ჰიპოთეზის ალბათობის აპრიორული მნიშვნელობა ღრუბლოვანი გამოთვლითი სისტემის დაცულობის ტიპების მიხედვით

ბაიესის მიდგომის გამოყენების საილუსტრაციოდ განსახილველი ნიმუშის შემთხვევაში, სისტემის დაცულობის ყველა შესაძლო მაჩვენებლებიდან გამოვყოფთ სამს: ინფორმაციის დაცვის სისტემის უნარს უზრუნველყოს ინფორმაციის კონფიდენციალურობა (y1) Y საფრთხის ზემოქმედებისას, უნარს უზრუნველყოს ინფორმაციის მთლიანობა (y2) Y საფრთხის ზემოქმედებისას და ასევე უზრუნველყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (y3) Y საფრთხის ზემოქმედებისას. დავუშვათ, მსგავსი ტიპის საფრთხეების ანალიზის შედეგად ცნობილია, რომ კონფიდენციალურობა I ჯგუფის რესურსებზე ზემოქმედების დროს უზრუნველყოფილ იქნა 60% შემთხვევაში, II ჯგუფის რესურსებზე ზემოქმედებისას – 80% შემთხვევაში, ხოლო III – ჯგუფის შემთხვევაში – 15%. ქედან გამომდინარე შეგვიძლია ჩავწეროთ პირობითი ალბათობები:

$$P(y1/\theta 1) = 0.6,\ P(y1/\theta 2) = 0.8 \text{ და } P(y1/\theta 3) = 0.15$$

	კონფიდენციალურობა (y_1) %	პირობითი ალბათობა	შედეგი	მთლიანობა (y_2) %	პირობითი ალბათობა	შედეგი	წვდომადობა (y_3) %	პირობითი ალბათობა	შედეგი
A	60	$P(y_1/\theta_1)$	0.6	70	$P(y_2/\theta_1)$	0.7	80	$P(y_3/\theta 1)$	0.8
B	80	$P(y_1/\theta_2)$	0.8	90	$P(y_2/\theta_2)$	0.9	90	$P(y_3/\theta 2)$	0.9
C	15	$P(y_1/\theta_3)$	0.15	2	$P(y_2/\theta_3)$	0.02	50	$P(y_3/\theta 3)$	0.5

ცხრილი 2. საფრთხეების ანალიზის შედეგად მიღებული პირობითი ალბათობები

ასევე ცნობილია, რომ Y საფრთხის ზემოქმედებისას I ჯგუფის კვანძებზე ინფორმაციის დაცვის სისტემამ უზრუნველყო ინფორმაციის მთლიანობის შენარჩუნება 70% შემთხვევაში. შესაბამისად II და III ჯგუფის შემთხვევაში ინფორმაციის დაცვის სისტემამ უზრუნველყო ინფორმაციის მთლიანობის შენარჩუნება 90% და 2% - შემთხვევაში. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ჩავწეროთ შემდეგი პირობითი ალბათობები:

$$P(y2/\theta 1) = 0.70,\ P(y2/\theta 2) = 0.9,\ P(y2/\theta 3) = 0.02$$

მსგავსად შეგვიძლია ჩავწეროთ I, II და III ჯგუფის დაცულობის მაჩვენებლები Y საფრთხის ზემოქმედებისას ხელმისაწვდომობის მოდელის შემთხვევაში იხ. ცხრილი 3.

$$P(y3/\theta 1) = 0.8,\quad P(y3/\theta 2) = 0.9,\quad P(y3/\theta 3) = 0.5.$$

დავუშვათ, რომ სარწმუნოდ მოხდა საფრთხეების ზეგავლენის გამოვლინება ზემოთ მოყვანილი ნიმუშის ან ანალოგური ინფორმაციის დაცვის სისტემის მქონე რესურსის შემთხვევაში. ამავე დროს რესურსზე, რომელზეც მოხდა შეტევა, კონფიდენციალობა არ დარღვეულა. Y1-მაჩვენებლის გათვალისწინებით გამოვთვალოთ ალბათობები ერთი მტკიცებულების ჰიპოთეზები:

$$P(\theta_1/y_1) = \frac{P(y_1/\theta_1)P(\theta_1)}{\sum_{i=1}^{3} P(y_1/\theta i)P(\theta i)} = 0.53$$

$$P(\theta_2/y_1) = \frac{P(y_1/\theta_2)P(\theta_2)}{\sum_{i=1}^{3} P(y_1/\theta i)P(\theta i)} = 0.42$$

$$P(\theta_3/y_1) = \frac{P(y1/\theta 3)P(\theta 3)}{\sum_{i=1}^{3} P(y_1/\theta i)P(\theta i)} = 0.05$$

ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა	$P(\theta_1/ y_1)$	$P(\theta_2/ y_1)$	$P(\theta_3/ y_1)$
	0.53	0.42	0.05
ინფორმაციის მთლიანობის უზრუნველყოფა	$P(\theta_1/ y_2)$	$P(\theta_2/ y_2)$	$P(\theta_3/ y_2)$
	0.56	0.43	0.01
ინფორმაციის წვდომის უზრუნველყოფა	$P(\theta_1/ y_3)$	$P(\theta_2/ y_3)$	$P(\theta_3/ y_3)$
	0.52	0.09	0.13
ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და მთლიანობის უზრუნველყოფა	$P(\theta_1/ y_1,y_2)$	$P (\theta_2/y_1, y_2)$	$P (\theta_3/y_1, y_2)$
	0.49	0.51	0.00
ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და წვდომის უზრუნველყოფა	$P(\theta_1/ y_1,y_3)$	$P (\theta_2/y_1, y_3)$	$P (\theta_3/y_1, y_3)$
	0.51	0.46	0.03
ინფორმაციის მთლიანობისა და წვდომის უზრუნველყოფა	$P(\theta_1/ y_2,y_3)$	$P (\theta_2/y_2, y_3)$	$P (\theta_3/y_2, y_3)$
	0.53	0.46	0.00
ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და წვდომის უზრუნველყოფა	$P(\theta_1/ y_1,y_2,y_3)$	$P (\theta_2/y_1,y_2, y_3)$	$P (\theta_3/y_1,y_2, y_3)$
	0.46	0.54	0.00

ცხრილი 3. ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და წვდომის უზრუნველყოფის ყველა შესაძლო ვარიანტის გაანგარიშების ცხრილი

გამოთვლების შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ მას შემდეგ რაც y_1 მოხდა, ნდობა θ_1 დაθ_2 ჰიპოთეზებისადმი გაიზარდა, ხოლო θ_3 ჰიპოთეზისადმი შემცირდა.

აშკარაა, რომ თუ ცდის შედეგების შედეგად გამოვლინდა, რომ ინფორმაციის დაცვის სისტემამ ვერ უზრუნველყო შემოტევის დროს ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა, მაშინ აუცილებელია განვიხილოთ საპირისპირო ხდომილება

$$P(\overline{y^1}/\theta_i) = 1- (y_1/ \theta_i)$$

ასე რომ, ნდობა ნაკლებად დაცული საკვლევი რესურსის ჰიპოთეზაზე საგრძნობლად იზრდება, ხოლო მაღალი ხარისხით დაცული რესურსის ჰიპოთეზაზე მკვეთრად მცირდება.

ფაქტების შეგროვების პროცესში ჰიპოთეზის ალბათობა გაიზრდება, თუ ფაქტები მხარს დაუჭერენ მას, ან შემცირდება, თუ ფაქტები უარყოფენ მას. თუ ერთდროულად მიღებულია ორი მაჩვენებელი y1 და y2, ანუ დადგენილია, რომ უზრუნველყოფილია კონფიდენციალობა და მთლიანობა, მაშინ მათი დამოუკიდებლობის პირობებისას შეიძლება ვისარგებლოთ ფორმულით:

$$P(\theta_i/ y_1,y_2) = \frac{P(y_1/\theta_i)P(y_2/\theta_i)P(\theta_i)}{\sum_{i=1}^{3} P(y_1/\theta_i)P(y_2/\theta_i)(P(\theta_i)}$$

ამ შემთხვევაში ჰიპოთეზის ალბათობა ტოლი იქნება :

$$P(\theta_1/y_1, y_2) = 0{,}49,\ \ P(\theta_2/y_1, y_2) = 0{,}51 \text{ და } P(\theta_3/y_1, y_2) = 0.00$$

y1 ერთი მაჩვენებლით მიღებულ შედეგებთან შედარებით, პირველ და მესამე ჰიპოთეზისადმი ნდობა შემცირდა, მეორესთან კი გაიზარდა. აქედან გამომდინარე, 0,51 ალბათობით საკვლევი კვანძი შეიძლება მივაკუთვნოთ რესურსების ჯგუფს დაცვის მაღალი ხარისხით Y ტიპის საფრთხესთან მიმართებაში. Y3 მაჩვენებლის მიღებისას

გათვლები ტარდება ანალოგიურად. ცხრილში 3 მოყვანილია ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობის და წვდომადობის უზრუნველყოფის ყველა შესაძლო ვარიანტის გაანგარიშება.

განვახორციელებთ რა საფრთხეების მოდელის შესაბამისად უსაფრთხოების ყველა საფრთხეებისათვის ამგვარ გათვლებს და დამკვეთის მოთხოვნას უსაფრთხოების მოდელის უზრუნველყოფის შესახებ, შეიძლება მიღებულ იქნეს დასაბუთებული გადაწყვეტილება დაცვის ამა თუ იმ ხარისხის რესურსების გამოყენებაზე. აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, შეგვიძლია მოვახდინოთ ინფორმაციის დაცვის სისტემის კონფიგურირება სხვადასხვა ჯგუფის რესურსებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mather T, Kumaraswami S., “Cloud Security and Privacy”, O’Rally, 2009 y.
2. А.А. Новоселов. Основные понятия теории риска. (ელექტრონული რესურსი) –Режим доступа: http://risktheory.ru/lectures .htmlRTBas, 2013 г.
3. ISO/IEC 27001:27005 – Information security management, (ელექტრონული რესურსი) – http://www.iso.org/iso/ru/home/standards/management-standards/iso27001.htm.
4. Open Security Foundation. Cloud Incident Statistic, (ელექტრონული რესურსი), http://cloutage .org/incidents, 2013 y.
5. Joint Task Force. Managing Information Security Risk. Organization, Mission and Information System View. Gaithersburg: NIST 2015;
6. РС БР ИБСС-2-2-2009. Методика оценки рисков нарушении информасионнойбезорастности, 2010 г;
7. BS/IEC 61882. Hazard and operability studies (HAZOP) guide, 2001;
8. Венцель Е.С. Теория вероятностей. М., Наука, ФизматгизБ 1969 г.

გიორგი ნაჭყეპია

ღრუბლოვანი გამოთვლების საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემის დაცულობის ალბათობის რაოდენობრივი შეფასება

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ღრუბლოვანი გამოთვლების საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემის დაცულობის ალბათობის რაოდენობრივი შეფასება. მოცემულია ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობის და წვდომადობის უზრუნველყოფის ყველა შესაძლო ვარიანტის გაანგარიშება, გარკვეულ საფრთხეებთან მიმართებაში. ოისკების შეფასების შემოთავაზებული მოდელი ზუსტი სტატისტიკური მონაცემების არსებობის შემთხვევაში, გვაძლევს შესაძლო საფრთხეების მიმართ ღრუბლოვანი გამოთვლითი სისტემის რესურსების დაცულობის ხარისხის დადგენის საშუალებას.

Giorgi Nachkepia

Quantitative Assessment of the Probability of Protection of Cloud Computing Information and Communication Systems

Summary

Quantitative assessment of the probability of protection of cloud computing information and communication systems are discussed in the article. It's given the calculations of all possible variants of the confidentiality, integrity and accessibility to information in the direction of a certain threats. The suggested model of the risks estimation in case of exact statistic data, gives us an opportunity to determine the quantitative sources of protection of cloud computing system in case of a certain threats.

Гиорги Начкепия

Каличественная оценка вероятности защиты информативно-коммуникативной системы облачных вычислений

Резюме

В статье рассмотрена каличественная оценка вероятности защиты информативно-коммуникативной системы облачных вычислений. Приведены все возможные варианты обеспечения конфеденциальности и доступности информации в соотвествии с некоторыми опасностями. Предложенная модель , основанная на точных статистических данных, даёт возможность установления степени защещённости от возможных опасностей.

იურიდიული მეცნიერებანი

ნათელა მაისურაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

„მე“, „არა მე“ და „სხვა“ – სამართლებრივი რეგულირების მეთოდებთან კორელაციაში

ყველა ცხოვრებისეული პრობლემა ადამიანის პრობლემებში კონცენტრირდება და მისი ინტერესების, მიზნების, მისი საზოგადოებასა და გარემომცველ სამყაროში ადგილის, სამართლებრივი, პოლიტიკური და ა.შ. დანიშნულების გათვალისწინებით კეთდება შესაბამისი დასკვნები, ისახება მოქმედების ახალი მიზნები.

ჩვენს მიერ საკვლევი ბრძოლის მეთოდიც არ წარმოადგენს გამონაკლისს, მით უმეტეს, რომ ბრძოლის სამართლებრივი შედეგები – უფლებები და თავისუფლება წმინდა ადამიანური კატეგორიებია. კვლევის შემდგომი მიმდინარეობისას შევეცდები კიდევ უფრო დავასაბუთო ეს.

აქედან გამომდინარე, ადამიანი იმყოფება თითქმის ყველა სამეცნიერო გამოკვლევის ყურადღების ცენტრში. ნ. ბერდიაევი წერდა: „ბევს წერდნენ ღმერთის – თეოდიცეას დასაბუთების მიზნით, მაგრამ დადგა დრო ვწეროთ ადამიანის – ანტროპოდიცეის დასაბუთებაზე. შესაძლოა, ანტროპოდიცეა იყოს ერთადერთი გზა თეოდიცეასაკენ, ერთდერთი წარუშლელი და ამოუწურავი გზა“ (2,15).

თუ ღმერთის შემეცნება ადამიანზე გადის, როგორც ნ. ბერდიაევი მიუთითებს, მაშინ სრულიად ნათელია, რამდენად სერიოზული, ამოუწურავი და მნიშვნელოვანია ადამიანის პრობლების კვლევა.

ყველა ფილოსოფოსი (ი. კანტის გამოკლებით) ადამიანის პრობლემას განიხილავდა ან ესენციალიზმის, ან ეგზისტენციალიზმის პოზიციიდან. ამიტომ, დასკვნები ცალმხრივი იყო და უპასუხოდ ტოვებდა მთელ რიგ კითხვებს. ჟ-პ. სარტრის აზრით, ადამიანი საკუთარი თავისუფლებისათვის ირჩევს ორი საპირისპიროსაგან ერთ-ერთს. ასეთი მიდგომა ცალმხრივია, ვინაიდან, ერთი მხრივ, დაპირისპირებულები ერთმანეთს განაპირობებენ, ხოლო, მეორე მხრივ, მათ განვითარებაში ასევე რეალურადაა ჩართული შუალედური, გარდამავალი, ნეიტრალური და ჯერაც შეუცნობელი მოვლენები, რომელთა არსებობა უზრუნველყოფს თავისუფალ ვარირებას და განსაზღვრავს საგნისა თუ მოვლენის სრულიად ახალი კავშირების წარმოშობას, რაც, თავის მხრივ, განუწყვეტელი პროგრესის საფუძველია. მხოლოდ ასეთი ინტეგრალური განვითარებითაა შესაძლებელი ჭეშმარიტად ადამიანური თავისუფლება, რომელიც მოიცავს მიზნის განსაზღვრისა და მისი განხორციელების საშუალებების შერჩევას.

აქედან გამომდინარე, უფრო რეზულტატიურია ადამიანის პრობლემისადმი ინტეგრალური მიდგომა და მისი კვლევა ეგზისტენციალიზმისა და ესენციალიზმის ერთობლიობით, რომელიც მოიცავს „მე“-ს, „არა მე“-ს და „სხვა“-ს, ცნობიერს, არაცნობიერს, ინტუიციურს, საზოგადოებრივსა და პიროვნულს, სიცოცხლესა და სიკვდილს, სულიერსა და სხეულებრივს, სუბიექტურსა და ობიექტურს და ა.შ. და ა.შ.(3, 133).

ასეთივე მიდგომა შეიძლება ჩამოვაყალიბოთ გარე სამყროსა და საზოგადოების მიმართ, სადაც „სხვა“ შეიძლება წარმოვადგინოთ ნეიტრალურის, გარდამავლის, შუალედურის, შეუცნობელისა და ა.შ. სახით, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე დიალექტიკური დაპირისპირებულება და მეტაფიზიკური იგივეობრიობა. მართლაც, სამყაროცა და საზოგადოებაც, ინდივიდის მსგავსად, არ შეიძლება იყოს მხოლოდ მათი

სინთეზური ერთიანობა, ვინაიდან სამყაროში გარდა ორი დაპირისპირებულისა, მაგალითად, თეთრისა და შავისა, არსებობს ფერთა უამრავი შუალედური და გარდამავალი მრავალფეროვნება, რომლებიც არსებობენ და არსებობის საფუძველი გააჩნიათ.

ინტეგრალური მიდგომით ადამიანი მკვიდრდება თავის ჭეშმარიტ არსში, როგორც სიკეთისა და ბოროტების, მშვენიერებისა და სიმახინჯის, ამაღლებულისა და მდაბალის, პიროვნულისა და საზოგადოებრივის, თავისუფლებისა და დეტერმინაციის ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფს მის თავისუფლებას საერთოდ და სამართლებრივ თავისუფლებას – კონკრეტულად.

ინტეგრალურობა თავისუფალი ვარირების საუძველზე მიმდინარეობს და ადამიანის რთული არსიდან გამომდინარე შესაძლებლობას იძლევა უფრო მეტი სიზუსტით ავხსნათ ადამიანის წინაშე არსებული მთელი რიგი პრობლემები.

თუ მხედველობაში მივიღებთ გამოტანილ დასკვნებს ჭეშმარიტად ადამიანური თავისუფლების კვლევაში, აღმოჩნდება, რომ თავისუფლად ვარირებადი ინტეგრალური მიდგომა უდიდესი მნიშვნელობისაა, ვინაიდან სწორედ ამ გზით **არის** შესაძლებელი გავიაზროთ ადამიანური არსი ურთულეს სტრუქტურებში, გავაცნობიეროთ მისი აზროვნებისა და მოქმედების თავისუფლებისა და უწყვეტი პროგრესული განვითარების საფუძვლები.

თვითონ ადამიანი ხომ მრავალფეროვანი სამყაროსა და მასში გამეფებული კანონიერების უმაღლესი მთლიანობაა. ამიტომ, ლოგიკურად ისმება კითხვა: რამდენად ჭეშმარიტია ადამიანის არსის კვლევა „საზღვრითი სიტუაციის“ პოზიციიდან, როგორც ამას ეგზისტენციალისტები გვთავაზობენ, ან მხოლოდ რაციონალისტური და სულიერი პოზიციებიდან ჰეგელის ფილოსოფიისა და მისი წინამორბედების მოძღვრებებით გვეძლევა?

ადამიანის არსის კვლევისას, ფილოსოფოსები ლოგიკურად მიჰყვებოდნენ სუბიექტისა და ობიექტური სამყაროს ურთიერთობას, რაც „მე“-სა და „არა მე“-ს ურთიერთმიმართებაზე გადიოდა. რაც შეეხება პიროვნული „მე“-ს უნიკალურობას, იგი უნდა არსებობდეს ადამიანის სიღრმისეულ არსში, მის გენეტიკაში, რომელიც საუკუნეებით იქმნება იმ ინტეგრალურობით, რაც ბუნებასა და საზოგადოებაში არსებული კავშირებით იქმნება და თითოეულ ადამიანში თვისობრივად სრულიად ახალი ფორმითა და შინაარსით წარმოგვიდგება არა უბრალოდ საზოგადოებაში, სხვა ადამიანებში ან ბუნებაში, ანუ „არა მე“- ში.

ამასთან, „არა მე“-ს ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ არა „მე“-ს მასთან იგივეობრიობა, როგორც ამას კლასიკური ფილოსოფია თვლიდა, ან „მე“-ს დამოკიდებულება ადამიანთან გაუცხოებულ გარე სამყაროს ნებისმიერ საგანთან და მოვლენასთან (გარდა თვით ადამიანისა), არამედ როგორც სოციალური ფაქტორების ასახვა ადამიანის გენეტიკაში.

ამგვარად, ადამიანის ჩაღრმავებით საკუთარ Dasein-ში ვხვდებით, რომ იგი მოიცავს საგნობრივი სამყაროს, სხვა ინდივიდებისა და მთელი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს, რომლებიც ზემოქმედებენ მის ეგზისტენციასა და ესენციაზე და ტოვებენ გარკვეულ ფენას. ასეთი ფენების დაგროვება კი ქმნის გარკვეულ „არა მე“-ს, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების მიერ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი კულტურის, ცივილიზაციის, ზნეობის, ტრადიციებისა უნარების ერთობლიობას და ასევე ნივთობრივი სამყაროს თავისებურებებს.

ამდენად, **„არა მე“ არის არა სხვა ინდივიდთა ერთობლიობა ან გარე სამყარო, როგორც ამას ეგზისტენციალისტები ამტკიცებდნენ, არამედ ადამიანის არსის საკუთარი შემადგენელი ნაწილი,** ხოლო რაც შეეხება გარე სამყაროს, ცალკეულ ინდივიდებსა და და საზოგადოებას, რომლებიც არსებობენ ადამიანის ნებისა და ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ისინი შეიძლება გავაერთიანოთ „სხვა“-ში, რომელიც „მე“-სა და „არა მე“-სთან ერთად აყალიბებენ და განსაზღვრავენ **ინდივიდის პოტენციურ ფსიქიკას**.

ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება ადამიანის არსის მიზეზობრივი განპირობებულობა გარე სამყაროსა და მთელ კაცობრიობასთან (ეგრეთ წოდებული არქეტიპი), რაც წარმოადგენს მათი მსგავსების საფუძველს. ხოლო ის უნიკალურობა, რომელზეც ეგზისტენციალისტები მიუთითებდნენ, საკუთარი „მე“-ს შედეგია, რაც, რა თქმა უნდა, მართლაც უნიკალური და განუმეორებელია.

ამგვარად, ადამიანის პიროვნულობის არსი – ეს არის „მე“-ს, „არა მე“-სა და „სხვა“-ს, ანუ სუბიექტურობის, ობიექტურობისა და პოტენციურობის ერთობლიობა. მათი არსებობით ადამიანი არა მხოლოდ ამოწმებს საკუთარი უნარების ჭეშმარიტებას, იგივეობასა და უნიკალურობას საზოგადოებასა და ნივთობრივ სამყაროსთან, არამედ კიდეც აფასებს მათთან კავშირებს და ამ კავშირებისა და მისი პროგრესირების მსვლელობას. ამასთან, ცვლილებას განიცდის „არა მე“ და „სხვა”, ხოლო, განსაკუთრებულ შემთხვევებში „მე“-ც.

ადამიანის არსის აღნიშნული ინტეგრალური ხედვა საშუალებას გვაძლევს ახლებურად გავიაზროთ ადამიანის მიერ შექმნილი ღირებულებები და მათ შორის სამართლებრივი ფასეულობები: სამართალი და სამართლიანობა, წესრიგი, მართლზომიერება და ა.შ., მისი ბრძოლა აღნიშნული ღირებულებების მოსაპოვებლად, დასახვეწად და ცხოვრებაში დასამკვიდრებლად.

სამართლებრივი ღირებულებების წარმოშობა, ფუნქციონირება და განვითარება შეუძლებელია განვიხილოთ მხოლოდ ორი დაპირისპირებულის ერთიანობისა და ბრძოლის, ან იგივეობრიობის მეთოდებით. სამართალი და მისი ღირებულებები ადამიანისა და მისი გარემომცველი სამყაროს კავშირებისა ერთ-ერთი ურთულესი ფორმაა. მათი შესწავლა, პროგრესისა და ჭეშმარიტება-მცდარობის პრობლემები მხოლოდ ადამიანის არსის ინტეგრალური ერთიანობით არის შესაძლებელი.

სამართლებრივი ნორმა, რომელიც სამართლის არსის გამომხატველია, შედეგი უნდა იყოს: იმ სამართლებრივი კულტურისა, რაც კაცობრიობას დაუგროვებია თავისი განვითარების გზაზე, იმ პოტენციური უნარებისა, რაც სამართლებრივი პროგრესის აუცილებელი ფაქტორია და იმ ზოგად-ადამიანურისა, რაც მისაღები უნდა იყოს თითოეული ინდივიდისათვის მათი პიროვნული, განუმეორებელი უნიკალურობის მიუხედავად.

სამართლისადმი ინტეგრალური მიდგომის სოციალური მოთხოვნისა და ბრძოლის შედეგია ის ცნობილი თეორიები, რაც საუკუნეების განმავლობაში არსებობდა და დღესაც ვითარდება ისეთი ახალი თეორიებით, როგორიცაა: ტრანსნაციონალური სამართლის, ბილ კლინტონისეული Pax Amerika („ამერიკული მშვიდობა“), რაც ი. კანტის Zum Evigen Frieden (მარადიული მშვიდობის) თეორიის გაგრძელებაა, ეკონომიკური სამართლის, Soft Law (რბილი და მოქნილი სამართალი) lex mercatoria-ს სახით, აღმოცენებადი გლობალური (ფუნქციონალური და არა ტერიტორიული დიფერენციაციის) სამართლის, პლურალისტური სამართლის, პოსტმოდერნისტული სამართლის, პოლიტიკური სამართლის, აუტოპოეტური სამართლის, ცოცხალი სამართლისა და ა.შ. იდეების სახით.

ამ თეორიათა უმრავლესობა ეყრდნობა ჩარჩოში ჩასმულ, პოლიტიკურ, გლობალისტურ ან ცივ, ტექნიკურ ან ეკონომიკურ პროცესებს. როგორც გ. ტოიბნერი „პლურალისტური სამართლის“ აუცილებლობის მტკიცებისას აღნიშნავს: ეუგენ ერლიხის სახელმწიფოს გარეშე არსებული „ცოცხალი სამართლის“ თეორია, რომელიც „თბილი“ საზოგადოებრივი კავშირების სახელით გამოდის, საზრდოობს არა ტრადიციების სკივრიდან, არამედ საკმაოდ ტექნიკური, მკაცრად სპეციალიზებული, და ხშირად ფორმალურად ორგანიზებული, მაგრამ ვიწროდ განმარტებული ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა თუ ტექნოლოგიური ბუნების სისტემების განგრძობადი თვითრეპროდუცირებისაგან (3, 190; 191).

მართალია, პლურალისტური სამართალი გლობალიზაციის უარყოფით მხარეებს (შიდასახელმწიფოებრიობის, ეროვნულობის, კონკრეტული სამართლებრივი წყაროებისა და დამოუკიდებლობის უგულებელყოფის სახით) არ იზიარებს, მაგრამ მასაც ავიწყდება, რომ სამართლის ძირითადი ქვაკუთხედი ადამიანია მთელი თავისი მრავალფეროვნებით, რომელშიც სხვა მრავალ ფაქტორებთან ერთად, პლურალისტური პოზიციებიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

სამართლებრივი მართვის მეთოდებთან კორელაციაში **„მე“-ს, „არა მე“-სა და „სხვა“-ს, ანუ სუბიექტურობის, ობიექტურობისა და პოტენციურობის ერთობლიობა**

უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს, ვინაიდან „მე“-ს უნიკალურობა სამართლებრივი მართვის პროცესს განუმეორებლობას ანიჭებს, „არა-მე“, როგორც „მე“-ს საკუთარი არსებითი ფაქტორი და საზოგადოებრივ-ეროვნული არქეტიპი სამართლებრივ მართვას ბევრად უფრო ავსებს, ხოლო „სხვა“, როგორც სოციუმის მრავალმხრივობა და გარე სამყაროს ამოუწურავობა სამართლებრივი მართვის პროცესებს გასაგებს, აუცილებელსა და საყოველთაო ხასიათს ანიჭებს.

ადამიანთან შედარებით ნებისმიერი სხვა საფუძველი მხოლოდ მარგინალური მნიშვნელობისაა და ისინი სოციალურ აზრს იძენენ მხოლოდ ადამიანთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, ადამიანი, მისი სიცოცხლე და სულიერი პროგრესი უმთავრესია ნებისმიერი სფეროსათვის, იქნება ეს სამართალი, პოლიტიკა, ეკონომიკა თუ სხვ.

ამიტომ, მისაღებია ყველაფერი ის, რაც მოემსახურება ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებას, განვითარება-დახვეწასა და პროგრესს. ეს კი შეიძლება იყოს, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო საერთო-ადამიანური ფაქტორები. ადამიანის განვითარებაში გლობალური ფაქტორების გამორიცხვა შეუძლებელია, ვინაიდან ეს ტენდენცია სპონტანურად არ მომხდარა და შედეგია თანამედროვე ტექნიკური პროგრესისა, რამაც მსოფლიო იმდენად დააპატარავა, რომ საერთო პრობლემების ერთიანი გადაწყვეტის შესაძლებლობები სრულიად აშკარა და რეალურია.

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მნიშვნელობა ეკარგება ეროვნულ შიდასახელმწიფოებრივ და ტერიტორიულ, ტრადიციულ და და ა.შ. ფაქტორებს. პირიქით, გამძაფრებული გლობალიზაციის პირობებში აღნიშნული ფაქტორები კიდევ უფრო მეტი სიძლიერით იჩენენ თავს, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ადამიანის, მისი სიცოცხლის შენარჩუნებისა და სამართლიანი არსებობა-განვითარების აუცილებლობას.

ამასთან, სამართლისა და, საერთოდ, კაცობრიობის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ, მართალია ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობს ტრადიციების ერთგვარი გლობალიზაციაც, რაც, ძირითადად, მოვლენებისადმი საერთო პრაქტიკულ დამოკიდებულებაში გამოიხატება.

ამიტომ, ერთადერთი, რაც ამ ამოუწურავ მრავალფეროვნებაში ძირითად ქვაკუთხედად რჩება – ეს არის ადამიანი, რომელსაც თავისი სიცოცხლის შენარჩუნებისა და განვითარება-დახვეწისათვის სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად ესაჭიროება **თავისუფლად ვარირებადი ინტეგრალური და ფილომენური** (სიცოცხლის სიყვარულით გაჯერებული) **სამართალი,** რომელიც სრულად ასახავს და შეესაბამება ადამიანის ჭეშმარიტ არსს – „მე“-ს, „არა მე“-სა და „სხვა“-ს, ანუ სუბიექტურობის, ობიექტურობისა და პოტენციალურობის ერთობლიობას, სიცოცხლის სიყვარულში მჟღავნდება და ჩვენი ეპოქის დადებით ტენდენციას – **თავისუფლებისაკენ გლობალურ სწრაფვას განსაზღვრავს ყოველგვარი უკიდურესობებისა და გადახრების მიუხედავად.**

ამგვარად, ჩემს მიერ შემოთავაზებული კვლევის თავისუფლად ვარირებადი ინტეგრალური მეთოდი ყველა შემთხვევაში და კერძოდ, ადამიანის არსის სტრუქტურების გაცნობიერების საშუალებაა, იძლევა ადამიანის – პიროვნებისა და მასთან დაკავშირებული უამრავი საკითხის შემეცნებაში პროგრესული დასკვნების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. ამის თვალხილული მაგალითია სამართლებრივი ურთიერთობების ინტეგრალური კვლევა.

ადამიანის პრობლემა კი, როგორც ყოველთვის, აქტუალური და მუდმივად ახალია. ამაზე მეტყველებს აზროვნების მთელი საკაცობრიო ისტორია. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ როგორი ჭეშმარიტიც არ უნდა იყოს ჩემს მიერ შემოთავაზებული დასკვნები, ან ადამიანის მიერ გაკეთებული არჩევანი, თუ მისი გენეტიკა და სულიერება არ პასუხობს ჰუმანურობის, სიცოცხლისადმი სიყვარულის უმაღლეს ღირებულებებს, მისი მიზნების რეალიზაცია ვერ იქნება დამყარებული ასეთივე ჰუმანურ და ადამიანებისათვის მისაღებ საშუალებებზე. ეს კი ნაკლებად მოემსახურება მის და მთელი საზოგადოების პროგრესს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბრეგვაძე ლ., გუნთერ ტოიბნერი, გლობალური ბუკოვინა: სამართლებრივი პლურალიზმი მსოფლიო საზოგადოებაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალი „მაცნე“, სამართლის სერია თბ., 2005, №1.
2. Бердяев Н. Смысл творчества. М., 1916.
3. Маисурадзе Н. Политическая свобода - и филоменная политика, необходимое условие прогресса. Тбилиси, 2010.

ნათელა მაისურაძე

„მე“, არა მე“ და „სხვან“ – სამართლებრივი რეგულირების მეთოდებთან კორელაციაში

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ადამიანური სტრუქტურის ახლებური გააზრება, რომელიც გამოხატულია ერთი მხრივ, „მე“, „არა მე“ და „სხვა“-ს ანუ სუბიექტურობის, ობიექტურობისა და პოტენციურობის ერთობლიობის სახით, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანის პრობლემისადმი ინტეგრალური მიდგომა და მისი კვლევა ეგზისტენციალიზმისა და ესენციალიზმის ერთობლიობით, რომელიც მოიცავს ცნობიერს, არაცნობიერს, ინტუიციურს, საზოგადოებრივსა და პიროვნულს, სიცოცხლესა და სიკვდილს, სულიერსა და სხეულებრივს, სუბიექტურსა და ობიექტურს და ა.შ. განიხილება სამართლებრივი რეგულირების მეთოდებთან მის კორელაციაში.

Natela Maisuradze

"I", "Non-self" and "Other" in Correlation with the Methods of Legal Regulation

Summary

The article describes the structure of a new vision of man, which is expressed on the one hand, in the unity of subjectivity and objectivity and potentiality - in the form of "I", "non-self" and "other^{n}". And, on the other hand, the integrated approach to human problems and their position-pending with essentialism and existentialism, which includes the conscious, unconscious and intuitive, socium and personal, life and death, spiritual and physical, subjective and objective, etc. etc., considered in correlation with the methods of legal regulation.

Натела Маисурадзе

“Я”, “не-Я” и “другой“ в кореляции с методами правового регулирования

Резюме

В статье рассматривается структура нового видения человека, которое выражается с одной стороны, в единстве субъективности, объективности и потенциальности – в виде “Я”, “не-Я” и “другой“. А, с другой стороны, интегральный подход к человеческим проблемам и их рассматрение с позиции эссенциализма и экзистенциализма, который содержит сознательное, бессознательное и интуитивное, общестиенное и личностное, жизни и смерти, духовное и физическое, субъективное и объективное и т.д. рассматривается в корелляции с методами правового регулирования.

ელენე გვენცაძე
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ბრალი თანამონაწილეობის დროს

თანამონაწილეობის პრობლემის არსებითი ასპექტი არის თანამონაწილეთა ქმედების სუბიექტური შინაარსის გამოკვლევა, ბრალის მოცულობიდან გამომდინარე შერაცხვის ფარგლები და სუბიექტური მხარის მიხედვით კვალიფიკაციის საკითხები.

სისხლის სამართლის მეცნიერებამ გაიარა საკმაოდ ხანგრძლივი ეტაპი გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობის საკითხის განსჯისა და საერთო ჯამში მივიდა უარყოფით პასუხამდე. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა 1958 წლის საფუძვლების მიღებამდე თანამონაწილეობის ცნების განსაზღვრებას არ განმარტავდა და ამიტომ თანამონაწილეთა ბრალის შესახებ საკითხი სადავო იყო. კრიმინალისტთა უმრავლესობა უარყოფდა გაუფრთხილებელ თანამონაწილეობას. ამ მხრივ გამონაკლისები იყვნენ ცნობილი მეცნიერები ა. ტრაინინი და მ. შარგოროდსკი, რომლებსაც განსაზღვრულ შემთხვევებში შესაძლებლად მიაჩნდათ გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა. პროფ. ა.ტრაინინი ზღუდავდა გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის სფეროს ისეთი შემთხვევებით, როდესაც ყველა თანამონაწილე მოქმედებს გაუფრთხილებლად. მისი აზრით, თანამონაწილეობა არ არსებობს, როდესაც ამსრულებელი მოქმედებს განზრახ, ხოლო მისი დამხმარე პირები – გაუფრთხილებლად. თანამონაწილეობა არ არსებობს აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როდესაც განზრახ მოქმედებენ მესამე პირები, ხოლო ამსრულებელი მოქმედებს გაუფრთხილებლად. მაგრამ თანამონაწილეობა არსებობს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე პირი ერთად იდენს ერთსა და იმავე გაუფრთხილებელ დანაშაულს.

1958 წლის საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საკანონმდებლო საფუძვლებით დაიკარგა ნორმატიული საფუძველი მსგავსი დისკუსიებისა, რამდენადაც თანამონაწილეობა ლეგალურად განისაზღვრა, როგორც „ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში“.

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა თანამონაწილეობას განსაზღვრავს რა, როგორც ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში (სსკ მუხ. 23), ხაზს უსვამს თანამონაწილეთა მოქმედების (უმოქმედობის) განზრახ ხასიათს. ეს განსაზღვრება გამორიცხავს გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობის შესაძლებლობას, ამიტომ სისხლის სამართლის მეცნიერება ცნობს თანამონაწილეობას მხოლოდ განზრახ დანაშაულებში, ხოლო თანამონაწილეობისას განზრახვის სახეებთან დაკავშირებით მეცნიერები გამოთქვამენ განსხვავებულ მოსაზრებებს. მათი უმრავლესობა დანაშაულში თანამონაწილეობას შესაძლებლად მიიჩნევს ორივე სახის (პირდაპირი და ევენტუალური) განზრახვით, მაგრამ ბოლო წლებია, რაც ფართო გავრცელება ჰპოვა მოსაზრებამ იმასთან დაკავშირებით, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ამ საკითხთან დაკავშირებით ცალკეულ მეცნიერებს უჭირავთ არასაკმარისად თანმიმდევრული პოზიცია. ასე მაგ., ფ.გ. ბურჩაკი წერს: თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის ამსრულებლის განზრახვის ხასიათის საკითხი, და წამქეზებლისა და დამხმარის განზრახვის ხასიათი უნდა გადაწყდეს თანამონაწილეობის ინსტიტუტის ცნების ზოგადი გაგებიდან გამომდინარე. ზევით უკვე ხაზგასმულია, რომ თანამონაწილეებს აერთიანებს განზრახვისა და მიზნის ერთიანობა. ასეთი ერთიანობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულებში. აქედან გამომდინარეობს, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულებში.

აღნიშნული მსჯელობა არსებითად არ იწვევს დავას, მიუხედავად არსებული სწორი ამოსავალი წანამძღვრისა იმის შესახებ, რომ თანამონაწილეთა განზრახვის შინაარსი აუცილებლად უნდა გამოხატავდეს თავად თანამონაწილეობის ინსტიტუტის

არსს, ავტორს არ გადაუდგამს ლოგიკური თანამიმდევრული ნაბიჯი განზრახვის ფორმულის კონსტრუირებისა თანამონაწილეობასთან მიმართებაში, ანუ ფორმულისა, რომელშიც აისახებოდა მოცემული ინსტიტუტის სპეციფიკური არსი. არ გადადგა რა ეს ნაბიჯი, ფ.გ. ბურჩაკი წინააღმდეგობაში აღმოჩნდა თავის ამოსავალ დებულებასთან, დაუშვა წამქეზებლობის შესაძლებლობა ირიბი განზრახვით ცალკეულ, შედარებით იშვიათ შემთხვევებში, როცა წამქეზებელი თავის ინტერესს ხედავს მხოლოდ იმაში, რომ ამსრულებელმა ჩაიდინოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მართლსაწინააღმდეგო შედეგთან მიმართებაში კი გულგრილია.

ორიგინალური და საკმაოდ საწინააღმდეგო პოზიცია თანამონაწილეობისას განზრახვის სახეებთან დაკავშირებით აქვს ა.პ. კოზლოვს დანაშაულის თანამონაწილეობით კვალიფიკაციის ზოგადი წესების ფორმულირებისას, ერთ-ერთი მათგანი გადმოსცა შემდეგი სახით: ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი თანამონაწილეობის შესახებ საჭიროებს წანამძღვარს თანამონაწილის ქცევაზეც, რომელიც მოქმედებს ევენტუალური განზრახვით, რამდენადაც დანაშაულებრივი ჯგუფის სავალდებულო ნიშნად ითვლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვის არსებობა, აქედან გამომდინარე ევენტუალური განზრახვა ქმნის მხოლოდ ელემენტარულ თანამონაწილეობას შესაბამისი კვალიფიკაციით. გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობის შესაძლო აღიარებისას, იგი უნდა მივაკუთვნოთ ელემენტარულ თანამონაწილეობას და დავაკვალიფიციროთ სისხლის სამ. კოდექსის თანამონაწილეობის მუხლზე მითითებით.

ა.პ. კოზლოვის პოზიციის წინააღმდეგობრიობა მდგომარეობს შემდეგში: პირველ რიგში არალოგიკურია, მხოლოდ როლების განაწილებით თანამონაწილეობისას დაუშვა თანამონაწილეობა ევენტუალური განზრახვით, მაგრამ გამორიცხო ევენტუალური განზრახვა დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულში, რომელსაც ა.პ. კოზლოვი არ ცნობს თანაამსრულებლობად.

მეორე რიგში, სისხ. სამ.კოდექსის თანამონაწილეობის მუხლზე მითითების აუცილებლობა კანონის შესაბამისად დამოკიდებულია თანამონაწილის მიერ განხორციელებული როლიდან, და არა განზრახვის სახიდან, რომლითაც იგი მოქმედებს.

მესამეც, ავტორი არ იძლევა მითითებას, სისხ. სამ. კოდექსის თანამონაწილეობის მუხლის რომელ ნაწილზეა მითითება საჭირო ევენტუალური განზრახვით მოქმედი თანამონაწილის შეფასებისას.

კანონში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე გამოხატულია შემდეგი სიტყვებით „დანაშაული ჩაიდინება განზრახ და ერთობლივად“. ამ ფორმულირების თანახმად: 1) თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ განზრახ დანაშაულებში; 2) დანაშაულის ჩადენაში ყველა მონაწილე (ყველა თანამონაწილე) მოქმედებს განზრახ, მათ აქვთ ერთიანი განზრახვა.

ეს ნიშნები საჭიროებენ განსაზღვრულ კონკრეტიზაციას. დანაშაულში თანამონაწილეობისას არა მარტო დანაშაული უნდა იყოს განზრახი, არამედ ყველა თანამონაწილე ასევე უნდა მოქმედებდეს განზრახ. აქედან გამომდინარე თუ ერთი პირი მოქმედებს გაუფრთხილებლობით, ხოლო მეორე იყენებს რა ამას და მოქმედებს განზრახ, თანამონაწილეობა გამორიცხულია. მაგ., პოლიციის თანამშრომელმა დაუდევრად დატოვა იარაღი უადგილო ადგილზე და ვიღაცამ გამოიყენა ეს შემთხვევა, დაეუფლა იარაღს და ჩაიდინა განზრახ მკვლელობა. ამ შემთხვევაში პოლიციის თანამშრომელი პასუხს აგებს ცეცხლსასროლი იარაღის (მათ შორის, გლუვლულიანი სანადირო თოფის) დაუდევრად შენახვისათვის (სსკ მუხ. 238), ხოლო იარაღის გამომყენებელი კი – განზრახ მკვლელობისათვის (სსკ მუხ. 108).

რას ნიშნავს დანაშაულში თანამონაწილეობის დროს განზრახი ქმედება? თანამონაწილეობისას განზრახვა, ისევე როგორც ერთი პირის მიერ ჩადენილ დანაშაულში, მოიცავს ინტელექტუალურ და ნებელობით ელემენტებს. მაგრამ

რამდენადაც თანამონაწილეობისას დანაშაული ჩაიდინება ორი ან მეტი პირის მიერ, განზრახვის ორივე ელემენტს გააჩნია თავისებური სპეციფიკა.

ინტელექტუალური ელემენტის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ თანამონაწილე აცნობიერებს არა მხოლოდ მის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობას, არამედ ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობასაც. თანამონაწილე ამასთანავე ითვალისწინებს ამსრულებლის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგს. სხვაგვარად, რომ ვთქვათ თანამონაწილე ითვალისწინებს, რომ ამსრულებლის ქმედება გამოიწვევს მათ მიერ განზრახული დანაშაულის შედეგს.

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, თანამონაწილე უნდა აცნობიერებდეს ამსრულებლის დანაშაულებრივ განზრახვას და მის განზრახ ქმედებას. ამგვარი გაცნობიერება თანამონაწილეობის უმნიშვნელოვანესი ნიშანია. ასე, მაგ., თუ პირმა გადაწყვიტა მსხვერპლის მოკვლა და მეზობელს თხოვს იარაღს სანადიროდ, და მეზობელი აძლევს იარაღს, რის შედეგადაც განხორციელდება მკვლელობა, თანამონაწილეობა გამორიცხულია, რადგან მეზობელი იარაღის მიცემისას არ აცნობიერებდა და არ იცოდა მკვლელის ნამდვილი განზრახვის შესახებ. თუ ასეთი იარაღი ამსრულებელს მიეცემოდა მკვლელობის ჩასადენად, მაშინ ადგილი ექნებოდა თანამონაწილეობას, რადგან ის ვინც იარაღი მისცა, მოქმედებს ამსრულებელთან შეთანხმებულად და აცნობიერებს მის მიერ დანაშაულის ჩადენის განზრახვას.

რა არის ნებელობა? ნებელობის აქტში სუბიექტის მომავალი ქცევისადმი დამოკიდებულება გამოიხატება, რომელიც შეიცავს: 1) გადაწყვეტილების მოსამზადებელ პერიოდს; 2) თვითონ გადაწყვეტილების პერიოდს და, 3) გადაწყვეტილების შესრულების პერიოდს. ნებელობა მხოლოდ იმას ეხება, რისი შესრულებაც ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული. იმისათვის რომ ის, რაც გადაწყვეტილია, შესრულდეს, აუცილებელია გადაწყვეტილება შეურყეველი დარჩეს, რათა ქცევა ბოლომდე თავისდა შესაფერისად წარიმართოს, ასეთ სტაბილიზებულ გადაწყვეტილებას განზრახვა ეწოდება.

ნებელობის შემთხვევაში ადამიანში ისეთი პროცესი ხდება, რომ იგი აქტიურადაც უნდა განიცდიდეს თავს და პასიურადაც. ამასთან არის დაკავშირებული ნებელობის თავისუფლების პრობლემა. ამ საკითხის გადაწყვეტის ორი მოპირდაპირე ცდა არის ცნობილი, ერთი დადებითი და მეორე უარყოფითი: ინდეტერმინიზმი, რომელსაც ნებელობა თავისუფალ ძალად მიაჩნდა, ძალად, რომელიც მიზეზობრიობის საყოველთაოდ გავრცელებულ კანონს არ ემორჩილება, და დეტერმინიზმი, რომელსაც პირიქით, ნებელობის დამოუკიდებლობა, თავისუფლება, მიზეზობრივი რკალის გარეშე მოქმედების უნარი არ სწამდა. ნებელობის აქტის დამოკიდებულება მოტივზე, ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილება ყოველთვის მოტივირებული უნდა იყოს, თითქოს საბოლოოდ უნდა ამტკიცებდეს ინდეტერმინიზმის უსაფუძვლობას, მიუხედავად ამისა, ნებელობის თავისუფლებაზე ლაპარაკის აღკვეთა სრულად შეუძლებელია. ფაქტია, რომ მოტივაციის გარეშე ნებელობის აქტი არ ხდება. მაშასადამე, დეტერმინიზმი მართალია: ნებელობის აქტს მოტივი განსაზღვრავს. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ერთიდაიგივე მოტივი ყოველთვის ერთსადაიმავე აქტს არ იწვევს: ერთხელ რომ იგი ერთ შედეგს იძლევა, მეორეჯერ მის მიმართ სრულიად უძლური რჩება. მიზეზობრიობის ცნებას ასეთი ფაქტები სრულიად არ ეგუება. მიზეზი განსაზღვრულ პირობებში ყოველთვის განსაზღვრულ შედეგს იწვევს. ამიტომაც შეუძლებელია, რომელიმე გარკვეული მოტივი ან მოტივთა ჯგუფი კაუზალურად დაუკავშირო გარკვეულს ნებელობის აქტს. მაშასადამე დეტერმინიზმი მაინც არ არის მართალი.

ყოველივე აქედან გამომდინარე კი ნებელობის თავისუფლების პრობლემის გადაწყვეტის ორივე ცდა – ინდეტერმინისტული და დეტერმინისტული ცალკე აღებული უსაფუძვლოა. ნებელობა თავისუფალია, აღნიშნავს დ.უზნაძე, რამდენადაც აქტუალური სიტუაციის გავლენას არ ემორჩილება, რამდენადაც აქედან გამომდინარე იძულებას არ განიცდის. იგი თავისუფალია, რამდენადაც მასზე მოქმედი სიტუაცია წარმოსახვითია, მაშასადამე, სუბიექტის მიერაა გაცნობიერებული. მაგრამ იგი დეტერმინირებულია, არაა

თავისუფალი, რამდენადაც, თუმცა წარმოსახულით, მაგრამ მაინც სიტუაციითაა პირობადადებული.

განზრახვის ნებელობითი ელემენტი თანამონაწილეობის დროს, უწინარეს ყოვლისა შეიცავს შედეგის დადგომის სურვილს, როდესაც ყველა თანამონაწილეს სურს შედეგის დადგომა, რომელსაც ამსრულებელი თავისი უშუალო მოქმედებით ცდილობს მიაღწიოს. ფორმალური შემადგენლობის დანაშაულებში თანამონაწილეებს სურთ ამსრულებელმა განახორციელოს მათ მიერ განზრახული დანაშაულებრივი ქმედება.

თანამონაწილეობის დროს განზრახვაზე საუბრისას, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ავტორთა დიდი ნაწილი აღიარებს, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით, მაგრამ ყველა არ ეთანხმება იმას, რომ შესაძლებელია ევენტუალური განზრახვითაც.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ თავად კანონი (მუხ. 23 სსკ) დანაშაულში თანამონაწილეობის დროს განზრახვაზე საუბრისას, არაფერს ამბობს განზრახვის სახეებზე, ამით კი უშვებს, რომ იგი შესაძლებელია იყოს როგორც პირდაპირი ისე ევენტუალური. თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულებში ქმედებისათვის ტიპურად დამახასიათებელია პირდაპირი განზრახვა. თანამონაწილეობისას პირდაპირი განზრახვის შინაარსი სპეციფიკურია. პირი აცნობიერებს თავისი მოქმედების (უმოქმედობის) მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, ასევე ერთიანი დანაშაულის ჩადენაში მონაწილეთა (თუნდაც ერთის) მოქმედების (უმოქმედობის) მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, ითვალისწინებს თავისი ქმედების ურთიერთკავშირს დაგეგმილ ან უკვე ჩადენილ დანაშაულთან და სურს მასში მონაწილეობა სხვა თანამონაწილეებთან ერთობლიობაში. თანაამსრულებლობისას პირდაპირი განზრახვის ინტელექტუალური ელემენტი მოიცავს ასევე მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გათვალისწინებას ან ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას (მატერიალური შემადგენლობის დანაშაულის ჩადენისას). ნებელობითი ელემენტი ხასიათდება შედეგის დადგომის სურვილით.

როგორც ჩანს, პირდაპირი განზრახვის ინტელექტუალური ელემენტის შინაარსი თანამონაწილეობის დროს უფრო ფართოა შედარებით ერთი პირის მიერ პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულთან. იგი მოიცავს სხვა პირებთან ერთობლივად დანაშაულის ჩადენის გათვალისწინებას და თანამონაწილეობის ზოგიერთი ფორმის შემთხვევაში ყველასათვის საერთო დანაშაულებრივი შედეგის გათვალისწინებას (მატერიალური შემადგენლობის დანაშაულებში). მაშასადამე, თანამონაწილეობის სუბიექტური ნიშნები ხასიათდება ერთობლივად ჩადენილი დანაშაულის ურთიერთგაცნობიერებით. ზოგიერთი ავტორი მართებულად უწოდებს თანამონაწილეთა ურთიერთგათვალისწინებას ორ ან მრავალმხრივ სუბიექტურ კავშირს. პირი ითვალისწინებს, რომ მოქმედებს არა მარტო, არამედ სხვა თანამონაწილეებთან ერთად. ერთობლივად ჩადენილ დანაშაულში ურთიერთგათვალისწინება სხვადასხვაგვარად გამოვლინდება თანამონაწილეობის სხვადასხვა ფორმაში. მაგრამ ერთი ზოგადად დადგენილი მოთხოვნაა, რომ თანამონაწილეებმა (ან ერთმა თანამონაწილემ) იცოდნენ ამსრულებლის შესახებ და მათ მიერ განსახორციელებელი დანაშაულის შესახებ. თანამონაწილეობის ნებისმიერი ფორმის დროს პირდაპირი განზრახვის ნებელობითი ელემენტის შინაარსი ხასიათდება განზრახი დანაშაულის ჩადენაში სხვა პირებთან ერთად მოქმედების სურვილით.

აღსანიშნავია, რომ მეცნიერ იურისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღიარებს თანამონაწილეთა ქმედებებში ევენტუალური განზრახვის შესაძლებლობას, ამის არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ ზოგიერთი მათგანი შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგს.

მოცემული მოსაზრება არ არის მისაღები რამდენიმე საფუძვლით. ამ ფორმულირების ხარვეზი არის ის, რომ იგი არ არის უნივერსალური. აღნიშნული პოზიციის მომხრეების მიერ შემოთავაზებული ევენტუალური განზრახვის შინაარსის კონსტრუქციაში მცდარობა აშკარა ხდება, თუ თანამონაწილეთა შორის წინასწარი

შეთანხმების საგანი იქნება ფორმალური შემადგენლობის დანაშაულის ჩადენა. ამგვარი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგი შემადგენლობის ჩარჩოებს მიღმა რჩება, განუსაზღვრელი ხასიათის მატარებელია, ამიტომ ამ პირთა პირდაპირი განზრახვის შინაარსის განსაზღვრისას საჭიროა თანამონაწილეთა მხოლოდ ფსიქიკური დამოკიდებულების გარკვევა ქმედების მიმართ, და არა ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მიმართ. სავსებით ნათელია, რომ ამ შემთხვევაში თანამონაწილეთა ქმედება ჩაიდინება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

მატერიალური შემადგენლობის დანაშაულის ჩადენისას, მაგ. მკვლელობა, თითოეული თანამონაწილე (თანაამსრულებელი, დამხმარე, წამქეზებელი) მოქმედებს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, სხვაგვარად ქრება თანამონაწილეობის აუცილებელი ნიშანი – ქმედების ერთობლიობა და განზრახვის ერთიანობა. ერთიანი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში არ შეიძლება იმოქმედო და იმავდროულად წარმართო საკუთარი ძალისხმევა სხვადასხვა შედეგის მიღწევისაკენ, ამასთანავე გულგრილად ეკიდებოდე სხვა პირთა ქმედების შედეგებს. მაშინ იქნება სხვადასხვა პირთა ქმედების უბრალოდ დამთხვევა დროსა და ერთ ადგილზე, რაც არ შეიძლება თანამონაწილეობად ვაღიაროთ. ურთიერთქმედება როგორც თანამონაწილეობის ნიშანი მიიღწევა მხოლოდ მიზნის ერთიანობისა და თანამონაწილეთა მისწრაფების საფუძველზე.

არ არის გასაზიარებელი ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობის მომხრეთა პოზიცია პრაქტიკული თვალსაზრისით. წამქეზებლისა და დამხმარის ქმედებათა სუბიექტური მხარის დახასიათებისას არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ მათი ქმედება პირდაპირ არ არის დაკავშირებული ამსრულებლის მიერ დანაშაულებრივი ქმედების შედეგთან. არის კიდევ რაღაც შუალედური რგოლი მიზეზობრივ კავშირში მათ ქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის, რასაც არ ითვალისწინებენ ევენტუალური განზრახვის მომხრენი. ეს არის ამსრულებლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა. და ზუსტად ეს ფაქტი არასდროს არ იქნება სულერთი დამხმარისა და წამქეზებლისათვის. დამხმარეს, მოამზადა იარაღი და გადასცა რა ამსრულებელს შემდგომი შეიარაღებული თავდასხმისათვის, არ აინტერესებს იარაღის გამოყენების დეტალები: ამსრულებელი მოკლავს ამ იარაღით ვინმეს ან დაჭრის დაზარალებულს ან მხოლოდ დაემუქრება მას ქონების დაუფლების მიზნით, ამიტომ დამხმარეს არ შეუძლია გაითვალისწინოს ერთობლივი დანაშაულებრივი შედეგი, რაც მნიშვნელოვანია ევენტუალური განზრახვის ინტელექტუალური ელემენტის დასახასიათებლად. იგი ითვალისწინებს მხოლოდ იმ ფაქტს, რომ მის მიერ დამზადებული იარაღი კონკრეტულ ამსრულებელს პირობას უქმნის დანაშაულის ჩასადენად. დამხმარე აცნობიერებს, რომ ეხმარემა მას, ითვალისწინებს, რომ იარაღი გამოყენებულ იქნება დანაშაულებრივი მიზნებისათვის, და სურს ამ ქმედებათა ჩადენა, ე.ი. ამსრულებლის დახმარება.

გარდა ამისა, მოცემული თეორიული პოზიცია წინააღმდეგობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან. საქ. სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მესამე ნაწილში ევენტუალური განზრახვის ნებელობითი ელემენტის დახასიათებისას მითითებულია, რომ პირი არა უბრალოდ შეგნებულად უშვებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არამედ უწინარეს ყოვლისა, პირს არ სურს ეს შედეგი, რაც რა თქმა უნდა მტკიცდება მისი ქცევით. თუ კონკრეტულად განვსაზღვრავთ ევენტუალური განზრახვის შინაარსს, ჩავრთავთ ინტელექტუალურ ელემენტს დამხმარისა და წამქეზებლის კონკრეტული ქმედებების დასახასიათებლად, და ნებელობით ელემენტს განვსაზღვრავთ სსკ მე-9 მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ყალიბდება უაზრო ფორმულირება. ერთი მხრივ, დამხმარე აცნობიერებს, რომ ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას თავისი რჩევებით, იარაღის მიცემით ან სხვა ხერხებით ეხმარება ამსრულებელს დანაშაულის ჩადენაში, და მეორე მხრივ, არ სურს, რომ ამსრულებელმა ჩაიდინოს დანაშაული. კიდევ უფრო უაზრო ხდება წამქეზებლის ქმედება, რომელიც აცნობიერებს, რომ აქეზებს სხვა პირს დანაშაულის ჩასადენად და იმავდროულად არ სურს, რომ მის მიერ დაყოლიებულმა პირმა ჩაიდინოს დანაშაული.

ამგვარად, ნებისმიერი თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული, პირველ ყოვლისა გულისხმობს ყველა თანამონაწილის მხოლოდ პირდაპირ განზრახვას.

თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ განზრახ დანაშაულში. მაშასადამე, დანაშაულში თანამონაწილენი, მათ შორის ამსრულებელი, მოქმედებენ განზრახ და ამასთან განზრახ დანაშაულში, როგორც წესი, იგულისხმება პირდაპირი განზრახვა. ამ დებულებაზე ისიც მიუთითებს, რომ დანაშაულში თანამონაწილეებს ერთიანი მიზანი ანუ მიზნის ერთიანობა ახასიათებთ. მაგრამ შესაძლებელია დანაშაულში თანამონაწილეობა ევენტუალური განზრახვითაც. მხედველობაშია ამსრულებლის ექსცესთან დაკავშირებული ვითარება, როდესაც ამსრულებელს ეძლევა მოქმედების თავისუფლება. იგულისხმება, რომ დანაშაულის თანამონაწილეებს არა აქვთ დაზუსტებული ამსრულებლის მოქმედების ფარგლები. ასეთ შემთხვევაში თანამონაწილენი უშვებენ ამსრულებლის მიერ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას და, მაშასადამე, თანამონაწილენი მოქმედებენ ევენტუალური განზრახვით, მაშინ როდესაც ამსრულებელი ამ ვითარებაში მოქმედებს პირდაპირი განზრახვით, ამ შემთხვევაში ამსრულებლის ექსცესი გამორიცხულია, რაკი თანამონაწილენი შეგნებულად უშვებენ ამსრულებლის მიერ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას.

ავტორი დასაწყისში მართებულად აღნიშნავს, რომ თანამონაწილეებს ერთიანი მიზანი ანუ მიზნის ერთიანობა ახასიათებთ და მიუთითებს პირდაპირ განზრახვაზე, თუმც იქვე დასძენს, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა შესაძლებელიაო ევენტუალური განზრახვითაც. თუ არსებობს მიზნის ერთიანობა, მაშინ როგორ არის შესაძლებელი არ გსურდეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა მის დადგომას? მიზნის ერთიანობა დამახასიათებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში მართალია თანამონაწილეებს არა აქვთ დაზუსტებული ამსრულებლის მოქმდების ფარგლები და უშვებენ ამსრულებლის მიერ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას, რომელიც მოქმედებს პირდაპირი განზრახვით, მაგრამ მიუხედავად ამისა ისინიც მოქმედებენ პირდაპირი განზრახვით, იმიტომ, რომ დანაშაულში თანამონაწილეობისას განზრახვის სახე განისაზღვრება ნებელობითი დამოკიდებულებით არა დანაშაულის შედეგისადმი, არამედ დანაშაულის ერთობლივად ჩადენის ფაქტისადმი და შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ სურვილში, ანუ პირდაპირ განზრახვაში და არა ევენტუალურში. ამ ხაზის გაძლიერებით კი შესაძლებელია გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობის უარყოფილი თეორიებიც გავააქტიუროთ, რაც ყოვლად გაუმართლებელია.

მეცნიერები, რომლებიც თვლიან, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია ევენტუალური განზრახვით, ძირითადად, მექანიკურად იყენებენ განზრახვის საკანონმდებლო ფორმულირებას თანამონაწილეობის დროს ბრალის შინაარსის დასადგენად, არ ითვალისწინებენ რა თანამონაწილეობის, როგორც დანაშაულებრივი ქმედების განსაკუთრებული ფორმის ხარისხობრივ სპეციფიკას.

პ.ფ. ტელნოვი წერდა: თანამონაწილის განზრახვის ინტელექტუალური ელემენტი მოიცავს: ა) საკუთარი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნებას; ბ) სხვა თანამონაწილეთა (მინიმუმ კიდევ ერთის) ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გაცნობიერებას; გ) ერთობლივი დანაშაულებრივი შედეგის წინასწარ განჭვრეტას. განზრახვის ნებელობითი ელემენტი ქმნის ერთობლივად დანაშაულებრივი შედეგის მიღწევის სურვილს ან შეგნებულად უშვებს მის დადგომას.

აღნიშნული მოსაზრებიდან ჩანს, რომ ავტორი, ისევე როგორც სხვა მეცნიერები, რომლებიც უშვებენ თანამონაწილეობას ევენტუალური განზრახვით, ეყრდნობიან თანამონაწილეთა ნებელობით დამოკიდებულებას ერთობლივად ჩადენილი დანაშაულის მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომისადმი, აშკარად მათი მნიშვნელობის გადაფასებით თანამონაწილეობის დასახასიათებლად. ზოგიერთი მკვლევარის მიერ შედეგის ამგვარ გადაფასებას მივყავართ დანაშაულის შედეგის, როგორც ობიექტური

ნიშნის დაუშვებელ გათანაბრებამდე, თანამონაწილის მიზანთან, როგორც თანამონაწილეობის სუბიექტურ ნიშანთან.

თანამონაწილეობისას ევენტუალური განზრახვის კონსტრუქციის ძირითადი ნაკლოვანება მდგომარეობს იმაში, რომ იგი არ გამოხატავს ფსიქიკურ დამოკიდებულებას (ინტელექტუალურს – თითქმის, ხოლო ნებელობითს – სრულად) თანამონაწილეობის მთავარ ნიშანთან, რომელიც ამ ინსტიტუტის სპეციფიკური თავისებურებაა, სახელდობრ კი რამდენიმე პირის გაერთიანების ფაქტს ერთობლივად ერთიდაიმავე დანაშაულის ჩასადენად. გარდა ამისა იგი უყურადღებოდ ტოვებს თანამონაწილეობას ფორმალური შემადგენლობის დანაშაულებში, რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ.

ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობის ზოგიერთი მომხრე გამოდის იქიდან, რომ თანამონაწილის განზრახვის სახეს განსაზღვრავს მისი ფსიქიკური დამოკიდებულებით არა მართლსაწინააღმდეგო შედეგისადმი, არამედ ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედებისადმი, რომელიც მათი აზრით, შეიძლება იყოს ან სასურველი, ან შეგნებულად დასაშვები.მაგრამ ეს შეხედულებაც არ ითვალისწინებს თანამონაწილის ფსიქიკურ დამოკიდებულებას, თანამონაწილეობის ინსტიტუტის მთავარ თავისებურებას – თანამონაწილეთა დანაშაულებრივი ქმედების ერთობლიობას.

თანამონაწილეთა განზრახვის კონსტრუქციულ ელემენტს წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის ან მის ჩადენაში მონაწილეობის განზრახვა... ამიტომ ერთხელ კიდევ ხაზგასასმელია: სხვა პირისათვის დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების განზრახვა ან ხელის შეწყობა მოტივისა და მიზნის მიუხედავად, ყოველთვის ადასტურებს პირდაპირი განზრახვის არსებობას.

თანამონაწილის განზრახვის სახე უნდა განისაზღვროს ნებელობითი დამოკიდებულებით დანაშაულებრივი ქმედებისათვის გაერთიანების ფაქტით, ანუ ფაქტისადმი, რომელიც გამოხატავს თანამონაწილეობის იურიდიულ არსს. ერთობლივად ჩასადენ დანაშაულში გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ საკუთარი სურვილით. სუბიექტი აცნობიერებს რა რომ მისი ქმედება სხვა პირს აღუძრავს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას, ან უმყარებს ამ გადაწყვეტილებას, ან ხელს უწყობს ამ გადაწყვეტილების მასში გამომჟღავნებას, მოქმედებს ასე და არა სხვაგვარად მხოლოდ იმიტომ, რომ მას სურს ასე მოქმედება. სუბიექტი რაც არ უნდა შინაგანად უარყოფითად იყოს განწყობილი ამსრულებლის ქმედებისადმი, შეგნებულად ხელს უწყობს რა დანაშაულის ჩადენას, მას სურს ეს ხელშეწყობა.

ამგვარად, თანამონაწილეობისას განზრახვის სახე განისაზღვრება ნებელობითი დამოკიდებულებით არა დანაშაულის შედეგისადმი, არამედ დანაშაულის ერთობლივად ჩადენის ფაქტისადმი და შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ სურვილში, ანუ მეტყველებს პირდაპირ და არა ევენტუალურ განზრახვაზე. მისი ინტელექტუალური ელემენტი მოიცავს: 1) მისი მოქმედების ან უმოქმედობის მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებას; 2) დანაშაულის ჩადენის ხელშეწყობის ხერხის ან ამსრულებელზე ზემოქმედების ხერხის გაცნობიერებას (ანუ სხვა პირებთან ერთად დანაშაულში მონაწილეობის ფაქტს და ხასიათს; 3) ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გაცნობიერებას (რაც მოიცავს ასევე მატერიალური შემადგენლობის დანაშაულებში მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინებას). თანამონაწილეთა განზრახვის ნებელობითი ელემენტი მდგომარეობს მხოლოდ სურვილში ზუსტად არჩეული ხერხით მიიღონ მონაწილეობა მოცემული დანაშაულის ერთობლივად ჩადენაში.

დანაშაულში თანამონაწილეობის დროს ევენტუალური განზრახვის კონსტრუირებისას განზრახვის ნებელობითი ელემენტი ხშირად იცვლება თანამონაწილის ემოციური დამოკიდებულებით დანაშაულებრივი ქმედებისა და ამსრულებლის ქმედების შედეგისადმი... არ შეიძლება სუბიექტის ემოციის არევა მის ნებასთან. თანამონაწილეს შეუძლია აღშფოთება და განსჯა ან, პირიქით, გახარება და წახალისება ამსრულებლის ქმედებისა, მაგრამ თუ იგი შეგნებულად ხელს უწყობს მის დანაშაულებრივ ქმედებას, მაშინ იგი ამას აკეთებს პირდაპირი განზრახვით. ამიტომ

შეუძლებელია არ დავეთანხმოთ მ.ი.კოვალიოვს, რომელიც თვლის, რომ თანამონაწილის განზრახვის ნებელობითი ელემენტი ხასიათდება მხოლოდ დანაშუალის ჩადენის სურვილით, ე.ი. თანამედროვე დოქტრინა და კანონმდებლობა უნდა გამორიცხავდეს თანამონაწილეობას ევენტუალური განზრახვით.

თანამონაწილეობის პრობლემათა შორის მნიშვნელოვან ასპექტთა რიცხვს განეკუთვნება თითოეული თანამონაწილისათვის იურიდიულად მნიშვნელოვანი გარემოებების შერაცხვის ფარგლების საკითხი ერთობლივად ჩადენილ დანაშაულში. ამ პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა ბრალის მოცულობის დადგენა; ცალკეულ თანამონაწილეს შეიძლება ბრალი დაედოს მხოლოდ იმ იურიდიულად არსებული გარემოებებით, რომელთაც მოიცავდა მისი ცნობიერება. ამ გარემოებებიდან პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულებრივი ქმედების ერთობლივად განხორციელების ფაქტს. თანამონაწილეობაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულის თითოეული მონაწილე აცნობიერებს იმას, რომ დანაშაული ჩაიდინება მათ მიერ არა მარტო, არამედ სხვა პირებთან ერთად. მხოლოდ ზოგიერთი მეცნიერის მიერ აღნიშნული მოთხოვნა განიხილება როგორც არა სავალდებულო ყველა თანამონაწილისათვის. ასე მაგ, ფ.გ. ბურჩაკის, ბ.ა. კურინოვის, გ.ა. კრიგერის, ვ.ს. კომისაროვის, ა.ჰ. კოზლოვის და სხვათა მიერ, დანაშაულის ჩადენაში მონაწილეთა მიერ სხვა პირთა დანაშაულებრივი ქმედების ურთიერთგაცნობიერება წარმოადგენს აუცილებელს მხოლოდ თანაამსრულებლობისას. თანამონაწილეობის სხვა ფორმებისას საკმარისია, რომ წამქეზებელმა და დამხმარემ იცოდნენ დანაშაულის შესახებ, რომელიც მზადდება ამსრულებლისათვის ჩასადენად, შეგნებულად აქეზებდნენ და ხელს უწყობდნენ მის ჩადენას. რაც შეეხება ამსრულებლის მიერ წამქეზებლის, დამხმარისა და ორგანიზატორის ქმედებათა გაცნობიერების მოთხოვნას, ასეთი პირობა არ დევს თანამონაწილეობის ინსტიტუტის იურიდიულ ბუნებაში.

როგორც ჩანს თანამონაწილეობა ცალმხრივი სუბიექტური კავშირისას შეუძლებელია. საკანონმდებლო განსაზღვრებიდან ჩანს, რომ თანამონაწილეობად ითვლება მხოლოდ განზრახი ერთობლივი ქმედება, ანუ შეთანხმებული ქმედება. შეთანხმების არარსებობისას ასეთი ქმედება არ ითვლება ერთობლივად, თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის საკანონმდებლო დახასიათება არ იძლევა უფლებას დანაშაულებრივი ქმედების ამ ფორმას მივაკუთვნოთ შემთხვევა, როცა დამნაშავენი ფაქტიურად ურთიერთქმედებენ დანაშაულის ჩადენისას, მაგრამ არ აცნობიერებენ ამ ურთიერთქმედებას. ასეთი ქმედება უნდა შეფასდეს როგორც ცალკე ჩადენილი დანაშაული. ამსრულებელს შეერთებული პირის ქმედება, რომელმაც არ იცის ამის შესახებ, ნიშნავს არსებითად დანაშაულის ჩადენისათვის განზრახ პირობების შექმნას, ანუ დანაშაულისათვის მომზადებას.

თანამონაწილეობაში ბრალდება დასაბუთებულია იმ შემთხვევაში, თუ დადგენილია, რომ ბრალდებული ობიექტურად ხელს უწყობდა დანაშაულის ჩადენას, უშუალო ამსრულებელთან ჰქონდა ერთიანი განზრახვა, საერთო მიზანი და დანაშაულებრივი ქმედების ურთიერთგაცნობიერება.

თანამონაწილეობა ესაა დანაშაულებრივი ქმედების სპეციფიკური ფორმა, რომელიც მიმართულია განსაზღვრული კონკრეტული დანაშაულის ჩადენისაკენ.

თეორიულად საინტერესოს და პრაქტიკაში მნიშვნელოვანს წარმოადგენს ბრალის ორმაგი ფორმით დანაშაულში თანამონაწილეობის შესაძლებლობის საკითხი, რომელშიც პრაქტიკა სცდება თეორიას. სისხლის სამართლის მეცნიერები ასეთ შესაძლებლობას პრინციპულად უარყოფენ. დანაშაულის მცდელობა ბრალის ორმაგი ფორმით აღიარა რა შეუძლებლად რ.ი. მიხეევმა იქვე დასძენს: ასევე უნდა ითქვას თანამონაწილეობაზე: აღნიშნული შედეგი შეიძლება ინკრიმინირებული იქნეს მხოლოდ მათ ფაქტიურ მიმყენებლებზე (ამსრულებლებზე), ხოლო ორგანიზატორს, წამქეზებელს და დამხმარეს არ შეიძლება დავაკისროთ პასუხისმგებლობა, რამდენადაც ამ შედეგს არ მოიცავდა მათი განზრახვა (ანალოგიურად, როგორც ამსრულებლის ექსცესისას).

აღნიშნული მოსაზრებიდან ჩანს, რომ მეცნიერი არსებითად არ უარყოფს დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას ბრალის ორმაგი ფორმით თანაამსრულებლობის დროს. უფრო არგუმენტირებულ მოსაზრებას დანაშაულში თანამონაწილეობის დროს ბრალის ორმაგი ფორმის შესაძლებლობის საწინააღმდეგოდ გამოთქვამდა პ.ფ. ტელნოვი, წერდა რა: სუბიექტური ბუნებიდან გამომდინარე მოცემული დანაშაულები საერთო ჯამში ლოგიკურია ჩავთვალოთ განზრახ დანაშაულად, რამდენადაც ძირითადი შედეგი განზრახია. კერძოდ, ამაშია ჩადებული მოჩვენებითი შესაძლებლობა თანამონაწილეობისა ამგვარი დანაშაულების კვალიფიციურ შემადგენლობებში. მაგრამ ესაა უფრო წარმოსახვითი შესაძლებლობა. მისი აზრის შეუსაბამობა კანონთან მჟღავნდება აღნიშნული ნორმების სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შეპირისპირებისას თანამონაწილეობის საკანონმდებლო განსაზღვრებასთან. გაუფრთხილებლობით დანაშაულის შედეგის დადგომა სცდება თანამონაწილეობის ფარგლებს. თუმც მოყვანილ ციტატაში თითქოს პირდაპირ არ არის უარყოფილი თანაამსრულებლობის შესაძლებლობა, მაგრამ ავტორის მსჯელობა მიუთითებს იმაზე, რომ იგი პრინციპულად არ ცნობს ბრალის ორმაგი ფორმით დანაშაულში თანამონაწილეობის შესაძლებლობას, როგორც თანაამსრულებლობის სახით, ისე ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის ქმედებათა სახით. თუმც დიფერენცირებული მიდგომის გარეშე ამ პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია.

უპირველეს ყოვლისა, თანამონაწილეობა ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის ქმედებათა სახით, პრინციპში შეუძლებელია ბრალის ორმაგი ფორმით დანაშაულის ჩადენისას. მაკვალიფიცირებელი შედეგი მიზეზობრივად კავშირშია მხოლოდ ამსრულებლის ქმედებასთან და არ შეიძლება ჩაეთვალოს უშუალოდ ორგანიზატორს, წამქეზებელს ან დამხმარეს. ამსრულებელზე ზემოქმედებისას მათი განზრახვა არ მოიცავს ამ შედეგებს, ამიტომ არ შეიძლება შეერაცხოს არავის გარდა უშუალო ამსრულებლისა.

მეორეც, დანაშაულის ჩადენისას, ძირითადი შემადგენლობა მატერიალურია და მოიცავს განზრახ შედეგის დადგომას, ხოლო კვალიფიციური შემადგენლობა მოიცავს უფრო მძიმე შედეგს, რომელთან დამოკიდებულებაც ხასიათდება გაუფრთხილებლობითი ბრალით, თანამონაწილეობა ნამდვილად შეუძლებელია თუნდაც თანაამსრულებლობის სახით. თუ მაკვალიფიცირებელი შედეგი გაუფრთხილებლობით დგება თანაამსრულებელთაგან ერთ-ერთის მიერ, რამაც გამოიწვია განზრახული ძირითადი შედეგი, მაშინ მხოლოდ მისი ქმედება კვალიფიცირდება ნორმით, რომელიც ითვალისწინებს ბრალის ორმაგი ფორმით დანაშაულს, ხოლო სხვა თანამონაწილეთა ქმედება – იმ ნორმით, რომელიც ითვალისწინებს განზრახ შედეგის დადგომას მაკვალიფიცირებელი შედეგის დადგომის გაუთვალისწინებლად.

მესამეც, თანამონაწილეობა თანაამსრულებლობის სახით პრინციპულად შეუძლებელია აგრეთვე იმ დანაშაულთა ჩადენისას, რომელთა ძირითადი შემადგენლობა ფორმალურია და მათი ობიექტური მხარე არ მოიცავს რაიმე შედეგებს, ხოლო კვალიფიციური შემადგენლობა მოიცავს გაუფრთხილებლობით გამოწვეულ მძიმე შედეგებს. თანამონაწილეობა ასეთ დანაშაულებში შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ მაკვალიფიცირებელი შედეგები მიზეზობრივად განპირობებულია ყველა თანამონაწილის (ან რამდენიმეს) ერთობლივი განზრახი ქმედებებით, და არ აღმოჩნდა ამსრულებლის ექსცესის შედეგი. თანამონაწილეთა განზრახვა მოიცავს მხოლოდ ერთობლივი ქმედების განხორციელებას, რომელიც ქმნის დანაშაულის ძირითადი შემადგენლობის ობიექტურ მხარეს, და არ ვრცელდება მაკვალიფიცირებელ შედეგზე. მაშასადამე, თანამონაწილეობა მთავრდება განზრახ ერთობლივი დანაშაულის ჩადენით მაკვალიფიცირებელი შედეგის გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. გ.ნაჭყებია, ი. დვალიძე, თბ, 2007.
2. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ, 1940.
3. Бурчак Ф. Г., Учение о соучастии по советскому уголовного праву, Киев, 1969.
4. Иванов Н. Г., Понятие и формы соучастия в советском уголовном праве, М., 2007.
5. Козлов А. П., Соучастие: традиции и реальность, СПб., 2001.
6. Ковалев М. И., Соучастие в преступлении, М, 2001.
7. Наумов А. В., Российское угаловное право, Курс лекций, т.1, Общая часть, М., 2004.
8. Рарог А. И., Уголовное право Российской Федерации, Общая часть, Учебник, М., 2007.
9. Сергеев В. В., Косвенный умысел при соучастии // Вестник МГУ, Серия II, Право, М., 1971.
10. Тельнов П. Ф., Ответственность за соучастие в преступлении, М., 1974.
11. Трайнин А. Н., Учение о соучастии, М., 1941.

ელენე გვენცაძე

ბრალი თანამონაწილეობის დროს

რეზიუმე

თანამონაწილეობის პრობლემის არსებითი ასპექტი არის თანამონაწილეთა ქმედების სუბიექტური შინაარსის გამოკვლევა, ბრალის მოცულობიდან გამომდინარე შერაცხვის ფარგლები და სუბიექტური მხარის მიხედვით კვალიფიკაციის საკითხები. თანამონაწილეობაში ბრალდება დასაბუთებულია იმ შემთხვევაში, თუ დადგენილია, რომ ბრალდებული ობიექტურად ხელს უწყობდა დანაშაულის ჩადენას, უშუალო ამსრულებელთან ჰქონდა ერთიანი განზრახვა, საერთო მიზანი და დანაშაულებრივი ქმედების ურთიერთგაცნობიერება.

Elene Gventsadze

Charged in Withcomplicity

Summary

An essential aspect of the problem of the complicity is considered to be the content investigation of the behavior of the accomplices, the quantity to declare thescope of the charges and the issues of the qualification according to the subjective side. In complicity, charges are substantiated in case, if it is estimated that the accused objectively facilitated the crime, had the common goal and the unified intention with the direct perpetrator and the mutual understanding of illegal activities.

Елене Гвенцадзе

Вина в случае соучастия

Резюме

Существенным аспектом в анализе проблемы соучастия в преступлении является исследование субъективного содержания действий соучастников, рамки вменяемости, следующие из объема вины, и вопросы квалификации, связанные с субъективной стороной. Обвинение в соучастии подтверждается в том случае, если установлено, что обвиняемый объективно способствовал совершению противоправного действия, имел единство умысла и цели с непосредственным исполнителем и был осведомлен о целях преступления.

ეკატერინე ნინუა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო და თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ამხანაგობა (ერთობლივი საქმიანობა) სახელშეკრულებო სამართლის სისტემაში

ყოველ სახელმწიფოში სამართლის მიერ რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი მეტად მრავალფეროვანი და ერთმანეთისაგან განსხვავებულია, სამართლის ნორმებიც, მიუხედავად მათი შინაგანი ერთიანობისა და საერთო პრინციპებზე დაყრდნობისა, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან და სამართლის საერთო სისტემაში სხვადასხვა ადგილი უკავიათ. სწორედ ამიტომ, ყოველი სახელმწიფოს სამართლის სისტემა გულისხმობს, თავისი სოციალური ბუნებით და სახელმძღვანელო პრინციპების თვალსაზრისით, ერთიანი სამართლის დაყოფას ცალკეულ შემადგენელ ნაწილებად – სამართლის დარგებად და იურიდიულ ინსტიტუტებად (1,223-224). აქ მნიშვნელოვანია, რომ სამართლის ცალკეულ დარგში შემავალი ნორმებით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები შეეხებოდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ რომელიმე კონკრეტულ სფეროს, რომელიც თავისი შინაარსით განსხვავდება საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვა კომპლექსებისაგან, სხვა სფეროებისაგან. საერთო გვაროვნული ნიშნების გარდა, საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის, რომლებიც სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანია, დამახასიათებელია სპეციფიკური თავისებურებები, რაც განსაზღვრავს სამოქალაქო სამართლის შინაგან სტრუქტურულ დიფერენციაციას.

სამოქალაქო სამართალი, რომელიც წარმოადგენს კერძო სამართლის ბირთვს, განსაზღვრავს ისეთ ფუძემდებლურ დებულებებს, რომლებიც სხვა კერძოსამართლებრივ დარგში გამოიყენება. მათ რიგს განეკუთვნება პირები, გარიგებები, ხელშეკრულების თავისუფლება, საკუთრების უფლება, საკუთრების შეძენა და ა.შ. (2, 17). ნაშრომის კვლევის მიზნიდან გამომდინარე ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ სამოქალაქო სამართლის ისეთ ქვედარგზე, როგორიცაა ვალდებულებითი სამართალი, ვინაიდან საკვლევი საკითხი – ამხანაგობა (ერთობლივი საქმიანობა) სახელშეკრულებო სამართლის სისტემაში, ამ დარგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია.

ვიდრე გადავიდოდეთ ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობის) ხელშეკრულების ადგილის კვლევაზე სახელშეკრულებო სამართლის სისტემაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ ზოგიერთი ავტორის პოზიცია ხელშეკრულების კლასიფიკაციის პრობლემასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხის დეტალური განხილვა არაა

ნაშრომის მიზანი, თუმცა, აუცილებლად მიგვაჩნია რამდენიმე მთავარი მომენტის აღნიშვნა.

იურიდიულ ლიტერატურაში ხელშეკრულებებისათვის დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით შეიძლება მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა სახეებად. იმის მიხედვით, თუ როგორაა მხარეთა შორის განაწილებული უფლებები და ვალდებულებები, ხელშეკრულებები იყოფა ცალმხრივად და ორმხრივად (მრავალმხრივი).

იმის მიხედვით, თუ ხელშეკრულება რომელი მომენტიდან ჩაითვლება დადებულად, ისინი იყოფა კონსესუალურ და რეალურ ხელშეკრულებებად.

ხელშეკრულების მონაწილეთა მიერ შესრულებული მოქმედებისათვის სამაგიერო დაკმაყოფილების მიღების თვალსაზრისით, განასხვავებენ სასყიდლიან და უსასყიდლო ხელშეკრულებებს, აგრეთვე, ფიდუციურ ხელშეკრულებას და ა.შ. ნაშრომის მიზანია, სწორედ, ამ თვალსაზრისით გამოვიკვლიო ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობის) ხელშეკრულების ადგილი სახელშეკრულებო სამართლის სისტემაში.

გამოჩენილი რუსი მეცნიერი მ.ვ. გორდონი თავის დროზე გვთავაზობდა ყველა ცნობილი ხელშეკრულების დალაგებას ერთ ჯგუფში ერთიანი კრიტერიუმის გამოყენებით – „შედეგი“, მაგრამ ამისათვის საჭირო გახდა სხვადასხვა ხელშეკრულების ერთ სახეობაში გაერთიანება, მაგალითად, ნასყიდობისა და ჩუქების, ქირავნობისა და ქონების უსასყიდლოდ სარგებლობის (თხოვება) და სხვ. (5, 85).

გასაკვირი არ არის, რომ ხელშეკრულებების კლასიფიკაციის ერთგვაროვანი დაყოფის მცდელობები წარუმატებლად მთავრდებოდა. ეს გაითვალისწინა ო.ა. კრასავჩიკოვმა. მის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციაში ასეთი საფუძველი უნდა ყოფილიყო: „შედეგების მიმართულება“. აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, მან გამოყო ვალდებულების ოთხი ჯგუფი: ქონების გადაცემაზე მიმართული (1), სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული (2), მომსახურების გაწევაზე ორიენტირებული (3) და თანხის გადაცემაზე მიმართული (4) (7, 127). აღნიშნული კლასიფიკაციის მთავარი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ რიგითობის მიხედვით, ვალდებულებების მეოთხე ჯგუფი სხვა ჯგუფებისაგან განსხვავდება არა შედეგების დადგომის რაიმე განსაკუთრებული მოქმედების შესრულებით, არამედ ხელშეკრულების საგნით (თანხით).

ბევრი თანამედროვე ავტორი მიიჩნევს, რომ კლასიფიკაციის ამოცანების გადასაწყვეტად ერთადერთი სწორი გამოსავალია ხელშეკრულებების მრავალსაფეხურიანი კლასიფიკაციის გამოყენება. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის ხელშეკრულებები, რომლებიც გაერთიანებულია გარკვეულ ჯგუფში და ყოველ მომდევნო საფეხურზე გამოხატავენ წინა ხელშეკრულების თავისებურებებს (4). ამრიგად, სამოქალაქო კოდექსში მოცემული ხელშეკრულებები შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად ჯგუფად: I. საკუთრების შეძენაზე, II. სამუშაოს შესრულებაზე, III. მომსახურების გაწევაზე, IV. სხვადასხვა გაერთიანების დაარსებაზე. პირველ ჯგუფში შედის ნასყიდობა, გაცვლა, ქირავნობა, ჩუქება, და ა.შ. მეორე ჯგუფში – ნარდობის, გადაზიდვისა და სხვა ხელშეკრულება, მესამეში – მიბარების ხელშეკრულება, სასაქონლო საწყობში მიბარების ხელშეკრულება, დაბოლოს, მეოთხე ჯგუფთან მიმართებით, საუბარია სხვადასხვა სახის სახელშეკრულებო გაერთიანებებზე, რომელსაც მიეკუთვნება ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობის) ხელშეკრულება. ზოგიერთი სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით, ამხანაგობის ხელშეკრულება წარმოადგენს ფიდუციურ გარიგებას. ამხანაგობის მონაწილეთა ურთიერთობები ყოველთვის მინდობილი ხასიათისაა(6), რაც დასტურდება ამხანაგობის საქმეთა წარმართვის განსაკუთრებული წესით, საერთო ქონების სარგებლობით, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებით, უფლებამონაცვლეობით. ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობის) ხელშეკრულებას სახელშეკრულებო სისტემაში გააჩნია გარკვეული თავისებურებები, კერძოდ, მასში არ მონაწილეობს ურთიერთსაპირისპირო ინტერესების მქონე მხარეები, როგორც სხვა სახის ორმხრივ ხელშეკრულებებში; ამხანაგობის ხელშეკრულებაში არ არის კრედიტორი და მოვალე იმ გაგებით, როგორც ეს კატეგორიები,

ჩვეულებრივ, იურიდიულ ლიტერატურაში იხმარება. თითოეული ამხანაგობის მონაწილე ყველა სხვა მონაწილის მიმართ ერთდროულად არის მოვალეც და კრედიტორიც (3). შესაბამისად, ამხანაგობის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები ატარებს შემხვედრ, ურთიერთმავალდებულებელ ხასიათს, თითოეული მონაწილის უფლებები და მოვალეობები თანაბარია სხვა მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებთან მიმართებაში.

საგულისხმოა, რომ ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობის) ხელშეკრულების საკმაოდ სრულყოფილი დახასიათება როგორც საქართველოში, ისე გერმანიასა და საფრანგეთში მოცემულია სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში, ხოლო რუსეთში კლასიფიკაცია, უმეტესწილად, გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსში.

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ნაშრომში განსახილველი ქვეყნების სამოქალაქო სამართალი სხვადასხვა სისტემაზეა აგებული (საქართველოს, რუსეთისა და გერმანიის – პანდექტურ, ხოლო საფრანგეთის – ინსტიტუციურ სისტემაზე) და განსხვავებულად განსაზღვრავს ამხანაგობის ხელშეკრულების ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტს, ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობის) ხელშეკრულებას საქართველოს, რუსეთის, გერმანიისა და საფრანგეთის სამოქალაქო სამართლის სისტემაში სხვადასხვა სახის ხელშეკრულებასთან ერთად განსაკუთრებული ადგილი უკავია ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილში. თუმცა, რუსეთის სამოქალაქო სამართლის სისტემაში ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობის) ხელშეკრულება განხილულია არა მხოლოდ ვალდებულებით სამართალში, არამედ სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებებშიც (8). საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნის მეხუთე ტიტულში განხილულია საოჯახო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები, სადაც მეორე თავში საუბარია ერთობლიობის მმართველობაზე და ერთ-ერთი მეუღლის მოქმედების შედეგებზე ამხანაგობის (10) მიმართ, ანუ მეუღლეთა ურთიერთობა განხილულია, როგორც გაერთიანება – კავშირი და მას ამხანაგობა ეწოდება.

საქართველოს, გერმანიისა და საფრანგეთისაგან განსხვავებით, რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 1041-ე მუხლის თანახმად, ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობის) ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მოგების მიღების, ანუ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით.

ამხანაგობის ხელშეკრულების განსაკუთრებული მნიშვნელობა და მისი ადგილი სამოქალაქო სამართალში, ძირითადად, განპირობებულია იმით, რომ იგი არის ერთადერთი ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს მონაწილეთა ერთობლივ საქმიანობას. აღნიშნული საქმიანობა შეიძლება მიმართული იყოს ნებისმიერი კანონით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ამდენად, ერთობლივი საქმიანობა არ შეიძლება იყოს ხელშეკრულების მონაწილეთათვის თვითმიზანი, არამედ იგი მხოლოდ საშუალებაა ყველა მონაწილის საერთო მიზნის მისაღწევად (9). ამხანაგობის ხელშეკრულება იდება მაშინ, როცა რაიმე შედეგის მიღწევა, ანუ დასახული მიზნის შესრულება ერთი პირის მიერ შეუძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ინწკირველი გ., სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2003.
2. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011.
3. Белов В.А., Гражданское право:Общая и особенная части, М., 2003.
4. Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное Право, Общие положения, М., 2001.
5. Гордон М.В, Система договоров в советском гражданском праве, Ученые записи Харьковского юридического института, Вып. 5. 1954. С.85.
6. Коммерческое (Торговое) право, Под ред. Ю.Е. Булатецкого и В.А. Язева, М., 2002.
7. Красавчиков О.А, Вопросы системы Особенной части ГК РСФСР, Свердловск, 1957.
8. Комментарий к Гражданскому Кодексу Российской Федерации (постатейный), М., 2002.
9. Протас Е.В., Гражданское право, М., 2005.
10. Французский Гражданский Кодекс 1804 г., Перевод И.С. Перетерского, М., 1941.

ეკატერინე ნინუა

ამხანაგობა (ერთობლივი საქმიანობა) სახელშეკრულებო სამართლის სისტემაში

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანიბის) ხელშეკრულების ადგილი სახელშეკრულებო სამართლის სისტემაში. ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობის) ხელშეკრულებას სახელშეკრულებო სისტემაში გააჩნია გარკვეული თავისებურებები, კერძოდ, მასში არ მონაწილეობს ურთიერთსაპირისპირო ინტერესების მქონე მხარეები, როგორც სხვა სახის ორმხრივ ხელშეკრულებებში, ამხანაგობის ხელშეკრულებაში არ არის კრედიტორი და მოვალე იმ გაგებით, როგორც ეს კატეგორიები, ჩვეულებრივ, იურიდიულ ლიტერატურაში იხმარება. თითოეული ამხანაგობის მონაწილე ყველა სხვა მონაწილის მიმართ ერთდროულად არის მოვალეც და კრედიტორიც.

მნიშვნელოვანია ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობის) ხელშეკრულების როლი სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ მოქალაქეებმა, სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში შესაძლებელია მიაღწიონ სხვადასხვა მიზანს, ეს კი, თანამედროვე პირობებში აქტუალურია.

Ekaterine Ninua

Partnership (Joint Activities) in the Contractual Law System

Summary

This scientific paper presents the Partnership's (Joint Activities) contract in the contractual law system. The Partnership's (Joint Activities) contract in the contractual law system has certain peculiarities, namely the parties with the confliction interests do not involve in it as in other types of bilateral contracts; the Partnership's contract has neither creditor nor debtor in the sense of as these categories are usually used in the legal literature. Each partnership member is simultaneously a debtor and creditor in respect to all other members.

The role of the Partnership's (Joint Activities) contract is important in civil-legal relations giving the basis to the citizens to make it possible to achieve the various goals within the contractual freedom, and it is actual in modern conditions.

Екатерина Нинуа

Товарищество (совместная деятельность) в системе договорного права

Резюме

В научной статье рассматривается место договора товарищества (совместной деятельности) в системе договорного права. Договор товарищества (совместной деятельности) в системе договорного права от других видов договоров отличается своими особенностями, в частности в нем не учавствуют стороны имеющие противоположные интересы, как например, в юридической литературе употребляется кредитор и должник. Каждый член товарищества, исходя из обязанностей перед товариществом по договору в отношении других членов, является одновременно кредитором и должником.

Таким образом, договор товарищества (совместной деятельности) в гражданско-правовых отношениях занимает особое место, так как граждане в рамках свободы заключения договора

имеют возможность достичь законом не запрещенные различные цели (коммерческие, не коммерческие).

გოჩა ოჩიგავა
სამართლის დოქტორი

სიცოცხლის უფლება და სიკვდილით დასჯის სამართლებრივი რეგულაციები (მოკლე მიმოხილვა)

„ბოროტებას ბოროტებით ვერ განკურნავ, –
გვარიგებს წმიდა ბასილი დიდი,
– მას მხოლოდ სიკეთით შეიძლება უწამლო“.

შესავლის მაგიერ

შევდივარ აუდიტორიაში, ლექციის დაწყებამდე რამდენიმე წუთი რჩება... დღეს სიკვდილით დასჯაზე უნდა ვესაუბრო ჩემს სტუდენტებს. ისე დაემთხვა, რომ ამ დღეებში მორიგი ტერორისტული აქტი მოხდა თურქეთში, უამრავი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა. მათ შორის, ბავშვები. ყური მოვკარი, ახალგაზრდები ამ საკითხზე საუბრობდნენ. ზოგი ამბობდა, რომ სიკვდილით უნდა დაისაჯოს ყველა ტერორისტი, ვინც მიზნის მისაღწევად უდანაშაულო ხალხს კლავს, ზოგიც უფრო თამამად ამტკიცებდა, რომ სიკვდილით უნდა ისჯებოდეს ყველა მკვლელი, კანიბალი, ნარკოტიკებით უკანონოდ მოვაჭრე... „ყველა პედოფილს დავხვრეტდი“ - ისმოდა აუდიტორიის ბოლოდან. რამდენიმე სტუდენტი საუბრის თემის შერბილებას ცდილობდა და სიკვდილით დასჯის გამოყენებას მხოლოდ განმეორებით ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ემხრობოდა. ბევრი იყო ისეთი სტუდენტი, ვინც სიკვდილით დასჯას არ ამართლებდა არც ერთ შემთხვევაში, ახალგაზრდებს არგუმენტები მოჰყავდათ, გამიხარდა, რომ სხვადასხვა კანონიდან იშველიებდნენ ცალკეულ დებულებებს, საუბრობდნენ ეკლესიის დამოკიდებულებაზე ამ საკითხისადმი, ზოგი ცხოვრებისეული გამოცდილებით ამყარებდა საკუთარ არგუმენტებს. აი, ერთმა გოგონამ გამოიყენა მობილური და ილია ჭავჭავაძის სიტყვების ციტირებაც მოახდინა ცნობილი ნაწარმოებიდან „სარჩობელაზედ“: „მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ მრავალნი იქით. განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით მტყუანნი. ღმერთი გულთამხილავია: მინამ საქმეს სასწორზედ დასდებდეს, ჯერ გულში ჩახედავს ადამიანს. მე ჩემი გზა მართლის გზა მგონია. მართალი ვარ, თუ მტყუანი, - არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ ერთი პატარა ძარღვი კიდევ მქონდა გულში და ისიც დღეს სარჩობელაზედ ჩამწყდა. ამით სამუდამოდ მოვწყდი ქვეყანასა, როგორც წინადვე მოტეხილი ტოტი უკანასკნელ ძაფზე-ღა დაკიდებული. მშვიდობით!“ დაასრულა გოგონამ და დასძინა: „დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მაგრამ განა არ გსმენიათ ისეთ შემთხვევებზე, როცა აღმოჩნდა, რომ სიკვდილმისჯილი სულაც არ იყო დამნაშავე, ან რატომ გამოვრიცხავთ, რომ საშიში დამნაშავის გამოსწორების თუნდაც მცირედი შანსი არ არსებობს?!

ამასობაში ლექციაც დაიწყო. ჩემი მოვალეობა იყო სტუდენტებთან ამ საკითხის სამართლებრივ რეგულაციებზე მესაუბრა და მეჩვენებინა, რომ სიკვდილით დასჯის

გამოყენება სიცოცხლის უფლების წინააღმდეგ არის მიმართული და ცივილიზებული მსოფლიოსათვის მიუღებელია. დავიწყე ახსნა, თუმცა, გულის სიღრმეში, წინააღმდეგობა ვერ გავუწიე ახალგაზრდების მეორე ნაწილის ხისტ პოზიციას – ზოგიერთი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯის გამოყენებასთან დაკავშირებით.

სიკვდილით დასჯა და ქართული სამართალი
უვადო პატიმრობა, როგორც სიკვდილით დასჯის ალტერნატივა

საქართველოს კონსტიტუციის მე – 15 მუხლის თანახმად: „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი. სიკვდილით დასჯა აკრძალულია“ (1).

ბოლო ათი წელია, გაეროში აქტიურად დგამენ ნაბიჯებს ადამიანის სიცოცხლის უფლების დასაცავად და სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად, ამიტომ მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა სასჯელის უმკაცრეს ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთას იყენებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 51 - ე მუხლის თანახმად: უვადო თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ინიშნება /არც ერთ შემთხვევაში, დანაშაულის მომზადების ან მცდელობისათვის – სსკ – ის მ.56/. ეს სასჯელი არ შეიძლება შეეფარდოს იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი. უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება შეიცვალოს ვადიანი თავისუფლების აღკვეთით, თუ სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას (სსკ – ის მ.71); თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მან გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა, მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან (სსკ – ის მ.72); თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება შეიცვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით (სსკ – ის მ. 73) (2). ამ დრომდე, საქართველოში არც ერთ პატიმარს არა აქვს მოხდილი სასჯელის ეს ზომა. უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირებს შორის ქალებიც არიან, ისინი ამ სასჯელს ძირითადად მკვლელობისა და ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისათვის იხდიან.

თუ ქართული სამართლის ძეგლებს გადავავლებთ თვალს, ჩვენი ქვეყნისათვის სასჯელის უმკაცრესი ზომის - სიკვდილით დასჯის გამოყენება არ არის უცხო, მაგ.:

- მეფის შეურაცხყოფისათვის გამოიყენებოდა თავის მოკვეთა. იგივე სასჯელი გამოიყენებოდა სახელმწიფო ღალატისა და სამხედრო დანაშაულისათვის.

- მკვლელობისათვის, გაუპატიურებისათვის – ჩამოხრჩობა.

- გამოიყენებოდა სიკვდილით დასჯის ისეთი ფორმებიც, როგორიც არის: კლდიდან გადმოგდება, ძელზე დასმა და სხვ. სიკვდილით სჯიდნენ: მეკობრეობისათვის, “მრავალჯერ” პარვისთვის.

- ზოგიერთი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ჯერ მიმართავდნენ სხეულებრივ სასჯელს, ხოლო შემდეგ სიკვდილით დასჯას: მაგალითად, მეფის შეურაცხყოფისათვის ჯერ აჭრიდნენ ენას და მერე კვეთდნენ თავს, გაუპატიურებისათვის ჯერ ხდებოდა ადამიანის დასაჭურისება და შემდეგ მისი ჩამოხრჩობა.

ფეოდალურ საქართველოში სხეულებრივი სასჯელები და სიკვდილით დასჯა თამარ მეფემ გააუქმა.

სიკვდილით დასჯა 1918 წლიდან 1997 წლამდე

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის პირობებში ჩვენი ქვეყანა იყო ერთ - ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც გააუქმა სიკვდილით დასჯა. სპეციალური ჩანაწერი გაკეთდა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ კონსტიტუციაში: „სიკვდილით დასჯა გაუქმებულია“, მ. 19.

თუმცა, უფრო ადრე, 1918 წლის აქტში საქართველომ, ჯერ კიდევ კონსტიტუციის მიღებამდე, დააფიქსირა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება ამ სასჯელის გამოყენების მიმართ. გასაბჭოების შემდეგ, სიკვდილით დასჯა დაშვებული იყო საქართველოს ოთხივე კონსტიტუციით. ამ სასჯელს მიმართავდნენ ისეთი დანაშაულისათვისაც კი, როგორიც არის მექრთამეობა. სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო მოქმედი, 1995 წლის კონსტიტუციითაც. სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა სსკ – ის მე – 13 მუხლი. სასამართლოს ამ პერიოდში გამოჰონდა სიკვდილით დასჯის განაჩენი, მაგრამ მათი აღსრულება არ ხდებოდა. 1996 წლის მიწურულს საქართველოში სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმი გამოცხადდა. 1997 წლის 11 ნოემბერს პარლამენტმა საბოლოოდ გააუქმა სასჯელის ეს უმკაცრესი ზომა. საქართველო მეორე პოსტსაბჭოთა ქვეყანა გახდა (მოლდოვას შემდეგ), რომელმაც ეს ნაბიჯი გადადგა. სიკვდილით დასჯის გაუქმება ევროპის საბჭოს ერთ - ერთი რეკომენდაცია იყო.

სტატისტიკა და ფაქტები

მსოფლიოში სულ უფრო მეტი ქვეყანა აწესებს მორატორიუმს სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით. გაეროში ეს პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ 1990 წელს, როდესაც მიიღეს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მეორე დამატებითი ოქმი, რომელიც სიკვდილით დასჯის გაუქმებას ეხება და ამჟამადაც მოქმედებს(3). აღნიშნული ოქმი მოითხოვს სახელმწიფოებისაგან სიკვდილით დასჯის შეჩერებას და ყველა შესაძლო ზომის მიღებას სასჯელის ამ უმკაცრესი ზომის გასაუქმებლად (მ. 1). ოქმთან მიმართებაში აკრძალულია ყველანაირი დათქმის ჩამოყალიბება, თუმცა, სახელმწიფოებმა შეიძლება დაიტოვონ სიკვდილით დასჯის გამოყენების უფლება მხოლოდ ომის დროს - „ომის პერიოდში ჩადენილი სამხედრო ხასიათის მძიმე დანაშაულისათვის“ (მ. 2). ყველა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ, რომელიც უერთდება ამ დათქმას, გაეროს გენერალურ მდივანს აუცილებლად უნდა შეატყობინოს ქვეყანაში ამგვარი ომის დაწყებისა და დამთავრების დრო. სიკვდილით დასჯის საერთაშორისო კამპანია კიდევ უფრო გააქტიურდა გაეროს 2007 წლის ისტორიული რეზოლუციის მიღების შემდეგ.

დღეს სიკვდილით დასჯა გაუქმებულია 146 ქვეყანაში. თუმცა, ჯერ კიდევ რჩებიან ქვეყნები, სადაც გამოიყენება სიკვდილით დასჯის ისეთი ფორმები, როგორიც არის: ჩაქოლვა, დახვრეტა, ჩამოხრჩობა და სხვ.

- ქვებით ჩაქოლვას მიმართავენ 6 ქვეყანაში.
- თავის მოკვეთის ყველაზე მეტი ფაქტი დაფიქსირებულია საუდის არაბეთში.
- დახვრეტა გამოიყენება 18 ქვეყანაში (იემენი, ჩინეთი, აშშ, ინდონეზია და სხვ.).
- ჩამოხრჩობა სიკვდილით დასჯის ფორმაა 19 ქვეყანაში (ირანი, ერაყი, იაპონია, პაკისტანი, ეგვიპტე, ინდოეთი, აფრიკის რამდენიმე ქვეყანა და სხვ.).
- სასიკვდილო ინექცია 5 ქვეყანაშია დაშვებული (გვატემალა, ვიეტნამი და სხვ.).
- ელექტრო სკამი აშშ - ის რამდენიმე შტატშია ნებადართული, მათ შორის: ალაბამა, ვირჯინია, კენტუკი.

- გაზის კამერა - არიზონაში, კალიფორნიაში, მისურში (აშშ) (7).

ყველაზე ხშირად სიკვდილით დასჯა გამოიყენება ირანში, ერაყში, ჩინეთში, აშშ - ში, სუდანში. ჩინეთი ამ სასჯელის გამოყენების მაჩვენებლით ყველა ქვეყანას უს-წრებს. უფლებადამცველი ორგანიზაციები გამოხატავენ აღშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, ამ მომენტისათვის (2016 წლის ბოლო) სიკვდილით დასჯას ელოდება 20000 - ზე მეტი სიკვდილმისჯილი. ამასთან, საუბარია ისეთ დანაშაულებზე, როგორიც არის: ჰომოსექსუალიზმი - საუდის არაბეთი, ნარკოტიკული დანაშაული - აფრიკის რამდენიმე სახელმწიფო, კორუფცია, ფულის გაყალბება, სუტინიურობა - ჩინეთი, მეუღლის ღალატი - სუდანი, ნიგერია, გაუპატიურება – ინდოეთი (5). გამაოგნებელია ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ ქვეყანაში სიკვდილით დასჯა გამოიყენება არასრულწლოვანი დამნაშავის მიმართაც: ინდოეთი, აშშ (მისისიპი – 13 წლიდან, მისური – 14 წლიდან, აშშ – ის 13 შტატში ასაკზე საერ-თოდ არ მახვილდება ყურადღება, სასამართლოს გადასაწყვეტია).

წარმოგიდგენთ რამდენიმე მაგალითს სიკვდილით დასჯის ფორმების შესახებ 21-ე საუკუნეში: ქალაქ რაქაში ისლამური სახელმწიფოს წევრმა საკუთარი დედა სიკვდილით დასაჯა. ინფორმაციის თანახმად, დასჯის მიზეზი გახდა ის, რომ 21 წლის ალი საქრის დედამ, 45 წლის ლენაალ-ქასემმა, ორგანიზაციის დატოვება სთხოვა. სიკვდილით დასჯა ქალაქ რაქაში მოხდა, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ დე - ფაქტო დედაქალაქია. როგორც ცნობილია, ისლამურ სახელმწიფოს ორგანიზაციის დატოვებისათვის სიკვდილით დასჯა აქვს დაწესებული, რომელსაც საჯაროდ ახორციელებს ხოლმე. ალი საქრიმ დედამისი ორგანიზაციის წევრებთან დაასმინა, რის შემდეგაც მათ ლენაალ - ქასემის სიკვდილით დასჯის ბრძანება გასცეს. ალი საქრიმ საკუთარი დედა ცეცხლსასროლი იარაღით ასობით ადამიანის თვალწინ მოკლა.

ირანში ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს კორუფციისათვის. ქვეყნის სასამართლომ ბაბაკ ზან-ჯანს სასჯელის უმაღლესი ზომა კორუფციის ბრალდების გამო შეუფარდა. ქვეყნის უმდიდრეს ბიზნესმენს, რომლის ქონებაც 13 მილიარდ დოლარს აჭარბებს, გამოძიება მილიონობით ბარელი ნავთობის უკანონოდ გაყიდვასა და სახელმწიფო სახსრების მიტაცებას ედავება. თავის დროზე, ბაბაკ ზან-ჯანი შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის სპეც. სამსახურებმა შავ სიაში შეიყვანეს. ირანელი, კორუფციის ბრალდებით სამი წლის წინ დააკავეს. ირანში სიკვდილით დასჯა ხშირად გამოიყენება ჰომოსექსუალების წინააღმდეგაც.

აშშ-ში ყველაზე ხშირად სიკვდილით დასჯა გამოიყენება ტეხასსა და ვირჯინიაში. დამნაშავეს შეუძლია აირჩიოს დასჯის ფორმა. სტატისტიკურად, ყველაზე უფრო მეტად სიკვდილმისჯილები ითხოვენ დახვრეტას, მათი აზრით ეს ყველაზე სწრაფი და უმტკივნეულო პროცედურაა. საინტერესოა, რომ დახვრეტას აწარმოებს ერთდროულად რამდენიმე პირი, ზოგიერთის იარაღი დატენილია ნამდვილი ტყვიებით, ზოგიერთის კი ფუჭი ტყვიებით, რომ მსროლელმა არ იცოდეს ვისი გასროლით დადგა სიკვდილი.

აშშ-ში ერთ - ერთი სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მსჯავრდებულმა ქალბატონმა დაარწმუნა თავისი საყვარელი გრეგ ოუვენი, რათა მოეკლა თავისი მეუღლე დუგლასი. დაზარალებული სასიკვდილოდ დაჭრეს 1997 წელს, მას ორი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული კისრისა და ზურგის არეში. მიუხედავად იმისა, რომ ქალი არ მონაწილეობდა მკვლელობაში, მას მიესაჯა სიკვდილით დასჯა. მის საყვარელს კი - თავისუფლების აღკვეთა, 2022 წლამდე. 47 წლის, სამშვილიანი დედის სიკვდილი დადგა 0:21 საათზე, 30.09.15 წელს. ეს ჯორჯიის შტატში სიკვდილით დასჯის პირველი შემთხვევაა, ბოლო 70 წლის მანძილზე.

გთავაზობთ ფოტოკოლაჟს აშშ - ში სიკვდილმისჯილთა ერთ-ერთ ციხეზე.



წარწერა ბოლო სურათზე: „ყველაზე ბედნიერი ადგილი დედამიწაზე“ (8).

აშშ–ს მსგავსად, სიკვდილით დასჯა გამოიყენება იაპონიაშიც, მაგრამ მხოლოდ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობისათვის. ამასთან, მნიშვნელოვანია, რამდენად განიცდიან დანაშაულის ობიექტის მკვლელობის ფაქტს მისი ნათესავები და რამდენად დიდი გამოხმაურება გამოიწვია ამ დანაშაულმა საზოგადოებაში. აქ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სიკვდილმისჯილი მრავალი წლის განმავლობაში იმყოფება ციხეში და ელოდება განაჩენის აღსრულებას, იაპონელები მსჯავრდებულის მიმართ ასეთ დამოკიდებულებას ამართლებენ იმით, რომ არ არის გამორიცხული საქმეში გაჩნდეს ახალი გარემოებები, რაც სასჯელის შეცვლის ან საერთოდ გაუქმების სამართლებრივი საფუძველი შეიძლება გახდეს. სიკვდილმისჯილი მოცულობით ძალიან პატარა ოთახში იმყოფება, მას არა აქვს უფლება ისარგებლოს ტელევიზორით, რადიოთი, კომპიუტერით, ოთახში 24 საათი ანთია შუქი. ყოველი სიკვდილმისჯილი განაჩენის აღსრულებამდე მუშაობს (თვეში გამოიმუშავებს დაახლოებით 50 – 60 დოლარს) ამ თანხით მას შეუძლია დამატებით შეიძინოს საკვები პროდუქტები. სასეირნოდ სიკვდილმისჯილი გამოჰყავთ მხოლოდ 3-ჯერ ზაფხულში და 2-ჯერ ზამთარში. დღის განმავლობაში მსჯავრდებული იღებს საკვებს, რომლის შემადგენლობა არ აღემატება 1500 კალორიას სასჯელის აღსრულების შესახებ სიკვდილმისჯილს მხოლოდ ნახევარი საათით ადრე ატყობინებენ.

ამ სურათზე ნაჩვენებია სიკვდილით დასჯის ოთახი იაპონიაში(8). ხელმარცხნივ ჩანს სამლოცველო კუთხე სიკვდილმისჯილთათვის. მსჯავრდებული დგება ფარდის მიღმა შემოხაზულ კვადრატში, მას თავი მარყუჟში აქვს გაყოფილი, მოულოდნელად იხსნება იატაკი და მიმდინარეობს სასჯელის (ჩამოხრჩობა) სისრულეში მოყვანის პროცესი. იაპონიის სასამართლო ამაყობს იმ ფაქტით, რომ სიკვდილმისჯილთა 99 %-ის მიმართ კანონი ყველა მოთხოვნათა დაცვით აღესრულება. გამონაკლისი თითქმის არ არსებობს. ბოლო 50 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ადგილი შემთხვევას, როცა სიკვდილით უდანაშაულო ადამიანი დასაჯეს, ეს იყო 60 წელს გადაცილებული სიკვდილმისჯილი, რომელმაც განაჩენის აღსრულებამდე ციხეში 17 წელი გაატარა. მას ბრალად ედებოდა 4 წლის გოგონას მკვლელობა. იაპონიაში სულ უფრო იზრდება ამ სასჯელის გამოყენების მომხრეთა რიცხვი.

ევროპა და ევროპული კანონმდებლობა

ევროსაბჭოსა და ევროკავშირის არც ერთ ქვეყანაში სიკვდილით დასჯა დაშვებული არ არის! /გამონაკლისია ბელორუსი/ (10).

ბელორუსის კონსტიტუციის 24 – ე მუხლის თანახმად: სასჯელის ამ ზომის გამოყენება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გზით, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ. 2015 წელს სიკვდილით არ დაუსჯიათ არც ერთი ადამიანი, 2016 წელს კი ამ სასჯელის გამოყენებას ისევ ჰქონდა

ადგილი. (სულ 4 – ჯერ). ამ საკითხზე ბელორუსში 1996 წელს ჩატარდა რეფერენდუმი, სიკვდილით დასჯის გაუქმებას მაშინ 80.44 %-მა არ დაუჭირა მხარი. 2015 წელს ბელორუსის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში შევიდა შესწორება, რომლის თანახმად, თუ ბრალდებულმა ითანამშრომლა გამოძიებასთან და დაეხმარა ამ უკანასკნელს, მას არ შეიძლება შეეფარდოს სიკვდილით დასჯა. დანაშაულის აღიარება დამნაშავეს მის მიმართ ამ სასჯელის გამოყენების შესაძლებლობისაგან არ ათავისუფლებს. ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ვლადისლავ კოვალევი და დიმიტრი კონოვალოვი სასამართლომ სცნო დამნაშავედ ტერაქტის ჩადენაში (მინსკის მეტრო, 2011 წლის 11 აპრილი). აფეთქებამ მაშინ 15 ადამიანის სოცოცხლე შეიწირა, ბევრი დაშავდა. 2011 წლის 30 ნოემბერს, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორივე პირს სასჯელის უმაღლესი ზომა შეეფარდა. დღესაც არავინ იცის, თუ კონკრეტულად რა ფორმით დასაჯეს ისინი.

ა) ადამიანის უფლებათა კონვენცია და სიკვდილით დასჯა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მიღებულია 1950 წელს და ძალაშია 1953 წლიდან, მ. 2) ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას – ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით, არავის შეიძლება წაერთვას სიცოცხლე განზრახ, გარდა კანონით გათვალისწინებული დანაშაულისათვის პირის მსჯავრდების შემდეგ, სასამართლოს განაჩენის აღსრულების შედეგად (6). თუმცა, კონვენციის დამატებით ოქმებში შეიცვალა საკითხისადმი დამოკიდებულება:

- მე - 6 დამატებითი ოქმი ითვალისწინებს ამ სასჯელის გამოყენებას მხოლოდ ომის დროს ჩადენილი დანაშაულისათვის;
- და მე - 13 ოქმი სრულად აუქმებს სიკვდილით დასჯას (3).

შესაბამისად, ყველა სახელმწიფო ვინც ევროსაბჭოშია უნდა დაემორჩილოს ამ მოთხოვნას!

ბ) ევროკავშირი და სიკვდილით დასჯა

ადამიანის უფლებათა ევროპული ქარტია (მიღებულია 2000 წელს და ძალაში შევიდა 2009 წელს) კრძალავს სიკვდილით დასჯას ყველა შემთხვევაში.

სიკვდილით დასჯა ადამიანის უფლებათა უკიდურესი ფორმით დარღვევას წარმოადგენს. ეს არის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული წინასწარ დაგეგმილი, ცივსისხლიანი მკვლელობის აქტი. ეს სასტიკი, არაადამიანური, დეგრადირებული დასჯის ფორმა სამართლის სახელით ხორციელდება. ის ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში განცხადებულ ფუნდამენტურ უფლებას – სიცოცხლის უფლებას – არღვევს.

საერთაშორისო ორგანიზაციები: „საერთაშორისო ამნისტია“, Human Rights Watch, წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ნებისმიერ შემთხვევაში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოდიან, გამონაკლისის გარეშე. იმის მიუხედავად, თუ რა სახის დანაშაულზეა საუბარი, ხასიათის რა თავისებურებებს ავლენს დამნაშავე, ვინ არის დანაშაულის სუბიექტი ან რა მეთოდს იყენებს სახელმწიფო სასჯელის სისრულეში მოსაყვანად? (4)

დასკვნისათვის

დამეთანხმებით, ძნელია სიკვდილით დასჯის გამოყენების უარყოფით მხარეებზე ესაუბრო ადამიანებს, რომლებსაც მტკიცედ სწამთ, რომ სწორედ ეს სასჯელი უნდა შეეფარდოს სასტიკ მკვლელს, პედოფილს, ტერორისტს, ნარკოტიკებით უკანონოდ მოვაჭრეს (მას, ვისაც პირველად არ ჩაუდენია დანაშაული). ძნელია უმტკიცო ტრეფიკინგის, ტერორიზმის, გენოციდისა თუ სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის

მსხვერპლს, რომ უვადო პატიმრობა სიკვდილით დასჯის შეუცვლელი ალტერნატივაა. მაგრამ, ამასთან, უფლება არ გვაქვს, გვერდი ავუაროთ იმ სამართლებრივ, რელიგიურ ასპექტებსა თუ ფსიქო-სოციალურ ფაქტორებს, რომელთა არსებობაც სიკვდილით დასჯის გაუქმების გარდუვალობას სულ უფრო მეტად ამყარებს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიზიარებთ ევროპულ მიდგომას საკითხისადმი:

არა სიკვდილით დასჯას!

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39 - ე მუხლის თანახმად: სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია, როგორც ვხედავთ, სიკვდილით დასჯა სრულ წინააღმდეგობაში მოდის სასჯელის მიზნებთან - (2);
2. გარდა ამისა, არსებობს ფაქტები იმის შესახებ, რომ ზოგიერთი სიკვდილმისჯილი რეალურად დანმაშავე არ იყო, ანუ სასჯელის უმკაცრესი ზომით დაისაჯნენ უდანაშაულო ადამიანები;
3. მნიშვნელოვანია ჩვენი ეკლესიის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი: ერთ - ერთი უმთავრესი მცნება „არა კაც ჰკლა“, რა თქმა უნდა, ვრცელდება, თუნდაც სასტიკ დამნაშავეებზე;
4. დაბოლოს, სტატისტიკა აჩვენებს, რომ ამ სასჯელის გამოყენება მძიმე დანაშაულის შემცირებაზე დადებითად არ აისახება.

P.S. ლექცია უკვე მთავრდებოდა... ბოლოს მოვიყვანე უდანაშაულო ადამიანის მიმართ სიკვდილით დასჯის გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული მაგალითი. დიდ ბრიტანეთში 1950 წელს დააპატიმრეს ტ. ევანსი და სცნეს დამნაშავედ საკუთარი ცოლ-შვილის მკვლელობაში. მას სიკვდილით დასჯა მიესაჯა ჩამოხრჩობით. მთელი სასამართლო პროცესის განმავლობაში, მსჯავრდებული ცოლ-შვილის მკვლელად მათ ბინაში, ქვედა სართულზე მცხოვრებ დ. კრისტის ასახელებდა. განაჩენის აღსრულებიდან სამი წლის თავზე, სამართალდამცველებმა მიაკვლიეს ახალ მტკიცებულებებს. გაირკვა, რომ დამნაშავე მართლაც დ. კრისტი იყო და მას არაერთი ადამიანი ჰყავდა მოკლული. 1965 წელს ევანსის ნეშთი წმ. პატრიკის სახელობის სასაფლაოზე მიაბარეს მიწას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია.
2. საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი.
3. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, I და II ნაწილი, /საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა/ თბ., 2008.
4. *Marzilli, Alan,* Capital Punishment – Point-counterpoint*(2nd ed.). Chelsea House.* ISBN 978-0-7910-9796-0*, 2008.*
5. *Johnson, David T.; Zimring, Franklin E.* The Next Frontier: National Development, Political Change, and the Death Penalty in Asia*. Oxford University Press.* ISBN 978-0-19-533740-2*, 2009.*
6. "Directorate of Communication – The global campaign against the death penalty is gaining momentum – Statement by Terry Davis, Secretary General of the Council of Europe". Wcd.coe.int. 16 November, 2007. Retrieved 12 December, 2012.
7. "The pros and cons of the death penalty in the USA.". capitalpunishmentuk.org. Retrieved 17 February, 2015.

ვებ-გვერდები:

8. http://quibbll.com/17490-smertnaya-kazn-v-sovremennoj-yaponii/ - სიკვდილით დასჯა იაპონიაში.
9. http://www.all-crime.ru/kazni/kazni-usa.htm - სიკვდილით დასჯა აშშ – ში.

10. ***http://pravo.by/ - Правовые акты, зарегистрированные в Национальном реестре правовых актов Республики Беларусь, ბელორუსის კონსტიტუცია.***

გოჩა ოჩიგავა

სიცოცხლის უფლება და სიკვდილით დასჯის სამართლებრივი რეგულაციები

რეზიუმე

სიკვდილით დასჯის გაუქმება-არგაუქმების საკითხი ჯერ კიდევ მწვავედ დგას თანამედროვე მსოფლიოში. საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ სასჯელის ეს უმკაცრესი ზომა უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ ზოგიერთი დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, საზოგადოების მეორე ნაწილი კი (ყველა შემთხვევაში) სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოდის. დღეს, მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობაში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, თუმცა არის ქვეყნები, სადაც სიკვდილით სჯიან: მექრთამეობისათვის, ქმრის ღალატისათვის, გაუპატიურებისათვის, მამათმავლობისათვის, ფულის გათეთრებისათვის, ნარკოტიკული დანაშაულისათვის. 21-ე საუკუნეში სულ უფრო მეტი საერთაშორისო ორგანიზაცია გამოდის სიკვდილით დასჯის გამოყენების წინააღმნდეგ. საქართველოში, ისევე როგორც მთელ ევროპაში (გამონაკლისია ბელორუსი) სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

Gocha Ochigava

Right for Life and Legal Regulations of Capital Punishment

Summary

Abolition of the capital punishment still remains as an unsolved issue in modern world. One part of society considers this measure of punishment as the one which should be used upon the persons who committed grave crimes. The other part of society is against the capital punishment in any circumstances. Nowadays, capital punishment is abolished in majority of countries around the world, but in few states it still remains active for crimes such as: bribery, conjugal infidelity, raping, homosexuality, money fraud, crimes connected with narcotics. In 21st century more and more international organizations strive against the usage of capital punishment. in Georgia, as well as in all other European countries (except Belorussia) the capital punishment is abolished.

Гоча Очигава

Право на жизнь и правовые регуляции смертельной казни

Резюме

Отмена смертной казни до сих пор остается нерешенной проблемой в современном мире. Одна часть общества считает, что эта мера наказания, должна быть использована по отношению к лицам, совершившим некоторые тяжкие преступления. Другая часть общества против смертной казни при любых обстоятельствах. В настоящее время смертная казнь отменена в большинстве стран по всему миру, но в некоторых странах она по-прежнему применяется при таких преступлениях, как: взяточничество, супружеская неверность, изнасилование, гомосексуализм, денежное мошенничество, наркопреступление. В 21-ом веке все больше международных организаций вы-

ступают против использования смертной казни. В Грузии, а также во всех других европейских странах (за исключением Белоруссии) смертная казнь отменена.

ნანა ხარაძე
საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემები

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკას საჯარო სამსახურის სფეროში განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი. საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, საჯარო სამსახურთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციისა და საჯარო სამსახურის სფეროში კანონით განსაზღვრულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მომზადების მიზნით საქართველოს მთავრობასთან იქმნება საჯარო სამსახურის საბჭო (4; მუხლი 128.2). საჯარო სამსახურის საბჭო არის საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანო (4; მუხლი 128[1].1). იგი შექმნილია საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლებისაგან. მას გააჩნია თავისი დებულება (5), რომლითაც ხელმძღვანელობს.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2009 წლის ზაფხულში განხორციელებული ცვლილების შედეგად, გაუქმდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო და მისი ფუნქციები შეითავსა საჯარო სამსახურის ბიურომ. სწორედ საჯარო სამსახურის საბჭოს საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობის, კანონით დადგენილი ძირითადი მიმართულებების განხორციელების, საჯარო სამსახურის საბჭოსა და მისი წევრების საქმიანობის, ორგანიზაციული, ტექნიკური, საინფორმაციო და საექსპერტო უზრუნველყოფის, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიღების, შესაბამისი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის საჯაროობისა და დეკლარაციის დროულად ჩაბარებაზე კონტროლის უზრუნველყოფის, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელების მიზნით შეიქმნა საჯარო სამსახურის ბიურო, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (4; მუხლი 129.1). ბიუროც თავის საქმიანობას ახორციელებს დებულების მიხედვით (6). საჯარო სამსახურის ბიურო: ა) შეისწავლის და აანალიზებს საჯარო სამსახურის სფეროში არსებულ მდგომარეობას, შესაბამისი ნორმატიული აქტების შესრულებას და საქართველოს მთავრობას წარუდგენს მოხსენებას; ბ) კოორდინაციასა და მეთოდურ დახმარებას უწევს საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის პროცესებს, საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს; გ) კოორდინაციას უწევს სახელმწიფო ორგანოთა (დაწესებულებათა) საკადრო სამსახურების მუშაობას; დ) საჯარო სამსახურის მართვის სრულყოფის მიზნით შეისწავლის და განაზოგადებს საჯარო სამსახურის სფეროში სხვა სახელმწიფოთა გამოცდილებას და თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან (4; მუხლი 130.2).

2010 წლის 1 თებერვლიდან ამოქმედდა დეკლარაციის ერთიანი ელექტრონული სისტემა, რომლის მიხედვითაც თანამდებობის პირთა დეკლარაციები განთავსდა ვებ-გვერდზე, ამით გამარტივდა დეკლარაციის შევსების პროცედურა, აღარ არის საჭირო საჯარო სამსახურის ბიუროს ოფისში მისვლა და ა.შ. ვფიქრობთ, რომ საკმაოდ

მოსახერხებელია აღნიშნული პროგრამა, რადგანაც დეკლარანტი იღებს დეტალურ ინფორმაციას, თუ როგორ უნდა შეივსოს თითოეული ველი. მოქალაქეებს კი შეუძლიათ ვებ-გვერდის გამოყენებით მიიღონ ინფორმაცია ამა თუ იმ საჯარო მოხელის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, რადგანაც აღნიშნული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ყველასათვის. ადრე ეს პროცედურა ძალზე რთული იყო, რადგან დაინტერესებულ პირებს უხდებოდათ ბიუროში მისვლა, განცხადების დაწერა და შესაბამისი მოსაკრებლის გადახდა, აღნიშნული ცვლილების შემდგომ ყოველივე ეს უფასო გახდა. მიუხედავად ამისა, მაინც მიგვაჩნია, რომ აღნიშნული სისტემა შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს, რადგან არ ხდება დეკლარაციების კონტროლი. სისტემის სრულყოფისათვის აუცილებელია დეკლარაციების მონიტორინგის შემოღება, რითაც შემცირდება კორუფციის რისკი საჯარო სამსახურში. ამიტომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ შეიქმნას შესაბამისი სამსახური, რომელიც გადაამოწმებს თანამდებობის პირთა მიერ დეკლარაციაში გაცხადებულ ინფორმაციას. დღეს არსებული სისტემის მიხედვით, დეკლარაციების წარდგენა ხდება საჯარო სამსახურის ბიუროში ელექტრონულად, ჩაბარებიდან 48 საათში კი აღნიშნული დეკლარაციები ავტომატურად ქვეყნდება. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ეს დეკლარაციები სანდოობას მოკლებულია, რადგანაც არ არსებობს ორგანო, რომელიც გადაამოწმებს თანამდებობის პირის მიერ წარდგენილ დეკლარაციას. საქართველოში მხოლოდ დროულად ჩაბარებაზე ხორციელდება კონტროლი და საჯარო სამსახურის ბიუროს მხოლოდ დეკლარაციის ტექნიკურად სწორად ჩაბარებასთან დაკავშირებით აქვს კონსულტაციების გაცემის უფლება.

დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა გააჩნია აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანას, მაგალითად, უკრაინას, ესტონეთს, ლატვიას, ამერიკის შეერთებულ შტატებს, იტალიას, ჰონ-კონგს (8, 3-10). აქ არსებობს შემოწმების შემდეგი მექანიზმები: ა) შემოწმება მაღალი რანგის თანამდებობის პირების; ბ)შემოწმება დეკლარაციაში წარდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით; გ)შემოწმება მოქალაქის საჩივრის მიხედვით; დ)შემოწმება შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე (1; 100-152). მისასალმებელია, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს დეკლარაციებზე მონიტორინგის განხორციელებას. ცვლილებების თანახმად, „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის დაწყების საფუძველია: ა)თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ერთიანი ელექტრონული სისტემის მიერ დეკლარაციების შემთხვევითი შერჩევა; ბ)დასაბუთებული წერილობითი განცხადება“ (3, მუხლი 181.2). მიგვაჩნია, რომ თუ საქართველოში დაინერგება მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირთა დეკლარაციის შემოწმების მექანიზმი, მაინც არასწორი იქნება, რადგანაც გადაუმოწმებელი დარჩება სრულიად დაბალი რანგის თანამდებობის პირთა დეკლარაციები. ასევე, თუ შემთხვევით მეთოდს გამოვიყენებთ, ეს სისტემაც ნაკლოვანი იქნება, რადგანაც ამ შემთხვევაშიც კონტროლი სრულყოფილი ვერ იქნება. ამიტომ საჭიროა პირველ რიგში მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს შექმნა (ან თუნდაც ეს ფუნქციაც იტვირთოს საჯარო სამსახურის ბიურომ ან მამხილებელმა) და შემდეგ მოხდეს ყველა რანგის თანამდებობის პირის დეკლარაციის გადამოწმება. თუ კონტროლის მექანიზმები არ იქნება დაწესებული, მიმაჩნია, რომ აზრს კარგავს ეს სისტემა, რადგანაც ვისაც რა სურს იმას აფიქსირებს დეკლარაციაში და მისი შემოწმება არ ხდება. მართალია, აღნიშნული დიდ ხარჯებთან და დროსთანაა დაკავშირებული, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საქართველოში ანტიკორუფციული სისტემის გაძლიერებისაკენ, მისი საშუალებით თანამდებობის პირთა შემოსავლები იქნება კიდევ უფრო გამჭვირვალე და სანდო, შესაბამისად გაიზრდება საზოგადოების წინაშე თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულება.

საქართველოში საჯარო მოხელეთა მიერ ქონებრივი დეკლარაციების წარდგენას არეგულირებს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის

შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილება „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ (2). საქართველოში არსებული დეკლარაციების ფორმა ასახავს შემდეგ ინფორმაციებს: პირის სახელი და გვარი; პირადი ნომერი, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი, მობილური ტელეფონის ნომერი, უძრავი ქონება, საბანკო ანგარიშები და ა.შ. 2013 წლის 29 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებები შეეხო „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონს. აღნიშნული ცვლილების თანახმად, გაფართოვდა თანამდებობის პირთა ნუსხა, ვისთვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება და მათ რიცხვს დაემატა: საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელის მოადგილეები; სამინისტროს სამმართველოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები; საქართველოს საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელის მოადგილეები, ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები (7; მუხლი 2);

თანამდებობის პირები დეკლარაციას ავსებენ შემდეგ შემთხვევებში: 1.თანამდებობაზე გამწესებიდან ორი თვის ვადაში (7;მ. 14.1); 2. თანამდებობზე ყოფნის განმავლობაში ყოველწლიურად, ყოველი წინა დეკლარაციის შევსების დღიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ ერთი კვირის ვადაში (7;მ. 14.2); 3. თანამდებობის დატოვებიდან ორი თვის ვადაში (7; მ. 14.3); 4. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციიდან ერთი კვირის ვადაში (7; მ.14.5); 5. დეკლარაციის ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან 2 კვირის ვადაში (7; მ.20.4); თანამდებობის პირი მხოლოდ მისი და მისი ოჯახის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი, საბანკო ანგარიშებისა და ნაღდი ფულის შესახებ წარადგენს ინფორმაციას დეკლარაციის შევსების თარიღის მდგომარეობით, ხოლო სხვა შემოსავლები დეკლარაციაში აისახება წინა წლის მდგომარეობის მიხედვით. მაგალითად, თუ თანამდებობის პირი დეკლარაციას შეავსებს 2016 წლის დეკემბერში, მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე ასრულებს თავის მოვალეობას ერთი წლის განმავლობაში, დეკლარაციაში დაფიქსირდება მისი შემოსავლები 2015 წლის მდგომარეობით. კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის უკეთ გასაგებად, შეგვიძლია განვიხილოთ პრაქტიკული მაგალითი. 2012 წლის ოქტომბრის თვის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მთავრობის შემადგენლობა დაკომპლექტდა ახალი მინისტრებით, რომელთაც დეკლარაციის შესავსებად განსაზღვრული ჰქონდათ ორი თვე. რამდენიმე მინისტრმა დეკლარაცია შეავსო დეკემბრის თვეში, სადაც აისახა 2011 წლის შემოსავლები. დასახელებული დეკლარაციის შევსებიდან ერთი წლის შემდეგ მათ კანონი ავალდებულებდა, რომ ქონებრივი დეკლარაციები შეევსოთ ერთი კვირის ვადაში, ანუ იმ მინისტრებს, ვისაც დეკემბრის თვეში ჰქონდათ დეკლარაცია შევსებული, ამჯერადაც დეკემბრის თვის მიწურულს მოუწიათ დეკლარაციის წარმოდგენა, აქ აისახა უკვე 2012 წლის შემოსავლები. ამ მინისტრებს დეკლარაცია 2014 წლის იანვრის დასაწყისში რომ წარმოედგინათ, შესაბამისად აისახებოდა 2013 წლის შემოსავლები. 2012 წლის დეკლარაციის შევსება რამდენიმე მინისტრს მოუწია 28 დეკემბერს, სადაც აისახა, რა თქმა უნდა, 2011 წელს მიღებული შემოსავლები (3). ამავე მინისტრებმა კანონის სრული დაცვით დეკლარაციები ასევე წარმოადგინეს 2014 წლის 3 იანვარს (3), სადაც აისახა თანამდებობის პირების მიერ 2013 წელს მიღებული შემოსავლები, ხოლო 2012 წლის მონაცემებს რაც შეეხება, აღნიშნული საზოგადოებისათვის უცნობი დარჩა.

როგორც დავინახეთ, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ეს ხარვეზი განპირობებულია იმით, რომ დეკემბრის თვის მიწურულს შევსებული დეკლარაციები მომავალ წლებში

თანამდებობის პირებს საშუალებას აძლევს არ გაამჟღავნოს რომელიმე ერთი კონკრეტული წლის მონაცემები.

ასევე მნიშვნელოვანი ხარვეზი გვაქვს, როცა თანამდებობის პირი ტოვებს პოზიციას, ამ შემთხვევაში ის ორი თვის ვადაში წარდგენილ დეკლარაციაში არ ასახავს იმ შემოსავლების შესახებ ინფორმაციას, რომელიც მან მიიღო თანამდებობის დატოვების წელს. მაგალითად, პირებმა, რომლებმაც 2013 წლის ნოემბრის თვეში დატოვეს თანამდებობა და დეკლარაცია წარადგინეს 2013 წლის დეკემბერში (3), სადაც ასახულია მხოლოდ 2012 წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები, ხოლო რაც შეეხება თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში (2013 წელი) მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაციას, ის იგნორირებულია და უცნობია. ვფიქრობთ, კანონმდებლობაში აუცილებლად უნდა განხორციელდეს ცვლილება, რომ დროის ნებისმიერ მონაკვეთში დეკლარაციის შევსებამ კონკრეტული თანამდებობის პირს არ მისცეს საშუალება საკუთარი შემოსავლები დაფარული გახადოს საზოგადოებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მართებულად მიგვაჩნია, რომ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს შესწორება და მე-14 მუხლის მესამე პუნქტი ასე ჩამოყალიბდეს: „პირი, თანამდებობის დატოვებიდან ორი თვის ვადაში, ასევე ვალდებულია შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია იმ შემოსავლების შესახებ, რომელიც მან მიიღო თანამდებობის დატოვების წელს“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კვლევა (OECD) „Fighting Corruption in Eastern Europe and Central Asia, Asset Declarationsfor Public Officials –A Tools to prevent corruption”, 2011. www.matsne.gov.ge
2. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილება. www.matsne.gov.ge
3. თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაცია https://declaration.gov.ge/declaration/44393;
4. საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი, თბ., 1997, 31. VIII. www.matsne.gov.ge
5. საჯარო სამსახურის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №179 დადგენილება; www.matsne.gov.ge
6. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №181 დადგენილება; www.matsne.gov.ge
7. საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონი, 17 ოქტომბერი, 1997 წელი (ცვლილებებითა და დამატებებით). www.matsne.gov.ge
8. Ovsianikova N., „Proposals for the verification of the authenticity of Property and Financial Declarations of high-ranking officials”., Georgian Law review., third and fourth Quarters., 2001.

ნანა ხარაძე

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემები

რეზიუმე

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის არსებობა კორუფციასთან ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი და გავრცელებული მეთოდია მრავალ ქვეყანაში. ნაშრომში საუბარია თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივი მდგომარეობის

დეკლარაციის მონიტორინგის სისტემის დანერგვაზე, განხილულია ის მნიშვნელოვანი პრობლემები, რასაც ადგილი აქვს დეკლარაციის შევსებისას და რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია საჯარო სამსახურის სისტემის განვითარებისათვის.

Nana Kharadze

The Systems of Monitoring of Property Situation of High Staff

Summary

The existence of declaration of property situation is one of ways to fight against corruption and it is widespread method in many countries. In the work we talk about an implementation of the monitoring of property situation of high staff. There are discussed such important problems as it arises during filling of declaration and which is necessary to foresee for the development of the system of public service.

Нана Харадзе

Системи мониторинга деклараций имущественного состояния должностных лиц

Резюме

Существование имущественной декларации является одним из важных механизмов для борьбы против корупции и распрастронен во многих странах. В работе идет речь об имплиментации системи мониторинга деклараций имущественного состояния. Обсуждены те важние проблеми, что имели место во время заполнения декларации и те что должны быть предусмотрены для развития системы государственной службы.

გიორგი ასათიანი
კავკასიის უნივერსიტეტის დოქტორანტი

თანამედროვე ტერორიზმი – წარმოშობის ისტორია, კლასიფიკაცია და პრევენციის საკითხები

ტერორისტული საქმიანობა ყოველთვის გამოიყენებოდა როგორც უკანონო, მაგრამ „ეფექტური“ საშუალება სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტების მოსაგვარებლად. დღევანდელ დღეს იგი წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას, რომლის წინააღმდეგ ბრძოლის გზების ძიებაც თავსატეხად ექცა მრავალ სახელმწიფოს. დროთა განმავლობაში, იცვლება ტერორისტული საქმიანობის ფორმები, მეთოდები და საშუალებები, რომლებიც ეფუძნებიან მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს. დღეს, არც სახელმწიფოს და არც მოქალაქეებს არ გააჩნიათ არანაირი გარანტია იმისა, რომ შეძლებენ თავი აარიდონ ამ ფართოდ გავრცელებულ საფრთხეს.

ტერორიზმის და მსგავსი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლისა და მათთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების სამეცნიერო კვლევა, მოვლენის ხასიათიდან გამომდინარე, წარმოადგენს რთულ პროცესს, მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და საჭიროებს თეორიულ-მეთოდოლოგიურ შესწავლას.

სამართალდამცავ ორგანოებს, რომელთა საქმიანობასაც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს, ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ იმის თაობაზე, თუ რა არის ტეროტიზმი და ტერორისტული დანაშაული (ტერორისტული მიმარ-

თულებები, მისი გამოვლინება), ასევე მსგავსება და განსხვავება მათ შორის. ამისათვის, უნდა დადგინდეს ტერორისტული დანაშაულის სპეციფიკური სისხლისსამართლებრივი ნიშნები, რაც საშუალებას მოგვცემს გავაერთიანოთ ისინი საერთო მახასიათებლების მიხედვით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავსახოთ კვლევის მიზნები:

- ტერორიზმის მნიშვნელობის ზოგადი განხილვა;
- ურთიერთკავშირი ტერორიზმსა და საერთაშორისო ტერორიზმის გაგებას შორის;
- ტერორიზმის წინააღდეგ ბრძოლა (პრევენცია).

ტერორიზმი ჩნდება მაშინ, როდესაც საზოგადოება განიცდის ღრმა კრიზისს. ეს კრიზისი, ხშირად იდეოლოგიური ხასიათისაა და დაკავშირებულია სახელმწიფო-სამართლებრივ სისტემასთან. ასეთ საზოგადოებაში ჩნდებიან ხოლმე პოლიტიკური, სოციალური, ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით გაერთიანებული ჯგუფები, რომლებიც ოპოზიციურად არიან განწყობილი არსებული ხელისუფლების მიმართ და ეჭვქვეშ აყენებენ მის ლეგიტიმაციას.

ტერორიზმი ძალას იკრებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენენ ნაროდნიკები -- რუსეთში, რადიკალი ნაციონალ-ისტები -- ირლანდიაში, მაკედონიაში, სერბეთში, ანარქისტები -- საფრანგეთში და ანალოგიური მოძრაობები -- იტალიაში, ესპანეთსა და აშშ-ში.

მე-20 საუკუნეში ტერორიზმის მოტივების სპექტრი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. თუ, მაგალითად, ბოლშევიკები და ესერები ტერორს განიხილავდნენ, როგორც მსხვერ-პლშეწირვას საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ, „წითელი ბრიგადებისთვს“ იგი თვითდამკვიდრების საშუალებას წარმოადგენდა. თანამედროვე ტერორიზმის მთავა-რი მიზანი ძალაუფლების ხელში ჩაგდებაა და საზოგადოების ინტერესებისათვის მსხვერპლშეწირვაზე საუბარი აქ არ შეიძლება იყოს.

მე-20 საუკუნეში მოხდა ტერორიზმის სახელმწიფო დონეზე აყვანა, რაც მანამდე არ შეიმჩნეოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კრიმინალურმა სამყარომ ღრმად გაიდგა ფესვები პოსტსაბჭოთა სივრცეში. შეიარაღებულმა კონფლიქტებმა იფეთქა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდოვას, ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის ტე-რიტორიებზე. დღეს კი მსოფლიო უკვე ატომური ტერორიზმის საფრთხის წინაშე დადგა.

იურიდიულ ლიტერატურაში ტერორიზმი განსაზღვრულია, როგორც ტერორის სისტემატური გამოყენება. ტერმინი „ტერორიზმის“ იურიდიული ძალის მიუხედავად, მი-სი განსაზღვრება დღემდე არაერთმნიშვნელოვანია. მისი სინონიმებია - „ძალადობა“, „დაშინება“.

პირველ მცდელობას, განესაზღვრათ ტერორიზმის ცნება, ადგილი ჰქონდა ბრიუ-სელში 1930 წელს სისხლის სამართლის კანონმდებლობის უნიფიკაციის მე-3 საერ-თაშორისო კონფერენციაზე (13). კონფერენციის კომისიის მიერ მიღებული და გან-სახილველად წარმოდგენილი რეზოლუცია შეიცავდა შემდეგს:

მუხლი 1. ისეთი საშუალებების მიზანმიმართული გამოყენება, რომლებსაც შეუ-ძლია წარმოშვან საერთო საფრთხე, ყოველ ჯერზე დადგენილ იქნება მაშინ, როდესაც ბრალდებული ჩაიდენს ქმედებას, რომელიც საფრთხეს უქმნის სოცოცხლეს, სხეულის ხელშეუხებლობას, ადამიანის ჯანმრთელობას, ან ქმედებას, რომელიც საფრთხეს უქმნის ფასეული სიკეთეების განადგურებას, კერძოდ: ა) ხანძრის მიზანმიმართული გა-ჩენა, აფეთქება, წყალდიდობა, დატბორვა, მხუთავი და სასიკვდილო ნივთიერებების გა-ვრცელება, ისეთი სიგნალების, ფარნების, ნაგებობების ან მოწყობილობების ნგრევა და მწყობრიდან გამოყვანა, რომლებიც გამოიყენება ხანძრის ჩასაქრობად და გადარჩენი-სათვის; ბ) ტრანსპორტის, კომუნიკაციების, რკინიგზის, ტელეგრაფის, ტელეფონის, ფოსტის ნორმალური მუშაობის თვითნებური შეყოვნება, ჰიდრავლიკური დანადგარების, განათების, გათბობის ან საზოგადოებრივი მოხმარებისა და დანიშნულებების საგნების მიზანმიმართული მწყობრიდან გამოყვანა; გ) სასმელი წყლის ან პირველი აუცილე-ბლობის საკვების წაბილწვა, გაფუჭება ან მოწამვლა, ინფექციური დაავადებების, ეპი-

დემიების, ეპიზოოტიების ან მიწათმოქმედებისა და სატყეო მეურნეობისათვის პირველადი მნიშვნელობის მცენარეთა დაავადებების გამოწვევა ან გავრცელება.

ამ დეფინიციაში ჩამოთვლილია ისეთი ქმედებები, რომლებიც შეიძლება შეფასებულიყო, როგორც ტერორიზმი. რადგან ტერორისტთა მოქმედებებმა, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს, დეფინიციაში მოცემული მოქმედებების წრე საკმაოდ ფართოა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახელმწიფოები კვლავ დაუბრუნდნენ ტერორიზმის საკითხს. კერძოდ, 1971 წლის 2 თებერვალს მიღებულ იქნა პირველი საერთაშორისო კონვენცია ჩადენილი ტერორისტული აქტებისათვის გაფრთხილებისა და დასჯის შესახებ, როდესაც ტერორისტული აქტები იძენენ დანაშაულის ფორმას ადამიანების წინააღმდეგ და მასთან დაკავშირებულ გამოძალვებს და ტერორიზმთან ბძოლის სფეროში საერთაშორისო ხასიათს ატარებენ. აღნიშნული კონვენცია გაფორმდა რეგიონულ დონეზე(6). კონვენციის მიხედვით, დაწესებულია პასუხისმგებლობა მკვლელობის, გატაცებისა და ადამიანის ხელშეუხებლობის ხელყოფის ნებისმიერი სხვაგვარი მცდელობისათვის, ასევე, დასჯადია ამასთან დაკავშირებული ყველა სახის გამოძალვა. გარანტირებულია განსაკუთრებული დაცვითი ღონისძიებების გატარება საერთაშორისო კანონმდებლობის ნორმების გათვალისწინებით. 1972 წლის დეკემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ტერორიზმისა და სხვა ფორმის ძალადობის, (რაც იწვევს უდანაშაულო ადამიანების დაღუპვას ან საფრთხეს უქმნის მათ ფუნდამენტურ უფლებებს), აღკვეთის ზომების შემუშავების ფარგლებში, მიიღო რეზოლუცია 3034. ამ რეზოლუციის მე-9 პუნქტის შესაბამისად, 1973 წელს შეიქმნა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური კომიტეტი(3).

გაეროს გენერალური ასამბლეის 28-ე სესიაზე მიღებულ იქნა კონვენცია საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების აღკვეთისა და დამნაშავეთა დასჯის შესახებ. კონვენციის მოქმედება ვრცელდებოდა დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირებზეც (16). 1963 წლიდან გაეროს ეგიდით, ამ მიმართულებით მოხდა 16 საერთაშორისო შეთანხმების შემუშავება (13 კონვენცია, 3 ოქმი) რომელთან მიერთებაც ღიაა ყველა მსურველი სახელმწიფოსათვის.

ევროსაბჭომ ასევე შეიმუშავა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კონვენცია, რომელიც მიღებულ იქნა 1977 წლის 27 იანვარს, ქ. სტრასბურგში(3).

საერთაშორისო დოკუმენტების სიმრავლის მიუხედავად, „ტერორიზმის“ უნივერსალური განმარტების შემუშავების საკითხი დღემდე გადაუჭრელია. „ტერორიზმის“ სამართლებრივ განმარტებასთან დაკავშირებით, ასევე არ არის საერთო აზრი ჩამოყალიბებული რუსულ და დასავლურ სამეცნიერო წრეებშიც. ნაწილი ავტორებისა თვლიან, რომ უმჯობესი იქნება, თუ არ მოხდება „ტერორიზმის“ უნივერსალური განსაზღვრების შემუშავება(11) და საკმარისი იქნება მისთვის დამახასიათებელ მხოლოდ რამდენიმე ნიშანზე შეჯერება. მეორე ნაწილი მეცნიერებისა მიიჩნევს, რომ საერთო სამართლებრივი განსაზღვრების არსებობა ბევრად უფრო პროდუქტიული იქნება(10). სხვა ავტორები კი ტერორსა და ტერორიზმს, მათი ფართო მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ მიიჩნევენ ისეთ მოვლენებად, რომელთა იდენტიფიკაციაც შესაძლოა მოხდეს ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე(10). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის მიხედვით ტერორისტული აქტი არის „აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, ადამიანზე თავდასხმა, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რომელიც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას, ჩადენილი ტერორისტული მიზნით“.

„ტერორისტული მიზანი“ ნიშნავს დანაშაულს, რომელიც მიზნად ისახავს ხელისუფლებაზე ზემოქმედებას, მის დაშინებასა და იძულებას - გადადგას ტერორისტის(ტერორისტების) ინტერესების შესაბამისი ნაბიჯი, ასევ პოლიტიკური ამოცანების გადაჭრას და სხვ.(2)

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს გამოჩნდა ტერორიზმის ახალი ფორმა - „საერთაშორისო ტერორიზმი“, რომელმაც განსაკუთრებით საშიში ხასიათი

შეიძინა მე-20 საუკუნის დასასრულს. საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების სამიზნეს სახელმწიფოს დეზორგანიზაცია, მისთვის ეკონომიკურ-პოლიტიკური ზიანის მიყენება და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევა წარმოადგენს. მათი აზრით, ეს ქმედებები აიძულებს სახელმწიფოს შეცვალოს მათთვის მიუღებელი პოლიტიკა. დღევანდელ მსოფლიოში ტერორიზმის ყველაზე გავრცელებული ფორმა ისლამური ტერორიზმია(9) .

საერთაშორისო ტერორიზმის საერთო აღიარებული განსაზღვრება ჯერ შემუშავებული არ არის . საერთაშორისო ტერორიზმის ძირითად მახასიათებლებად გვევლინება გლობალიზაცია და ექსტრემისტული იდეოლოგია. ასევე, შეინიშნება ტერორისტული აქტების მოსაწყობად თვითმკვლელი-ტერორისტების გამოყენება და ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენების მუქარა(6). საერთაშორისო ტერორიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარი ბრაიან ჯენკინსი ტერორიზმს საერთაშორისო კონფლიქტების წარმოშობის ახალ კერად მიიჩნევს(8).

გაეროს უშიშროების საბჭოს 1373 რეზოლუციაში საუბარია ტერორიზმის, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის, ნარკოტიკული საშუალებებით უკანონო ვაჭრობის, ფულის გათეთრების, იარაღით არალეგალურად ვაჭრობისა და ბირთვული, ქიმიური თუ ბიოლოგიური იარაღის უკანონოდ გადაზიდვას შორის მჭიდრო კავშირზე(18). სპეციალისტები, ასევე ხაზს უსვამენ ტერორისტული ორგანიზაციების გავლენის ზრდას, რაც ხშირად განპირობებულია ზოგიერთი სახელმწიფოს მხრიდან მათდამი გაწეული დახმარებით.

საკუთარი მიზნების მისაღწევად, ტერორისტები საკმაოდ ფართოდ იყენებენ თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებებს – ინტერნეტს, რადიოსა და ტელევიზიას.

საერთაშორისო ტერორიზმი საფრთხის შემცველია იმ მხრივაც, რომ იგი ემუქრება საერთაშორისო მართლწესრიგსა და სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს. ყველა ტერორისტული აქტი გამოუსწორებელ ზიანს აყენებს რამდენიმე (მინიმუმ ორი) სახელმწიფოს ინტერესს, ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა მჭიდრო თანამშრომლობა მსგავსი შემთხვევების პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით.

სამეცნიერო ლიტერატურის, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის ანალიზის შედეგად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ტერორიზმის ძირითადი მახასიათებლები.

პირველ რიგში, ტერორიზმისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი ქმნის საერთო საფრთხეს ან ასეთი საფრთხის მუქარას. ტერორიზმი ობიექტური ნიშნით კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტია. იგი გამოიხატება აფეთქებაში, ცეცხლის წაკიდებაში, იარაღის გამოყენებაში ან სხვა ქმედებაში , რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ადამიანთა განუსაზღვრელ რაოდენობას და გამოიწვიონ მძიმე შედეგები(2). შემდეგი ნიშანი გახლავთ მისი განხორციელების საჯარო ხასიათი. ტერორისტული იერიში, როგორც წესი, მიიტანება ხალხმრავალ ადგილებზე, სატრანსპორტო საშუალებებზე, სახელმწიფო დაწესებულებებზე, მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებზე და ა.შ., რასაც, ხშირ შემთხვევაში, მოჰყვება მსხვერპლი. კონკრეტული შედეგი ხშირად არ გახლავთ ტერორისტთა ინტერესის სფერო, მთავარი აქ მისი რეზონანსულობაა, რაც ადრესატების მიერ სიგნალად, გაფრთხილებად უნდა იქნეს მიღებული.

ტერორიზმის შემდეგი ნიშანი მოსახლეობაში შიშის, მუდმივი დაძაბულობისა და დაუცველობის განცდის გაჩენაა. ეს ის სპეციფიკური ნიშანია, რომელიც ტერორიზმს სხვა მსგავსი დანაშაულებისგან განასხვავებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის. დაუზუსტებელი ინფორმაციით 100-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე მონაწილეობას იღებს სირიასა და ზოგიერთ „ისლამურ სახელმწიფოში“ დღეს მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტებში, სირიაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში კი არაოფიციალური ინფორმაციით დაღუპულია 100-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე, რომელთაგან უმრავლესობა პანკისის ხეობის მკვიდრია. აუ-

ცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ისლამურ სახელმწიფოს მებრძოლთა რიგებში საქართველოს მოქალაქეთა გადინებას ჩვენი ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოები საკმაოდ მოუმზადებელნი შეხვდნენ, სწორედ ამას უკავშირდება ოფიციალური ინფორმაციის არარსებობა მებრძოლთა რიცხვთან დაკავშირებით. ინფორმაციას საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებით ძირითადად მათი ოჯახები და მედიასაშუალებები ავრცელებენ.

ზემოთხსენებული პრობლემის გამოსასწორებლად, 2015 წლის აპრილში, საქართველოს პარლამენტში შევიდა კანონპროექტი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. კანონპროექტის მიზანი გახლავთ პასუხისმგებლობის გამკაცრება ტერორისტული ორგანიზაციის წევრობისათვის. კერძოდ, სსკ 223-ე მუხლს „უკანონო ფორმირების შექმნა, ხელმძღვანელობა, ასეთ ფორმირებაში გაწევრიანება, მონაწილეობა ან/და უკანონო ფორმირების სასარგებლოდ სხვა საქმიანობის განხორციელება“ დაემატა ტერმინები „წევრობა“, „ორგანიზებული წვრთნის გავლა“, „პირის გადაბირება, გაწვრთნა ან პირთა შეგროვება“. ასევე მიღებულ იქნა სპეციალური ნორმა, რომლის მიხედვითაც „უკანონო ფორმირებაში გაწევრიანება ან მის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება, რომელიც მოქმედებს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ან ასეთი ფორმირების მიერ ორგანიზებულ წვრთნებში მონაწილეობის მიღება ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5-დან 10 წლამდე“. ამასთან, გამკაცრდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს საზღვრის გადაკვეთისათვის, რაც მიზნად ისახავს ტერორისტული საქმიანობის მომზადებას ან ამგვარ საქმიანობაში ან წვრთნაში მონაწილეობას ან მონაწილეობის მცდელობას. პასუხისმგებლობად განისაზღვრა 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა (სსკ 1-1 323 მუხლი).

საქართველოს მხრიდან მიღებული საკანონმდებლო ზომების მიუხედავად, ტერორიზმის წინააღდეგ ბრძოლა საჭიროებს დახვეწას და სრულყოფას. ჩატარებულ სამუშაოსთან ერთად, ვფიქრობთ, საჭიროა შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

1. ტერორიზმის სოციალური ბაზის შესუსტების მიზნით, ეფექტური ზომების შემუშავება და რეალიზაცია, კერძოდ, საინფორმაციო-პოლიტიკური კამპანიის წარმოება, რაც ხელს შეუწყობს ტერორიზმის მხარდამჭერი იდეოლოგიური კერების გამოვლენას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. ეს ღონისძიებები მოიცავს:

• ცალკეულ სოციალურ ჯგუფებში მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებას ტრადიციული კულტურის განვითარების გზით;

• ცალკეულ სოციალურ ჯგუფებში ანტიტერორისტული იდეების პროპაგანდას;

• განათლების ეფექტური სისტემის შექმნას, რომელიც დაფუძნებულ იქნება თანასწორუფლებიანობაზე, დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე, ისტორიული ერთობის იდეაზე, რელიგიური მრავალფეროვნებისა და სხვ. პრინციპებზე, რაც ხელს უშლის ექსტრემისტული მისწრაფებების გაღვივებას;

• ისეთი სტრატეგიის შემუშავებასა და პრაქტიკაში დანერგვას, რომელიც ხელს შეუწყობს ტოლერანტობის იდეის პოპულარიზაციას. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების აქტიური გამოყენება (პრესა, ტელევიზია, ინტერნეტი), რათა მოხდეს მოცემულ სივრცეში ბოლო ჟამს მომრავლებული ექსტრემისტული მისწრაფებების განეიტრალება.

2. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია: ტერორისტული ჯგუფების სრული იზოლაცია, რაც გამოიწვევს მათთვის შიდა და საგარეო მხარდაჭერის მოსპობას; იმ საშუალებებისა და სახსრების გამოვლენა-ლიკვიდაცია, რითიც იკვებებიან აღნიშნული ორგანიზაციები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ. იგულისხმება, როგორც ფინანსური წყაროები, ასევე იარაღისა და საბრძოლო მასალის მიწოდების გზები.

3. ტერორიზმთან ბრძოლის მთავარ არსს კი მისი სათავის მიგნება წარმოადგენს. აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს ტერორიზმის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენის წი-

ნააღმდეგ ბრძოლას. ამ გზაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ორგანოების კოორდინირებულ მუშაობას, როგორც საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ასევე სხვა სახელმწიფო სამართალდამცავ ორგანოებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით
2. ავტორთა კოლექტივი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე. თბ, 2005.
3. Implementation Kits for the International Counter-Terrorism Conventions
4. EUROPEAN CONVENTION ON THE SUPPRESSION OF TERRORISM
5. Hoffman, Bruce (1998). Inside Terrorism. Columbia University Press. p. 32. ISBN 0-231-11468-0
6. Peter Rose (August 28, 2003). "Disciples of religious terrorism share one faith.
7. W.T. Mallison. Jr. and S.V. Mallison. "Concept of Public Purpose Terror in international law; W.T. Mallison. Jr. and S.V. Mallison International Terrorism.
8. International Terrorism: A new kind of warfare
9. Возженников А. В. Международный терроризм: борьба за геополитическое господство. — М.:, 2005.
10. Жалинский А. Э. Терроризм: психологические корни и правовые оценки Журнал "Государство и право", № 12, 1995.
11. Заметки по поводу эффективной борьбы против терроризма. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма., М., 2002.
12. Наумов А.В. - Терроризм и преступления с признаками терроризирования (уголовно-правовое исследование) 2002.

ინტერნეტ-რესურსები:

13. http://revolution.allbest.ru/law/00201203_0.html
14. http://elibrary.az/docs/jurnal-08/568j.htm
15. http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/282/38/IMG/NR028238.pdf?OpenElement
16. http://www.uhdigm.adalet.gov.tr/sozlesmeler/coktaraflisoz/ak%5Cingilizce%5C090_ing.pdf
17. http://www.dissercat.com/content/palestinskaya-problema-na-telekanale-al-dzhazira-diskurs-terrorizma#ixzz3p0mUYBMh. Лизен А.-М.
18. http://www.un.org/ru/sc/documents/resolutions/2001.shtml

გიორგი ასათიანი

თანამედროვე ტერორიზმი - წარმოშობის ისტორია, კლასიფიკაცია და პრევენციის საკითხები

რეზიუმე

სტატიაში განხილულია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევის - ტერორიზმის პრობლემა. მასში მოცემულია ტერორიზმის წარმოშობის მცირე ისტორია, გაანალიზებულია ტერორიზმის ცნების განსაზღვრასთან დაკავშირებული პრობლემები, კავშირი ტერორიზმსა და საერთაშორისო ტერორიზმს შორის. სტატიაში ასევე ყურადრებაა გამახვილებული ისეთ საფრთხეებზე, რომლებიც დღეს განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს რეალობაში

Giorgi Asatiani

Modern Terrorism - the History, Classification and Prevention Issues

Summary

The article is about one of the greatest challenges of the modern world - the problem of terrorism. It provides a history of the origins of terrorism, analyzes the concept of terrorism-related problems and the connection between international terrorism and terrorism. The article also highlights the dangers of terrorism, which are particularly relevant to today's reality In Georgia.

Гиорги Асатиани

Современный терроризм - история, классификация и предотвращение проблем

Резюме

Статья посвящена одной из самых больших проблем современного мира - проблеме терроризма. Она обеспечивает историю возникновения терроризма, проанализирована концепция проблем, связанных с терроризмом и связи между международным терроризмом и терроризмом. В статье также подчеркивается угрозы терроризма, которые особенно актуальны на сегодняшний день в действительности в Грузии.

ბექა ცერცვაძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი

საქართველოში სადაზღვევო სისტემის სამართლებრივი ფორმირების ეტაპები

საქართველოში ოთხმოცდაათიანი წლებიდან გაჩნდა კერძო სადაზღვევო ბაზარი. ამ დროს ქვეყანაში სიღარიბის პრობლემა იყო. მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ შეეძლო სადაზღვევო მომსახურების შეძენა. შესაბამისი კანონმდებლობა დაუხვეწავი იყო. ამიტომ დღის წესრიგში დადგა სადაზღვევო კანონმდებლობის მიღების აუცილებლობა. საქართველოს პარლამენტმა 1997 წელს მიიღო საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“.

სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობისათვის „დაზღვევის შესახებ“ კანონის შესაბამისად 1997 წელს შეიქმნა დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რომელიც 2007 წელს შეუერთდა ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს, ხოლო შემდეგ ეროვნულ ბანკს. 2013 წლიდან დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა კვლავ დამოუკიდებლად გააგრძელა ფუნქციონირება.

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური 2006 წლამდე გასცემდა ლიცენზიებს დაზღვევის ცალკეული სახეობების განსახორციელებლად. 2006 წლიდან გაიცემა ლიცენზიები სიცოცხლის დაზღვევის, არასიცოცხლის დაზღვევისა და გადაზღვევის განსახორციელებლად. 1997 წლიდან საქართველოში ამოქმედდა ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა, ხოლო 1999 წლიდან სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა.

2004 წელს ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა გაუქმდა ყველა ავტოტრანსპორტზე, გარდა საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სატვირთო ავტომობილებზე. ასევე გაუქმდა სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა. ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა სრულად გაუქმდა 2010 წელს.

1999 წელს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ მიღებულ იქნა ნორმატიული აქტი „საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე შევსებული საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის დამტკიცების შესახებ“, რომლის შესაბამისად სადაზღვევო კომპანიებს დაზღვევის სახეობების მიხედვით ეკისრებოდათ მინიმალური კაპიტალის ფლობა შემდეგი ოდენობით:

1. სიცოცხლის დაზღვევის განხორციელებისას 600 000 ლარი;
2. არასიცოცხლის დაზღვევის სახეობების განხორციელებისას 500 000 ლარი;
3. გადაზღვევის კომპანიებისათვის 1 000 000 ლარი.

დღეისათვის ეს მაჩვენებლები შეადგენს: სიცოცხლის დაზღვევისათვის – 2 200 000 ლარს; არასიცოცხლის დაზღვევისათვის – 2 000 000 ლარს; გადაზღვევის კომპანიებისათვის – 2 200 000 ლარს.

სადაზღვევო სფეროს ნორმატიული ბაზის სრულყოფის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ სადაზღვევო კომპანიათა გადახდისუნარიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შემუშავება და მიღება.

2007 წელს შემუშავდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა კერძო სადაზღვევო კომპანიების განხორციელებით, რომელიც ითვალისწინებდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევას. ამ პროგრამამ 2007 წელს სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყო თბილისსა და იმერეთის რეგიონში აღრიცხული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა. 2008 წლიდან მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის ეტაპობრივად დაზღვევა რეგიონების მიხედვით. შემდგომ წლებში ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა გავრცელდა პედაგოგებზე, პენსიონერებზე, სტუდენტებზე, ექვს წლამდე ბავშვებსა და სხვა კატეგორიის მოქალაქეებზე. ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა 2013 წლიდან ჩანაცვლდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით.

საქართველოს სადაზღვევო სისტემის ფორმირებისა და განვითარების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოიყოს სამი ძირითადი ეტაპი. პირველი ეტაპი მოიცავს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 1998 წლამდე პერიოდს, მეორე ეტაპი 1998 წლიდან 2007 წლამდე პერიოდს, ხოლო მესამე ეტაპი გრძელდება 2007 წლიდან დღემდე.

როგორც აღვნიშნეთ, პირველ ეტაპზე მიღებულ იქნა „დაზღვევის შესახებ“ კანონი და შეიქმნა დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა სადაზღვევო საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა. ამ პერიოდში სწრაფი ტემპით იქმნებოდა სადაზღვევო და საბროკერო – სადაზღვევო კომპანიები. 1998 წელს საქართველოში რეგისტრირებული იყო 36 სადაზღვევო კომპანია. ამ ეტაპზე სადაზღვევო სისტემის ფორმირება მიმდინარეობდა ეკონომიკური კრიზისის ფონზე. მას ემატებოდა მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობა და შესაბამისად მსყიდველობითუნარიანობის დაბალი დონე.

საქართველოში სადაზღვევო სისტემის ფორმირება - განვითარების მეორე ეტაპი იწყება 1998 წლიდან. აღნიშნულ ეტაპზე შედარებით ხელსაყრელი მაკროეკონომიკური გარემო შეიქმნა სადაზღვევო საქმიანობის წარმართვისათვის. მან დადებითი როლი შეასრულა სადაზღვევო სისტემის სრულყოფისა და განვითარებისათვის. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა შეიმუშავა სადაზღვევო კომპანიათა გადახდისუნარიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები და ანგარიშგების სისტემა.

საქართველოში სადაზღვევო სისტემის ფორმირების მესამე ეტაპი 2007 წელს დაიწყო. შემუშავდა და ამოქმედდა ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა კერძო სადაზღვევო კომპანიების განხორციელებით, რომელიც 2013-2014 წლებში ჩანაცვლდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით. ამასთან, ჯანმრთელობის დაზღვევის კორპორატიული და ინდივიდუალური ფორმით

გავრცელებამ შექმნა საფუძველი დაზღვევის პროცესში წარმოშობილი დავების დარეგულირებისათვის. შეიქმნა აგრეთვე დაზღვევის მედიაცია, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სადაზღვევო ურთიერთობებში წარმოშობილი დავების მოგვარება და მედიაციის პროცესის განხორციელება.

საქართველოში დაზღვევის ძირითადი მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებია საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“. დაზღვევასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება აგრეთვე სხვა საკანონმდებლო აქტებით, კერძოდ:

- „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირდება არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის წესი, მისი სახელმწიფო რეგულირების სისტემის საფუძვლები და ურთიერთობები ამ სფეროში;
- „პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევისა და საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირდება პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევასთან და საპენსიო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ურთიერთობები;
- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია საქმიანობის სახეები, რომელსაც ესაჭიროება ლიცენზია ან ნებართვა. მათ შორის არის სადაზღვევო საქმიანობა;
- „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა;
- „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით ნოტარიუსს ეკისრება პასუხისმგებლობა პირდაპირი ქონებრივი ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია ნოტარიუსის გაუფრთხილებელმა ქმედებამ. ამავე კანონით ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად ნოტარიუსი ვალდებულია დადოს ხელშეკრულება გარანტირებულ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევაზე მუშაობის მთელი პერიოდისათვის;
- „საჰაერო კოდექსით“ რეგულირდება საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სამოქალაქო პასუხისმგებლობის მოვალეობის ფარგლები და დაზღვევის საკითხები;
- „საზღვაო კოდექსი“ არეგულირებს საზღვაო დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებას მხარეებს შორის, ხელშეკრულების დადებისას მზღვეველისა და დამზღვევის ვალდებულებებს, ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და შეწყვეტის პირობებს, მზღვეველის პასუხისმგელობისა და სადაზღვევო თანხის ანაზღაურების პირობებს.

საქართველოში სადაზღვევო საქმიანობა ასევე რეგულირდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, მათ შორის ძირითადია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანებები:

- „მზღვეველის მიმართ ფულადი ჯარიმის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“;
- „სადაზღვევო რეზერვების სახეობათა განსაზღვრისა და შექმნის წესის დამტკიცების თაობაზე“;
- „მზღვეველის ფინანსური ანგარიშგების ფორმებისა და მათი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“;
- „მზღვეველის სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებისა და მათი სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“;

- „სადაზღვევო რეზერვების დასაფარად დასაშვები აქტივებისა და მათი სტრუქტურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“;
- „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, ქ. თბილისი, 1997 წლის 2 მაისი.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ქ. თბილისი, 1997 წლის 26 ივნისი.
3. www.insurance.gov.ge;
4. www.insurance.org.ge.

ბექა ცერცვაძე

საქართველოში სადაზღვევო სისტემის სამართლებრივი ფორმირების ეტაპები

რეზიუმე

საქართველოს სადაზღვევო სისტემის ფორმირებისა და განვითარების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოიყოს სამი ძირითადი ეტაპი. პირველი ეტაპი მოიცავს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 1998 წლამდე პერიოდს, მეორე ეტაპი 1998 წლიდან 2007 წლამდე პერიოდს, ხოლო მესამე ეტაპი გრძელდება 2007 წლიდან დღემდე. თითოეული ეტაპი ძალიან მნიშვნელოვანი იყო სადაზღვევო სისტემის განვითარებისათვის. ამ ეტაპებზე იქმნებოდა და იქმნება სადაზღვევო კანონმდებლობა, რაც მნიშვნელოვანია სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის.

Beka Tsertsvadze

The Stages of Formation of Insurance System Legislation in Georgia

Summary

Analyzing the formation and development of Georgian Insurance system allows us to differ three main stages: the first phase covers the period from the restoration of independence till 1998, while the second phase is covered since1998 till 2007 and the third- since 2007 until today.

Each stage played significant role in the development of Insurances system. At each stage an appropriate insurance legislation has been creating and developing, which is still important for the insurance activities.

Бека Церцвадзе

Этапы правового формирования страховой системы Грузии

Резюме

Анализ формирования и развития страховой системы Грузии позволяет выделить три основных этапа: первый этап охватывает период от восстановления независимости Грузии до 1998 года, второй этап - с 1998 до 2007 года, а третий - с 2007 года продолжается и посейдень. Каждый этап был очень важен для развития системы страхования, на каждом из них создавалось и создаетса страховое законодательство, что имеет важное значение для осуществления страховой деятельности.

ჰუმანიტარული მეცნიერებანი

მაია თევზაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

სტერეოტიპები და კულტურათაშორისი ურთიერთობები

ადამიანთა წარმოდგენები სამყაროს შესახებ ყოველთვის პირობითი და მრავალფეროვანია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ კულტურაში დაიბადა და ფორმირდებოდა მისი აზროვნება.

პარტნიორების კომუნიკაცია როგორც საკუთარი კულტურის წარმომადგენლებთან, ასევე კულტურათაშორის ასპექტში, იგება ძირითადად სტერეოტიპების ცოდნის გათვალისწინებით.

სტერეოტიპებს აქვს არსებობის განსხვავებული სფეროები და შეუძლია მოახდინოს კულტურათაშორის ურთიერთობებზე როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური გავლენა. პოზიტიურად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სტერეოტიპები მინიმუმამდე ამცირებს ექსტრალინგვისტური რეალობის მონაწილეების მიერ ინფორმაციის გადამუშავებისათვის გაწეულ ძალისხმევას, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ადამიანის მიერ სამყაროს აღქმის განზოგადებულ გამოცდილებას. ნეგატიურ მომენტად კი შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ზემოთ ხსენებული განზოგადების საფუძველში შეიძლება აღმოჩნდეს არა არსებითი ნიშან-თვისება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არაკორექტული მსჯელობა, დასკვნები და შესაბამისად, დაბრკოლებები ინტერკულტურულ კონტაქტებში.

სხვადასხვა დარგის მეცნიერები თანხმდებიან, რომ სტერეოტიპი არის სქემატური, სტანდარტიზებული სახე ან წარმოდგენა სოციალური მოვლენისა თუ ობიექტის შესახებ, ჩვეულებრივ ემოციურად შეფერილი და ძლიერი მდგრადობის. სტერეოტიპები საშუალებას აძლევს ადამიანს რომ შეიქმნას წარმოდგენა სამყაროზე, გავიდეს თავისი ვიწრო სოციალური, გეოგრაფიული თუ პოლიტიკური გარემოცვის ფარგლებს გარეთ.

რიგი მეცნიერები თვლიან, რომ აღქმის კულტურულად განპირობებული ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლისათვის ფრიად მოსახერხებელია სტერეოტიპების დაყოფა ეთნიკურ და ეროვნულ (ნაციონალურ) სტერეოტიპებად.

ეთნიკური სტერეოტიპები განისაზღვრება როგორც გამარტივებული, სქემატიზებული, ემოციურად შეფერილი და საკმაოდ მდგრადი ხატები რომელიმე ეთნიკური ჯგუფის შესახებ, რომელიც ადვილად შეიძლება გავრცელდეს აღნიშნული ჯგუფის ყველა წარმომადგენელზე. ეს არის ერთი ეთნიკური ჯგუფის მსჯელობები რომელიმე სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა შესახებ. მაგალითად, ბრეტონელების ეთნიკური სტერეოტიპი ფრანგების თვალში არის „ადამიანები, რომლებიც ვერ იტანენ ძალდატანებას, არიან პირდაპირები და ჯიუტები. მათი ჩვეულებაა თუნდაც ძალიან შორეული ნათესაური კავშირების ძიება და ყველა ნათესავის წოდება ბიძაშვილებად“. ამასთან დაკავშირებით ფრანგულ ენაში ისეთი გამოთქმაც კი არსებობს, როგორიცაა „ბიძაშვილი ბრეტონულად“. რაც შეეხება ნორმანდიელებს, მათ, როგორც წესი, აქვთ ღია ფერის თმები და თვალები, არიან მაღლები და ფიზიკურად ძლიერები. არის გამოთქმა, რომ უნდა ერიდო გასკონელებს და ნორმანდიელებს, პირველები არიან ტრაბახები, ხოლო მეორენი - ცრუპენტელები. ფრანგების აზრით ყველა შეკითხვაზე ნორმანდიელები იძლევიან არაპირდაპირ, მიკიბულ-მოკიბულ პასუხს, რომელსაც ფრანგები სწორედაც „ნორმანდიულ პასუხს“ ეძახიან. მათი წინდახედულობა და უნდობლობა კარგად არის გადმოცემული მათ ფოლკლორში და ხშირად ამის გამო მათ შესახებ იქმნება ანეკდოტები. რაც შეეხება პროვანსელებს, საფრანგეთში ითვლება რომ მათთვის დამახასიათებელია თავაზიანობა, კომუნიკაბელურობა, კეთილგანწყობა. ამავე დროს ისინი გამოირჩევიან სიფიცხით და უშუალობით, არიან ძალიან დაკვირვებულები და ირონიულები, უყვართ ლაპარაკი და

ყოველთვის მზად არიან მოგიყვნენ საინტერესო გასართობი ამბები თუ ანეკდოტები, ამავე დროს უყვართ ტრაბახიც.

„ეროვნული სტერეოტიპი“ შეიძლება განვმარტოთ როგორც ერთი ეროვნების წარმომადგენელთა განზოგადებული ტიპური წარმოდგენები საკუთარ თავსა თუ სხვებზე. ეს არის რომელიმე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა სქემატიზებული ხატები, რომლებიც, როგორც წესი, გამარტივებულია, ხშირად შექმნილი ცალმხრივი ან არაზუსტი ცოდნის საფუძველზე სხვა ეროვნების ადამიანების ფსიქოლოგიური თავისებურებებისა თუ ქცევის შესახებ. ამის ნათელ მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ ფრანგებში, გერმანელებში, ამერიკელებში გავრცელებული სტერეოტიპი რუსების, როგორც სმის მოყვარულების შესახებ, რუსეთში ფრანგების, გერმანელების, ამერიკელების შესახებ გავრცელებული სტერეოტიპი მათი სიძუნწისა და სიხარბის შესახებ. სტერეოტიპულია აგრეთვე წარმოდგენები ინგლისელების პედანტურობაზე, იაპონელების ცინიზმზე, ფრანგების გალანტურობის, ხალისიანობის, გერმანელების პუნქტუალურობის, შვეიცარიელების კონსერვატულობის, იტალიელების ექსცენტრულობის, ქართველების გულუხვობისა და სტუმართმოყვარეობის შესახებ.

ეროვნული ქცევის სტერეოტიპები საშუალებას იძლევა რომ დაჩქარდეს გარე სამყაროს შეცნობისა და ადეკვატური გადაწყვეტილების მიღების პროცესი. მათი დახმარებით ხდება სიტუაციების ტიპოლოგიზაცია და საპასუხო რეაქციების შერჩევა. ქცევის ეროვნული სტერეოტიპების ცოდნა ხელს უწყობს კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა ქმედებების, ქცევის, რეაქციების პროგნოზირებას. თუმცა ამავე დროს უნდა შევნიშნოთ, რომ მხოლოდ სტერეოტიპების ცოდნაზე დამყარებული რეაქცია შეიძლება აღმოჩნდეს ნაკლებად ეფექტური გართულებული ან არაერთმნიშვნელოვანი სიტუაციების შემთხვევაში, რასაც მივყევართ პიროვნებათაშორისი პროცესის დეფორმაციის, კომუნიკაციაში წარმოქმნილი გაუგებრობების კიდევ უფრო გაღრმავებისაკენ.

სტერეოტიპების ფორმირების ფსიქოლოგიური მექანიზმი ემყარება იმ ძალისხმევის ეკონომიის პრინციპს, რომელსაც ეწევა ადამიანი თავის ყოველდღიურ აზროვნებაში. მუდმივად ცვალებადი სამყარო ზედმეტად ტვირთავს ადამიანს ახალი ინფორმაციით და ფსიქოლოგიურად აიძულებს მას, რომ მოახდინოს აღნიშნული ინფორმაციის კლასიფიცირება მისთვის უფრო მოხერხებულ და ჩვეულ მოდელებში, რომლებიც წარმოადგენს სწორედ სტერეოტიპებს. ამ შემთხვევებში შეცნობის პროცესი რჩება ყოველდღიური ცნობიერების დონეზე, შემოიფარგლება ყოფითი გამოცდილებით, რომელიც ემყარება კონკრეტული სფეროსათვის დამახასიათებელი ტიპური მონაცემების განზოგადებას. ამავე დროს ადამიანის გარემომცველი სამყარო ხასიათდება ერთგვაროვანი და განმეორებადი ელემენტებით, რომლებზეც მას შეუმუშავდება ასევე სტერეოტიპული ბუნების მქონე მდგრადი რეაქციები და ქცევები. სტერეოტიპებზე უარის თქმა, ეს რომც შესაძლებელი იყოს, ადამიანს აიძულებდა მუდმივად უაღრესად დაძაბული ჰქონოდა ყურადღება და მის ცხოვრებას გადააქცევდა დაუსრულებელი მცდელობებისა და შეცდომების მიმდევრობად.

თანამოსაუბრის სწრაფად და ზუსტად შეფასების გარეშე ძალიან რთულია ორიენტირება უცხო სოციალურ და კულტურულ გარემოში. სწორედ ამ შემთხვევებში დახმარებას წარმოადგენს სტერეოტიპები, რომლებიც თამაშობს ერთგვარი „ნაკარნახების“ როლს, ხელს გვიწყობს რა სხვა ადამიანების შესახებ მსჯელობის, წარმოდგენის შექმნის, მათი შეფასების პროცესში.

სხვა ეროვნებებთან შედარება ეხმარება ადამიანს საკუთარი ინდივიდუალურობის აღქმაში. სტერეოტიპები ხშირად არის ემოციურად შეფერილი სიმპათიებითა თუ ანტიპათიებით. ამის გამო ერთსა და იმავე საქციელს შეიძლება სხადასხვაგვარი შეფასება მოჰყვეს. ის ნიშან-თვისებები, რომლებიც ერთი ხალხისთვის განიხილება როგორც ჭკუის გამოვლინება, სხვებთან შეიძლება აღქმული იყოს როგორც ეშმაკობის, ცბიერების ნიშანი.

სტერეოტიპების გამოყენების ფორმებისა და ხერხების მიხედვით ისინი შეიძლება იყოს კომუნიკაციისათვის სასარგებლო ან ზიანის მიმყენებელი. სტერეოტიპი ეხმარება ადამიანს იმ შემთხვევაში, როდესაც 1) იგი მას შეგნებულად მიმართავს, ე. ი. გააზრებუ-

ლი აქვს, რომ ეს არის ჯგუფური ნორმების, ფასეულობებისა და ნიშან-თვისებების ასახვა და არა ცალკეული ინდივიდების თვისებების; 2) როდესაც სტერეოტიპი არის აღწერითი და არა შეფასებითი ხასიათის, ე. ი. სტერეოტიპებში აისახება გარკვეული ჯგუფის წევრების რეალური და ობიექტური ნიშან-თვისებები და არა მათი დადებითი თუ უარყოფითი შეფასება; 3) როდესაც სტერეოტიპი არის ზუსტი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ადეკვატურად ასახავს ჯგუფის თვისებებს; 4) სტერეოტიპი არის მინიშნება და არა პირდაპირი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ, ვინაიდან პირველი შთაბეჭდილება ჯგუფის შესახებ ყოველთვის არ იძლევა სარწმუნო ცოდნას აღნიშნული ჯგუფის ყველა ინდივიდზე; 5) როდესაც სტერეოტიპი არის მოდიფიცირებული, ე. ი. ემყარება რეალურ ადამიანებზე შემდგომ დაკვირვებასა და მათთან ურთიერთობის გამოცდილებას და გამომდინარეობს რეალური სიტუაციიდან მომდინარე ინფორმაციიდან.

ამავე დროს სტერეოტიპებმა შეიძლება შექმნას სერიოზული დაბრკოლება კულტურათაშორისი კონტაქტებისათვის მაშინ, როდესაც 1) სტერეოტიპების გამო ვერ ხერხდება ადამიანის ინდივიდუალური თვისებების დანახვა; 2) სტერეოტიპი იმეორებს და კიდევ უფრო აძლიერებს გარკვეულ მცდარ აზრებსა და რწმენას მანამ, სანამ სხვები არ იღებენ მათ როგორც ჭეშმარიტებას; 3) როდესაც სტერეოტიპები ემყარება ნახევრად სიმართლეს და დამახინჯებულ აღქმას.

ადამიანები ინახავენ სტერეოტიპებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც რეალური სინამდვილე და ცხოვრებისეული გამოცდილება საპირისპიროს აჩვენებს. აქედან გამომდინარე, კულტურათაშორისი კონტაქტების სიტუაციაში მნიშვნელოვანია ვიცოდეთ სტერეოტიპების ეფექტურად გამოყენება, ე. ი. ვიცოდეთ და გამოვიყენოთ ისინი, მაგრამ ამავე დროს შეგვეძლოს მათზე უარის თქმაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რიჩარდ გერიგი, ფილიპ ზიმბარდო, ფსიქოლოგია და ცხოვრება, თბ., 2009.

2. Stereotypage, stereotypes: fonctionnements ordinaires et mises en scene, tome 2 , Sous la direction de Henri Boyer, Paris, 2007,L' Harmattan.

3. Stereotypage, stereotypes: fonctionnements ordinaires et mises en scene, tome 3 , Sous la direction de Henri Boyer, Paris, 2007,L' Harmattan.

მაია თევზაძე

სტერეოტიპები და კულტურათაშორისი ურთიერთობები

რეზიუმე

სტერეოტიპები, წარმოადგენს რა გარკვეულ რწმენას და ადამიანების ერთგვარ განზოგადებულ ცოდნას სხვა ინდივიდთა, მოვლენათა თუ საგანთა ნიშან-თვისებების შესახებ, ასრულებს ფრიად მნიშვნელოვან როლს კულტურათაშორისი კონტაქტების პროცესში, ხოლო მათი გამოყენების ცოდნა აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს წარმატებული კულტურათაშორისი კომუნიკაციის საწარმოებლად.

Maia Tevzadze

Stereotypes and Cross-cultural Communication

Summary

stereotypes, as certain beliefs and people's generalized common knowledge concerning features of other individuals, events or objects, play an important role in the process of cross-cultural communication, thus, knowledge of how to use them is the necessary precondition for the successful cross-cultural communication.

Майя Тевзадзе

Стереотипы и межкультурная коммуникация

Резюме

Стереотипы, как определённые убеждения и обобщённые "привычные" знания людей о типичных чертах других индивидов, явлений и объектов, выполняют значительную роль в процессах коммуникации, соответственно знание пользования ими является необходимым условием успешной межкультурной коммуникации.

ელენე ზურაბაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ინდივიდის ყოფიერების არსი
(ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელის“ მიხედვით)

ვაჟა-ფშაველა ქართულ მწერლობაში უდიდესი მოვლენაა. მისი პოეტური სტილი მკვეთრად გამორჩეულია, ქართველ პოეტთა შორის ვაჟა ყველაზე ღრმად ჩაწვდა ბუნების საიდუმლოებას. მგოსნის ხატოვანი აზროვნების პირველწყაროდ ითვლება ხალხური შემოქმედება. ამ თემას ეძღვნება მისი პოემა „გველის მჭამელი“, რომლის თემატურ-სიუჟეტური სახე მეტად უჩვეულოა. მასში ლაპარაკია გველის ხორცის ჭამაზე.

გველის ხორცის ჭამა არის არა თვითმიზანი, არამედ ზეადამიანურისადმი, ღვთაებრივისადმი ზიარებაა, რომელიც ადვილად არ მოიპოვება: „მხოლოდ საშინელი არაბუნებრიობით კაცის ან გველის ხორცის ჭამით, სულის გაყიდვით და მაშასადამე, უდიდესი ტანჯვის საზღაურად შეიძლება გადალახოს კაცმა ადამიანური საზღვარი“ (6,251). მაგრამ გველის ხორცის ჭამა გმირის მიერ ამგვარად უნდა აიხსნას მხოლოდ მითოლოგიურ ჩარჩოებში მოქცეული თვალთახედვით, რომელიც აუცილებელი ეტაპია, თუმცა პოემის მსოფლმხედველობრივი ანალიზის მთლიანობისათვის იგი არ არის საკმარისი. გველი, წარმართული მსოფლმხედველობის მიხედვით ტოტემია მკაცრად ტაბუირებული; მისი ყოველგვარი ხელყოფა არის ცოდვა. მაგრამ წარმართობა უშვებს გამონაკლისს: ადამიანი რომ ეზიაროს ზებუნებრივს, ამისათვის მან ტოტემი უნდა გამოიყენოს. ტოტემის მეშვეობით უახლოვდება ღვთაებრივს. ამიტომ, მინდიას მიერ გველის ხორცის ჭამა არის ღვთაებრივისადმი ზიარების სიმბოლური სახე და წარმართული მსოფლმხედველობის მიხედვით აქ არავითარი შეუსაბამობა არ არის. მაგრამ ვაჟა პირდაპირ გვეუბნება, როცა მინდიამ გველი ჭამა, მხოლოდ მაშინ მიხვდა იგი, რომ „ჭამა გველისა ქაჯთაგან იყო ზმანება“(3,72).

თუ გავიხსენებთ, რომ წარმართობაში ქაჯები ზებუნებრივის, ზეადამიანურის სიმბოლოები არიან, ისინი იოლად ერევიან მინდიას ცხოვრებაში. 12 წელი ჰყავთ იგი ტყვედ. რას უნდა ნიშნავდეს ასე ხანგრძლივად მისი ტყვედ ყოფნა? ამ ფაქტს ასე ხსნიდა ცნობილი ქართველი მეცნიერი აკაკი გაწერელია: „ქაჯური ნიჭის შეძენა ანუ გაბრძენება, ადამიანური საზღვრების გადალახვა და ზებუნებრივის ზიარება მინდიას მძიმე საფასური უნდა დასჯდომოდა და რომ ეს მძიმე საფასური იყო სწორედ მისი 12 წლის განმავლობაში ტყვედყოფნა“(2,8).

სიბრძნის მიღწევის, ცოდნის შეძენის გრძელი და ძნელი პროცესის სიმბოლური გამოხატულება არის მინდიას ასე ხანგრძლივად ყოფნა ტყვედ. ქაჯების ძალები და შესაძლებლობები აშკარად აღემატება მინდიას ძალებსა და შესაძლებლობებს; მათ შეეძლოთ დატყვევებისთანავე მოეკლათ მინდია ან კიდევ თავიანთ სამსახურში ჩაეყენებინათ სურვილისამებრ; საამისოდ მათ ეყოფოდათ არა მარტო ფიზიკური ზეაღმატება მინდიას მიმართ, არამედ ის ზებუნებრივი გრძნეულებაც, რომელიც იმთავითვე თანაყოფობს

მათში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მინდია 12 წელი იმყოფებოდა ქაჯების ტყვეობაში ისე, რომ არც სხვაგვარი შეურაცხყოფა განუცდია ქაჯთაგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ტყვედ ყოფნა თავისთავად ყველაზე დიდი შელახვაა ადამიანური ღირსებისა და საერთოდ, ყველაზე დიდი შეურაცხყოფაა.

სანამ მინდიას ქაჯები დაატყვევებდნენ, ის ჩვეულებრივი ადამიანი იყო.ცხოვრობდა სხვა ადამიანების მსგავსად, ჰყავდა ოჯახი, ცოლ-შვილი, თიბავდა ბალახს, ჭრიდა შეშას, უვლიდა საქონელს. აი, სწორედ ეს მისი უპიროვნო ყოფნა არის მისი ტყვეობა.

პოემის ეს მონაკვეთი უდავოდ ეხმაურება ეგზისტენციალიზმის ცნობილ პრინციპს ადამიანის უპიროვნო ყოფიერების შესახებ. ვაჟა-ფშაველა, როგორც მოაზროვნე, მუდამ იდგა თავისი ეპოქის დონეზე და დროის მიერ მოტანილი პრობლემებისადმი გულგრილი ვერ დარჩებოდა. XX საუკუნის დასაწყისი კი სწორედ იმ თავისებურებებით ხასიათდებოდა, რომ უკვე აშკარა ხდებოდა არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის არსის ცვლილება და მოახლოებული დიდი სოციალური ძვრები ააშკარავებდნენ ადამიანური ყოფიერების ბევრ ისეთ მხარეს, რომელნიც მანამდე ჩრდილში იყვნენ მოქცეულნი. ამ მნიშვნელოვან სოციალურ გარდაქმნათა ფონზე, სულ უფრო რელიეფურად იკვეთებოდა რაგვარობა ადამიანური ყოფიერებისა, რომლის არცთუ სახარბიელო მდგომარეობის გააზრება ხდება საუკუნის არა ერთ ძირითად ამოცანად. ამიტომ არაფერი არ არის უჩვეულო იმაში, რომ დიდი მოაზროვნეები ერთმანეთისაგნ დამოუკიდებლად ცდილობდნენ თავიანთი აზროვნების ქურაში გადაეხარშათ ეპოქის მიერ მოტანილი პრობლემები.

ვაჟა-ფშაველა მინდიას უპიროვნო არსებობის მოტივს აძლიერებს მისი ხანგრძლივი ტყვეობის „მონობით“:

ტყვეობამ ფრიად დაჩაგრა,
სამშობლოს გარეთ ყოფნამა,
მიდის დრო, განვლო მრავალმა,
აღდგომამა და შობამა,
მაგრამ მინდიას ტყვეობას
არ ექნა დასასრულია,
გული დაუდნო მონობამ
ამოსვლას ლამობს სულია“(3,71).

ავტორი ამძაფრებს მინდიას მდგომარეობას, რათა მიიყვანოს მინდია სასოწარკვეთილამდე. მას აყენებს არჩევანის წინაშე: ან დარჩეს ძველებურად, გააგრძელოს ჩვეულებრივი არსებობა, ან კიდევ გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯი ამ სიტუაციიდან თავის დასაღწევად.

არჩევანის გაკეთება ნიშნავს უარის თქმას უამრავ სხვა შესაძლებლობაზე. მაგრამ ამის გაკეთება არაა იოლი საქმე იმიტომ, რომ ადამიანი უარყოფს მთელ თავის მანამდელ ყოფიერებას. სასოწარკვეთილამდე მისული მინდია დგება ამ მტანჯველი გზის წინაშე. მას რომ ასეთი არჩევანი არ ჰქონოდა, ასეთ ტანჯულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა. ქაჯებს ეს გარემოება არ გამოჰპარვიათ და სულიერი სფეროს გასაძლიერებლად ხშირად აყენებენ მინდიას არჩევანის წინაშე: აჩვენებენ, თუ როგორ იკვებებოდნენ გველის ხორცით:

„იცოდა გველსა ჰხარშავდნენ,
იმასა სჭამდნენ ხშირადა“(3,72).

მიუხედავად ამისა, მინდია ერთბაშად, უცბად მაინც ვერ გადაწყვეტს, რადგან არ ეთმობა მთელი თავისი წინანდელი არსებობა გასაწირავად. მაგრამ ბოლოს და ბოლოს:

„სთქვა: თავს მოვიკლავ,
ასეთ სიცოცხლეს სჯობია, -

და იმ ქვაბიდან რომელშიც ქაჯები გველის ხორცს ხარშავდნენ:

აიღო ერთი ნაჭერი,
ზიზღით, ქურდულად შეჭამა“(3,72).

შემდეგ მინდია შეიგნებს, რომ ქაჯებმა განგებ მოაჩვენეს მას თითქოს გველის ხორცს ჭამდნენ, რათა ჩვეულებრივი პიროვნებისათვის უცხო და მიუღებელი საქციელით გაეძლიერებინათ მისი მიჯაჭვულობა თავისი არსებობის მოჩვენებით თავისუფლებასთან, დაეტოვებინათ იგი სამარადჟამოდ უშუალო დამოკიდებულებაში ყოფიერებასთან და ამით თავიანთი ფიზიკურ-ინტელექტუალური უპირატესობა შეენარჩუნებინათ. თუმცა გარეგნულად თითქოს აქეზებენ, უბიძგებენ ამ თანაფარდობის დარღვევისაკენ:

„შეიგნო, ჭამა გველისა
ქაჯთაგან იყო ზმანება,
სიბრძნე აჩვენეს გველადა,
რომ ჰზიზღებოდა საჭმელად,
თუმცა „შენც ჭამეო, მინდიავ“,
არა ზარობდნენ სათქმელად“ (3,72).

მაგრამ ქაჯების უპირატესობა არ აღმოჩნდა სამარადჟამო. მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ სასოწარკვეთილების უკიდურეს ფორმაში ჩავარდნილ მინდიას შეიძლება გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯი. მაგრამ არჩევანის თავისებურება იმაშია, რომ ეს ურთულესი სულიერი ნახტომი არის არსებითი გარდაქმნა, ხელახალი დაბადება ადამიანისა. არჩევნის მეშვეობით ქმნის ადამიანი თავის ნამდვილ ყოფიერებას, იბადება ხელახლა. ასევე იბადება მინდია მას შემდეგ, რაც გველის ხორცს შეჭამს. იგი მთლიანად გარდაიქმნება:

„ახალად სული ჩაედგა,
ახალი ხორცი შაისხა:
გულის ხედვა და თვალების,
როგორც ბრმას და ყრუვს, გაეხსნა“(3,72).

სულიერ-ხორციელად გარდაიქმნა მინდია, ძირის-ძირეულად გამოიცვალა მისი სულიერი ბუნება და ამის გამო იგი თითქმის ხორციელადაც განსხვავებული გახდა, თავის მსგავს ხორციელთაგან. მან შეიძინა ყველაფერი, მთელი სამყარო:

„ესმის დღეიდან ყოველი,
რასაც ფრინველნი გალობენ,
ან მცენარენი, ცხოველნი,
როდის ილხენენ, წვალობენ.
რაც კი რამ დაუბადია
უფალს სულიერ-უსულო,
ყველასაც თურმე ენა აქვს,
არა ყოფილა ურჯულო“(3,72).

მხოლოდ ახლა ამოხსნის იგი საიდუმლოს საკუთარი ტყვეობისას, გასწყვეტს ბორკილებს მონობისას და სამშობლოში ბრუნდება თავისუფალი.

ყოველ არსებას თავისი ენა აქვს. მინდია სამყაროს ენით მეტყველებს, მსოფლიო ყოფის დაფარულ საიდუმლოებებს წვდება. მისთვის გასაგები ხდება: ფოთოლთა შრიალი, ტყეთა გარინდება, მინდორთა ჩაფიქრება, ნაკადულთა რაკრაკი, მისთვის არ არსებობს უსულო-უმეტყველონი. პირიქით, ყველაფერი მეტყველია და მის შემოქმედებით წარმოსახვაში სამყარო აისახება, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, რომელშიც თითოეულ ნაწილაკს თავისი მნიშვნელობა აქვს, თავისი აზრი გააჩნია. გენიალური უბრალოებით მიმოხაზავს პოეტი სამყაროს საიდუმლოში შეღწევის სურათს.

მინდიას შინაგანი არსება ამიერიდან სავსეა ბუნების ხმებით. ბუნება მისეული გახდა, მასში არსებული. მინდია ხელახლა დაიბადა. მან თვითონ შექმნა თავისი ახალი ყოფიერება, არსებობა. შექმნა დამოკიდებულება სინამდვილისადმი ანუ სინამდვილის განცდის ესთეტიკური საფეხური. იგი აღარ მორჩილებს ყოველდღიურობის კანონებს. ის ამაღლებულია და მარადიულობისაკენ მიმავალ გზას მიჰყვება. მარადიულობისაკენ სწრაფვა, მარადიულ ღირებულებათა წვდომა მისთვის უკვე რეალობაა, სინამდვილეა.

ამგვარია ინდივიდის ყოფიერების არსი. მაგრამ მინდია სხვაგვარი ყოფიერებაა, გონითი ყოფიერება და ამიტომ არსებითად განსხვავებული სხვათაგან. მას განასხვავებს გონი, გონიერება, რომელიც არჩევანის შედეგად შეიძინა. ამრიგად, მინდიას პიროვნებად

გარდაქმნა მისი გაბრძენების წყალობით ხდება. გონიერების მოპოვება სიბრძნის შეძენის შედეგია. ვაჟა-ფშაველა ამგვარად გადმოსცემს მინდიას გაბრძენებას. მის წინაშე ბუნების კარი გაიხსნა იმის წყალობით, რომ ამიერიდან მას ესმის მცენარეთა და ცხოველთა ენა. ყოველივე ამის შემდეგ იგი იმდენად გაძლიერდა, რომ „მას არაფრის ეშინის, თუნდ თავს დაატყდეს მეხია“(3,73).

ამრიგად, თუ მინდიას მიერ ბუნების ენის შეცნობის უნარის შეძენა მის გაბრძენებას ნიშნავს, თვით გაბრძენება მისი სიძლიერის საფუძველია. საინტერესო და ყურადღება მისაქცევია ისიც, რომ მინდიას სიბრძნე აბსოლუტურად დაცლილია, თავისუფალია ბოროტების ქმნისაგან. იგი ღვთაებრივი სიბრძნის ტოლფასია, „მხოლოდ ბოროტმა მის გულში ვერ მოიკიდა ფეხი“ (3,73) - წერდა ვაჟა.

მინდიამ ბუნების გაგების უნარი შეიძინა, რადგან ყოფიერების შინაგანი ხმა, ლოგოსის ხმა სწორედ მეცნიერთა და ცხოველთა „მეტყველებაშია“. ლოგოსის გაგება, წვდომა კი ღვთაების, ღმერთის წვდომას ნიშნავს, რადგან ღმერთი ლოგოსია. მინდია გაბრძენდა იმიტომ, რომ მან ღვთაების ხმის მოსმენის უნარი შეიძინა. მას ამიერიდან შეუძლია ღვთისმიერი ხმებით ივსებოდეს, ღმერთის ხმა განაპირობებდეს მის ყოფიერებას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მტერზე გამარჯვებას ვერ მოიპოვებდა. მტრის მძლეველი ვერ გახდებოდა და დარჩებოდა მხოლოდ ცხოველთა, ფრინველთა და მცენარეთა პასიურ „მსმენელად“. მაგრამ იგი ღმერთთან ზიარებულია. ესმის მისი როგორც მის თანაზიარს და ამიტომ არის უძლეველი. მაგრამ მინდია ბუნების ხმებს ვერ მოისმენდა, ვერ ჩასწვდებოდა მათ, თვით ბუნება რომ არ ყოფილიყო ღვთაებრივი. ეს გარემოება რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებას ქადაგებს, რომელიც ღმერთს აიგივებს ბუნებასთან, ხოლო ბუნებას განიხილავს როგორც ღვთაების განსახიერებას.

პოემაში ნაჩვენებია ბრძოლა კერძო-პირადულსა და სასიყვარულო-მსოფლიო საწყისებს შორის. მაგრამ ცხოვრებას თავისი გააქვს. ოჯახს სჭირდება შეშა და მინდიამ უნდა მოჭრას ხეები, ოჯახს სჭირდება საკვები და მინდიამ უნდა მოკლას ნადირი. მაგრამ როგორ შემოჰკრას მან ცული ჭადარს, მოსიყვარულე ხე ასე ტკბილად რომ ესალმება? იტანჯება კაცი. . . მინდია თანდათან უთმობს ყურადღებას ოჯახის მოთხოვნებს, რომ არ შეიგრძნოს სხვათა ტანჯვა: მოთქმა ცხოველთა და ცრემლიანი გოდება მცენარეთა, მან მკერდს „გული ჩაიდო ქვისა“. მინდიას უკვე აღარ ესმის სხვათა კვნესა-ჩივილი, მაგრამ სამაგიეროდ წაერთმის ენა ბუნებისა. ის კარგავს უნარს სამყაროს წვდომისა და მის იდუმალებათა შეცნობისა, „ცარიელდება ცოდნითა“ საიდუმლოთამხილავისა. მაგრამ მინდიამ იცის, რომ სამყაროში შესაძლებელია მტკივნეული წყვეტა. ყველა ნაწილაკი ბუნებისა მიილტვის საკუთარი თავის დამკვიდრება-განმტკიცებისაკენ. სამყაროს ნაწილაკებიდან არც ერთს არ ძალუძს სრული უარყოფა დანარჩენთა. აუცილებელია ყოველგვარი შეზღუდულობის ბორკილებიდან დახსნა, წვდომა „სხვაგვარისა“, „სხვანაირისა“, „სხვად“ ქცევა. მან სძლია თავის თავში ვიწრო-პირადული, განასხეულა საკუთარ თავში შემოქმედებითი გენია ბუნებისა. ის უკვე არა მხოლოდ უბრალო კაცია, არამედ ზეკაცი რელიგიური უნივერსალიზმის მნიშვნელობით და რა თქმა უნდა, ის პიროვნებაა.

მხატვრულ სახეში მოცემულია ადამიანი, ვის არსებაშიც ორი ძალა იბრძვის: ბუნებრივი და ზებუნებრივი. ბუნებრივი ყოფით შემოფარგლული, მიილტვის იმისაკენ, რაც შექმნა უზენაესმა, პოულობს კიდეც საკუთარ თავს. მინდიამ სამყაროს მიმართ ჰპოვა თავისი „მე“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე აკ., გველის მჭამელი და ქართული მითი, ჟურნალი „მნათობი“, 1968, №6.
2. გაწერელია აკ., ქართული პოეზიის დიდება, ჟურნალი „მნათობი“, 1967, №7.
3. ვაჟა-ფშაველა, პოემები, თბ., 2012.
4. ჩხენკელი თ., ტრაგიკული ნიღბები, თბ., 1971.

ელენე ზურაბაშვილი

ინდივიდის ყოფიერების არსი
(ვაჟა-ფშაველას "გველის მჭამელის" მიხედვით)
რეზიუმე

პოემის თემატურ-სიუჟეტური სახე მეტად უჩვეულოა. გმირისაგან ქაჯთა ტყვეობაში ყოფნა, გველის ხორცის ჭამა გაგებულია, როგორც მითოლოგიური სიმბოლიკა, რომელიც არის არა თვითმიზანი, არამედ ადამიანური საზღვრების გადალახვის სურვილი და ზეადამიანურისადმი, ღვთაებრივისადმი ზიარება, ხოლო ეს უკანასკნელი ადვილად არ მოიპოვება.

მინდიამ ბუნების გაგების უნარი შეიძინა, რადგან ყოფიერების შინაგანი ხმა, ლოგოსის ხმა სწორედ მეცნიერთა და ცხოველთა „მეტყველებაშია". მან სძლია თავის თავში ვიწრო-პირადული, განასხეულა საკუთარ თავში შემოქმედებითი გენია ბუნებისა. ის უკვე არა მხოლოდ უბრალო კაცია, არამედ ზეკაცი რელიგიური უნივერსალიზმის მნიშვნელობით და რა თქმა უნდა, ის პიროვნებაა.

Elene Zurabashvili

Sense of Being of the Individual
(According to Vazha-Pshavela's "Snake Eater")
Summary

Thematic-fabulous type of the poem is very unusual. Main character's being the captive of the demons, eating of the snake meat by him is understood as a mythological symbol that is not a goal in itself but rather the desire to overcome the human limits and share something superhuman, divine and the latter cannot be achieved easily.

Mindia acquired ability of understanding of the nature, as the internal voice of being, the voice of logos is in "speech" of the plants and animals.

He overcame narrow-personal in him, embodied in him the creative genius of the nature. He is not a common human any more, he is a superhuman, in the sense of religious universalism and of course, he is a person.

Елене Зурабашвили

Сущность бытия индивида
(По «Змееду» Важа-Пшавела)
Резюме

Тематико-сюжетный тип поэмы очень необычен. Пребывание героя в плену у чудовищ (каджи), поедание змеиного мяса воспринимается, как мифологическая символика, которая не является не самоцелью, а желанием преодолеть границы человеческих возможностей и стать причастным к чему-то сверх-человеческому, божественному.

Миндия приобрел способность понимать природу, так, как внутренний голос бытия, голос логоса, именно в том, о чем «говорят» растения и животные.

Он преодолел в себе узко-личностное, воплотил в себе творческий гений природы. Он уже не простой человек, а сверх-человек, в смысле религиозного универсализма и, конечно, он является личностью.

Зоя Адамия
Профессор унививерситета им. Эквтиме Такаишвили

Нино Саная
Ассоциированный профессор Сухумского государственного университета

Моделирование прагматической информации в семантической структуре значения для Лингвистического Корпуса (на материале связанных групп, обозначающих мышление во французском, русском и грузинском языках)

XXI век называют веком информационных технологий. На сегодняшний день всеобщая компьютеризация затронула, как технические, так и гуманитарные науки. Во всех развитых странах уже в 80-ые годы прошлого века были заложены основы лингвистических корпусов (машинных фондов) и электронных словарей. Примерно в те же времена, в бывшем Советском Союзе зарождались корпуса русского и национальных языков.

Создание корпуса подразумевает также создание компютерного словаря и фразеологического подкорпуса, куда входят любые словосочетания с фиксированной лексикой, в том числе и связанные группы (структуры) т. е. понятие фразеология в свете Лингвистического Корпуса и компютерных словарей толкуется в широком смысле этого термина. Фразеологический Корпус русского языка был заложен в 1988-1989 годы на школах – семинарах, проведённых в городе Звенигороде, под эгидой Института Русского Языка АН СССР и Института Языкознания АН СССР (8), где участвовала одна из соавторов данной статьи, Нино Тэнгизовна Саная (9). На семинарах обсуждались разные параметры описания лексических единиц.

С зарождением компьютерной лексикографии раскрылись новые горизонты, как в практической лексикографии, так и в теоретической. В связи с обширными возможностями памяти и с созданием Excel офисной программы, которая позволяет описание как можно больше зон параметризации номинативных единиц, стало возможным включить в такого рода словари не только большее количество параметров –признаков, но и огромное количество словосочетаний дабы раскрыть комбинаторный потенциал каждой словарной единицы. Объектом нашего исследования являются метафорические связанные группы (10), обозначающие мышление, типа - − мысли (думы) ворочаются, вертятся, крутятся, проносятся в голове; мысль влечет, зовет, томит и т. п.; мысль, дума) приходит (ят) в голову (в русск.); (s)’abandonner à de (vagues) pensées, (s)’ abîmer dans les pensées, (s)’absorber dans la méditation (в франц.); ფიქრებს მიეცემა, ფიქრებში გადავარდნა, გადაჩეხვა; ფიქრებში ჩაეფლო (в груз.) и т. д. Те же коллокации в узком понимании этого понятия, те же фразеологические серии (3).

Компьютерная лексикография и Excel офисная программа сегодня позволяют включить в описание номинативной единицы помимо объективной информации субъективную, прагматическую. Под прагматической информацией подразумеваем субъективное отношение говорящего субъекта к предмету описания или же к адресату, что не противоречит определению Ч. У. Морриса.

Методологический подход к описанию метафорических словосочетаний для компютеоного словаря является в своей основе семантическим, одним из трёх лингвистических аспектов исследования (семантический, функциональный и структуральный). исчерпывающим объём значения, с точки зрения информативности номинативной единицы. Используя метод компонентно-семантического анализа прежде всего опираемся на понятие коннотативности метафоры. Созданная нами таблица микросемантического описания, под которым подразумевается компонентный семантический анализ слова или словосочетания, в противовес к макросемантическому описанию, под которым подразумеваем описание семантических полей (термины макро и микрополя относятся к чешскому лингвисту Духачеку) (4) в случае лексикографической обработки слов и словосочетаний является макроструктурной и состоит из денотативного и коннотативного макрокомпонентов (рис. №1):

Номинатив-ная единица (НЕ)	Денотативный аспект (макрокомпонент)				Коннотативный аспект (макрокомпонент)			
	Архи сема	Кат. признак	Дифф. признак	Внутр. форма	образ	оценка	эмотив	Стилист. маркер

Зоны описания внутренней вормы и метафорического образа специфичны только для метафорического значения связанного типа.

Исходя из необходимости описания всего лишь прагматической информации, которая ложится на денотативно-объективную семантическую часть метафорического значения ввиде коннотативных сем, мы создали таблицу отображающую только коннотативный макрокомпонент этого значения (рис. №2):

коннотативный макрокомпонент		
оценка	эмотив	стилистический маркер

Такую таблицу возможно применять только к тем языковым единицам, содержание которых на ряду с денотативной, включают в себя и коннотативно- прагматическую информацию. Такими в основном являются семантически производные единицы;

Семантическая коннотативная макроструктура метафорического значения, в том числе и связанного, состоит из следующих элементов, в следующей последовательности: оценка (субъективная), эмотив (эмоциональная окраска значения) и стилистический маркер (в случаях, если он отражает отношение к адресату речи). Зону описания «образ» мы опустили осознанно, посколку эта информация не является прагматической.

Первой графой, зоной описания в коннотативном макрокомпоненте таблицы лексикографической обработки номинативных единиц (НЕ) является - **«оценка».** И хотя различают разновидности оценок: «логическая» (7) или «рациональная» и «эмоциональная» (5), , мы оценку и эмотив рассматриваем как разные признаки (2), (11) в раздельных зонах описания, а оценку различаем только двух видов: положительную и отрицательную.

Традиционно для помет оценки в разных электронных словарях, в том числе и в Корпусе Русского Языка, который представляется нам в качестве компьютерного словаря, используются + и -, как пометы положительной и отрицательной оценки. Мы же считаем возможным обозначить оценку с помощью символов лексических функций Bon или AntiBon (6).

Отрицательная оценка выражена в словосочетаниях: мысли гложут, грызут, мучают, терзают, изнуряют (в русск.); les pensées assiègent qqn, obsèdent qqn (в франц.); ფიქრები ღრღნიან ტვინს, აზრებმა შეპყრეს იგი (в груз.);

Второй графой, зоной описания в коннотативном макрокомпоненте таблицы лексикографической обработки НЕ является **«эмотив»** - эмоциональный компонент содержания. Этот компонент устанавливается с помощью психологического опроса типа «лингвистического интервью», использованным Шаховским в исследовании «Лингвистическое интервью как метод установления эмотивной адекватности оригинала и перевода» (11). Смысл эксперимента заключается в опросе представителей данного языкового коллектива, которые должны ответить на вопрос: с какой эмоцией сказано то или иное слово, или же предложение. Обычно результаты такого рода исследования показывают, что эмоциональная окраска номинации не умещается в рамки **одобрение/неодобрение** и что **с**пектр этих эмоций намного шире.

В примерах - мысли гложут, грызут, мучают, терзают, изнуряют (в русск.); les pensées assiègent qqn, obsèdent qqn (в франц.); ფიქრები ღრღნიან ტვინს, აზრებმა შეპყრეს იგი (в груз.) выражена ненависть и раздрожение, как конкретная эмоция по отношению к мыслям;

Третья зона описания - стилистическая помета в таблице должна указывать на функциональный стиль, языковую сферу употребления описываемой номинативной единицы. Изучаемые нами словосочетания в основном употребляются в книжном функциональном стиле. В отрезках художественных текстов наративного характера.

В конечном итоге, таблица лексикографической коннотативной параметризации метафорических словосочетаний для лингвистического корпуса и компютерных словарей должна выглядеть следующим образом. (рис. №3):

Номинативная единица (НЕ)	Денотативный аспект (макрокомпонент)	Коннотативный аспект (макрокомпонент)		
	Значение/дефиниция	оценка	эмотив	стилистический маркер
мысли грызут	Мысли мучают	AntiBon	Ненависть, раздрожение	Стиль худ. лит
les pensées obsèdent qqn	Мысли мучают	AntiBon	раздрожение	Стиль худ. лит
იქრები ულრღნიან (ტვინს)	Мысли мучают	AntiBon	раздрожение	Стиль худ. лит

Конечно же, выбранные нами признаки, могут варьировать, а их перечень может расширятся по ходу изучения и дифференцирования коннотативных сем. Например, у исследователей может оказаться желание добавить параметр «культурно-национальной» окраски. Мы же считаем, что культурно-национальная информация может заключаться на всех уровнях функционирования НЕ во всех коннотативных признаках в зависимости от выбора образов в том или ином языке.

Составленная нами таблица микросемантической параметризации НЕ функционирует в офисной программе Excel, которая даёт возможность расширять количество признаков до бесконечности, а в исследованиях корпусной лингвистики возможно осуществлять поиск одного отдельного параметра: оценки или эмотива, и получать на выходе все НЕ, которые выражают ту или иную оценку, или же эмотивную окраску.

Литература:

1. Апресян Н. Д., Лексическая семантика: синонимические средства языка, М., (II-е изд.). 2000.
2. Арнольд И. В., Эмоциональный, экспрессивный, оценочный и функционально-стилистический компоненты лексического значения слова , Ленинград, 1970.
3. Балли Ш. Французская стилистика, М., 1961.
4. Duchacek O. Le champ sémique // Etudes romanes de Brno, vol. V, Brno.
5. Вольф Е. М., Функциональная семантика оценки (на материале португальского языка), М., 1985.
6. Жолковский А. К., и Мельчук И. А. О возможном методе инструмента семантического синтеза М., 1965.
7. Ивин А. А., Основания логики оценок, М., 1970.
8. Пичугина В. П., Научная жизнь. Хроникальные заметки, ВЯ, № 3, 1991.
9. Саная Н. Т., Роль ассоциативно-образного этапа в процессе формирования связанных значений слов //Фразеологическая параметризация в машинном фонде русского языка, М., 1990.
10. Телия В. Н., Коннотативный аспект семантики номинованных единиц, М., 1986.
11. Шаховский В. И., Эмотивный компонент значения и методы его описания, Волгоград, 1983.

Зоя Адамия, Нино Саная

Моделирование прагматической информации в семантической структуре значения для Лингвистического Корпуса (на материале связанных групп, обозначающих мышление в французском, русском и грузинском языках)

Резюме

С зарождением компьютерной лексикографии раскрылись новые горизонты, как в практической лексикографии, так и в теоретической. В связи с обширными возможностями памяти и с созданием Excel офисной программы, которая позволяет описание как можно больше зон параметризации номинативных единиц, стало возможным включить в такого рода словари не только большее количество параметров –признаков, но и огромное количество словосочетаний дабы раскрыть комбинаторный потенциал каждой словарной единицы. Объектом нашего исследования являются метафорические связанные группы (Телия, 1981), обозначающие мышление, типа - − мысли (думы) ворочаются, вертятся, крутятся, проносятся в голове; мысль влечет, зовет, томит и т. п.; мысль, дума) приходит (ят) в голову (в русск.);(s)'abandonner à de (vagues) pensées, (s)' abîmer dans lespensées, (s)'absorber dans la méditation (в франц.); ფიქრებს მიეცემა, ფიქრებში გადავრდნა, გადაჩეხვა; ფიქრებში ჩაფლობა (в груз.)и т. д. Те же коллокации в узком понимании этого понятия (Тютен, Гроссман, 2016), те же фразеологические серии (Балли, 1961).

Компьютерная лексикография и Excel офисная программа сегодня позволяют включить в описание номинативной единицы помимо объективной информации субъективную, прагматическую.

ზოია ადამია, ნინო სანაია

მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურის პრაგმატული ინფორმაციის მოდელირება ლინგვისტური კორპუსისათვის (აზროვნების აღმნიშვნელი ბმული ჯგუფების მასალაზე დაყრდნობით ფრანგულ, რუსულ და ქართულ ენებში)

რეზიუმე

კომპიუტერული ლექსიკოგრაფიის წარმოქმნამ ახალი ჰორიზონტები გადმოგვიშალა, როგორც ლექსიკოგრაფიის სფეროში, ასევე პრაქტიკულ და თეორიულ კვლევებში. ფართო შესაძლებლობების მეხსიერება და ვრცელი საოფისე პროგრამული უზრუნველყოფა ლექსიკური ერთეულის უსაზღვრო პარამეტრიზაციის საშუალებას იძლევა. ამ სახის ლექსიკონებში შესაძლებელია როგორც ლექსიკური ერთეულების არა მხოლოდ რაოდენობის გაზრდა , არამედ მათი აღწერის პარამეტრების გაზრდაც,

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს აზროვნების აღმნიშვნელი ისეთი ბმული ჯგუფები (თელია, 1981), იგივე კოლოკაციები ვიწრო გაგებით (ტიუტენი, გროსმანი, 2016) და ფრაზეოლოგიური სერიები ბალის მიხედვით (ბალი, 1961), როგორიცაა: (s)'abandonner à de (vagues) pensées, (s)' abîmer dans lespensées, (s)'absorber dans la méditation (ფრანგ.): мысль влечет, зовет, томит и т. п.; мысль, дума) приходит (ят) в голову (რუს.): ფიქრებს მიეცემა, ფიქრებში გადავარდნა, გადაჩეხვა: ფიქრებში ჩაფლობა (ქართ.).

კომპიუტერული ლექსიკოგრაფია და Excel საოფისე პროგრამა დღეს საშუალებას იძლევა ნომინატიური ერთეულების აღწერისას ჩავრთოთ ობიექტური ინფორმაციის გარდა სუბიექტურიც ანუ პრაგმატული.

Zoia Adamia, Nino Sanaia

Pragmatic Information Modeling in Semantic Structure of Meaning for Linguistic Corpus (Based on the Studies of the Correlations Denoting Thinking in French, Russian and Georgian languages)

Summary

With emerging computer lexicography new opportunities opened in practical and theoretical lexicography. Widened memory and refined Excel office software, allows the description of the parameterization of many areas of nominative units. It makes possible to include not only a great number of parameters - signs, but also a huge number of phrases in order to reveal the combinatorial potential of each dictionary units.

The object of our study is metaphorical related groups (Telia, 1981), indicating the way of thinking, such as - - thought (thoughts) toss and turn, twirl, twist, run in mind; the idea draws, calls, torments, and so on. etc .; idea, thought) comes to mind - мысль влечет, зовет, томит и т. п.; мысль, дума) приходит (ят) в голову (in Russian);. (s) 'abandonner à de (vagues) pensées, (s)' abîmer dans les pensées, (s) 'absorber dans la méditation (in French).; fiqrebs miecema, fiqrebSi gadavardna, gadaCexva: fiqrebSi Cafloba (in Georgian.), etc. The same collocation in the narrow sense of the notion (Tyuten, Grossman, 2016), the same phraseological series (Bally, 1961)...

Computer lexicography and Excel office software now allows to include subjective, pragmatic information in the description of the nominative units in addition to objective information.

კობა წურწუმია
საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

ვირჯინია ვულფი - მოდერნისტული რომანის ფუძემდებელი

ინგლისური მოდერნისტული ლიტერატურა წარმოუდგენელია ვირჯინია ვულფის გარეშე. ვულფის ლიტერატურული შეხედულებანი, ესთეტიკური ნააზრევი გახდა ევროპული და ამერიკული ლიტერატურის ერთ–ერთი მთავარი მასაზრდოვებელი წყარო. ვულფი, როგორც ესეისტი და კრიტიკოსი, „ბლუმსბერის“ ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელი, მუდამ ყურადღების ცენტრში იყო როგორც მკითხველთა, ასევე კრიტიკოსთა მხრიდან. ვულფის პოეტიკა და სტილი გახდა თანამედროვე მოდერნისტული რომანის ძირითადი მახასიათებელი ნიშანი. ვულფის მსოფლმხედველობაში იკვეთება პერსონაჟთა ხასიათის ჩვენება, იგი გაურბის აბსტრაქტულ მსჯელობებს და ცდილობს მეტი რეალობა შესძინოს თავის გმირებს, რეალისტური და ცხოვრებისეული „ხასიათები“ შექმნას. უნდა ითქვას, რომ ვულფი ხასიათების შექმნის დიდოსტატია. მისი სამწერლო კულტურა და შინაგანი ხედვა ქმნის უიშვიათეს პერსონაჟებს, მგრძნობიარეს, იმპულსურს, გულჩათხრობილს. ზოგჯერ ტრივიალური სიუჟეტებიც გვაოცებენ, მიუხედავად ამისა, „ყვავილებით მოჩითული“ როდია ვულფის პროზა. შინაგანი მღელვარება და ეჭვები მსჭვალავს მის სტრიქონებს და ფემინისტი ვირჯინია ვულფი სრულიად ახალ სიმაღლეებს იპყრობს რომანის ჟანრში. მან რომანის სივრცე არა თუ შეავსო, არამედ ახალი ელემენტები შესძინა და განავრცო.

ვირჯინია ვულფის გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე ახალი რომანის დაბადებას გულისხმობდა. ვულფმა თანამედროვე რომანს ახალი სუნთქვა შესძინა, გააფართოვა და გააღრმავა მოდერნისტული რომანის სივრცე, მეტი დატვირთვა შესძინა პიროვნების შინაგან მონოლოგს, და არა მარტო ვულფმა, ჯეიმს ჯოისმა, უილიამ ფოლკნერმა და სხვა ამ სკოლის წარმომადგენლებმა განავითარეს მოდერნისტული რომანი.

ვირჯინია ვულფმა საგანგებო ესეები მიუძღვნა წინა საუკუნეებისა თუ თავისი დროის მწერალთა შემოქმედებას. ვულფი აღმერთებდა ჯეინ ოსტინს. „დიახ, დიახ, ძალიან კარგია...ჯეინ ოსტინი თქვენზე ბევრად უკეთესად წერდა.“ „ჯეინ ოსტინს რომ კითხულობ, მელოდია იღვრება მელოდიაში, როგორც მოცარტის სიმღერა სიმღერაში“(3, 93). „ყველაზე ჭეშმარიტი ხელოვანი ქალთა შორის,“– იტყოდა ჯეინ ოსტინზე საგანგებოდ მიძღვნილ ესეში. არანაკლებ მოსწონდა დები ბრონტები – შარლოტა და ემილი. მაგრამ ვულფი ყველაზე მეტ პატივს მიაგებდა ჯეიმს ჯოისის სამწერლო ტალანტს, თუმცა ჯოისზე შენიშვნებსაც ღიად გამოთქვამდა. აკრიტიკებდა „ულისეს.“ უფრო მეტიც, თვლიდა, რომ „ულისე“ „ზედმეტად თამამი“ ნაწარმოებია. არანაკლებ მოსწონდა ჯეფრი ჩოსერი, დანიელ დეფო, ჯონათან სვიფტი, უოლტერ სკოტი, ჯოზეფ კონრადი, ჩარლზ დიკენსი, ჯორჯ ელიოტი, ეზრა პაუნდისა და სხვა თავისი დროის თუ წინა საუკუნეების მწერლები, მათ შემოქმედება. მათ სამწერლო შესაძლებლობებს ვულფი პატივს მიაგებდა. თვლიდა, რომ ამ მწერლებმა ინგლისური რომანი გზადაგზა შეავსეს და განავითარეს.

ვერ ვიტყვით ვულფს მოსწონდა „დავით კოპერფილდის“ ავტორი. უფრო თავს ესხმის ჩარლზ დიკენსს და მის პერსონაჟებს. აღნიშნავდა, რომ დიკენსს ხიბლი აკლია, ყველას მწერალია და კონკრეტულად – არავისი. „ყველა დიდ მწერალს შორის დიკენსი პიროვნულად ყველაზე ნაკლებ მომხიბვლელია.“ „ჯერ არავის ჰყვარებია დიკენსი ისე, როგორც შექსპირი და სკოტი უყვართ.“ თუმცა ვულფი დიკენსს ბოლომდე არ „გასწირავს“ და თავისი დიდი წინაპრის შექსპირის ყაიდის მწერლად აცხადებს. „დიკენსზე ხმები დადის, მისი გრძნობა ზიზღის აღმძვრელია, სტილი კი ბანალურიო; მისი კითხვისას ყოველგვარი დახვეწილობა მიჩქმალულია, ყოველ გრძნობას კი სქელი მინა ფარავს; მაგრამ სწორედ ამ სიფრთხილითა და დაფარვით იგი შექსპირის ყაიდის მწერალია“ (2, 125).

ვულფი კრიტიკულად არის განწყობილი ჰერბერტ უელსის, არნოლდ ბენიტისა და ჯონ გოლზუორთის მიმართ. მისი თქმით, ამ მწერლებმა მკითხველს იმედები გაუცრუეს, რადგან ისინი მატერიალისტები არიან. „ისინი სხეულს იკვლევენ და არა სულს, რითაც იმედებს გვიცრუებენ“ (2, 157), თუმცა ამ მწერალთა მნიშვნელობაც კარგად ესმოდა ვულფს. სწორი ვიქნებით თუ დავსძენთ, რომ ამ და სხვა მწერლებმა განსაზღვრეს ვულფის წერის სტილი, გააფართოვეს მისი „ცნობიერების ნაკადი“, მოდერნისტული და ეგზისტენციალური ხედვები. „ჰოგარტ პრესში“ (ვირჯინიასა და მისი მეუღლის მიერ დაარსებული გამომცემლობა) კი თანდათან ყალიბდებოდა მწერალი ვირჯინია ვულფი.

ვირჯინია ვულფს მოსწონდა პროზა, რომანის ჟანრი, რადგან თვლიდა, რომ „რომანი ასახავს ცხოვრებისეულ სინამდვილეს, რომანშიც იგივე ფასეულობაა, რაც ცხოვრებაში“ (3, 143). მაგრამ ვულფს ყველაზე მეტად ესე იზიდავდა. ამის დასტურია მისი მდიდარი ესეისტური მემკვიდრეობა. ვულფი მსჯელობს ესეს მნიშვნელობაზე, მის ესთეტიკურ ღირებულებაზე. „ლიტერატურულ ფორმათაგან ესეს ყველაზე ნაკლებ ესაჭიროება გრძელი სიტყვები. მისი წარმმართველი პრინციპი მხოლოდ ის არის, რომ სიამოვნება მოგვანიჭოს. მხოლოდ სიამოვნების განცდის სურვილი გადმოგვაღებინებს ესეების წიგნს თაროდან. ესეში ყველაფერი ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. პირველი სიტყვიდან უნდა მოვიხიბლოთ და მხოლოდ ბოლო სიტყვაზე უნდა გამოვიღვიძოთ, გამოვფხიზლდეთ“ (2, 143).

ვულფმა ისიც მშვენივრად იცის, რომ ლიტერატურული „შედევრი თავისით არ წარმოიქმნება, იგი შდეგია მრავალი წლის საზოგადოებრივი აზროვნებისა... წინამავალნი რომ არა, ვერც ჯეინ ოსტინი და ვერც დები ბრონტები ან ჯორჯ ელიოტი შექმნიდნენ რაიმეს ისევე, როგორც ვერც შექსპირი შექმნიდა იმდენს, მარლოუ რომ არ ჰყოლოდა წინამორბედად, მარლოუს – ჩოსერი, ჩოსერს კი ის მივიწყებული პოეტები, რომელთაც გაკვალეს ბილიკი და მოთოკეს გაუხედნავი მეტყველება“ (3, 76).

ოჯახმა, და განსაკუთრებით მამამ, განსაზღვრეს ვირჯინიას ლიტერატურული ბედი. მწერლის მამა სერ ლესლი თავისი დროის გამორჩეული ხელწერის ლიტერატორი და კრიტიკოსი გახლდათ, რომელსაც პირველ ქორწინებაში ჰყავდა უილიამ თეკერეის ქალიშვილი. ვირჯინიას განათლებას თვალ–ყურს სწორედ მამა ადევნებდა. მართალია, მას ძმებივით განათლება კემბრიჯში არ მიუღია, მაგრამ მამის მდიდარი ბიბლიოთეკის

დახმარებით სათანადო განათლება მიიღო. ალბათ, თეკერეის უშრეტი სამწერლო განწყობაც უხვად მოიძებნებოდა ოჯახში. 1912 წელს ვირჯინია სტივენი მისთხოვდება ლეონარდ ვულფს და ამ გვარით იწყებს ვირჯინია ლიტერატურულ სარბიელზე გამოსვლას.

„თუკი დაეცემი, ადამიანური ბუნება შენზე გაიმარჯვებს,"- ვულფი ასე ათქმევინებს თავის ერთ პერსონაჟს. თავისი პერსონაჟის მსგავსად ვირჯინია ვულფიც დაეცემა. თუმცა ვულფი ნერვიულ შეტევებს გამუდმებით ებრძოდა, მაგრამ 1941 წლის 28 მარტს ვირჯინია ვულფმა ნებაყოფლობით შეწყვიტა ბრძოლა და მდინარე უზს სამუდამოდ მიანდო თავისი დაღლილი სხეული. თან გააყოლა ნერვიული და მშფოთვარე სულის აშლილობა. თითქოს დაუმშვიდობებლად გაექცა საზოგადოებას, ოჯახს, მკითხველს და უპირველესად კი საკუთარ თავს. ჩათვალა, რომ ბრძოლისათვის მეტი ძალები აღარ შემორჩა და... მაგრამ ეს მხოლოდ ვირჯინია ვულფის პიროვნული ტრაგედია გახლდათ, და არა მარტო პიროვნული!

ვირჯინია ვულფის მღელვარე და მშფოთვარე ცხოვრების ანარეკლია მისი მხატვრული შემოქმედება. კერძო წერილები, ესეები და განსაკუთრებით კი „საკუთარი ოთახი". ეს უკანასკნელი ვულფის ფემინისტური იდეების დემონსტრაციას წარმოადგენს და მწერალი ქალის თამამი და ღია გრძნობების დაუსრულებელ ღელვას გვამცნობს. „ბლუმსბერის" ლიტერატურული სალონის დიასახლისი თავგამოდებით იბრძვის ქალთა უფლებებისა და ემანსიპაციისათვის, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობისათვის. ასეთი მსჯელობა ახალი როდია ვულფისათვის. მაგრამ მეტ გააზრებას მოითხოვს ვულფის თეორიული და ესთეტიკური ნააზრევი, მხატვრული შემოქმედება. ვულფი მთელი თავისი მსოფლმხედველობით, ლიტერატურული შეხედულებებით და ესთეტიზმით მოდერნისტი მწერალია, რომელმაც ახალ სიმაღლეებს აზიარა თანამედროვე რომანი.

მაშინდელ კრიტიკას არაერთგვაროვანი შენიშვნები გააჩნდა ვულფის შემოქმედებაზე. კრიტიკოსი ფრენკ სუინერტონი მაღალ შეფასებას აძლევდა ვულფის სამწერლო შესაძლებლობებს, თუმცა შენიშვნებსაც ღიად გამოთქვამდა. ის ვირჯინია ვულფის „მისის დოლოვეისა" და სხვა რომანების შესახებ წერდა: „სიტყვისა და აზრის მუდმივი მღელვარება ბატონობს ამ წიგნებში. ისინი დაუკავშირებლობით გამოირჩევიან." იქვე, სუინერტონი დასძენს: „ამ წიგნებზე ისიც უნდა ითქვას, რომ ისინი ძალზე კარგადაა დაწერილი და აღსავსეა დახვეწილობით, მშვენიერების უკანასკნელი მიღწევით" (2, 46).

დიახ, აღსავსეა დახვეწილობით, მშვენიერების უკანასკნელი მიღწევით, რაც უდავო და სამართლიანი დაკვირვებაა ვულფის შემოქმედებაზე. მოუმწიფებელი მკითხველისათვის ვირჯინია ვულფის პროზა არაა შექმნილი. მისმა პროზამ დაიტია მთელი დასავლური ლიტერატურის განწყობა. ემოციური და მშფოთვარე ხელწერის მიღმა თავსდება ვულფის ნიჭიერება, გამძლეობა, მოთმინება, ნერვიული შეტევები.

„მისის დოლოვეი" ინგლისური რომანის განვითარების ახალ ეტაპს წარმოადგენს. ესაა მოდერნისტული რომანი თავისი ფორმით, სიუჟეტით, პერსონაჟთა ფსიქოლოგიური პორტრეტებით. ამავე დროს, რომანში იგრძნობა ქალური ფენომენის ძლიერი კვალი. სწორედ ამის წინააღმდეგია ვირჯინია ვულფი. არ სურს მის ხელნაწერში ქალი ჰპოვონ, ქალის განცდები. ნაწილობრივ ეს მიახერხა ვულფმა.

ვულფთან დროს, გარემოს, საზოგადოებას, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. „მისის დოლოვეით" ვულფი ცდილობს ომის შემდგომი ინგლისი გვიჩვენოს, საზოგადოება თავისი ღია ჭრილობებით. ომის დამანგრეველი განწყობა გასდევს მთელ რომანს. საზოგადოება თუმცა ნელა, მაგრამ მაინც თანდათანობით ცდილობს ჭრილობების მოშუშებას, ვინ მდიდრული წვეულებებით, ვინ წარსულის მოგონებებით და ვინ როგორ.

„ამ საშინელ ომს ვერავინ გაექცეოდა, მისი საზიზღარი, ვერაგი, ცნობისმოყვარე თითები ყველგან აღწევდა,"– ვკითხულობთ ერთგან რომანში. მართლაც ომის საშინელებას რომანის პერსონაჟები ვერანაირად გაექცევიან. ომისაგან მიყენებულ ტკივილს ისინი ყოველდღიურ ცხვრებაში გრძნობდნენ და მათი გაუსაძლისი ცხოვრება კიდევ უფრო ტრაგიკული ხდება.

რომანის დასაწყისი „მდიდარია“ კლარისა დოლოვეის მოგონებებით, მისი შეხედულებები ცხოვრებაზე, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე, სიყვარულზე, ცოტათი მსუბუქი, მოსაწყენი და მარტივიცაა, მაგრამ ამ სადა და ტრივიალური სტრიქონების მიღმა სიღრმისეული დიალოგები და გულწრფელობა იკვეთება. მისის დოლოვეის პორტრეტის გაცნობით ვრწმუნდებით, რომ ისიც ჩვეულებრივი ქალია თავისი სისუსტეებით, ხასიათით, გარეგნობით, რომელსაც უყვარს, სძულს, სწყინს, ჯავრობს, ნანობს, მისტირის პირველ სიყვარულს.

რომანის პერსონაჟებს „კომუნიკაცია“ აქვთ ლონდონთან. ისინი უსასრულოდ მოგზაურობენ ლონდონის ქუჩებში და ამ მოგზაურობას დასასრული არა აქვს. რომანში აწმყო და წარსული ერთმანეთშია „შეჭრილი“. ყოველივე ამას ვულფი გეგმაზომიერად ახერხებს „ცნობიერების ნაკადისა“ და „შინაგანი მონოლოგის“ გზით.

რომანში ვეცნობით კლარისა დოლოვეის უსასრულო მოგზაურობის ეპიზოდებს დროში, მაგრამ არა მომავალში, არამედ წარსულში, რადგან ხმაურიანი ლონდონი მომავალში, თუნდაც აწმყოში, მოგზაურობის საშუალებას არ იძლევა და ერთადერთი რაც შერჩა კლარისა დოლოვეის ესაა მოგზაურობა წარსულში. ასე თანდათან იცრიცება და ილევა ჭაღარა ქალის სილუეტი რომანის ბოლოს. უნდა ითქვას, რომ მკითხველს აინტერესებს არა მარტო კლარისა დოლოვეის გარეგანი პორტრეტის დანახვა, არამედ – შინაგანი. მისი სრული „შინაგანი ბიოგრაფიის“ აღწერა, რაც ზედმიწევნით მოახერხა ვირჯინია ვულფმა.

ვულფი საოცარი მოთმინებით ძერწავს 50 წლის კლარისა დოლოვეის გაცრეცილ და ავადმყოფურ პორტრეტს. ქალის, რომელიც საზოგადოებაში დამკვიდებისათვის ყველაფერს აკეთებს, თითქოს მოვლენების შუაგულში ტრიალებს, მიუხედავად ამისა, კლარისა დოლოვეი საოჯახო ალბომის სამუდამოდ გაცრეცილ შავ–თეთრ პორტრეტად რჩება, იმ საოჯახო ალბომისა, სასტუმრო ოთახში პატარა მაგიდაზე საგანგებოდ რომ აწყვია დამთვალიერებლებისათვის.

„კლარისა ჩიტს, მომწვანო–ნაცრისფერ ჩხიკვს ჰგავდა“. ორმოცდაათ წელს გადაბიჯებული თითქმის სულ გაჭაღარავებული იყო. „მისი წინაპრები მეფე ჯორჯის დინასტიის დროს კარისკაცები იყვნენ“, რითაც თავი მოჰქონდა. ამაყი და პატივმოყვარე ეთქმოდა, მაღალი საზოგადოებისა და წვეულებების უზომოდ მოტრფიალე. „ადამიანების სიყვარული შეეძლო“. თუმცა, პიტერ უილშთან არაფერი გამოუვიდა, იმიტომ, რომ პიტერის ხასიათს ვერ შეეწყო, თუმცა მომავალში მასზე მაინც იღელვებდა. „უზადო დიასახლისის მონაცემები გაქვსო“,– ღიად უსაყვედურა პიტერმა. პატივმოყვარე კლარისამ ამაზე იწყინა, მწარედ იტირა კიდეც. საკუთარ თავს დიდხანს უმტკიცებდა, რომ კარგად მოიქცა და პიტერს ცოლად არ გაჰყვა, მაგრამ ეს მხოლოდ თავის მოტყუება იყო.

კლარისას ქორწინებაზე და ცოლ–ქმრულ ცხოვრებაზე თავისი კონცეფციები და „დეკლარაციები“ გააჩნდა. „ქორწინებამ ადამიანს თავისუფლება და დამოუკიდებლობა არ უნდა დააკარგვინოს.“ და იქვე: „ერთ ჭერქვეშ მცხოვრებ ადამიანებს თავისუფლება სჭირდებათ.“ კლარისა ახალგაზრდობაში და შემდგომაც, ხშირად მსჯელობდა ქალთა საკითხებზე, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე, სიყვარულზე, სოციალურ საკითხებზე. ახალგაზრდობაში ჰყავდა მეგობარი გოგონა სელი სიტონი, რომელიც მეგობარზე მეტი იყო მისთვის. და მკითხველი გრძნობს, რომ კლარისა დოლოვეიში ვირჯინია ვულფის სილუეტი ნათლად იკვეთება.

კლარისა დოლოვეის უყვარდა სიცოცხლე და ყველაზე მეტად მაინც ლონდონი თავისი ხმაურითა და ჭორებით. უყვარდა მაღალი საზოგადოება, მდიდრული ეტლები, ომნიბუსები, მდიდრული ტანსაცმელი, ცხენები, მაგრამ ყველაფერს შორიდან, მშვიდად აკვირდებოდა, იმასაც გრძნობდა, რომ ცხოვრება ძალზე საშიში იყო. „თავს ჭკვიან და გამორჩეულ ქალად სულაც არ თვლიდა. საოცარი იყო, ცხოვრებაში ამდენი როგორ იბრძოლა, როცა განათლება არ მიუღია... არაფერი იცოდა: არც უცხო ენები და არც ისტორია. წიგნებს იშვიათად კითხულობდა. ძილის წინ მემუარებით ტკბებოდა“ (4, 11).

კლარისას ყველაზე მეტად ფიქრი შეეძლო. „ო, ნეტავ ცხოვრების თავიდან დაწყება შემეძლოს!“ მაგრამ ამისათვის მარტო სურვილი როდი კმაროდა. ლამაზი თვალები და გლუვი კანი უნდა ჰქონოდა, გრაციოზული უნდა ყოფილიყო. ის კი „სუსტი და აწოწილი

იყო. პატარა, სასაცილო სახე ჰქონდა და ცხვირი ჩიტის ნისკარტს მიუგავდა“(4, 36). ახლა კი მაღალი წრის ქალი გახლდათ მისის დოლოვეი. ჰყავდა მეუღლე რიჩარდი და ქალიშვილი ელიზაბეთი.

ნუთუ კლარისა დოლოვეი ბედნიერია საკუთარი ცხოვრებით? მისი ქორწინება და ოჯახური თანაცხოვრება იდეალურია? რომელი უფრო უყვარს, პიტერ უილში თუ რიჩარდი? ვინ იცის? თუმცა რიჩარდის წყალობით ელიტარული ქალბატონი გახდა, პატივს მიაგებენ, მათთან წვეულებაზე მოდიან. მაგრამ მხოლოდ ესაა ცხოვრება! მათი ერთადერთი ქალიშვილი ოჯახისაგან ცალკე დგას, ლამის გარიყული, მონაწილეობას არ ღებულობს დიდი ოჯახის მართვაში. მას საკუთარი ცხოვრება აქვს. მშობლების „ცხოვრებაში“ არ ერევა.

ვულფი ცდილობს მეტი რეალობა შესძინოს რომანს, თავის პერსონაჟებს. ამ თვალსაზრისით ყველაზე რეალური სახეები რომანში არიან სეპტიმუსი და ლუკრეცია. სეპტიმუსი „დაკარგული თაობის“ უიშვიათესი ნიმუშია. ომს „გადარჩენილი“ ცდილობს რეალობას გაუსწოროს თვალი, მაგრამ გარემო ამის არანაირ საშუალებას არ იძლევა. მისი დანგრეული ფსიქიკა ვერ უძლებს ზემოქმედებას და საკუთარი სხეულის კვლას ხელახლა ახდენს.

სეპტიმუს სმიტი პირველი იყო, ვინც ომში მოხალისედ წავიდა. იმ ინგლისის გადასარჩენად, რომლის განსახიერება შექსპირი და მშვენიერი სატრფო იზაბელა პოული იყო. ის იზაბელა პოული, რომელიც შექსპირზე ლექციებს კითხულობდა ვატერლოო–როუდზე. მაგრამ ომმა იზაბელა პოულს ჩამოაშორა და არა მარტო იზაბელას, ცხოვრებას, მომავალს, სიყვარულს. ომის დასრულების შემდეგ ფიზიკურად და სულიერად დაჭრილი მილანში გადაიყვანეს სამკურნალოდ და სრულიად შემთხვევით სასტუმროს მეპატრონის უმცროს ქალიშვილს ლუკრეციას ხელი სთხოვა. ცოლი უსიყვარულოდ შეირთო. ალბათ იმიტომ, რომ არ სურდა იზაბელა პოულს ენახა ასეთ მდგომარეობაში. ისინი უკვე ხუთი წლის ცოლ–ქმარი იყვნენ, მაგრამ მათ ცხოვრებაში რაიმე სანუგეშო არ იყო.

დიახ, ცოლ–ქმრის მდგომარეობა უნუგეშო იყო. კაცი გამუდმებით სიკვდილზე ფიქრობდა და ცოლსაც არწმუნებდა, თუ რატომ უნდა მოეკლათ ორივეს თავი. ექიმი ჰოლმსი დაბეჯითებით იმეორებდა: „სეპტიმუსს სერიოზული არაფერი სჭირდა!“ მაგრამ სეპტიმუსი ომმა მოკლა, მასში ჩაკლა ყველა ადამიანური რესურსი. ინტერესი დაკარგა ახალგაზრდა, მხიარული ლუკრეციას მიმართ, რომელიც ხშირად შეახსენებდა თავის მოვალეობებს. მას შვილი უნდოდა, თანაც ვაჟი, მაგრამ სეპტიმუსში ახლა ყველა უჯრედი გაქვავებული და მკვდარი იყო. მას ყველაფერი შესძულებოდა, გარემო, სამყარო და მეტადრე საკუთარი თავი.

სეპტიმუსი წერდა ომზე, შექსპირზე, რაღაც დიდ აღმოჩენაზე, სიკვდილზე, ჭეშმარიტებაზე. ხან საათობით მდუმარედ იჯდა, შფოთვები და ხილვები სტანჯავდნენ. ამბობდა, ჭეშმარიტება შევიტყვე. ჩემი მეგობარი ევანსი, ომში დაღუპული, დაბრუნდაო. ხშირად ჩვენება ჰქონდა, თითქოს ზღვაში იხრჩობოდა, ხან ცეცხლში ვარდნის ძლიერი შეგრძნება სტანჯავდა. დიახ, წყალმა და ცეცხლმა უნდა განწმინდოს მისი დაცემული სული და ხორცი.

ლუკრეციას ყველაზე მეტად ის უკლავდა გულს, რომ ეს ძლიერი და მამაცი მეომარი ხშირად ტიროდა. „კაცთა შორის რჩეული, დამნაშავე, რომელიც მოსამართლეების წინაშე იდგა. ზეცად ამაღლებული მსხვერპლი, ლტოლვილი, დაღუპული მეზღვაური, პოეტი, უკვდავი ოდის ავტორი, ღმერთი, რომელმაც სიცოცხლეზე უარი თქვა“ (4, 103) – ასეთია სეპტიმუსის ამაღელვებელი პორტრეტი. ასე დაასრულა სიცოცხლე დიდმა მეომარმა.

უნდა აღინიშნოს, რომ სეპტიმუსის თვითმკვლელობამ მეტი ეგზისტენციალიზმი და ტრაგიზმი შესძინა რომანს. „თუკი დაეცემი, ადამიანური ბუნება შენზე გაიმარჯვებს,“- ამბობს სეპტიმუსი. დიახ, სეპტიმუსი დაეცა. ომისაგან მიყენებულ სულიერ და ფიზიკურ ჭრილობებს ვერ უძლებს.

სეპტიმუს სმიტი განზოგადოებული ლიტერატურული სახეა. ფსიქიკურად დაშლილი და დასახიჩრებულია, კომუნიკაციის პრობლემა დარღვეული. ეს ომის შედეგია. სეპტიმუსი

თავისი თვითმკვლელობით, სულიერი და ფიზიკური ჭრილობებით, ცხოვრებას ღიად უპირისპირდება. სწორედ ეს იყო ვირჯინია ვულფის სათქმელი. ომის შემდგომი ტრაგიზმი და უბედურება თვალნათლივ დაენახვებინა მკითხველისათვის, საზოგადოებისათვის, რაც ზედმიწევნით შეძლო.

რომანი იწყება კლარისა დოლოვეის წვეულების მზადებით და სრულდება ტრიუმფალური წვეულებით. ამავე წვეულებაზე სტუმრები შეიტყობენ, რომ ვიღაც ახალგაზრდას თავი მოუკლავს. ამით არაფერი იცვლება! წვეულება გრძელდება. აქედან გამომდინაე, რომანში ფიგურირებს მხოლოდ მაღალი საზოგადოება. როგორც ირკვევა, ომისაგან მიყენებულ ჭრილობას ინგლისის ელიტარული საზოგადოება მდიდრული წვეულებებით იქარვებს, რომელიც რომანის ბოლოსაა აღწერილი. წარმოდგენილი რომანი „მაღალი საზოგადოების“ სულიერი ცხოვრების ჩვენებას ეძღვნება, მათ სურვილებს, ამბიციებს, ცხოვრებასთან პაექრობას. დაბალი საზოგადეოება არსად ჩანს. ისინი რომანში საერთოდ ნახსენები არაა. ჩნდება კუთხვა: თუ მაღალი საზოგადოება ომისაგან მიყენებულ ღია ჭრილობებს ასე იშუშებს, რა მდგომარეობაში არიან „პატარა ადამიანები“? როგორ ცდილობენ გაუმკლავდნენ დეპრესიას, ომისაგან მიყენებულ ჭრილობებს, უმუშევრობას, სოციალურ საკითხებს?

„მისის დოლოვეი“ თავისი წყობით მოდერნისტული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშია. ამ რომანში ყველაზე უკეთ გამოიკვეთა ვულფის ხელწერა, პერსონაჟთა ხასიათის უიშვიათესი გამოძერწვა, გარემო, ფსიქოლოგიური რაკურსები, საზოგადოების ზემოქმედება პიროვნებაზე, ამბივალენტური ხასიათი და მთავარი, ვულფის წერის კულტურა. მგრძნობიარე სტრიქონების მიღმა მწერალი ქალი ცდილობს უფრო ღრმად ჩაგვახედოს ცხოვრების ფსკერში, პიროვნების სულში, ხასიათის სიღრმეებში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ვირჯინია ვულფი XX საუკუნის ერთ–ერთი საუკეთესო ინგლისელი მოდერნისტი მწერალი ქალია. „მისის დოლოვეი“ არის უსაშველო „სულის მონოლოგი“ კლარისა დოლოვეისა, რომელშიაც ვირჯინია ვულფი მოიაზრება. ვულფმა თავისი ესეებითა და მხატვრული პროზით ინგლისურ რომანს, და არა მარტო ინგლისურს, ახალი მიმართულება მისცა. გააღრმავა, განავითარა, ახალი სული შთაბერა, უფრო რეალური გახადა. ვირჯინია ვულფს შთაგონება და წარმოსახვა ნამდვილად არ აკლდა, მაგრამ მას ყველაზე მეტად სიმტკიცე აკლდა, შინაგანი სიმტკიცე, და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. თუმცა მწერლისათვის თვითმკვლელობა მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო! ის სიკვდილისათვის მთელი ცხოვრება ემზადებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბელიაშვილი მ., დროის პრობლემა მოდერნისტულ ლიტერატურაში, თბ., 2005.
2. ვულფი ვ., ესეები, ფრენკ სუინერტონი, ვირჯინია ვულფი, თარგმანი პაატა და როსტომ ჩხეიძეების, თბ., 1988.
3. ვულფი ვ., საკუთარი ოთახი, თარგმანი ინგა მაცაბერიძე – პაპავასი, თბ., 2006.
4. ვულფი ვ., მისის დოლოვეი, თარგმანი გიორგი ძნელაძის, თბ., 2012.
5. XX ს-ის I ნახევრის დასავლეთევროპული ლიტერატურის ისტორია, ქუთაისი, 2011, ნ. კაკაურიძის რედაქციით.
6. Barrett, M. (ed.) Virginia Woolf: Women and Writing. The Women's Press London, 1979.
7. Bowlby, R. Feminist Destinations and Further Essays on Virginia Woolf. Edinburgh University Press Edinburgh, 1997.
8. Filkins, P. “Virginia Woolf’s *Mrs. Dalloway,” British Writers Classics,* Vol. II, New York, 2004.
9. Hermione, L. Virginia Woolf. New York: Vintage, 1990.
10. Quentin, B. Virginia Woolf: A Biography. London: Hogarth Press, 1990.
11. Zwerdling, A. Virginia Woolf and the Real World. University of California Press Berkeley, 1986.

კობა წურწუმია
ვირჯინია ვულფი – მოდერნისტული რომანის ფუძემდებელი
რეზიუმე

ვირჯინია ვულფმა მეტად რთული ლიტერატურული გზა განვლო. უჩვეულო და ტრაგიკული იყო მისი პირადი ცხოვრებაც.

ვირჯინია ვულფის გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე ახალი რომანის დაბადებას გულისხმობდა. ვულფმა თანამედროვე რომანს ახალი სუნთქვა შესძინა, გააფართოვა და გააღრმავა მოდერნისტული რომანის სივრცე, მეტი დატვირთვა შესძინა პიროვნების შინაგან მონოლოგს.

ვირჯინია ვულფის მღელვარე და მშფოთვარე ცხოვრების ანარეკლია მისი მხატვრული შემოქმედება: კერძო წერილები, ესეები და განსაკუთრებით კი „საკუთარი ოთახი“. ეს უკანასკნელი ვულფის ფემინისტური იდეების დემონსტრირებას წარმოადგენს.

„მისის დოლოვეი“ ინგლისური რომანის განვითარების ახალ ეტაპს წარმოადგენს. ესაა მოდერნისტული რომანი თავისი ფორმით, სიუჟეტით, პერსონაჟთა ფსიქოლოგიური პორტრეტებით. ამ რომანით ვულფი ცდილობს გვიჩვენოს ომის შემდგომი ინგლისი, საზოგადოება თავისი დია ჭრილობებით. ომის დამანგრეველი განწყობა გასდევს მთელ რომანს.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ვირჯინია ვულფის ესეები და გახმაურებილი რომანი „მისის დოლოვეი“.

Koba Tsurtsumia
Virginia Woolf – a Founder of Modernist Novel
Summary

The English novelist, critic, and essayist Virginia Woolf ranks as one of the most distinguished writers of the twentieth century. Virginia Woolf is considered to be one of the foremost figures of both Modernism and feminism. She gave a birth to the modern novel, expanded and deepened it. No one can read Woolf without being struck by the importance she gives to the creative imagination. Her major characters display a sensitivity beyond rational logic. Virginia Woolf is indeed the major lyrical novelist in the English language. Virginia Woolf's exciting and turbulent life is a reflection of his artistic creations.

The dramatic setting of "A Room of One's Own" is that Woolf had been invited to lecture on the topic of Women and Fiction. She advanced the thesis that "a woman must have money and a room of her own if she is to write fiction." Her essay is constructed as a partly-fictionalized narrative of the thinking that led her to adopt this thesis. She dramatized that mental process in the character of an imaginary narrator. Her another book "Mrs. Dalloway" is a book filled with many unforgettable images: images of anger, of pain, and of beauty. Its recurring themes of life and death, old and new, time and timelessness; its symbols of bells, clocks chiming, and flowers, and perhaps, most of all, the sea, are perfectly developed. It's a sad, tragic book, yet it is the book offering the most hope.

Коба Цурцумия
Вирджиния Вульф – основательница модернистского романа
Резюме

Вирджиния Вульф прошла нелёгкий литературный путь. Непростой и трагичной оказалась и её личная жизнь.

Её появление на писательском поприще означало зарождение нового романа. Она придала новое дыхание современному роману, расширила и углубила границы пространства, придала большее значение внутреннему монологу.

Отражением личности писательницы является её наследие: личная переписка, эссе, а особенно "Собственная комната ", как демонстрация феминистических идей Вирджинии Вульф. А "Мисис

Доловей “ является новым этапом в развитии английского романа. Это модернистский роман по-всем показателям: по форме, сюжету, по психологическим портретам персонажей.

В статье мы ограничились рассмотрением эссе и нашумевшим романом “Мисис Доловей “.

Виктория Диасамидзе
Ассоциированный профессор Батумского государственного университета им. Шота Руставели

Лейла Диасамидзе
Приглашенный педагог Батумского государственного университета им. Шота Руставели

Формальная структура текстов жанра «анекдот» (в современном русском и грузинском языках)

Структурные и семантические специфические признаки текста жанра «анекдот» были рассмотрены в работах Е.Я. и А.Д.Шмелевых, В.И.Карасика, В.В.Дементьева, К.Ф.Седова, Г.Г.Слышкина М.В. Арошидзе и других исследователей.

Говоря о структуре текста жанра «анекдот», исследователи прежде всего обращают внимание на его жестко заданную структуру. Чаще отмечают двухчастную структуру – «более длинный зачин, затем короткий и неожиданный конец, заставляющий слушателя переинтерпретировать начало анекдота» (3, 131). Несмотря на четкую структурированность, текст анекдота далек от того, чтобы его рассматривали как языковое клише. Справедливее будет говорить о клишированной структуре текста анекдота, использующего формулы, схожие с языковыми клише. В работе Е.Я. и А.Д. Шмелевых подробно рассматриваются следующие формулы, использование которых выполняет текстообразующую функцию: это стандартные зачины, элементы языковых масок и клишированные детали (3, 135).Несмотря на закономерное отрицание текста анекдота, как клише, авторы признают наличие в ряде текстов указанного жанра вкраплений из основных разновидностей клише. Материал изучаемых нами языков показывает, что стандартные зачины как в русских, так и в грузинских текстах наибоее популярного двухрепликового диалога, как правило, начинаются с номинации главного действующего лица по профессии, имени, состоянию, социальному или семейному статусу. Метатекстовые вводы в анекдоте ситуативно зависимы как от адресанта в коммуникативном акте, так и от субъекта – инициатора действия в тексте анекдота. При всем их разнообразии весьма сложно систематизировать зачины в русском корпусе текстов. Мы согласны с тем, что русскому анекдоту не свойствен относительно постоянный набор персонажей, «имеющих стабильные речевые и поведенческие характеристики, известные всем носителям… языка и потому не нуждающихся в представлении»(2, 144).

В грузинских же коротких юмористических историях единственным маркером клишированности зачинов является указание на этническую или региональнуюпринадлежность. В них об этом эксплицитно сообщается в метатекстовом вводе или на протяжении повествования: - «Сван и мингрел застревают лифте. Сван кричит: - Помогите! Помогите! Давай вместе будем кричать! - Вместе! Вместе! –кричит мингрел» (перевод с груз.яз.).

Следует подчеркнуть, что в русских анекдотах реже употребляются имена собственные, чем типично грузинские исчисляемые персонажи (Маро, Михо и Чичико), свидетельствующие о том, что в грузинском анекдоте эти персонажи менее наделены индивидуальностью: - «Чичико, твой сын «Жигули» украл,знаешь? – В это я никак не могу поверить, он всегда говорил: «Хочу «Мерседес»! (перевод с груз.яз.).

В грузинском анекдоте набор действующих лиц относительно постоянен. Итак,это могут быть: 1.представители этнических меньшинств или других национальностей: сваны, мингрелы, рачвелы, кахетинцы, гурийцы, имеретинцы, русские, евреи; жители Тбилиси, Кутаиси, Телави, Зестафони, Батуми; 2. набор постоянных персонажей – типажей; 3. такие универсальные герои, как пред-

ставители семейства или определенной профессии, наделенные жанровой памятью слушателя-адресата.

Что касается политических деятелей или иных известных лиц, их доля минимально представлена в общем корпусе сплошной выборки грузинских и русских встреченных нами анекдотов. Объясняем это тем, что в исследованных корпусах текстов основное внимание
нацелено на освещение бытовых морально-нравственных и межрегиональных проблем взаимоотношений.Отметим, что в русских источниках представители этнических меньшинств значительно менее фигурируют в качестве объектов анекдотного дискурса: - «Поляк приходит на исповедьи говорит священнику: Пан ксендз, я согрешил. – В чем же заключается грех, сын мой? – Я обманул еврея... Ксендз после короткого раздумья: - Это не грех, сын мой. Это чудо».

Хотя в грузинском фольклоре этнические шутки – одна из ярко выраженных доминант, однако, по мнению самих носителей языка, это не вызывает отрицательных эмоций у этнических прототипов. Думается, это можно объяснить тем, что юмор является одним из средств самоидентификации нации и одним из способов указания на самобытность ее культуры и национальной специфики в положительном смысле слова. Ведь, как известно, юмор носит критическую направленность и оценочные суждения, за пределами которых остается значительное пространство позитивных фоновых знаний. Именно высокая степень позитивных фоновых знаний позволяет преодолеть коммуникативный барьер этнической чувствительности и это является фактором, препятствующим коммуникативному сбою. Следует упомянуть и такой распространенный психологический момент, как ощущение превосходства и некотороесамолюбование, позволяющие подшучивать над собой, сохраняя этническое достоинство. В грузинской лингвокультурной традиции не замечено анекдотов, жестко клишированных по форме в массовом порядке. По-видимому, это объясняется, тем, что в грузинских анекдотах акцент делается, скорее, на парадоксальность содержания, чем на клишированность формы.- «У вас симптом бешенства, возьмите бумагу и пишите, чтобы избежать бешенства надо ... Подождите, подождите, не пишите завещания, я вас вылечу. – Доктор, это не завещание: это список тех, кого мне надо успеть укусить!» (перевод с груз.яз.).

С точки зрения формальной структуры будем разделять тексты жанра «анекдот» на двух, - трех- и многосоставные в зависимости от количества реплик. Диалогический текст искусственного диалога анекдота обычно представлен как сочетание реплик разных лиц. Анализ тысячи грузинских и тысячи русских анекдотов, взятых сплошной выборкой из тематических сборников (1),выявил следующее количественное соотношение:I.По количеству реплик в диалоге анекдота: 2 реплики (500 и 423, т.е. 50% и 42,3%,соответственно, в груз. и русс. яз.); 3 реплики (256 и 225, т.е. 25,6% и 22,5%,соответственно, в груз. и русс. яз.); 4 реплики в анекдоте (137 и 149, т.е. 13,7% и 14,9%, соответственно, в груз. и русс. яз.); пятирепликовые анекдоты (49 и 53, т.е. 4,9% и 5,3%, соответственно, в груз. и русс. яз.);щестирепликовые (29 и 58, т.е. 2,9% и 5,8%, соответственно, в груз. и русс. яз.);7-репликовые (12 и 25, т.е. 1,2% и 2,5%, соответственно, в груз. и русс. яз.);8-репликовые (9 и 30, т.е. 0,9% и 3%, соответственно, в груз. и русс. яз.);9-репликовые (5 и 10, т.е. 0,5% и 1%, соответственно, в груз. и русс. яз.);10-репликовые (0 и 9, т.е. 0% и 0,9%, соответственно, в груз. и русс. яз.); 11-репликовые и более, до 26 реплик в руском языке (3 и 18, т.е. 0,3% и 1,8%, соответственно, в груз. и русс. языках).

При анализе фактического материала, в первую очередь, бросается в глаза большое сходство в объемерусских и грузинских корпусов текстов, предпочитающих краткость. Далее картина радикально меняется: за пределами пяти реплик количество текстов, содержащих от шести до тринадцати реплик вдвое, а то и втрое выше в руском языке. Часть текстов не соответствует определению анекдота, как короткого юмористического текста. По этому определению они даже перестают быть таковыми, т.е. краткими, что по сути, противоречит жанру анекдота.Из анализа фактического материала также следует, что нижняя граница грузинских полилогов в изучаемых текстах составляет одиннадцать реплик, зато в русском языке более, чем в два раза – 26 реплик. Здесь наблюдается определенная антиномия между формой и содержанием текстового кода анекдота.

Антиномия текстового кода, как правил построения короткого юмористического текста, создается за счет повторения синтаксически однотипных фраз со сменой только ремы, что позволяет адресату, с одной стороны, в прагматической ситуации презентации анекдота сохранять в памяти объемный текст, а с другой – облегчает адресанту задачу его воспроизведения: - «Джимшер, одолжи

20 лари! – Не могу. – Ну, тогда 10 лари! – И десять не могу. – Пять? – И пять! – Ваа, ну тогда, ты, попрошайка, хоть скажи который час?» (перевод с груз.яз.).

Что касается двухрепликового анекдота, то отметим, что в двусоставном искусственном диалоге участники коммуникативного акта состоят в отношениях равноправного партнерства, подразумевающего полную независимость личной инициативы и реакции адресата на вопросительную реплику адресанта. Это блиц-поединок с мгновенной реакцией респондента в прагматическом аспекте коммуникации. При этом характерно отсутствие объемного зачина с объяснениями ситуативного характера.

Наводящие, уточняющие вопросы в анекдотах русского и грузинского городского постфольклора появляются, начиная с трехрепликовых коротких юмористических историй. С этого момента меняется качественная сторона общения коммуникантов искусственного диалога, а именно – все истории теперь содержат **просьбу** в различной синтаксической форме пояснить ранее сказанное: - «Официант, вина и фруктов! – Поконкретнее, пожалуйста! – Сто грамм и огурец!». Уточнение, просьба, опровержение, содержащиеся в трехрепликовых анекдотах с возрастанием количества реплик, сменяются полилогом, допросно-опросной формой «общения», включая перекличку или же плавно переходят в нескончаемый диалог с имбецилом, слабослышащим, пациентом и т.п. Многорепликовые и грузинские, и русские анекдоты свою протяженность компенсируют минимализмом реплик:(груз.) - «Разговор у психолога: - Доктор, у меня руки дрожат. – Пьете? – Пил. – Курите? – Курил. – И вы все это бросили? – Нет, собираюсь. – Ну вот, видите, вы только собираетесь, а организм ваш уже испугался»; (русск.) – «В армии перекличка: - Рядовой Орлов! – Я! – Орел, ты наш! Рядовой Соколов! – Я! – Сокол,ты наш! Рядовой Козлов! – Я! – Ну, ничего,бывает...».Диалог в текстах двух корпусов идет по руслу, заданному лидером – врачом, шефом, начальником и пр. На каком-то этапе ремо-динамическое равновесие находится под угрозой: это происходит в пределах шести-семи реплик, где по ожиданию адресата **должна** появиться пуанта. Этот предел отражает объективную закономерность в природе, ограничивающей мир наших одновременных восприятийпределом в количестве семи реплик.Такой полилог не рассчитан на непосредственный эмоциональный отклик адресата, а требует от него терпения и выдержки в том, что касается удержания бóльшего объема информации.«Золотая» середина, т.е. шести-семи-репликовые анекдоты значительно менее популярны в русском и грузинском фактическом материале. Их непопулярность объясняется изобилием уточнений и расспросов, вызванных недопониманием «коммуникантов» анекдотного дискурса; в этом недопонимании заключена вся соль истории, что уже само по себе неаттрактивно для восприятия и проблематично для запоминания для дальнейшего воспроизведения. Именно поэтому пятирепликовые анекдоты представляют собой нейтральную зону в русских и грузинских анекдотах, а семирепликовые являют собой практически мертвую зону состязания в остроумии.

Отметим, что при всей пестроте и разнохарактерности двух корпусов текстов, вырисовывается структурная универсалия, а именно – предпочтение двух- и трехсоставных текстов, максимально соответствующих требованиям идеального текста – связности и целостности, как его конструктивных признаков. По своему семантическому наполнению они могут передавать любую информацию, но их главное достоинство заключается в блиц-успехе коммуникативного акта, что и делает двухкомпонентную структуру столь популярной вне зависимости от территории циркуляции. Меньшая популярность многорепликовых анекдотов объясняется, по нашему мнению, фактором, который в теории информации зовется приемом«помехоустойчивого кодирования». На языке гуманитариев это один из элементарных и базовых законов восприятия, согласно которому наше сознание способно удержать не более семи однопорядковых явлений одного ряда. В «длинных» текстах анекдотов возникают помехи при передаче сообщения: у участника диалога анекдота ослаблен слух, память, внимание, сообразительность и тогда появляется необходимость в избыточной величине сообщения по
сравнению с передаваемой информацией (4, 34), (5, 24).

Итак, двурепликовые анекдоты, максимально представленные в руском и грузинском корпусах,воплощают в себе черты текста, в котором отсутствуют все информационные и другие помехи, препятствующие успешности коммуникативного акта: 1) в них максимально реализованы критерии грамматической, синтаксической и смысловой связности; 2) двухкомпонентный анекдот со структу-

рой «вопрос-ответ» требует минимум усилий и временнЫх затрат от адресанта и адресата; 3) ситуативно такой блиц-анекдот комфортен, так как идеально вписывается в силу своей краткости в любую по протяженности ситуацию; 4) как правило, такой текст стереотипен или содержит стереотипы анекдотического пространства данного лингвокультурного социума. Именно это объясняет значительный перевес таких анекдотов в проанализарованных нами корпусах текстов русского и грузинского языков.

Литература:

1. Анекдоты: сборники. Москва: Современный литератор, 2003 -2010, Сборник анекдотов /под ред. А.Стуруа (на грузинском языке).Тбилиси, 1996.
2. Арошидзе М.В., Лингвосемиотический механизм свертывания текстовой информации и проблемы ее декодирования, Тбилиси, 2009.
3. Шмелева Е.Я., Шмелев А.Д. Русский анекдот: Текст и речевой жанр. М.: Языки славянской культуры, 2002.
4. Шрейдер Ю.А., Что такое расстояние. М., 1963.
5. Шрейдер Ю.А., Магия цифр, 2007, № 12.

Виктория Диасамидзе, Лейла Диасамидзе

Формальная структура текстов жанра «анекдот»
(в современном русском и грузинском языках)
Резюме

В статье рассматривается формальная структура анекдота русском и грузинском языках. При анализе фактического материала, при всей пестроте и разнохарактерности сравниваемых корпусов текстов, вырисовывается структурная универсалия, а именно – предпочтение двух- и трехсоставных текстов, максимально соответствующих требованиям идеального текста – связности и целостности, как его конструктивных признаков. Двухрепликовые анекдоты максимально представлены в русском и грузинском корпусах, поскольку в объемных текстах возникают помехи при передаче сообщения. Меньшая популярность многорепликовых анекдотов объясняем тем, что по теории информации, наше сознание способно удержать не более семи однопорядковых явлений одного ряда.

ვიქტორია დიასამიძე, ლეილა დიასამიძე

ანეკდოტის ჟანრის ტექსტების ფორმალური სტრუქტურა
(თანამედროვე რუსულ და ქართულ ენებში)
რეზიუმე

სტატიაში განხილულია ანეკდოტის ფორმალური სტრუქტურა რუსულ და ქართულ ენებში. ფაქტობრივი ანალიზის პროცესში, მიუხედავად ტექსტების კორპუსების სიჭრელისა და ნაირფეროვანი ხასიათისა, გამოიკვეთა უნივერსალია, ანუ ორი ან სამნაწილიანი ტექსტების უპირატესობა, რომლებიც მაქსიმალურად შეესაბამება იდეალური ტექსტის მოთხოვნებს: მთლიანონობასა და კოჰერენტულობას, როგორც მის კონსტრუქციულ მახასიათებლებს. რეპლიკიანი ანეკდოტები უხვად არის წარმოდგენილი რუსულ და ქართულ ენებში, რადგან უფრო მოცულობით ტექსტებში შეტყობინების გადაცემისას წინააღმდეგობები წარმოიქმნება. ნაკლები პოპულარობით სარგებლობენ მრავალრეპლიკიანი ტექსტები, რადგან ცნობილია, რომ ადამიანის გონებას არა უმეტესი შვიდი ერთი რიგისა და ერთი სიბრტყის მოვლენის აღქმა ძალუძს.

Victoria Diasamidze, Leila Diasamidze

Anecdote and its Formal Structure in Modern Russian and Georgian

Summary

The article deals with the linguistic structure of anecdotes in Russian and Georgian languages. The material of the languages under the study not with standing its diversity, displays structural universality, namely, two- and three remark text preference that meets best the requirements of an ideal text - coherence and integrity as its structural features. Thus, anecdotes of two remarks are most frequent in Russian and Georgian text corpora. Voluminous texts have numerous clarifications and questions caused by mutual misunderstanding of "communicants" in anecdote, and that misunderstanding is the whole point of a story. Multi-remark anecdotes are less popular and this can be explained in our opinion by the basic laws of perception, according to which our consciousness is not able to keep more than seven uniordinal phenomena at the same time.

ირინე არჯევანიძე
თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწოფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

სიზმარი, როგორც არქეტიპული აზროვნების გამოვლინება ნოდარ დუმბაძის პერსონაჟებში

მე-20 საუკუნის ლიტერატურა უამრავ მასალას იძლევა მხატვრული ფსიქოლოგიზმის ახალ საფეხურზე ასაყვანად. ლიტერატურულ ნაწარმოებში მწერლები ცდილობენ პერსონაჟის სულიერი მდგომარეობა და პრობლემები ადეკვატურად ასახონ. ეს თავის მხრივ მოითხოვს გამოსახვის ახალ ფორმებს. ამისათვის ავტორები მიმართავენ „ცნობიერების ნაკადის“ ერთ-ერთ ფორმას – შინაგან მონოლოგს. ასეთ შემთხვევაში ავტორი თავად საუბრობს პერსონაჟის გრძნობებზე და კომენტარებს უკეთებს მათ,აღწერს მისი ფსიქოლოგიის შემდეგ მახასიათებლებს – მეტყველების თავისებურებას, ჟესტებს, მიმიკას, მოძრაობას. ამავე დროს, პერსონაჟის ხასიათის „შიგნიდან“წარმოსაჩენად, ჩნდება ცნობიერისა და არაცნობიერის წვდომის აუცილებლობაც. ამ მიზნით ავტორები ხშირად მიმართავენ ისეთ ხერხებს, როგორიცაა: სიზმარი, დღიური, აღსარება, ლოცვა.

ფსიქოლოგიურ თეორიებში აშკარაა ადამიანის შინაგანი სამყაროსა და მისი სტრუქტურისადმი სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება. პიროვნება აღიქმება, როგორც რთული, მრავალშრიანი და მრავალკომპონენტიანი არსება, რომელიც ღრმა შესწავლას მოითხოვს.

ფროიდის კლასიკური ფსიქოანალიზის მეთოდმა სტიმული მისცა ადამიანის შინაგან სამყაროში ჩაღრმავების მცდელობას და ყურადღება გაამახვილა მისთვის არაერთ საინტერესო საკითხზე, როგორიცაა, მაგალითად, პიროვნების შინაგანი ცხოვრების როგორც ერთიანი, თუმცა, ამავე დროს, მრავალშრიანი მოვლენის გააზრება, ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთობა, ინდივიდის ურთიერთობა საკუთარ თავთან. ამ თემებით ლიტერატურა თავისთავად, სხვა დისციპლინის ჩარევის გარეშეც ინტერესდებოდა, მაგრამ ფსიქოლოგიამ და, ამ შემთხვევაში, კონკრეტულად გუსტავ ფროიდმა და კარლ იუნგმა შესაძლებელი გახადეს ლიტერატურაში დამკვიდრებული სულის ანალიზი „ცნობიერის ანალიზად“ ექციათ.

კლასიკურმა ფსიქოანალიზმა შეძლო მხატვრულ ლიტერატურაში ტრასფორმაცია და ჩამოყალიბდა როგორც ლიტერატურულ-თეორიული მეთოდი. ამ მეთოდზე დაყრდნობით ფსიქოლოგიური კველვის საგანი შეიძლებოდა გამხდარიყო ნაწარმოების შექმნის პროცესი, ავტორის ფსიქიკური თავისებურებები, პერსონაჟთა ტიპები და მათი

ქცევა. უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებში ავტორი წარმოადგენილია როგორც ფსიქოლოგი, რომელიც თავად ქმნის სხვა ადამიანთა ხასიათსა და ცდილობს სხვადასხვა ხერხით უჩვენოს მათი ემოცია, რაც ხშირად მოითხოვს როგორც ცნობიერი, ისე არაცნობიერი ქცევის ასახვას. მაგალითად, გმირის ღრმა ფსიქოლოგიური განცდების გამოსახატავად მწერლები ხშირად მიმართავენ ისეთ მხატვრულ ხერხს, როგორიცაა სიზმარი.

ზოგჯერ სიზმარი ნაწარმოებს ფსიქოლოგიური სამკაულის სახით ერთვის და მისი ინტერპრეტაციაც მარტივია, ხან ხილვას წარმოადგენს, ხან – წინასწარმეტყველებას, ხან კიდევ მხატვრულ ხერხს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მე –20 საუკუნის დასაწყისიდან, როცა ფსიქოლოგიაში სიზმრის კვლევა მეცნიერულ დონეზე ავიდა და სიზმრის ინტერ-პრეტაციის საკითხით ბევრი ფსიქოლოგი დაინტერესდა, მისადმი დამოკიდებულება ლიტ-ერატურამაც შეცვალა. ამ პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებში წარმოდგენილ სიზმრებს აშკარად დაეტყო ამა თუ იმ ფსიქოლოგიური მოძღვრების გავლენა. ამიტომ სიზმრის ფუნქციაც თავისთავად გაიზარდა, მისი შინაარსი გართულდა, სიუჟეტი დაიძაბა და ისევე, როგორც ფროიდის, ადლერისა და იუნგის თეორიებში, სიზმარი არაცნობიერის ერთგვარი გამოხატულება გახდა.

სიზმრის მოტივი ლიტერატურაში საკმაოდ ძველია. ანტიკურ ლიტერატურაში სიზ-მრის პოეტიკა ძალიან ახლოს დგას ფოლკლორსა თუ მითოლოგიაში ფორმირებულ სიზ-მრის გაგებასთან. ეპოსის გმირებს ღმერთები სწორედ სიზმრის საშუალებით ეკონტაქ-ტებიან და აცნობენ თავიანთ სურვილებს. აღსანიშნავია, რომ ანტიკურ ლიტერატურაში სიზმრებს სიმბოლური ხასიათიც აქვთ. სიზმრები მრავლდაა ბიბლიაშიც, სადაც აგრეთვე გამოიყოფა მათი ორგვარი ტიპი - ჩვეულებრივი სიზმარი და ღვთით მოვლენილი სიზმა-რი. ამ უკანასკნელით უფალი ადამიანებს თავის ნებას ამცნობდა. აღსანიშნავია, რომ ღმერთი ადამიანებს სიზმრის ახსნის ნიჭსაც აძლევდა, მაგალითად, მშვენიერ იოსებს, რომელმაც შეძლო ნაბუქოდონოსორისათვის სიზმარი სწორად განემარტა. თუმცაღა, ქრისტიანულ კულტურაში სიზმრისადმი უარყოფითი დამოკიდებულებაც შეინიშნება, რადგან მიიჩნევა, რომ ღმერთის ნება სრულად საბოლოოდ სახარებაშია გაცხადებული.

შუა საუკუნეებსა და რენესანსის პერიოდში სიზმარს ალეგორიული ხასიათი აქვს, როგორც, მაგალითად, დანტე ალეგიერის „ღვთაებრივ კოემდიაში“. საინტერესოა როგო-რია ამ მხრივ ქართული ტრადიცია? როდის, რა ვითარებაში და რა დოზით მიმართავ-დნენ ქართველი ავტორები სიზმარს, როგორც ლიტერატურულ ხერხს? ამ მხრივ საინტ-ერსო მასალას გვაწვდის ქართული ხალხური ეპოსი ე.წ. მითოლოგიური აზროვნება, რო-მელსაც ჩვენი მხრივ პირდაპირ ვუკავშირებთ კარლ იუნგის კოლექტიურ ქვეცნობიერს, არქეტიპებით აზროვნებას და ამის შესახებ ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაზე საუბრისას.

ჰაგიოგრაფია, როგორც სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი დარგი არ აღიარებს სიზმრის ფენომენს კლასიკური გაგებით და ეს ყველაფერი ქრისტიანული აზროვნებით აიხსნება. აქ გვხვდება ხილვები, რომლის საშუალებითაც უფლის ნება გადაეცემათ ჰაგი-ოგრაფიული ნაწარმოებების პერსონაჟებს. ისიც აღსანიშნავია, რომ ჰაგიოგრაფია კა-ნონიკური დარგია და ინტერპრეტაციებს ნაკლებად გუობს.

სიზმარს, როგორც მხატვრულ ხერხს, საინტერესოდ იყენებს სულხან-საბა ორბე-ლიანი. საინტერსოა, რომ მეფე ფინეზის სიზმარს სიცხადის ელფერი პირველივე წუთებიდან თან სდევს და ეს არავის „უკვირს“: „ღამესა ერთსა ეჩვენა მეფესა ჭაბუკი ვინმე შუენიერი, მსგავსი ლომისა, მხნე ახოვანი..... უთხრა მეფესა:-ღმერთმან გიდღეგრძე-ლოს ძე ეგე შენი და თუცა მე არა მომაბარებ, ნება შენდა, ვერავინ გასწვართოს, თუ მეძებო, მპოვო, თუ არა, შენვე ინანდეო. სახე თვისი ეტრატსა ზედა გამოწერილი ხელთა მისცა, მეძებე თავმან შენმანო და თვით წავიდა. გაეღვიძა მეფესა და ნახა ხელთა ეტრა-ტი ჰქონდა. სხვა არვინ იყო მის თანა“ (3,27). ამ შემთხვევაში სიზმარი და ცხადი ერთი-ანდება - მეფეს ეტრატი ხელთ აქვს, როგორც უდავო დადასტურება, რომ უფლისწულის გამზრდელი უნდა ეძებოს. ეს გადაწყვეტა სრულიად ესადაგება ალეგორიულ ჟანრსაც და ავტორის მიზანდასახულობასაც, რაზეც საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

შემდეგი ავტორი, რომელიც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ვაჟა-

ფშაველაა. თითქმის ვერ ვნახავთ, ვაჟას მეტ – ნაკლებად მნიშვნელოვან ტექსტს, რომელშიც ავტორი არ მიმართავდეს სიზმარს, როგორც მხატვრულ ხერხს და, ვფიქრობთ, რომ იგი ყველაზე მეტად უახლოვდება სიზმრის ფსიქოანალიზისეულ გაგებას.

სიზმარს, როგორც მხატვრულ ხერხს, ნოდარ დუმბაძე არცთუ იშვიათად მიმართავს და ბუნებრივად ჩნდება კითხვები: რამდენად საინტერესოა ეს ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, როგორ აიხსნება მისი პერსონაჟების ეს გამოვლინება ფსიქოანალიზისეული გაგებით? უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი პერსონაჟები სიზმრისა და ხილვის ზღვარზე არიან ხშირად. მაგალითად, ზაზა ნაკაშიძე – „თეთრი ბაირაღების" პერსონაჟი ხედავს ერთი შეხედვით სტანდარტულ სიზმრებს (შინაგან საქმეთა მინისტრის ეპიზოდი), ან ხედავს ე.წ. ხილვებს, უფრო სწორად ასე აღიქვამს ძილიდან გამოყოლილ ემოციებს, ნუნუ ექიმთან დაკავშირებით.

ჩვენი აზრით, უფრო რთულდება და იხვეწება ეს მხატვრული ხერხი „მარადისობის კანონში", სადაც ბაჩანა რამიშვილი რამდენჯერმე გაესაუბრა უფალს. სხვათა შორის, საინტერესოა, რომ პერსონაჟი კომუნისტური ეპოქის წარმომადგენელია და არა მარტო წარმომადგენელი ერთ-ერთი საპასუხისმგებლო თანამდებობის პირი. ამავე დროს კომუნისტური იდეოლოგიის ერთგვარი დამცველიც. ამას არც თავად ავტორი უარყოფს. უფრო მეტიც, თავადვე ქმნის ერთგვარ კონტრასტს სათქმელის უკეთესად წარმოსაჩენად ან, პირიქით, იმ პერიოდისათვის გასაგები მიზეზების გამო შესანიღბად..

ბაჩანა რამიშვილი სიკვდილის პირასაა, მხატვრულად რომ ვთქვათ, საიქიოდანაა ახალი მობრუნებული. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სიკვდილთან მიახლება სხეულისთვისაც და გონებისთვისაც სტრესია, რომელიც აუცილებლად ტოვებს პიროვნებაში საკუთარ კვალს. ამ დროს მომხდარი მოვლენები ზოგჯერ სრულიად ცვლის ადამიანს.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ მსგავსი ტიპის პერსონაჟი ხედავს ერთი შეხედვით დაუჯერებელ სიზმარს, თუ ხილვას. თითქოსდა არანაირი წინაპირობა, რომ ათეისტმა ადამიანმა იხილოს ღმერთი არ არსებობს, ამ შეუსაბამობას ამძაფრებს ისიც, რომ ამავე პალატაში მის გვერდით იმყოფება საეკლესიო პირი, მოძღვარი, რომლის საშუალებითაც ხმიანდება სწორედ ეს შეკითხვა: „- ბატონო იორამ, ქრისტე თუ გინახავთ სიზმარში? - ჰკითხა უცებ, ბაჩანამ მღვდელს. მღვდელმა გაკვირვებისგან პირი დააღო. დიდხანს უყურა ბაჩანას და ბოლოს ენის ბორძიკით თქვა:

-ბატონო ბაჩანა, ღმერთის დასიზმრება არ არსებობს, ღმერთის ხილვა იგივე გამოცხადებაა. მე ჯერ ასეთი ბედნიერება არ მღირსებია.

-არც ხმა გსმენიათ მისი?

-ეს ხომ იგივე გამოცხადებაა?

-მაშ, რაღას ემსახურებით?

-სწორედ იმას, რომ მივუახლოვდე, ხმა მესმას მისი და ნათელი ვიხილო მისი.

-მაშინ მე და თქვენ პროფესიების გაცვლა მოგვიწევს, მამაო, - უთხრა ბაჩანამ.

- რაშია საქმე?

-ერთი საათის წინ გამომეცხადა!

- ვინ?

მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე.... იორამს ენა გაუშრა პირში.

-ქრისტეს ერთ -ერთი მცნებაა : - არ იცრუო! - გააფრთხილა ხმის კანკალით ბაჩანა. (1, 536). ამ შეუსაბამობას საინტერესოდ ხსნის კარლ გუსტავ იუნგი კოლექტიური არაცნობიერის არსებობით: „ასე გასინჯეთ, ისინი შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კიდეც სიზმრის მნახველის პიროვნულ ფსიქოლოგიას. ასე მაგალითად, ჩვენდა განსაცვიფრებლად, სრულიად გაუნათლებელ პიროვნებასთან, შეიძლება ისეთ სიზმარს გადავეყაროთ, რომელიც მას მართლაც არ უნდა დასიზმრებოდა, რადგან ყოვლად საკვირველ რამეებს შეიცავს"(2,56). - სწორედ ამიტომ არ იჯერებს არც მამა იორამი ბაჩანას ნათქვამს და თავად პერსონაჟშიც ამიტომ იგრძნობა გაოგნება. იუნგის განმარტება კი ასეთია: „სინამდვილეში კი ეს სრულიად ადვილი ასახსნელია. ჩვენს სულს, ისევე როგორც სხეულს, თავისი ისტორია აქვს. ჩვენი არაცნობიერი, ისევე როგორც ჩვენი სხეული წარსულის დანაშთთა და მოგნებათა სამყოფელია. კოლექტიურ არაცნობიერს მისტიკასთან რა ხელი აქვს....."(2,56). ასე რომ, ამ მოსაზრებების საფუძველზე შეგვიძლია თამამად ვთქვათ,

რომ ნოდარ დუმბაძის შემოქმედება ფსიქოლოგიური თვალსზრისით, ღრმა შრეებს ატარებს თავის თავში, მისი პერსონაჟები არა მხოლოდ ინდივიდუალური ნიშან-თვისებების მატარებლები არიან, არამედ მათში არქეტიპული აზროვნების მახასიათებლებიც შეინიშნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დუმბაძე ნ., თხზ., II, თბ.,1989.
2. იუნგი კ.გ., სიზმრები, თბ., 1995.
3. სულხან-საბა ორბელიანი, თხზ., II, თბ., 2011.
4. იუნგი კ.გ., არაცნობიერის ფსიქოლოგია,(ქართულ ენაზე), თბ., 2009.

ირინე არჯევანიძე

სიზმარი, როგორც არქეტიპული აზროვნების გამოვლინება ნოდარ დუმბაძის პერსონაჟებში

რეზიუმე

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, როცა ფსიქოლოგიაში სიზმრის კვლევა მეცნიერულ დონეზე ავიდა, მისადმი დამოკიდებულება ლიტერატურამაც შეცვალა. ამ პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებში წარმოდგენილ სიზმრებს აშკარად დაეტყო ამა თუ იმ ფსიქოლოგიური მოძღვრების გავლენა. ცნობიერი თუ არაცნობიერი ქცევის, გმირის ღრმა ფსიქოლოგიური განცდების გამოსახატავად მწერლები ხშირად მიმართავენ ისეთ მხატვრულ ხერხს, როგორიცაა სიზმარი. ამ მხრივ, გამონაკლისი არც ნოდარ დუმბაძე ოყო.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ღრმა შრეებს ატარებს თავის თავში. მწერალი ხშირად მიმართავს სიზმარს, როგორც არქეტიპული აზროვნების გამოვლინების ხერხს მის პერსონაჟებში.

Irine Ardjevanidze

Dream as an Expression of Archetypic Thinking in Nodar Dumbadze's Characters

Summary

Since the beginning of the XX century, when studying of a dream in psychology has been erected to the scientific level, the attitude to it has changed in literature as well. In dreams from the works, created during this period, influence of different directions of the psychological doctrine is significantly noticeable. For the expression of subconscious or conscious behavior, deep psychological experiences of the character/"hero", writers address to creative ways such as the dream. From this point of view, Nodar Dumbadze as well was not an exception.

Literature of Nodar Dumbadze, from the psychological point of view, bears in itself deep stratifications. Also often the writer addresses to the dream, as to the way of expression of archetypic thinking in his characters.

Иринэ Арджеванидзе

Сон, как проявление архетипного мышления персонажей Нодара Думбадзе

Резюме

В начале 20-го века, когда в психологии изучение сна было возведено в научный уровень, отношение к нему изменилось и в литературе. В снах из произведений, созданных в этот период, заметно влияние того или иного направления психологического учения. Для выражения подсознательного или сознательного поведения, глубоких психологических переживаний героя, писатели прибегают к таким художественным способам, каким является сон. С этой точки зрения, и Нодар Думбадзе не был исключением.

Творчество Нодара Думбадзе, с психологической точки зрения, несёт в себе глубокие наслоения. Так же часто писатель обращается ко сну, как к способу проявления архетипного мышления своих персонажей.

მარინა ხანჯალიაშვილი
თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

ადამიანის არსი სულხან-საბა ორბელიანის ჰომილიებში

ჩვენ ცოტა რამ თუ ვიცით საკუთარი ადამიანური ბუნების შესახებ. ჩვენი მზერა უფრო ხშირად მიმართულია გარე საგნებისაკენ, რადგან ვფიქრობთ, თუ როგორ მოვიპოვოთ და გამოვიყენოთ ისინი და ძალზე იშვიათად, შესაძლოა, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გვიხდება დაფიქრება იმაზე, თუ რანი ვართ, ადამიანი უნდა ისწრაფვოდეს შეიცნოს „ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“. ყოველთვის, როდესაც ადამიანი ყურადღების ცენტრში ექცეოდა, თავიდან იწყებოდა მისი არსის გარკვევა, ვინაიდან არ არსებობს ბუნებაში უფრო რთული და წინააღმდეგობრივი არსება. მისი წვდომისა და შეფასებისას უამრავი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია იკვეთება როგორც ოპტიმიზმით, ასევე, პესიმიზმით აღსავსე. რა არის ადამიანი? ფილოსოფიაში არ არსებობს ამაზე რთული კითხვა „გონიერი არსება“, „მოაზროვნე ცხოველი“, „პოლიტიკური ცხოველი“, „ცხოვრების ჩიხი“, „ცხოვრების შეცდომა“, „ბუნების გვირგვინი“ და კიდევ უამრავი ეპითეტით მოიხსენიებენ მას. საკუთარ თავში ჩაღრმავება ადამიანმა ცნობიერების გაჩენის შემდეგ დაიწყო, ფილოსოფიური გააზრება კი მოგვიანებით მოხდა სოფისტებთან. მათ თავიანთი კვლევის ცენტრში ადამიანი დააყენეს ძვ.წ.აღ.-ით V საუკუნეში და დაიწყეს მისკენ შემობრუნება. ადამიანის საკითხი, როგორც ფილოსოფიის პრობლემა, სოკრატემ წამოაყენა. მან დელფოს ორაკულის ტაძრის შესასვლელის წარწერა მაქსიმა - „შეიცან თავი შენი“ - ფილოსოფიური განსჯის ღერძად აქცია. ადამიანის ორგვარ ბუნებას გამოხატავს იასპერსის ცნობილი სიტყვები: „ის, რადაც ვიცი ჩემი თავი, არ ვარ სინამდვილეში მე“ რთული გასარჩევია ადამიანის პიროვნებაში „ცხოველური“ და სპეციფიკურ-პიროვნული, ვინაიდან ის მერყეობს ცხოველურ და ღვთაებრივ საწყისებს შორის. მის ქვემოთაა „ამაოება ამაოებათა“, ზემოთ-სულიერება და ზნესრულობა.

ბიბლიის მიხედვით, ადამიანი მიწიერ ქმნილებებს შორის უმაღლეს საფეხურზე იმყოფება და მეუფებს მიწიერ არსებობაზე. „თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად, ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი მიწაზე დახოხავს. შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი“ (4, 13). ეს საღვთო ბჭობა, რომელსაც სხვა მიწიერ არსებათა შექნის დროს ადგილი არ ჰქონია იმის მიმანიშნებელია, რომ ადამიანი გამორჩეული, აღმატებული და უმაღლესი დანიშნულების ქმნილება უნდა ყოფილიყო მთელს სამყაროში. ის ღვთის ხატადაა შექმნილი, რაც პირველსახესთან მსგავსებას გულისხმობს და მის სულიერ ბუნებაში თავად საღვთო თვისებები აისახება. ცოდვით დაცემამდე პირველი ადამიანები სიკვდილსა და ხრწნილებას არ ექვემდებარებოდნენ, „რადგან ღმერთმა ადამიანი უხრწნელად შექმნა და თავისი მარადიულობის ხატად დაბადა იგი“ (4,599) – ვკითხულობთ „სიბრძნე სოლომონისაში“. მაგრამ „ეშმაკის მოშურნეობით სამყაროში სიკვდილი შემოვიდა და მისი წილხვდომილნი განიცდიან მას“ (4, 598) ცოდვით დაცემის შემდეგ ადამიანებმა იწყეს კვდომა, ხრწნილება და ეს იყო სასჯელი, რომელიც ღვთის მცნების დარღვევისათვის ერგო მათ. ხრწნილება და სიკვდილი ადამისა და ევას ცოდვის მემკვიდრეობაა, რომელიც გადაეცათ შემდგომ თაობებს. პირველი ადამიანების დაუმორჩილებლობის გამო ადამიანური ბუნება ცოდვით დაავადდა, მათი შთამომავლობა გახდა ცოდვილი არა იმ მიზეზით, რომ მათ ადამთან ერთად შესცოდეს, არამედ იმიტომ, რომ

ისინი იმავე ბუნებისანი არიან, ვისზეც მოხდა ცოდვის გაბატონება. ამრიგად, ცოდვამ, თავისი ყველა გამოვლინებით, ადამის მოდგმაში იჩინა თავი (ტერმინი „მემკვიდრეობითი ცოდვა“ დაამკვიდრა ნეტარმა ავგუსტინემ).

როგორც პროფესორი ზურაბ კაკაბაძე აღნიშნავს: „ინტერესი ასხვავებს ადამიანს ინდიფერენტული ნივთისაგან . . . დაინტერესებულობა ადამიანის ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანია. (5, 9) იგი დაინტერესებულია საკუთარი თავით, რადგან ის მას წარმოუდგენია ყოფიერების შემოქმედად. ადამიანს გააჩნია უცვლელი მისწრაფება საკუთარი თავისა და გარე სამყაროს შეცვლისაკენ. ამ პროცესში იზრდება მისი მოთხოვნილებები, რისი გაცნობიერების შემდეგაც ჩნდება მათი დაკმაყოფილების სურვილებიც. სურვილი, მოთხოვნილების ქცევითი გამოვლინებაა და კონცენტრირდება მიზნის მიღწევაზე. ამგვარად, მიზანი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებაა.

„მოთხოვნილების დაკმაყოფილების ისტორიაა ისტორია ადამიანისა. სამწუხაროდ, ამ რთულ გზაზე მოხდა ადამიანის მთლიანობის დანგრევა. „დაბადებაში“ დახასიათებული ადამიანისაგან ხშირად მხოლოდ „ხატი“ რჩება, „მსგავსებას“ „უმსგავსობა“ ცვლის. ჩნდება და ღრმავდება დისჰარმონია ფსიქიკურსა და ფიზიკურს შორის, რომელზეც პირდაპირ მოქმედებენ გარემო ფაქტორები – ბუნებრივი თუ უარყოფითი“ (7, 79).

ადამიანმა შეიძლება შესცოდოს სიტყვით, ფიქრით, საქმისადმი დაუდევრობის გამოჩენით. ცოდვიანობას შედეგად კაცთმოყვარეობის, ზნეობრიობის, ღვთის სიყვარულის დარღვევა მოჰყვება. „თუ ვამბობთ, რომ არა გვაქვს ცოდვა, საკუთარ თავს ვატყუებთ და ჭეშმარიტება არ არის ჩვენში“ (1,316). ადამიანები გარკვეულწილად მიდრეკილნი არიან საკუთარი თავის მოტყუებისა და ილუზიებში ცხოვრებისაკენ. მათ ყოველთვის როდი სურთ იცოდნენ სრული სიმართლე თავის თავზე, ერკვეოდნენ ყოფიერების ტენდენციებსა და შესაძლებლობებში, ადამიანები ზოგჯერ გაურბიან სიმართლეს, რათა გაამართლონ და ასატანი გახადონ საკუთარი ყოფიერება. ამ აქტში დამახინჯებულად გამოიხატება პიროვნული თავისუფლება. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება ადამიანებისა და შესაბამისად მთელი საზოგადოების გაცდენა სწორი ზნეობრივი გზიდან, რასაც საბოლოოდ მივყავართ სოციუმის დაღუპვამდე.

ასეთი, ჭეშჭმარიტი გზიდან აცდენილი, გზაკვალარეული ადამიანი იკვეთება სულხან-საბა ორბელიანის ჰომილიებში. ადამიანი, როგორც ინდივიდი და როგორც საზოგადოების წევრი, - აი, რა აინტერესებს დიდ მქადაგებელს.

სულხან-საბა შეფარვით საუბრობს გიორგი XI-სა და ერეკლე I-ის ტახტისათვის ბრძოლის შესახებ. ამხელს მაღალი საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენელთა შუღლს, მტრობას, გაუტანლობას, დაუნდობლობას, ადამიანთა ანგარებითა და გულგრილობით გამოწვეულ სულის დამღუპველ ქმედებას. „მსოფლიონი მთავარნი განამზადებენ პალატთა დიდთა, შეამკობენ ნოხ-ფარდაგთა და კრეტ-საბმელებითა, ბადე-კარვითა, ოქროვერცხლ-პეტლებითა და საგებელთა სხეპლათა ჩარყაფად კერულითა, რაჟამს ცოლი მისი უშობდეს, ხოლო დედა მთავრობათა და „ჴელმწიფებათა ქვაბსა შინა დაუგველსა და განუზმადებელსა შობს ღმერთსა განკაცებულსა . . . მსოფლიოთა დიდებულთა ცოლნი მიდგომილნი არა თავს-იდებენ ცხენთა აკაზმულთა ზედა აღჯდომასა ზვაობისათვის . . . ხოლო დედა უფლისა, კაცთა დამბადებლისა, ვირითა ტვირთული მივალს ბეთლემად” (6, 52) ასევე: „ვხედავ პირთა თქვენთა, რომელ ქრისტეანობასა იჩემებთ და ურცხვად და გულშიშრად ცოდვისა ქმნასა მიჰყოლიხართ . . . სჯულნი დაგიტევებიესთ და სარწმუნოებასა გარდასრულ ხართ, ბოროტისა მოქმედება მარადის განგითვისებიესთ და სჯული გულისაგან განგიშორებიესთ” (6, 56). ამ დროისათვის სარწმუნოებისადმი გულგრილი დამოკიდებულება ეროვნული გადაგვარების ტოლფასია. როგორც ცნობილია ქრისტიანულმა ეკლესიამ, რწმენამ უაღრესად დიდი როლი ითამაშა ქართულ სინამდვილეში. ის ეროვნულობის, სამშობლოს სიყვარულის შესატყვის ცნებად იქცა. სწორედ ქრისტიანობის შენარჩუნება იყო ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების საწინდარი. ეკლესია ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის კულტურულ, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ მე-17, მე-18 საუკუნეების მიჯნაზე შეიმჩნევა ეკლესიის ავტორიტეტის შერყევა. მქადაგებელი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ რწმენისადმი ამგვარი გულგრილი დამოკიდებულება ქართველი ერის დაცემის საწყისი ეტაპია.

სულხან-საბა ორბელიანის ქადაგებები გაჯერებულია ეროვნულობით, რითიც ისინი განსხვავდებიან სხვა მქადაგებელთა ჰომილიებისგან. მწერალი რწმენით და სიყვარულით მიმართავს მსმენელს/მკითხველს, უხმობს მის გულისყურს, ექსპრესიული ძალით უხატავს ცხოვრებისეულ მაგალითებს. მისი მონათხრობი ზოგჯერ ბნელი საღებავებით გვთრგუნავს, იქვე მსუბუქ, ნათელ ფერებს გვიხატავს, უზრუნველ განწყობას გვიქმნის, დაუფარავი ზიზღით მოგვმართავს, სათნოებით გვამშვიდებს, გვემუდარება, ზოგ პასაჟში წყევლა და შეჩვენება იკითხება, ზოგში კი – ლოცვა და ვედრება ადამიანისადმი, რომელშიც ერთმანეთს ებრძვის დადებითი და უარყოფითი ინტერესები. „სწავლანი“ მთლიანად გაჟღენთილია ადამიანის მიმართ სიყვარულით. აღსანიშნავია, რომ ნაწარმოებში ავტორი მიმართვას „საყვარელო“, „საყვარელნო“ 79-ჯერ იყენებს. ის, ერთგვარად, იზიარებს „სამოქალაქო ჰუმანიზმის“ პრინციპს, რის მიხედვითაც ადამიანმა უნდა იზრუნოს როგორც ინდივიდუალური, ასევე, საზოგადოების ზნეობრივი სრულყოფისათვის. ის მზად უნდა იყოს ემსახუროს ქვეყნის კეთილდღეობას, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდეს. მან თავისი მორალის პრინციპები საზოგადოებისას უნდა შეუთავსოს. საბა საკუთარ თავსაც ამ „სოფლისმოყვარე“ ადამიანების გვერდით მოიაზრებს და ამ გზით ცდილობს მსმენელში/მკითხველში საკუთარი „მეს“ შეფასების, პიროვნული ღირსების ამაღლების გზით ადამიანთა გამოფხიზლებას, მათ ჩაყენებას საზოგადოების სამსახურში, ის იმდენად განიცდის თანამოძმეთა ჭეშმარიტი გზიდან გადაცდენას, რომ როგორც თვით საბა გვიხსნის: „ამისი საგონებელი ესრეთ გამჭდის: თავით ფერჭთამდე ძრწოლა შემედების, ფერი მიმეჭდების და შიში ცნობასა ჩემსა შესწვავს“ (6, 56). გამოთქმებში „გვიხარის“, „შთავვარდეთ“, „არს საგონებელ ჩვენდა“, „ვითარ განვემზადნეთ“, „რაი ვპოვოთ“, „მოვალს მოძღვარი ჩვენი“, „მივეგებოდეთ ნებსით“, „განვეკრძალენით დღესა მას საშინელსა და განვემზადენით აღდგომისა ჩვენისათვის და მოველოდეთ ქრისტესა“, „ნუცაღა გულსა შინა მცირედ განვივლებთ ბოროტსა“, „აწ ვიწყოთ კეთილისა ქმნად კაცთა ამათ“, „შევინანოთ და ვიღვაწოთ“, „ვიმუშავოთ თავით ჩვენით“, „განვიოტებდეთ სრბით გულის სიტყვათა ჩვენთა“, „ვიყვნეთ მშვიდ“, „ვიქმნეთ მარცვალი იფქლისა და არა ღვარძლისა“, „მკვდარნი აღდგომად ვართ“, „ქედდადრეკითა წარდგომად ვართ“, „ზედა ზედა ვიგონებდეთ სიკვდილსა“, „მოველოდეთ ლხინებასა“ – ჩანს ავტორის მრევლთან გატოლების სურვილი. „მოუბეზრებლად მოწოდება იმისა, რომ „ის“ არის „თქვენ“-ის, „ჩვენ“-ის ნაწილი, მთლიანობის ნაწილი: რომ „მთლიანი“ „მთელთა“ კავშირია; რომ „მთლიანი“ ვერ იქნება, თუ მას აკლია „მე“, „შენ“, „ის“ – და ამავე დროს „მე“, „შენ“, „ის“ – თვით უნდა იყოს მთელი, სრულყოფილი“ (7, 82). ამგვარად ავტორი საკუთარ თავს ცოდვილთა, უმეცართა გვერდით მოიაზრებს. საბა გვევლინება „წმინდა მხედრად“.

საოცარია მქადაგებლის მიმართვები, რომელთა საშუალებითაც ის ადამიანებში ჰუმანიზმის დათესვას, საკუთარი ღირსების შეგრძნების წარმოჩინებას ცდილობს: „ხედავთა, ძმანო ქრისტესნო, რამეთუ არა ჯერ-არს მიმსგავსება თქვენი მეზვერეთა და ცოდვილთა, არამედ მსგავსება ქრისტესი?“, (6, 90). „აწ, საყვარელო, ოდეს მოავლინოს ღმერთმან უცხო ვინმე კართა შენთა, მიეგებოდე სიხარულითა“ (6, 102). „ნუ სცთებით, საყვარელნო, ნუ მიჰყოლიხართ სოფლისა ამის სიმუხთლესა“ (6, 142) „გესმით, საყვარელნო, უბრალოდ განსყიდულმან იოსებ ვითარ შეუნდო ძმათა ძისთა შეცოდებანი?“ (6, 162) „აწ საყვარელნო, განვიცადოთ კაცად-კაცადმან სვინდისი თვისი და მივისწრაფნეთ აღსარებისა მიმართ“ (6, 190), „ჰოი, საყვარელნო, ისმინეთ მოციქულისა და ნუ დაითრვებით ღვინითა და ნუცაღა დაითრვებით უღვინოდ“ (6, 198), „იუწყეთ, საყვარელნო, იესუ ქრისტემან, ღმერთმან ჩვენმან, ცოდვილთათვის ვნებულმან ყოველი ცოდვილი შეიწყალა“ (6, 219) „ნუ საყვარელნო, ზვაობა ოდესცა მოგიჯდეს, მიირბინე საფლავად და შთაიხედე სამარხოთა მკვდართასა“ (6, 123). აქვე გვესმის ავტორის მოთქმა-გოდება: „ვაი, ვერცხლის მოყვარეთა!“ „ჰოი მაგონებელნო“, „ჰოი უგუნურება, ჩვენი მორწმუნენო!“, „ვაი, ჩვენდა ქრისტეანენო!“, „ჰოი ცოდვილნო“, „ვაი, საწყალობელსა!“, „ჰოი, კაცო, გულქვავ!“ . . . საბა წუხს ადამიანთა ზნედაცემულობის, ღვთაებრივი ნათელის დაკარგვის გამო, ამასთან ერთად, საკუთარ თავს მათში, მათთან ერთად, მათ გვერდით ხედავს და ძრწის მომავალი სამსჯავროს წინაშე. ქრისტიანული იდეების დაცვა არგუ-

მენტაციას საჭიროებს. უაღრესად ერუდირებული მწერალი თავის ერთ-ერთ სწავლაში „სწავლა ჯოჯოხეთის სატანჯველისათვის“, ჯოჯოხეთის რეალურად არსებობის დასამტკიცებლად ხელშესახებ მაგალითებს ასახელებს. ამ შემთხვევაში იგი წმინდა მამათა მოძღვრებას არ მიმართავს, რათა მსმენელისათვის/მკითხველისათვის მისი მონათხრობი უფრო გასაგები იყოს. ამ მიზნით მქადაგებელი ახსენებს მსმენელს დასავლეთ ევროპის სამ ვულკანს. „ქვეყანასა ზედა მრავალთა ადგილთა შინა ჩანან პირნი ჯოჯოხეთისანი: საფრანგეთს სამნი მთანი არიან, რომელ თავსა ზედა მთათა არიან მაოხრებელნი და პარეხნი, რომელთაგან აღმოდიან კვამლი, ნაცარი და ალი ცეცხლისა . . . აჰა, არს ჯოჯოხეთი . . . ჯოჯოხეთი ერთი ბნელი და მყრალი ადგილი არს გულსა შინა ქვეყანისასა, ყოვლითურთ ღმრთის რისხვითა და გულის წყრომითა სავსეს, სადა საწყალობელნი ცოდვილნი, ვითარცა ძაღლნი მშიერნი და მარადის ცოფიანნი, რბიან . . . სადა საწყალობელნი სულნი მოუთმენლად იტანჯებიან“ (6, 63).

ადამიანზე დაკვირვებისას ყურადღება უნდა მივაქციოთ მისი ყოფიერების თავისებურებას. ადამიანი არ გამოვლინდება სავსებით ადეკვატურად ფაქტობრივ ქცევაში და ამიტომ არ უნდა შევიზღუდოთ მხოლოდ ფაქტობრივი ქცევის აღწერით. ადამიანს, ზურაბ კაკაბაძის აზრით, ახასიათებს „ჯერარსი“, რომელიც არ წარმოადგენს წარსულის ან აწმყოს ფაქტს, არამედ ამ უკანასკნელთა აუცილებლობით მოსალოდნელ შედეგს. თავისი არსით „ჯერარსი“ ეს არის მოქმედების ისეთი ნორმა, რომელიც ადამიანის თავისუფალი ნებითაა განპირობებული. საზოგადოების ცოდვიდან, გზასაცდენილი სტერეოტიპებიდან გამოყვანისათვის არსებობს როგორც იძულებითი, ასევე შეგონებითი მეთოდი. პირველი ნაკლებ შედეგიანია და ეს შესანიშნავად იცის მქადაგებელმა, ხოლო მეორე – საიმედოა, მაგრამ რთული, ვინაიდან მისი რეალიზება უნდა მოხდეს პიროვნების აზროვნების, მისი ცნობიერების საშუალებით, მსმენელი/მკითხველი სწორ დასკვნამდე გონებით, აზროვნებით უნდა მივიდეს და გააზრების შემდეგ მოახდინოს რეფლექსია, ხოლო ბოლოს, ყოფა-ცხოვრებაში მოსმენილის/წაკითხულის დანერგვა. ამდენად, სულხან-საბა საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე დგას. მისთვის მიუღებელია კატეგორიული იმპერატივის პრინციპი, მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტება მის მხარესაა გადახრილი. მქადაგებელმა შესანიშნავად უწყის, რომ ადამიანი თავისუფალი, ავტონომიური არსებაა. თავისუფლება კი მოიაზრება, როგორც ყოფიერება და ადამიანის არსებობის ნიშანი, ნებისყოფისა და გონების ისეთი ურთიერთობა, სადაც ნება გონების მოთხოვნებს ემორჩილება, ხოლო თავისუფლება უნდა იყოს მორალური კანონი და მის საფუძველზე მოქმედება. სწორედ გონის ე.წ. „გულისხმიერების“ პრიმატია დამახასიათებელი სულხან-საბას ქადაგებებისათვის. მოვუსმინოთ ავტორს: „ჩვენ კაცთა გულისხმიერთა და სიბრძნის მოყვარეთა მორჩილება ჩვენი უაღრესთა ჩვენთა“ (6, 115), „თვით შენ რასა ეტყვი თავსა შენსა, ანუ გონება შენი რასა გეუბნების?“ (6, 35), „საყვარელნო, გულისხმა-ყავთ და გრწმენინ, რამეთუ აღსარებისა მიერ აღიჴოცებიან ცოდვანი კაცთანი“ (6, 38) „განიხილე ეგე, ვითარმედ: რა ჴორციელი ესე კაცი სხვასა ვისმე მოყვასსა განურისხნების, მტერობასა იჩემებს“ (6, 79) „ვინადთგან პირუტყვი და უმეცარი ძაღლი ესრეთ მორჩილი არს, არა ჯერ-არსა ჩვენ კაცთა გულისხმიერთა და სიბრძნის მოყვარეთა მორჩილება ჩვენი უაღრესად ჩვენთან?“ (6, 115).

სულხან-საბას თითოეული ქადაგება ღმერთისა და ადამიანის სიყვარულით სუნთქავს, მისი ყველა სიტყვა ჰუმანიზმის დიდი გრძნობითაა გამსჭვალული. ამასვე ასწავლის მსმენელს/მკითხველს: „სიყვარული მცნებად იგი პირველი არს, სიტყუად იგი, რომელი მესმა პირველითგან – დასწერს იოანე მახარებელი“ (6, 88), „გულნი თქვენნი უმტკიცესად-რე დაემყარნეს სიყვარულსა ზედა?“ (6, 88), „სიყვარული გარდამეტებული გაქვნდინ, რამეთუ სიყვარულმან დაფარა სიმრავლე ცოდვათა“ (6, 88) „რა არს ძმანო, საყვარელნო, გარდამეტებული სიყუარული გულითა წმიდითა? ესე არს, რათა შეურყევლად, შეუორგულებლად, სიწმიდით გიყვარდენ ყოველნი კაცნი, არა მხოლოდ ნათესავნი და მოყვარენი, არამედ უცხონიცა და მტერნიცა“ (6, 88). დიდი მქადაგებელი სიყვარულთან ერთად სინანულისაკენაც მოუწოდებს ადამიანებს: „ვითარცა ჯეჯილი ახალი აღორძინდებოდეს, ჯერ-არს მას ჟამსა კაცმან ვინმე პოვოს მდელო, ანუ შამბი და

გამარგლოს, ხოლო, უკუეთუ მაშინ არა განიწმინდა, შეიშთობის ეკალთა მიერ და უკეთუ კვალად თავ-ასხმისა ჟამთა არა განიმარგლა, არღარა არს ჟამი გამარგვლისა, მკისა ჟამსა, რამეთუ ეკალნი და ყანანი მის მიერ შეშტობილნი ერთბაშად მოიმკებიან. ეგრეთვე რომელსა ენებოს სინანული, ჟამი არს სინანულისა, რათა ადრე იქმოდეს და სწრაფით იწყოს გლოვად“ (6, 84). სულხან-საბა მრევლს მოუწოდებს საკუთარი არარაობის შეცნობისაკენ, ვინაიდან სადაც სინანულია, იქ ღვთის შენდობა და მისი წყალობაა.

სულხან-საბა ორბელიანის ქადაგებანი მოწოდებულია ღვთისმიმსგავსებული ადამიანის ჩამოყალიბებისაკენ. მისი მრევლისადმი დამოკიდებულება მეტად სათუთი და რიდით, მოწიწებით, სიყვარულით აღსავსეა. მისი იდეალია არა „ამპარტავნებითა, მრისხანებითა, სიძულვილითა, შურითა, ძვირის -ჴსენებითა, არაწმიდებითა“, არამედ „აღვსებულნი ყოვლითა კეთილითა, სიყვარულითა, მოთმინებითა, სიმდაბლითა, სიმშვიდითა, სიწყნარითა, სიმართლითა სიწმიდითა, ქველის საქმითა“ ადამიანი. სიკეთე და მხოლოდ სიკეთე მიაჩნია მქადაგებელს პიროვნების სიდიადის გამოვლენად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
2. ბარამიძე რ., ნარკვევები ქართული მწერლობის ისტორიიდან, თბ., 1990.
3. ბერიძე ი., თავართქილაძე მ., ფანცულია თ., ფილოსოფია, თბ., 2009.
4. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989.
5. კაკაბაძე ზ., ადამიანი, როგორც ფილოსოფიური პრობლემა, თბ., 1987.
6. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ.III, გამოსაცემად მოამზადა ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1963.
7. ჯიქია ა., სულხან-საბა ორბელიანის ჰომილიათა შესწავლისათვის, ჟურნალი „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“, თბ., 2000, №3.
8. ჯიქია ა., სულხან-საბა ორბელიანის ქადაგებათა ესთეტიკისათვის, ჟურნალი „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“, თბ., 2001, №4.

მარინა ხანჯალიაშვილი

ადამიანის არსი სულხან-საბა ორბელიანის ჰომილიებში

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სულხან-საბა ორბელიანის ქადაგებათა კრებულის „სწავლანის“ რამდენიმე საინტერესო ასპექტი. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ბუნებაზე ზოგადად და კერძოდ, სულხან-საბას დამოკიდებულებაზე მსმენელსა და მკითხველთან. მითითებულია, თუ რა დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია ადამიანს, როგორ ხდება მის მიერ საკუთარი თავისა და გარე სამყაროს შეცნობა. სულხან-საბა აკვირდებოდა ჭეშმარიტი ქრისტიანული გზიდან აცდენილ ადამიანებს და თავის ჰომილიებში მოუწოდებდა მათ გამოფხიზლებისაკენ. მწერალი ადამიანთა დასამოძღვრად მიმართავს არა იძულებით, არამედ შეგონების მეთოდს.

Marina Khanjaliashvili

Human Essence in Sulkhan - Saba Orbeliani Homilies

Summary

The article deals with the collection of preaching of Sulkhan Saba Orbeliani „Stsavlani“, some interesting aspects. By focusing on human nature in general and in particular, the material is attributed to the attitude of Sulhkan Saba Orbeliani with the audience or readers. The paper discusses the advantages and disadvantages of a person by how they understand themselves and the outside world. Sulkhan-Saba ob-

served the true Christian lifts in his Homilies of delinquent people and he was urging them to wake up. Writer teaches people not internally, but by also with a method of reproof.

Марина Ханджалиашвили

Человеческая сущность в гомилиях Сулхан - Саба Орбелиани

Резюме

В статье рассматриваются коллекции проповеди Сулхан-Саба Орбелиани ,,Сцавлани“, некоторые интересные аспекты. Сосредоточив внимание на человеческой природе в целом и, в частности, материал связывается с отношением Сулхан-Саба Орбелиани, с аудиторией или читателей. В статье обсуждаются преимущества и недостатки человека по тому, как они понимают себя и окружающий мир. Сулхан-Саба в своих гомилиях наблюдал истинные христианские подъемы провинившихся людей, призывая их возбуждению. Писатель учит людей не методом принуждения, а с помощью метода увещевания.

თამარ ბარისაშვილი

თბილისის №24 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი

...და კვლავ ფიქრები დავით გურამიშვილზე

ათეული წლის წინ საგანმანათლებლო რეფორმის ფარგლებში მიმდინარეობდა ოთხწლიანი პროგრამა – „ირმის ნახტომი“, რომელიც თავისთავად ითვალისწინებდა საქართველოს მასშტაბით სკოლების ჩართვას ერთიან ინტერნეტქსელში. სწორედ ეს პროგრამა ახორციელებდა ლიტერატურულ პროექტს „ვახტანგ VI,“ რომლის მიზანი იყო მასწავლებელთა და მოსწავლეთა ძალებით მთელი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის დიგიტალიზაცია. ელექტრონული რესურსების მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომი ხდებოდა ქართული ლიტერატურის მდიდარი ტექსტური და აუდიო მასალა.

თბილისის №24 საჯარო სკოლის ქართულის კათედრას დავით გურამიშვილი გვხვდა წილად. მე ამ პროექტს ვხელმძღვანელობდი, ასე დაიწყო ჩემი დავით გურამიშვილთან „დაახლოება“. პირველად სწორედ მაშინ ჩავუღრმავდი დავითის როგორც პოეტისა და მოაზროვნის, მამულიშვილისა და შემოქმედის, ქრისტიანი თეოლოგისა და გამომგონებლის, მებრძოლისა და მეურნის ღვაწლს, ზოგადად, დავით გურამიშვილის ფენომენს.

ჩემს მოსწავლეებთან ერთად გავეცანი არაერთ სამეცნიერო ნაშრომს, შევხვდით მკვლევარ-მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებს, პოეტებს, მწერლებს, საპატრიარქოს უმაღლეს სასწავლებელთა პროფესურასა და ხელნაწერთა ინსტიტუტის მუშაკთ, პროექტი „დავით გურამიშვილი“ თემატურად გავშალეთ და შევავსეთ სხვადასხვა მიმართულებით: ბიბლიოგრაფია, ბიოგრაფია, ეპოქა, ისტორიული სიმართლე, გურამიშვილი ნოვატორი, საზოგადოებრივი აზრი ქართველ პოეტზე, საქართველო და უკრაინა, აფორიზმები, თარგმანები, გურამიშვილი ხელოვნებაში (მუსიკა, კინო, მხატვრობა, ხუროთმოძღვრება), გამომგონებელი, ნიზამი და გურამიშვილი, მეტრო „გურამიშვილი“, ერთი სიყვარულის ამბავი...

დრო დაუნდობელია, სამწუხაროდ, დღეს ვეღარ შევხვდებით და ვერ ვიგრძნობთ ბატონ რევაზ სირაძის მხურვალე გულს, სიყვარულით ანთებულ თვალებს დავით გურამიშვილის პოემაზე მსჯელობისას, ვერც ბატონ მერაბ ბერძენიშვილს გავესაუბრებით და-

ვითის ძეგლის თაობაზე... ვერ მოვისმენთ მის წუხილს დავით გურამიშვილის ძეგლის ირგვლივ გამეფებულ უხერხულ პირობაზე...

უხსოვარ დროს ქართველთა ამალამ და მირიან ბატონიშვილმა მდინარე დონის გადმოლახვისას სასწაულებრივად გადაარჩინეს „დავითიანის“ ხელნაწერი. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევინარჩუნეთ და ვერ ვიხსენით „მსახვრალი ხელისგან“ პროექტი „დავით გურამიშვილი.“ რასაც ვერ წარმოვიდგენდით, ის მოხდა: გვეგონა, საერთაშორისო ქსელში (საავტორო უფლებით, მისამართზე – Guramishvili.ge) პოეტს მივუჩინეთ ბინა და დავაყუდნეთ, მაგრამ ერთ დღეს ვერც განათლების სამინისტროსა და ვერც სკოლის ვებ-გვერდზე ვერ მივაკვლიეთ ნაშრომს.

ადამიანთა უპასუხისმგებლობამ გაგვწირა, თუ ისევ და ისევ დავით გურამიშვილის უიღბლობამ, არ ვიცი, ფაქტია, არაერთგზის დაჯილდოებული (ორგზის პირველი ხარისხის დიპლომით) პროექტი დაიკარგა... „ახლა მობრძანდი, მნახველო, მნახე“, – „საფლავის ქვაზედ დასაწერი ლექსი“ კვლავ გვახსენებს: გურამიშვილი მომკითხველს, მნახველს და მსმენელს გვიხმობს, გვეძახის...

საგაკვეთილო პროცესში, მოსწავლეებთან საუბრისას ხშირად ვამახვილებ ყურადღებას დავით გურამიშვილის, როგორც პიროვნებისა და მოქალაქის ყოფა-ცხოვრებაზე, მის ადამიანურ ბუნებასა და სვე-ბედზე. მართალია, მკვლევარნი და ლიტერატურათმცოდნენი უფრო რელიგიურ- სუფიურ სამოსში ხვევენ მის პოეზიას, მაგრამ მან ამ ქვეყნად ხომ სრულყოფილი კაცის ჭეშმარიტი ცხოვრებითაც იცხოვრა. სწორედ ამის გამოხატულებაა „ქაცვია მწყემსი“ და „ზუბოვკა“.

კლასგარეშე მუშაობისას ელგუჯა მაღრაძის „გოდებასაც“ თუ წავაკითხებთ, მოსწავლეთათვის შორეული დიდაქტიკოსი არ დარჩება მხოლოდ „ქართლის ჭირის“ მეისტორიედ და სწავლის აუცილებლობის მქადაგებლად.

სიყვარული თავად უფალია და გამორჩეულ მოკვდავთ სწორედ ამ გრძნობის მეშვეობით ძალუძთ მკვდრეთით აღდგომა, ამ მხრივ დავით გურამიშვილი გამონაკლისი როდია.

„ვიდრე ჟამი დაჰკრავდეს, მხოლოდ შენს წიაღში მწადს ყოფნა, მხოლოდ შენა ხარ ის მყუდრო სავანე, სადაც მე უნდა ხშირად განვისვენო. რა დედამ გშობა ეგზომ ტურფა!

შენს დანახვაზე გული ძგერას უმატებს და სხეულს შემწველი ცეცხლის მგზნებარება წვავს. როგორი დამყოლი იყავი, მიუხედავად შენი ნებიერებისა, როგორი თვინიერი და სათნო ხასიათი გქონდა. ახლა კი ხშირად ჭირს შენთან ურთიერთობის დამყრება. შეუსმენელი გახდი, უყურადღებო, სხვისი ჭირის არად ჩამგდები. ვკითხულობ და ვერ გამიგია, რატომა გგვრის ჩემი დაჭრილი გულის კვნესა სიამოვნებას. ხშირად, შენი გაჰაჯირ სიტყვის გამო, მიფიქრია ამქვეყნიურ ამაოებაზე. შენი თანადგომის გარეშე მე უძლური ვარ, შენს იქით გზა არ მაქვს. შენ კიდე გამირბიხარ, ობოლი გრძნობა ასე უღვთოდ უნდა გასწირო?

როგორც ღვთის მონას, ალბათ, შენც გაკისრია რაღაც ვალდებულება გარდა ე მაგ შენი სიამოვნებისა. ალბათ გაჭირვებულ კაცს უნდა უთანაგრძნო. იმ დღეს ჩაგყურებდი სახეში, პირზე ღიმილი გეფინა, შენი ელვარე ღიმილი და აჟუჟუნებულნი თვალნი, ალმასებრ ყველაფრის გამკვეთნი, მე ახლაც მახსოვს ის შენი ღიმილი – ისე იღიმებოდი, თითქოს ისევ გიყვარდი“(8, 100).

„...წყალწაღებული ხავსს ეჭიდება ნიადაგ და მე იმის იმედით ვიცოცხლებ, რომ შენ კვლავ ჩემი იქნები...

ერთი რამ კი ვერ გამიგია! მე პირდაპირი კაცი ვარ და მუდამ იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ. ამ დღესავით ნათელ საქმეს, ჩვენს სიყვარულს, რატომ უგონებ რაღაც ხლართებს და დაბრკოლებებს, რატომ არ გინდა ისეთივე ნაღდი, უშურველი, გულისხმიერი და ნათელი ადამიანი იყო, როგორიც წინა წლებში. შენ შენი სინაღდითა და სიალალითა ხარ კარგი, მიმზიდველი, საოცნებო და სანეტარო(8,100),“ – ეს და არა მხოლოდ ეს, სხვა სამიჯნურო ბარათებიც ინახებოდა იმ მუყაოს საქაღალდეში, რომელიც მოიპოვა დმიტრო კოსარიკმა, ქართველებზე ამაგდარმა უკრაინელმა მკველვარმა.

მისი გარდაცვალების შემდეგ, დორა დავიდენკომ ეს საქაღალდე ქართულ დელეგაციას გადასცა, დავით გურამიშვილის დაბადებიდან 275 წლისათვის იუბილეს დღეებში.

აღსანიშნავია, რომ სწორედ დმიტრო კოსარიკმა მიაგნო გარდაცვალებულის საფლავზე, თუჯის ფირფიტაზე შთენილ წარწერას: „Князь Давид Гурамов“.

დავუბრუნდეთ ჯერ კიდევ უკრაინაში მყოფ გამიჯნურებულ პოეტს:

„ზუბოვკიდან მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა, შვენიერი, მაზე დამრჩა თვალი...
ვკითხე, მზეო, სიდამ მოხვალ, ხარ სად წამავალი?
გეაჯები, მაცოდინე შენი გზა და კვალი,
შენთვის გული ქვად გარდმექცა, გახდა, ვით კლდე სალი,
მასხი წყალი, დამიშრიტე, მე შენი მწვავს ალი“(2, 179-180).

ნათელია, გზნება და ლტოლვა ქალისადმი უცხო არ არის გურამიშვილის შემოქმედებაში, თუმცა მეცნიერთა აზრით (კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე, მერაბ დაღანიძე, რევაზ სირაძე, რევაზ ბარამიძე...), ის უაღრესად მორწმუნე, ღვთისმოსავი პოეტია, ამიტომ „ზუბოვკა“ თავისი ჩანაფიქრით წმინდა ალეგორიაა, სუფიური წარმოშობის მისტიური აზრის შემცველი.

მე არ გამოვრიცხავ, რომ სასიყვარულო ბარათები, რომელიც თარგმნილია კიევის უნივერსიტეტის მასწავლებლის – ზინაიდა უვარენკოს მიერ, მართლაც ეკუთვნოდეს ქართველ პოეტს -- დავით გურამიშვილს. ამას მაფიქრებინებს ამ ბარათებში ჩატეული გრძნობის სიმხურვალე და თავად სიყვარულისადმი ზეაღმატებული განცდა, როგორც რუსთაველი იტყოდა, „სიყვარული არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი...“ და გალაკტიონს დავესესხები, „არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ.“

ნიკოლოზ ბარათაშვილის უკვდავყოფის მაგალითიც საკმარისია ამ თვალსაზრისის დასტურად, რასაც ისევ ეკატერინე ჭავჭავაძის სიყვარულმა უმოციქულა.

ლამისყანიდან მირგოროდამდე 312 წლის მერეც გზა ვიწრო ბილიკათა თუ შარაგზით, ქართველთ კვლავ დასაკვალ-მოსაძიებელი გვაქვს, რომ მივუახლოვდეთ პოეტის განცდებს, ემოციებს, უკვე მინავლულ ქართულ, ჭეშმარიტ სულს და ავხსნათ ქარაგმა – გურამიშვილის ფენომენი.

ვფიქრობთ, „დავითიანი“ როგორც ავტობიოგრაფიული ნაწარმოები, პოეტის პიროვნების ამოცნობის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ შესასწავლია.

საქართველოსა და უკრაინას შორის კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობა უკვე იძლევა ყველა პირობას ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის. დავით გურამიშვილი იმ მასშტაბის შემოქმედია, რომლის ცხოვრებისა და აზრთა უკეთ გასაცნობად საჭიროა დამუშავდეს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა. ყოველივე ეს, ცხადია, მოქმედ მასწავლებელთა საკეთებელია, თუმცა ჩვენ ღრმად უნდა ვიყოთ დარწმუნებულნი, რომ რუდუნებით გაწეულ შრომას განათლების სამინისტროს მესვეურნი კვლავ უდიერად არ მოეკიდებიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარამიძე რ., ქრისტოლოგიური პრობლემები დავით გურამიშვილის შემოქმედებაში, დავით გურამიშვილი 300, სამეცნიერო კრებული, თბ., 2005.
2. გურამიშვილი დ., „დავითიანი“, ალ. ბარამიძის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბ., 1948.
3. დათაშვილი ლ., „დავითიანის“ სწავლებისათვის, თბ., 1998.
4. თვარაძე რ., თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა, თბ., 1985.
5. კოსარიკი დმიტრო, დავით გურამიშვილი უკრაინაში, თბ., 1957.
6. კეკელიძე კ., ბარამიძე ალ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1987.
7. მაღრაძე ე., გოდება, ანუ ცხოვრება დავით გურამიშვილისა, თბ., 1974.
8. მაღრაძე ე., მსურიან მისთა ყვავილთა ყნოსანი, ჟურნალი „ცისკარი“, 1997 №4.
9. ნათაძე ნ., „დავითიანის“ დიდი საიდუმლო, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1972.
10. სირაძე რ., ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, თბ., 1987.

თამარ ბარისაშვილი

...და კვლავ ფიქრები დავით გურამიშვილზე

რეზიუმე

პროექტი „დავით გურამიშვილი“, მართალია, აღარ არის განთავსებული თბილისის №24 საჯარო სკოლის ვებ-გვერდზე, სამწუხაროდ, არაერთგზის გამარჯვებული ლიტერატურული ნაშრომი დაიკარგა, მაგრამ ჩვენ მაინც არ ვწყვეტთ დავით გურამიშვილის, როგორც პიროვნებისა და შემოქმედის შესახებ კვლევა–ძიებით საქმიანობას და ამჯერად შევეხებით ერთი სიყვარულის ამბავს, რომელიც გარკვეულ ლიტერატორთა და მკვლევართა აზრით, დავით გურამიშვილის პირად ცხოვრებას უკავშირდება. ჯერ კიდევ ილიასა და აკაკის ინიციატივით, დაიწყო პოეტის ცხოვრების გზის შესწავლა, რომ არა უკრაინელი მკვლევარი დმიტრო კოსარიკი, თავადი დავით გურამიშვილის სამარეც იქნებ ამოუცნობი ყოფილიყო. ვფიქრობთ, დადგა დრო, როცა ორი ქვეყნის - საქართველოსა და უკრაინის საერთო ძალისხმევით, ერთობლივი პროექტის საფუძველზე უნდა გაგრძელდეს - პიროვნებისა და მოღვაწის დავით გურამიშვილის, პოეზიისა და ღვაწლის, თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით მოძიება და მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამების ფარგლებში სასწავლო-საალმზრდელო საქმიანობის წარმართვა.

Tamar Barisashvili

...and again, Thoughts about David Guramishvili

Summary

It’s true, the project “David Guramishvili” is no longer placed in the website of Tbilisi public school #24. Unfortunately, the literature work, which won many times, was lost, but we don’t stop researches about David Guramishvili, as a person and about his creativity and activity, and now we’ll discuss one love story, which is in connection with the personal life of David Guramishvili according to certain literature and researcher’s opinions. Yet, by the initiative of Ilia and Akaki, the study of poet’s life was started, and if not the Ukrainian researcher Dmitri Kosaryk, the grave of David Guramishvili hasn’t been recognised.

I think, it’s time, when the research of the poetry and merit of person and the worker David Guramishvili should be continued with common efforts of two countries – Georgia and Ukraine, on the basis of joint project by the means of modern technologies. And to conduct the training and educational activities in the frames of teacher exchange program.

Тамар Барисашвили

. . . и опять мысли о Давиде Гурамишвили

Резюме

Не смотря на то, что проект “Давид Гурамишвили” уже не выставлен на сайте №24 средней школы г. Тбилиси, мы не прекращаем биографические и литературные исследования этой личности. В статье описана одна любовная история, которая, по мнению некоторых литературоведов, связанна с именем поэта. У истоков исследований жизни Давида Гурамишвили стоят Акакий и Илья, Если бы не украинский исследователь Дмитро Косарик, даже могила грузинского поэта не была бы известна. Считаем, что настало время, усилиями грузинского и украинского народов, на основе совместного проекта, путём включения современных технологий, продолжить изучение жизни и наследия поета и деятеля Давида Гурамишвили. Проект также должен подразумевать программу обмена учителей средних школ и соответственно осуществление в этих рамках учебно-воспитательной работы.

განათლების მეცნიერებანი

ლია მენთეშაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

სწავლა როგორც ცოდნის შეგნებული და აქტიური შეთვისების პროცესი

ცოდნა არის სინამდვილის პრაქტიკულად შემოწმებული, დასაბუთებული ასახვა ადამიანის ცნობიერებაში. ცოდნა აუცილებელია სამყაროს გარდაქმნისათვის. იგი გვეძლევა ცნებების, მსჯელობების, გარკვეული დასკვნებისა და წარმოდგენების, თეორიების, შეხედულებების სახით. „არჩევენ მოჩვენებითსა და ჭეშმარიტ ცოდნას. პირველი ემყარება მეცნიერული მეთოდებით დაუდასტურებელ წარმოდგენებსა და შესაძლებლობებს, რომელიც არ არის პრაქტიკულად შემოწმებული, ხოლო ჭეშმარიტია ცოდნა, რომელიც მიიღება მეცნიერული მეთოდებით და ობიექტური შემოწმების შესაძლებლობას ექვემდებარება. ნამდვილი, ჭეშმარიტი ცოდნა ემყარება ან ლოგიკურ მტკიცებას, ან ცდას. ცოდნა თაობიდან თაობას ორი გზით გადაეცემა: 1. პრაქტიკული საქმიანობის გზით და 2. ორგანიზებული სწავლების საშუალებით“ (3,70).

ცოდნის საფუძველზე ყალიბდება უნარი. ეს არის მოსწავლის მზადყოფნა გარკვეული სასწავლო მოქმედების შესრულებისათვის. ცოდნის თანმიმდევრულად, შეგნებულად, აქტიურად და მტკიცედ დაუფლება სწავლების ძირითადი ამოცანაა.

„ცოდნასთან უშუალოდაა დაკავშირებული „ცნება შეთვისება, რომელიც მოსწავლის სასწავლო-შემეცნებითი მოქმედების დასრულებულობას გამოხატავს. მას ხშირად ცოდნის დაუფლების, შეთვისების პროცესსაც უწოდებენ. შეთვისების გარეშე არ შეიძლება წარმოვიდგინოთ განათლებულობა, ცოდნა“ (6, 43).

ცოდნის შეთვისება შეუძლებელია თვით მოსწავლეთა აქტივობის გარეშე. მოსწავლეები მასწავლებლის ხელმძღვანელობით გადიან გარკვეულ გზას არცოდნიდან ცოდნისაკენ.

მოსწავლეებმა სწავლების შედეგად უნდა შეითვისონ ის ჭეშმარიტი ცოდნა, რომელიც სწორად ასახავს გარე სამყაროს საგნებს, მოვლენებსა და მათ შორის არსებულ კავშირებს.

სწავლების პროცესში აუცილებელია მუშაობა ცოდნის განმტკიცებისათვის; სწავლების პროცესში შედის გეგმაზომიერი, მიმდინარე მუშაობა მოსწავლის გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური ძალების განვითარებისათვის.

განვითარების ყველაზე ადრეულ საფეხურზე, სკოლამდელის წინარე ასაკში, როდესაც ბავშვი ეუფლება მეტყველებას და ქცევის ელემენტარულ ჩვევებს, გადამწყვეტ როლს მის „სწავლაში“, როგორც ცნობილია, ასრულებს მიმბაძველობა. აზროვნების როლი აქ მეტად უმნიშვნელოა, მაგრამ არ იქნებოდა მართებული აზროვნების ელემენტების არსებობის უარყოფა ბავშვის განვითარების ყველაზე ადრეულ საფეხურზეც კი. ყოველივე ეს აზროვნების მხოლოდ საწყისებია, აღქმისა და მოქმედების პროცესებიდან გამოუყოფელი. განვითარების ამ საფეხურზე ბავშვი „აზროვნების“ მხოლოდ იმ მომენტშია, როდესაც იგი აღიქვამს და მოქმედებს. აქ აზროვნების დამოუკიდებელი მნიშვნელობა ჯერ კიდევ არა აქვს. მხოლოდ ბავშვის საერთო განვითარების ზრდასთან, მისი მოქმედების გაფართოებასა და მეხსიერების განვითარებასთან ერთად, უკვე სკოლამდელი ასაკიდან იზრდება და ვითარდება ჯერ ხატოვანი, ხოლო შემდეგ ლოგიკური აზროვნების უნარი. ასაკის მატებასთან ერთად, აზროვნების პროცესი სულ უფრო და უფრო დამოუკიდებელ პროცესად იქცევა, რომელიც უშუალოდ აღქმასა და მოქმედებასთან აღარ არის დაკავშირებული.

ბავშვს თანდათან უვითარდება უნარი იფიქროს არა მარტო იმაზე, რასაც ხედავს და აკეთებს მოცემულ მომენტში, არამედ იმაზეც, რასაც ხედავდა და აკეთებდა წინათ,

და იმაზედაც, რაც სურს დაინახოს და გააკეთოს მომავალში. ამის შედეგად აღმოცენდება და ვითარდება წარმოსახვის ნიჭი. ამასთან დაკავშირებით ფართოვდება ბავშვის სწავლების შესაძლებლობა და ცოდნით გამდიდრების საშუალება.

სწავლების პროცესში აზროვნებას ენიჭება სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა. მაგრამ ბავშვის აზროვნების განვითარების პროცესი, ცოტა თუ ბევრად, მუდამ ინარჩუნებს კავშირს რეალობის კონკრეტულ აღქმასთან.

ბავშვის მიერ სწავლების დაბალ საფეხურზე, მაგალითად სურათის გაგება განპირობებულია მის მეხსიერებაში იმ რეალური საგნების გამოსახულებით, რომლებიც სურათის შინაარსის შემადგენელი საგნების ანალოგიური არიან. ბავშვს, რომელსაც არასოდეს არ უნახავს დათვი, შეუძლია აღიქვას და გაიგოს სურათზე მისი გამოსახულება იმიტომ, რომ მან მრავალგზის აღიქვა და დაიმახსოვრა სხვა ოთხფეხა ცხოველების გამოსახულება.

აქედან გამომდინარეობს, რომ სწავლების პროცესის ამოსავალ მომენტს, თუ ავიღებთ მას (სწავლებას) მთლიანად, როგორც ბავშვის მიერ სინამდვილის შემეცნების განვითარების პროცესს, წარმოადგენს ბავშვის მიერ რეალური ფაქტების კონკრეტულ აღქმას. ასეთი „ცოცხალი ჭვრეტა“ არის მყარი ფუნდამენტი სწავლების პროცესის მთელი შემდგომი აგებისა. რაც უფრო მტკიცედ და ღრმად არის ბავშვის შეგნებაში აღბეჭდილი სინამდვილის შემეცნებისათვის საყურადღებო და რეალური ფაქტები, მით უფრო მეტია მონაცემები მისი ინტელექტის განვითარების შემდგომი წარმატებისათვის.

სკოლამდელი ასაკისა და დაწყებით სკოლაში სწავლის დამწყები ბავშვის აღქმა ბევრ შემთხვევაში უშუალოდ არის დაკავშირებული მოძრაობასა და მოქმედებასთან. ბავშვი ცდილობს თვალით აღქმულ საგანს ხელი სტაცოს, შეეხოს, ენით გასინჯოს; ყველა ეს მოქმედება ხელს უწყობს საგნის უფრო სრულსა და ყოველმხრივ აღქმას გრძნობის ყველა ორგანოთი, ბავშვი ცდილობს ადამიანთა მოძარობა, მოქმედებანი აღადგინოს და მრავალგზის გაიმეოროს.

მაშასადამე, ბავშვის განვითარების პირველი ნაბიჯებიდანვე მოძრაობა და მოქმედება გარემომცველი სინამდვილის აღქმაში ფრიად საყურადღებო როლს თამაშობენ.

ბავშვის მეხსიერებაში ადრე აღქმული ფაქტების წარმოდგენისა და ამ წარმოდგენათაგან მათი სხვადასხვაგვარი შეხამების გზით, ახალ სახეცვლილებათა და უფრო რთულ სახეთა შექმნის დროს, ადგილი აქვს წარმოსახვას; აქ ბავშვი ადამიანებისაგან გადაცემულ ცოდნას წვდება სიტყვების, სურათებისა და სხვა ილუსტრაციების დახმარებით.

ბავშვის ნიჭი იმ ფაქტის წარმოდგენისა და წარმოსახვისა, რომელიც მას არასოდეს აღუქვამს, ჰქმნის უსაზღვრო შესაძლებლობას ბავშვის ჰორიზონტის გაფართოებისა და მათი მეხსიერების გამდიდრებისათვის ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრებიდან მრავალი საგნისა და მოვლენის ცოდნით.

თუ ბავშვი ცდილობს წარმოსახვის ძალით აღქმული ახალი წარმოდგენები და სახეები აღადგინოს მოქმედებაში, მაშინ ეს არის ბავშვის მიერ ცოდნის შემოწმების, დაზუსტებისა და უფრო სრულად დაუფლების საშუალება. გამოხატავს რა თამაშში ან სურათზე თავის წარმოდგენებსა და აზრებს, ბავშვი ხედავს, რა ახსოვს და იცის სრულად და მკაფიოდ, რა დაიხსომა სუსტად, ბუნდოვნად და რა არ იცის სრულიად, გამოხატვის პროცესში ბავშვი ავარჯიშებს და ავითარებს თავისი მოგონების, წარმოსახვისა და ხატოვანი აზროვნების ნიჭს, აგრეთვე თავისი მოძრაობებისა და მოქმედებების თავისსავე აზრისა და ნებელობისადმი დაქვემდებარების უნარს.

ვსარგებლოთ რა ბავშვის შემოქმედებითი წარმოდგენით და ანალოგიით აზროვნების ნიჭით, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ვიმოქმედოთ მისი აზრებისა და გრძნობების მთელ სისტემაზე, მის ქცევაზე.

შემოქმედებითი წარმოდგენისა (წარმოსახვის) და ანალოგიით აზროვნების პროცესი უკვე შეიცავს ლოგიკური აზროვნების საწყისს, რადგანაც აქ ადგილი აქვს შედარებას, წარმოსახულ საგანთა დაპირისპირებას, მსგავსების, განსხვავების, მათ შორის სხვადასხვაგვარ ურთიერთობათა კავშირების (სივრცობრივი, დროის, მიზნობრივი, მიზეზობრივი და ა.შ) შეგნებას, მაგრამ ყველა ეს კავშირი და ურთიერთობა შეგნებაში ჯერ

კიდევ არ არის გამოყოფილი, არ არის თვით წარმოსახული საგნებისაგან აბსტრაგირებული.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა აზროვნებას ჯერ კიდევ კონკრეტული ხასიათი აქვს, მაგრამ ანალოგიით აზროვნებაში უკვე არსებობს აბსტრაქტული აზროვნების მარცვალი. ანალოგიით აზროვნების დროს ხდება საგანთა და მოვლენათა ერთ ჯგუფში არსებული კავშირებისა და ურთიერთობების გადატანა მთელ რიგ სხვა ჯგუფებში.

აბსტრაქტული აზროვნების ნიჭის განვითარება იძლევა ფართო შესაძლებლობას საგანთა და მოვლენათა შორის ღრმა, უხილავ შინაგან კავშირებსა და დამოკიდებულებებში ჩაწვდომისა და გაგებისათვის, კანონზომიერებათა შეცნობისათვის.

აზროვნების განვითარებას თავის მხრივ მივყავართ ბავშვთა პრაქტიკული შრომის გართულებისაკენ. მოზარდის რეალური პრაქტიკული მოღვაწეობა ხდება სულ უფრო და უფრო შეგნებული და მიზანშეწონილი, ის შეგნებულად მიმართავს ამ შრომას თავისი ცოდნის მოსაზრებებისა და იდეების შემოწმებისა და მათი შემდგომი დაუფლებისაკენ. ბავშვი მიისწრაფის იმისაკენ, რომ მოგვცეს რაც შეიძლება უფრო დაწვრილებით და ზუსტი გამოხატვა მის მიერ აღქმული და შეთვისებული სინამდვილის საგნებისა, მოვლენებისა და მათ შორის წარმოსადგენ სხვადასხვაგვარ ურთიერთობათა.

უფროსი და საშუალო კლასების მოსწავლეებს ეზრდებათ ინტერესი სიტყვისადმი, როგორც თავიანთი აზრებისა და მოგონებების ზუსტი და სრული გადაცემის საშუალებისადმი. აზრების სიტყვიერი გამოხატვა წარმოადგენს აგრეთვე ცოდნის შემოწმებისა და დაზუსტების საშუალებას. მოსწავლეებს ესმით, რომ თავიანთი წარმოდგენებისა და ცნებების სიტყვიერი გაფორმებით ისინი თვითონაც არკვევენ, თუ რამდენად დაეუფლნენ მათ, რომელი მხარეები, ნიშნები, დამოკიდებულებანი და კავშირებია გააზრებული და გაგებული, რომელი არასაკმარისად გამოყოფილი და დაზუსტებული და რა რჩება ჯერ კიდევ ბუნდოვნად და გაუგებრად.

სწორად წარმართული სწავლების შედეგად აზროვნება ხდება მოსწავლის თავისთავად და ძლიერ მოთხოვნილებად. წიგნისა და წერილობითი სიტყვის დაუფლება ფართო შესაძლებლობას ჰქმნის ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. დამოუკიდებელი კითხვის პროცესი ააქტიურებს გონებასა და წარმოდგენებს, ხსნის ახალ ჰორიზონტებს ან აერთიანებს და ახლებურად იხილავს უკვე ცნობილს, მაგრამ მეხსიერებაში განცალკევებულ ფაქტებს, ასეთი კითხვა მოზარდისათვის ხდება დიდი სიხარულისა და სიამოვნების წყაროდ.

სკოლაში სწავლების დროს მოსწავლის მიერ ფაქტების აღქმის პროცესი ჩვეულებრივ მიმდინარეობს როგორც დემონსტრირების უშუალო, რეალური დაკვირვების ფორმით კლასში, ექსკურსიებზე, კაბინეტებში, ლაბორატორიებში, ისე გაშუალებული აღქმის სახით მასწავლებლის თხრობის, წიგნის კითხვისა და ილუსტრაციების – ნახატების, ნახაზებისა და სხვა დათვალიერების დროს.

სწავლების პროცესში ხშირად ვხვდებით ისეთ გარემოებას, როდესაც განსახილველი საგნის ან მოვლენის ცალკეული დეტალები ჩრდილავენ შესასწავლი ობიექტის მთლიან სახეს. ხდება პირიქითაც. მაგალითად, ექსკურსიის, სურათების დათვალიერების, მხატვრული ნაწარმოების მოსმენის დროს აღქმული მთლიანი სახის სიცხადე და მკაფიობა აძნელებს მისი დეტალურად განხილვის, ცალკეული მხარეების გამოყოფისა და მათ შორის კავშირების გარკვევის პროცესს. მასწავლებელს შეუძლია დაძლიოს აქ არსებული დაბრკოლებები, თუ ცხადად ერკვევა იმაში, რომ ადგილი აქვს ორი პროცესის, ანალიზისა და სინთეზის შეხამებას და თუ შეგნებულად ასწავლის ბავშვებს აღქმისა და აზროვნების ამ პროცესებს.

გარემომცველი სინამდვილის ფონზე ცალკეული საგნების გამორჩევა, მათი ცალკეული მხარეების, თვისებების, თავისებურებებისა და მათ შორის სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებათა გამოყოფა წარმოადგენს იმ სინამდვილის თანმიმდევრული ანალიზის პროცესს, ხოლო ყველა ამ აღქმათა და წარმოდგენათა შეერთება ერთ დასრულებულ სახეობად და მთლიანი შესასწავლი საგნის კონკრეტული გაგება არის რთული სინთეზის პროცესი.

ვასწავლოთ მოსწავლეებს კონკრეტული ფაქტების სწორად აღქმა და მეხსიერებაში აღდგენა, ნიშნავს თანმიმდევრულად შევაიარაღოთ ისინი ანალიზისა და სინთეზის უნ-

არით. ამ ამოცანას ემსახურებოდა ჯერ კიდევ კომენსკის მიერ მითითებული ხერხი ფაქტების გადმოცემისა, მათი განხილვისა ან აღწერისა: მთელიდან ნაწილისაკენ და პირუკუ.

ფაქტების გადაცემისა და განხილვის თანრიგი – მთელიდან ნაწილისაკენ და ნაწილიდან მთელისაკენ, გამოიყენება სხვადასხვა საგნის სწავლების ყველა საფეხურზე. ასე, მაგალითად, მხატვრული ნაწარმოების რომელიმე ნაწყვეტის გრამატიკულ გარჩევაზე გადასვლის დროს მასწავლებელი პირველყოვლისა მოსწავლეთა ყურადღებას მიაქცევს ამ ნაწყვეტის საერთო შინაარსსა და აზრს, მის მნიშვნელობას მოცემული ნაწარმოების მთლიან კონტექსტში, და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის ნაწყვეტის შემადგენელ ნაწილებად თანმიმდევრულ დაყოფაზე. ამასთან, ყოველი ნაწილი განიხილება მთლიანთან მის კავშირსა და დამოკიდებულებაში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთელისა და ნაწილის ერთიანობის პრინციპს ისტორიული ფაქტების გადაცემის დროს.

სათანადო ეპოქისათვის დამახასიათებელი ისტორიული ამბების თხრობაზე გადასვლამდე, მიზანშეწონილია მთლიანად ეპოქის დახასიათება ძირითადი და გადამწყვეტი მომენტების ხაზგასმით. ამის შემდეგ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოთხრობილი ცალკეული ისტორიული ამბები მოსწავლეთა მიერ შეთვისებულ იქნება არა როგორც შემთხვევითი ამბები, არამედ როგორც მთლიანი ისტორიული პროცესის ორგანული ეტაპები.

განსაკუთრებით ძნელია ფაქტების შეთვისების პროცესი, როდესაც ბავშვი უსმენს მასწავლებლის სიტყვას და აზრით მიჰყვება მას. პედაგოგიკის მიერ სასწავლო მასალის სისტემური გადმოცემის მოსმენა ნიშნავს, პირველ ყოვლისა, მასწავლებლის სიტყვების ზუსტად შეთვისებას, მათი აზრისა და მნიშვნელობის წვდომას, გადმოცემულ აზრთა მსვლელობის კვალდაკვალ მიყოლას, აგრეთვე იმას, რომ არაფერი გამოტოვო, დაიჭირო ძირითადი ძაფი.

მეორე მხრივ, ამა თუ იმ აზრის შეთვისება და გაგება ნიშნავს მის შეკავშირებას ჩვენს საკუთარ აზრებთან. ამ ორი მომენტის – სხვისი აზრების წვდომისა და ჩვენს აზრებთან მათი დაკავშირებისა და დაპირისპირების შეხამება წარმოადგენს ძალიან რთულ პროცესს, რომელიც მოითხოვს დიდ სიმარჯვეს და ხანგრძლივ ვარჯიშს. ამ პროცესის არასაკმაოდ დაუფლება დიდ დაბრკოლებას ქმნის სწავლების საქმეში. ამას გვიმტკიცებს პრაქტიკა. ხშირად მოსწავლე, მოისმენს რა მასწავლებლისაგან საინტერესო აზრს, რომელიც მასში გამოიწვევს ცოცხალ ასოციაციებსა და მოგონებებს, ამ უკანასკნელებზე გადაიტანს ყურადღებას და თხრობის ძაფს კარგავს.

ისეც ხდება, რომ მოსწავლე, რომელიც დაძაბულად მისდევს მასწავლებლის მეტყველებას, მისი ჩაწერის მიზნით, ახშობს და ამუხრუჭებს თავის ყოველ საპასუხო აზრს, რასაც ხშირად მივყავართ თხრობის შინაარსის მასიურ, მექანიკურ აღქმისაკენ.

ამრიგად, ამ ორი მომენტის შეხამების ხელოვნება დაიყვანება მასწავლებლის თხრობის დროს უფრო მთავარი და არსებითი ფაქტებისა და აზრების გამოყოფის, მათ გონებაში გადამუშავებისა და საკუთარ ძველ გამოცდილებასთან დაკავშირების უნარამდე. თხრობისა და საუბრის მოხერხებული შეერთებით მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს მისდიონ მის აზრებს და დაუკავშირონ, შეუფარდონ ისინი თავიანთ აზრებს.

ფაქტების შეთვისებისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას ძალიან დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. მოსწავლეთა მუშაობა, რომელიც ამ მიმართებით სწორედ არის დაყენებული, უვითარებს მათ ყურადღებისა და დაკვირვების უნარს; იგი ზრდის საქმისადმი საჭირო დამოკიდებულებას ჯერ კიდევ მოსამზადებელი მომენტიდან, აყალიბებს პასუხისმგებლობის გრძნობას, კანონიერ უნდობლობას პირველი შთაბეჭდილებებისადმი და განსაკუთრებულ სწრაფვას მაქსიმალური სიზუსტისა და ცოდნის სრულად შეძენის მიღწევისათვის, ხოლო ასეთი მომთხოვნელობის უქონლობა, შესასწავლი ობიექტის ერთგზის, სწრაფი დათვალიერებით დაკმაყოფილება ბავშვებს აჩვევს ზერელეობას ფაქტებისადმი დამოკიდებულებაში და ამცირებს ბავშვების ცოდნისმოყვარეობისა და მეცნიერებისადმი ინტერესს.

ათვისებული ფაქტების შემდგომი გააზრება, მათი არსის, საფუძველის, მათი წარმოშობის ხელისშემწყობი მიზეზების, განვითარებისა და სხვათა წვდომა – ყველაფერი ეს პირველ ყოვლისა მოითხოვს ანალიზისა და სინთეზის პროცესების განგრძობასა და გაღრმავებას. მხარეთა, ნიშანთა, თავისებურებათა და ელემენტთა მთელი ჯამიდან უნდა გამოვარჩიოთ ძირითადი, განსაზღვრული, გადამწყვეტი. საჭიროა გავარკვიოთ ამ ძირითად მხარეთა და ელემენტთა ყველაზე არსებითი ურთიერთდამოკიდებულება და კავშირები ყველა დანარჩენთან, ამოვხსნათ თვით მათ შორის კავშირი. ამასთანავე მთავარი, გადამწყვეტი მხარეები, თავისებურებები, ელემენტები და მათი ურთიერთობები ხშირად არიან უხილავი, ფარული, შეუმჩნეველი. სწორედ აქ შესასწავლის შემეცნებისათვის აუცილებელია აბსტრაქტული აზროვნების რთული და მძიმე პროცესი.

აღსანიშნავია, რომ ფაქტების ლოგიკური გააზრების პროცესი მიზნად ისახავს შესასწავლ მოვლენებში გარკვეულ კანონზომიერებათა დამყარებას, მოქმედების სახელმძღვანელო კანონებისა და წესების დადგენას.

განზოგადებათა გაგებასა და შეთვისებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეცნიერული მსოფლმხედველობის შემუშავებისათვის, ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების განვითარების პროცესების სწორად გაგებისათვის.

როგორც ცნობილია, ცოდნა შეთვისებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებმა იციან მისი გამოყენება პრაქტიკაში.

ცოდნის გამოყენებას ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ ზეპირი და წერილობითი მეტყველების დროს, რა თქმა უნდა, თუ მოსწავლეთა პასუხები დაიყვანება პედაგოგის სიტყვის ან წიგნის ტექსტის მექანიკურ აღდგენამდე, მაშინ ცოდნის გამოყენებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ ასეთ პასუხებს თანამედროვე სკოლაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ ვალდებული ვართ მივაღწიოთ იმას, რომ მოსწავლეები პასუხობდნენ არა სხვისი დაზეპირებული ფრაზებით, არამედ დამოუკიდებლად მოფიქრებული და ნამდვილად განცდილი სიტყვებით.

განვლილი მასალის გადმოცემა თავისუფლად, ლოგიკური თანმიმდევრობით შეგვიძლია ჩავთვალოთ ცოდნის შემოქმედებითი გამოყენების ერთ-ერთ ფორმად.

მოსწავლეს უნდა ესმოდეს, რომ გამოკითხვის დროს ის ავარჯიშებს ისეთ ფრიად მნიშვნელოვან უნარს, როგორიცაა თავისი ცოდნის გადმოცემა ისე, რომ ეს ცოდნა გასაგები და მისაწვდომი იყოს მისი არმცოდნე მსმენელისათვისაც. მოსწავლემ უნდა გაიგოს, რომ ეს არის ცოდნის სრული დაუფლებისაკენ ყველაზე სწორი გზა. ჩვენ მისგან უნდა მოვითხოვოთ ისეთი პასუხები, განვლილი მასალის ისეთი გადმოცემა, რომელიც სარგებლობას მოუტანს მთელ კლასს. მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ მისი პასუხისათვის განკუთვნილი დრო ეკუთვნის არა მარტო მას, არამედ მის ამხანაგებსაც. ისმენენ რა გამოძახებული ამხანაგის კარგ პასუხს, მცოდნე მოსწავლეები იმეორებენ და ამტკიცებენ თავიანთ ცოდნას, მოსწავლეები კი, რომლებმაც ცუდად იციან მასალა, საშუალებას ღებულობენ უკეთესად გაერკვიონ მასში.

ასეთი ამოცანის დაძლევისათვის აუცილებელია მოსწავლემ მეხსიერებაში აღადგინოს არა მარტო ჯამი და დასკვნები, არამედ ყველა თანმიმდევრული ლოგიკური ეტაპი, რომელიც მან თვითონ გაიარა მასწავლებლის მოსმენისა და სახელმძღვანელოს კითხვის დროს. ეს აიძულებს მას გაიაზროს თავისი პასუხის ლოგიკური გეგმა.

შესასწავლი მასალის ასე საფუძვლიანი დაუფლების ამოცანა მოსწავლისაგან მოითხოვს სახელმძღვანელოსა და წიგნზე ღრმა, საფუძვლიან დამოუკიდებელ მუშაობას. ეს მუშაობა მოსწავლისათვის სათანადო სიძნელეს წარმოადგენს. ცდებიან ის პედაგოგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ იმ მოსწავლისათვის, რომელმაც კარგად გაიგო გაკვეთილზე პედაგოგის მიერ გადაცემული მასალა, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ამ მასალის განმეორება სახელმძღვანელოს საშუალებით. ეს ასე არ არის.

ერთია აღიქვა და შეითვისო ზეპირი გადაცემა, ცოცხალი სიტყვა, მეტყველი ემოციებით, მიმიკით, ჟესტებით, თვალსაჩინოებით, მხატვრული ილუსტრაციებით, შედარებებით, ახსნა-განმარტებებით და სულ სხვაა თვითონ გაერკვე ნაბეჭდ ტექსტში. აქ საჭირო ხდება სხვისი წერილობითი სიტყვა გადააქციო საკუთარ ცოცხალ აზრად, დაიჭირო მოცემული ტექსტის ლოგიკური ძაფი, სტრუქტურა ცალკეული ნაწილებით, პუნქტე-

ბის, აბზაცების შეფარდება და თანმიმდევრობა, გამოყო მთავარი, არსებითი და ყოველივე ეს გამოთქვა შენი სიტყვებით.

სახელმძღვანელოს მასალის კითხვის, სწავლისა და თხრობის დროს მოსწავლემ უნდა შეითვისოს, ახალ ფორმაში აღადგინოს გაკვეთილზე მოსმენილი, ხშირად სულ სხვანაირად დაალაგოს ფაქტები, გამოთქვას საკუთარი აზრი მოსმენილის შესახებ და ა.შ. ეს კი ნიშნავს დამოუკიდებელი ახალი ნაბიჯის გადადგმას მოცემული მასალის შეთვისებისა და დაუფლებისაკენ.

სწავლების პროცესის საფუძვლიანი ანალიზის შედეგად დავასკვნით, რომ სწავლა როგორც ცოდნის შეგნებული და აქტიური შეთვისების პროცესი მეტად რთულ მოვლენას წარმოადგენს. მასწავლებლის, როგორც ამ პროცესის ხელმძვანელის წინაშე დიდი სიძნელეები დგას სხვადასხვა ასაკის ბავშვებთან მუშაობის დროს და სწავლების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე იგი სხვადასხვანაირ სიძნელეს ხვდება. მაგრამ სასკოლო პრაქტიკის გამოცდილება და თეორიული განზოგადება აიარაღებს მასწავლებელს ისეთი საშუალებებით, რომელთა დახმარებით შეუძლია წარმატებით გადაწყვიტოს მის წინაშე მდგარი სერიოზული და საპასუხისმგებლო ამოცანები სწავლების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არახამია მ., პრაქტიკული დიდაქტიკისა და სკოლათმცოდნეობის ზოგიერთი საკითხი, ქუთაისი, 2010.
2. ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., სწავლებისა და სწავლის პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება, ქუთაისი, 2005.
3. გაგუა ვლ., პედაგოგიკა, თბ., 1996.
4. გიორგაძე ო., დიდაქტიკა, განათლებისა და სწავლების თეორია, ბათუმი, 1998.
5. გიორგაძე ო., გაკვეთილი: თეორია და პრაქტიკა, ბათუმი. 1998.
6. ლორთქიფანიძე დ., დიდაქტიკა, თბ., 1981.

ლია მენთეშაშვილი

სწავლა როგორც ცოდნის შეგნებული და აქტიური შეთვისების პროცესი

რეზიუმე

ცოდნის შეთვისება შეუძლებელია მოსწავლეთა აქტივობის გარეშე. მოსწავლეები მასწავლებლის ხელმძღვანელობით გადიან გარკვეულ გზას არცოდნიდან ცოდნისაკენ.

მოსწავლეები სწავლების შედეგად უნდა დაეუფლონ ცოდნათა იმ სისტემას, რომელიც სწორად ასახავს გარეშე სამყაროს, საგნებს, მოვლენებსა და მათ შორის არსებულ კავშირებს. ცოდნის შეთვისების პროცესში გასათვალისწინებელია ბავშვისა და მოზარდის ასაკობრივი თავისებურებები, რაც აზროვნების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

Lia Menteshashvili

Studing as Process of Conscious and Active Mastering of Knowledge

Summary

Mastering of knowledge is impossible without pupils activity. Pupils pass their way from ignorance to knowledge by their teachers leadership.

Pupils should get such system of knowlege, which really reflects our universe, things, phenomena ans connection among them. We should foresee age pecularities of child and teenager in the process of mastering. That is one of the important condition in the development of thinking.

Лия Ментешашвили

Учение как процесс активного и осмысленного усвоения знаний

Резюме

Усвоение знаний не возможно без активного участия самих учащихся. Ученики под руководством учителя проходят определённый путь от незнания к знанию.

Учащиися в результате обучения должны получить достоверные знания в той системе, которая в точности отражает окружающую действительность, предметы, явления и существующие между ними связи. В процессе усвоения знаний необходимо учитывать возрастные особенности детей и подростков, что является одним из вожнейших условий развития мышления.

ნატო შეროზია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

კომუნიკაციის ეფექტური სტრატეგიები

კომუნიკაციას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩვენს ცხოვრებაში. კომუნიკაციის გარეშე წარმოუდგენელია ადამიანის ფუნქციონირება, მისი პროფესიული თუ ყოველდღიური საქმიანობა. კომუნიკაცია ეფექტური სასწავლო პროცესის ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი კომპონენტია. კომუნიკაციის ეფექტური სტრატეგიების დაუფლების გარეშე შეუძლებელია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალურად წარმართვა სკოლაში, მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობა, კლასგარეშე მუშაობის ჩატარება და ა.შ. ნაშრომში გავაანალიზებთ კომუნიკაციის იმ ეფექტური სტრატეგიების არსს, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვნად დაეხმარება პედაგოგებს.

კომუნიკაცია ნიშნავს ადამიანების ერთობლივ ქმედებას, როდესაც ისინი ერთმანეთს ელაპარაკებიან და უსმენენ. „კომუნიკაცია არის მთქმელისა და მსმენელის ერთობლივი პროდუქტი“(5,50). ცხადია, რომ კომუნიკაცია გარკვეული შინაარსის ირგვლივ იგება, მაგრამ ამ შინაარსის გაგება-გაზიარებაში ორივე მხარე უნდა იყოს ჩართული. ტრადიციული განმარტების თანახმად, „**კომუნიკაცია არის ინფორმაციის გაცვლის პროცესი ორ ან მეტ ადამიანს შორის**“(1,106). აღნიშნული პროცესი თავის თავში მოიცავს ორ კომპონენტს-ინფორმაციის გაცემასა და მის მიღებას. კომუნიკაციის განსახორციელებლად ყოველთვის არის გარკვეული წინაპირობა ანუ ფონური მონაცემები: კერძოდ, კომუნიკაციის პროცესი გულისხმობს საერთო საკომუნიკაციო რეალურ ან ვირტუალურ სივრცეს და საერთო საკომუნიკაციო სიმბოლოებს. განასხვავებენ კომუნიკაციის განხორციელების მექანიკურ და შემოქმედებით მიდგომებს. კომუნიკაცია, **მექანიკური მიდგომით**, არის ინფორმაციის კოდირებისა და გადაცემის ცალმხრივ მიმართული პროცესი ინფორმაციის წყაროდან ინფორმაციის მიმღებამდე. კომუნიკაცია, **შემოქმედებითი მიდგომით**, არის კომუნიკაციის მონაწილეთა ერთობლივი მოღვაწეობა, რომლის დროსაც საგნებსა და მოქმედებებზე გამომუშავდება საერთო შეხედულებები, გარკვეული თვალსაზრისით.

კომუნიკაციის ძირითადი მოდელი ანუ კომუნიკაციური ციკლი ასე გამოიყურება:

- **წყარო/გადამცემი** – აგზავნის ინფორმაციას, რომელიც მიმღებისათვისაა განკუთვნილი;
- **მიმღები**-ადამიანი/ადამიანები, ვისთვისაც გზავნილი/ცნობა („მესიჯი“) არის განკუთვნილი;
- **გზავნილი/ცნობა(შინაარსი)**-ინფორმაცია, რომელსაც წყარო გადასცემს;
    - **არხი** - საკომუნიკაციო არხი, რომელიც ინფორმაციის გადაცემისას გამოიყენება, შესაძლებელია იყოს სხვადასხვა; მაგ.: „**ვიზუალური,** როდესაც ვი-

ყენებთ თვალსაჩინოებებს; **აუდიალური,** როდესაც ვსაუბრობთ და მსმენელები ისმენენ ინფორმაციას; **ტაქტილური,** როდესაც მსმენელი ხელით ეხება მაგ.: თიხას და ხვდება, რომ ის სველი და რბილი არის“(3,33);

კომუნიკაციისას შესაძლებელია ერთდროულად ერთი და რამდენიმე არხის გამოყენება. რაც უფრო მეტი არხი გამოიყენება ინფორმაციის გადასაცემად, მით უფრო ადვილია მასალის გაგება და დამახსოვრება.

- **კონტექსტი** - გარემო ან ფიზიკური ადგილი, სადაც მიმდინარეობს კომუნიკაცია;
- **უკუგება** - არის ინფორმაციის მიწოდება მეორე ადამიანისა თუ ჯგუფისათვის იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს და როგორ აღიქმება მისი ან მათი ქცევა სხვების მიერ. უკუკავშირი ეხმარება ადამიანს საკუთარი თავის სწორად შეფასებაში, არასასურველი ქცევის ან კომუნიკაციის სტილის შეცვლასა და შესაბამისად, მიზნის მიღწევაში. არსებობს **უკუკავშირის** რამდენიმე სახე: „**პოზიტიური,** რომლის მიზანია მსმენელის წახალისება; მიმართულია დადებითი ქცევის განმტკიცებაზე და წაახალისებს მეორე მხარეს მსგავსი ქცევის მომავალში განმეორებისაკენ; **ნეგატიური(უარყოფითი),** რომლის მიზანია მოსაუბრის დაბლოკვა; მაგალითად, „როგორც ჩანს, შენ უყურადღებოდ მოუსმინე ამ ინსტრუქციას, ამიტომ, არასწორად შეასრულე დავალება; მიმართულია უარყოფითი ქცევის შეცვლაზე. **ნეიტრალური,** რომელიც არც წაახალისებს და არც აფერხებს მოსაუბრეს; მაგ.: „გასაგებია, მესმის“; მიმართულია სხვისი ქცევის და მისი გამომწვევი მიზეზების გაგების დემონსტრირებაზე; **ინფორმატიული,** რომლის მიზანია მსმენელისათვის ინფორმაციის მიწოდება; **არაფორმალური უკუკავშირი** - წარმოაჩენს „სწორ“ პასუხს ან გადაწყვეტილებასა და მიმართულია მეორე მხარის ინფორმირებაზე; **შემაჯამებელი,** რომლის მიზანია მოსაუბრის ნათქვამის, ქცევის და ა.შ. შეჯამება; მაგ.: „შენი ნათქვამიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ შენთვის უფრო მოსახერხებელია ინდივიდუალური მუშაობა. აჯამებს ინდივიდის მოქმედებას“(3,34). საჭიროა უფრო მეტი აქცენტი პოზიტიურ უკუკავშირზე კეთდებოდეს; აღინიშნოს ის, რასაც მიაღწია მსმენელმა და არა მხოლოდ ის, რასაც ვერ მიაღწია.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს.

ვერბალური კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას სიტყვების გამოყენებით. ვერბალური კომუნიკაცია წარმოადგენს რამდენიმე კომპონენტის, ელემენტის ერთობლიობას. ეს ელემენტებია ინტონაცია, ბგერის სიმაღლე და საუბრის სისწრაფე. სამივე კომპონენტის სწორად გამოყენება გვეხმარება, მაღალი ხარისხით ინფორმაციის გადაცემაში.

ინტონაცია – იმისათვის, რომ სხვა ადამიანებს დავანახოთ ჩვენი დამოკიდებულება გადაცემულ ინფორმაციასთან, სწორად უნდა გამოვიყენოთ ინტონაცია. ინტონაციის მეშვეობით, ვაკეთებთ აქცენტს შინაარსის გარკვეულ ნაწილებზე. ასეთი მიდგომით სხვა ადამიანს სწორად ესმის და მისთვის უფრო მარტივად გასაგებია მიწოდებული ინფორმაცია.

ბგერის სიმაღლე – საუბრისას მნიშვნელოვანია, არ ვიყოთ მონოტონურები და ვცვალოთ ბგერის სიმაღლე. ზედმეტად ხმამაღალი/ხმადაბალი საუბარი უსიამოვნო და გამაღიზიანებელია.

საუბრის სისწრაფე – მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ოქროს შუალედი. არ უნდა ვისაუბროთ ძალიან სწრაფად ან ძალიან ნელა. ნებისმიერი ახალი ინფორმაციის აღსაქმელად ადამიანს გარკვეული დრო სჭირდება.

იმისათვის, რომ საუბარი იყოს საინტერესო, სხვებისათვის მომხიბვლელი, გასაგები და მრავალფეროვანი, ყოველთვის უნდა ვცვალოთ ინტონაცია, ბგერის სიმაღლე და საუბრის სისწრაფე.

კომუნიკაცია შეიძლება არავერბალურადაც მიმდინარეობდეს. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ერთმანეთს საკმაოდ დიდი მოცულობით გადავცემთ ინფორმაციას არავერბალური კომუნიკაციის გზით.

ინფორმაციის გადაცემა არავერბალური გზით ხდება თითქმის უწყვეტი ნაკადის სახით. ჩვენი ჩაცმულობა, სახის გამომეტყველება, თვალები, მოძრაობა, დგომისა თუ

ჯდომის პოზა და ა.შ. მუდმივად გადასცემს მსმენელს ინფორმაციას ჩვენი მდგომარეობის, გრძნობებისა და დამოკიდებულებების შესახებ.

კვლევები აჩვენებს, რომ საკლასო გარემოში ინფორმაციის უდიდესი ნაწილი არავერბალურად გადაიცემა. ამასთანავე, როდესაც მოსწავლეები მასწავლებელს ზოგადად ან მის კომპეტენტურობას აფასებენ, უმეტეს შემთხვევაში არავერბალურ ინფორმაციაზე მიუთითებენ. მაგ.: სასიამოვნო ხმა აქვს, გამადიზიანებელი მანერები აქვს, მომწონს მისი ხმის ტემბრი და ა.შ. ამის საწინააღმდეგოდ, აღმოჩნდა, რომ მასწავლებლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეების არავერბალურ მანიშნებლებს და ძირითადად მასალის გადაცემით არიან დაკავებული. მნიშვნელოვანია აგრეთვე შემდეგი არავერბალური მანიშნებლების გათვალისწინება და კონტროლი: მიმიკა, სხეულის პოზა, ჟესტები, ხმის მახასიათებლები, ჩაცმულობა, მანძილი და ა.შ.

წერილობითი კომუნიკაციის დროს ადგილი აქვს ინფორმაციის დამუშავებასა და მოძრაობას წერილობითი ფორმით. როგორც წესი, წერილობითი კომუნიკაციის დროს ინფორმაცია მეტი სირთულისა და მნიშვნელობის მატარებელია. მას გაცილებით მეტი მტკიცებითი მნიშვნელობა ენიჭება და საქმის წარმოების დოკუმენტაციების დიდი ნაწილი წლობით ინახება.

კომუნიკაცია შესაძლებელია იყოს არაჯანსაღი, დაბალი ხარისხის, ცუდი, ან შესაძლებელია იყოს ეფექტური.

ზოგადად, ცუდი კომუნიკაციაც კომუნიკაციაა, მაგრამ იგი დაბალი ხარისხით გამოირჩევა, მიზანს სრულყოფილად ვერ აღწევს და ინფორმაცია ხშირად ადრესატამდე დამახინჯებული სახით მიდის. ეფექტური კომუნიკაცია განსხვავდება ჩვეულებრივი კომუნიკაციისაგან და ხაზს უსვამს ინფორმაციის გადაცემისა და მიღების მაღალ ხარისხს. მაგალითად, თარჯიმანი, რომელიც ყველაფერს ზუსტად და გასაგებ ენაზე გვითარგმნის.

ეფექტური კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რას ვამბობთ, არამედ ისიც, თუ როგორ ვამბობთ ჩვენს სათქმელს. აზრის ჩამოყალიბებისა და მისი ეფექტურად მიწოდების უნარის განვითარებას პრაქტიკული ვარჯიში სჭირდება. არსებობს კომუნიკაციის ეთიკა, რომლის ფუნქციაა ადამიანებთან ეფექტური და პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება.

აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციის ეფექტურობას ხელს უშლის შემდეგი ბარიერები:

- **ბუნდოვანი პროცესი/ენობრივი ბარიერები:** გაუგებარი ჟარგონის გამოყენება, სპეციალური ტერმინოლოგია და ა.შ.
- **ინფორმაციის სტრუქტურა:** მრავალმხრივი და გადატვირთული გზავნილი;
- **პიროვნული ნიშნები:** ფიზიკური და მენტალური მდგომარეობა, განათლების და ინტელექტის განსხვავებული დონე და ა.შ.
- **ფიზიკური ბარიერები**: ხმაური, ტემპერატურა, არაკეთილმოწყობილი გარემო და ა.შ.;
- **ადამიანის „ბუნება“:** ცრურწმენები, ტრადიციები, კულტურული ნიშნები;
- **ფსიქოლოგიური ბარიერები:** ინტერესის არქონა, უყურადღებობა და ა.შ.
- **კონფლიქტური მოსაზრებები და მიზნები:** როდესაც ადამიანები საწინააღმდეგო მოსაზრებებს უჭერენ მხარს, მათ უჭირთ სხვა მოსაზრებების გაზიარება.

  კომუნიკაციის ბარიერების დაძლევის ყველაზე მძლავრ საშუალებას ეფექტური კომუნიკაციის პრინციპების დაცვა წარმოადგენს. კომუნიკაციის დროს ასეთი ბარიერების შემცირება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ინფორმაციის გადაცემის ხარისხს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანებს შორის ურთიერთობების, კომუნიკაციის კულტურის სწავლებას ახალგაზრდა თაობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კობახიძე ნ., გაბაშვილი მ., ეფექტიანი სწავლება (თეორია და პრაქტიკა), გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის დეპარტამენტი, თბ., 2010.
2. მახარობლიძე თ., კომუნიკაცია – პრაქტიკული სახელმძღვანელო ტრენერებისთვის, თბ., 2012.
3. ღლონტი ლ., ქიტიაშვილი ა., ლაბარტყავა ნ., გვარამაძე ც., სწავლებისა და შეფასების მეთოდები პროფესიულ განათლებაში – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ცენტრი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბ., 2008.
4. ჩიხლაძე ს., ტრენერი და კომუნიკაციის ხელოვნება – პრაქტიკული სახელმძღვანელო ტრენერებისთვის, თბ., 2012.
5. Geißner H., Speech Science. Theory of oral communication. Cornelson, / Frankfurt/Main, 1988.

ნატო შეროზია

კომუნიკაციის ეფექტური სტრატეგიები

რეზიუმე

კომუნიკაცია ეფექტური სასწავლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. კომუნიკაციის პროცესი გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას (გაცემას და მიღებას) ორ ან მეტ ადამიანს შორის, როგორც ვერბალურად, ისე სიტყვების გამოყენების გარეშეც. კომუნიკაციის ბარიერების დაძლევის ყველაზე მძლავრ საშუალებას ეფექტური კომუნიკაციის პრინციპების დაცვა წარმოადგენს. კომუნიკაციის დროს ასეთი ბარიერების შემცირება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ინფორმაციის გადაცემის ხარისხს.

Nato Sherozia

Effective Communication Strategie

Summary

Communication is one of the most important components of an effective learning process. The communication process involves the exchange of information (issuing or receiving) between two or more people, both orally and without the use of words. A powerful tool for overcoming communication barriers is the adherence to the effective principles of communication. During the communication, the reduction of such barriers significantly improves the quality of information transfer.

Нато Шерозия

Эффективные стратеги коммуникации

Резюме

Коммуникация является одним из наиболее важных компонентов эффективного процесса обучения. Процесс коммуникации включает в себя обмен информацией (выдачи или приема) между двумя или более людьми, как вербально, так и не вербально. Мощнейшим средством преодоления коммуникативных барьеров является соблюдение эффективных принципов коммуникации.Во время общения сокращение таких барьеров значительно улучшает качество передачи информации

Лаура Гурули
Преподаватель Центра языков Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили

Роль грамматики в преподавании русского языка как иностранного

Учебный процесс при обучении русскому языку предполагает решение реальных задач, среди которых немаловажное значение имеют вопросы, связанные с теоретико-лингвистическими принципами и подходами к преподаванию русской грамматики в конкретных условиях обучения русскому языку как иностранному. При обучении иностранному языку как средству общения грамматика изучаемого языка нужна учащемуся для того, чтобы: а) правильно строить иноязычную речь; б) правильно понимать иноязычные высказывания; в) в случае необходимости – уметь сознательно контролировать построение высказывания и сознательно выбирать требуемые грамматические формы и конструкции.

В системе обучения РКИ активно используется коммуникативно-деятельностный подход. Каковы принципы реализации данного подхода в преподавании грамматики РКИ на разных этапах обучения? При таком подходе языковые явления представлены от содержательных элементов к речевым текстам с учётом процессов, которые происходят в реальной речевой деятельности,что позволяет более полно реализовать речевую, коммуникативную направленность обучения грамматике РКИ. Обучение языку, исходя из коммуникативной методики, должно быть максимально приближено к условиям и целям реального использования языка каждой возрастной, социальной и дифференцированной по образовательному признаку категорией учащихся.

Такая задача предполагает тщательное изучение коммуникативных потребностей тех, кто учится языку. На этой основе выделяется языковой материал, входящий в разнообразные речевые формы и формулы,обеспечивающие удовлетворение этих потребностей. При этом ставится вопрос, как при этом соблюдается принцип системности подачи материала, какие свойства языкового и речевого материала учитываются при отборе материала для обучения разным видам речевой деятельности, какие грамматические формы должны быть предъявлены на разных уровнях обучения?.

При коммуникативном принципе и системном способе отбора и организации языкового материала, языковая, речевая и коммуникативная компетенции взаимосвязаны таким образом, что каждая последующая из названных компетенций обеспечивается предыдущей. Абсолютизация каждой из них в отдельности может не дать желаемого результата при обучении. Методика должна быть многообразной. Преподаватель должен иметь конкретный подход к обучающимся в каждой отдельно взятой группе на разной стадии обучения (4,6).

Основная цель работы на **начальном этапе** – формирование словаря, необходимого и достаточного для элементарного общения в учебной и обиходно-бытовой сфере, а также обеспечение лексического наполнения для усвоения грамматики.

На этом этапе должна быть теснейшая связь лексической работы с грамматической . Слово входит в словосочетания, предложения, поэтому учащийся должен уметь употреблять слово в контексте. Лексику необходимо подбирать в соответствии с целями грамматики. Особенностью начального этапа обучения является то, что в этот период закладываются основы правильной речи, развитию которой должны быть подчинены все виды работы по языку, используемые на данном этапе. Обучение же речи на начальном этапе возможно лишь в пределах,обусловленных конкретными целями, так как для выполнения различных коммуникативных целей потребуется различный языковой материал, различные темы, тексты, различные навыки и умения (6 ,76).

Коммуникативная цель начального этапа обучения иностранных студентов русскому языку, в том числе грузинских , заключается в том, чтобы а) научить их пользоваться речью на русском языке в типичных ситуациях, близких к тем, с которыми им пришлось бы сталкиваться в России. В рамках коммуникативной цели решается и познавательно – воспитательная задача данного этапа. б) подготовить их к изучению предметов основного профиля с использованием русского языка как средством получения новой, дополнительной информации по данной дисциплине.

Т.о., начальный этап обучения – это тот период, когда закладывается речевая база для последующих этапов обучения, это период учебного процесса, необходимый для создания речевой базы коммуникации в пределах, ограниченных целями обучения.

Как было отмечено выше, обучение языку не может проходить без подачи необходимого грамматического материала. Теоретическое знание грамматики, описание грамматических явлений и формирование у учащихся грамматических понятий – всё это имеет значение для обучения речи. (7, 4)

Учащийся не может овладеть речевой деятельностью без опоры на теорию, пока он осознанно не выстроит все изученные языковые формы в систематизированные ряды. Именно это создаёт основу для выполнения речевых действий в новых ситуациях по аналогии с уже имеющимся у обучаемого лингвистическим опытом (5,17). Введение обобщённого и систематизированного грамматического материала должно служить тому, чтобы побудить учащихся к осознанным речевым действиям. При этом процесс овладения иностранным языком протекает от осознанного употребления языковых единиц к их автоматическому использованию в речи, что соответствует сознательно – практическому методу обучения (2, 13).

В научной литературе большое внимание уделяется отбору грамматического материала. В методике преподавания РКИ высказываются противоречивые мнения по отбору грамматического материала, его обоснованию и последовательности введения: утверждается положение об определяющей роли грамматической системы языка и одновременно – о методической целесообразности отбора грамматических явлений и последовательности их введения, исходя из жизненной потребности общения иностранных студентов в языковой среде (1, 15).

Очень большое практическое значение имеет распределение отобранного грамматического материала, его дозировка.

Отобранный материал, по мнению многих методистов, должен представлять собой относительно небольшой круг коммуникативно значимых синтаксических форм имени. На начальном этапе только на незначительном лексическом материале можно развивать навыки использования в речи грамматических явлений, которые необходимы для функционирования данной лексики при речевом общении.

Основу грамматического минимума начального этапа обучения, наряду с некоторыми другими категориями, составляет предложно-падежная система русского языка. В связи с этим, одним из вопросов, который возникает при анализе методической и учебной литературы, является последовательность введения падежей и их значений в процессе обучения русскому языку иностранных студентов на начальном этапе.

Некоторые методисты считают, что порядок подачи падежей вызван необходимостью с самого начала дать студентам наиболее употребительные в речи конструкции, дать активный материал для владения языком как средством общения, однако в группах разных национальностей допускаются отклонения с учётом особенностей родного языка учащихся.Употребительность падежей и их потребность для коммуникации на определённом этапе обучения устанавливались на основании опыта преподавания, отсюда противоречивость мнений авторов учебников русского языка и авторов методических статей по вопросу порядка изучения падежей (1, 19).

В учебниках русского языка можно выделить несколько вариантов подачи падежей, однако во всех вариантах введения падежей В.п. и П. п. находятся в числе первых трёх, причём в одних вариантах за И.п.следует В.п., а в других – П.п. Что касается Р.п., то он может оказаться либо до В.п. одушевлённого, либо после, а творительный и дательный – либо на последнем, либо на предпоследнем месте. (1,20)

По рекомендациям многих методистов, изучение падежей, как правило, строится в учебниках на минимуме основных значений. В большинстве учебников последовательно вводятся значения сначала одного косвенного падежа, потом другого. Исключение составляют В.п.и П.п., иногда Р.п. Значения этих падежей чередуются со значениями других падежей. Например, чередуются обстоятельственные и объектные функции П.п. и В.п.

Во всех случаях практика введения падежных форм основывается на особенностях системы языка и трудностях усвоения материала учащимися.Основная цель – выработать у учащихся навыки употребления падежей на ограниченном круге словоформ, а затем осуществить перенос этих навыков в другие словоформы.

В нашей практике мы придерживаемся порядка подачи падежей, при котором после И.п. на первом месте стоит изучение П.п. и В.п., а затем Р.п., Д.п. и Т.п.. Изучение П.п. и В.п. является первостепенным в грузинской аудитории, что вызвано особенностями их употребления в грузинском языке.

Как известно, в практике преподавания РКИ при отборе и представлении грамматического материала значительную роль играет сопоставление родного и изучаемого языков. Родной язык присутствует в сознании учащегося в те моменты, когда он занимается усвоением неродного языка. Поэтому в практике преподавания должны широко использоваться данные сопоставительной лингвистики. Опираться надо на изучаемый язык, но также нужно учитывать особенности родного языка учащихся. Сравнение позволяет выявить сходные конструкции, с помощью которых « родной язык из неизбежного и беспощадного конкурента иностранного языка становится опорой егоусвоения» (3, 67), а также структурно-семантические расхождения, которые затрудняют усвоение конструкций изучаемого языка или приводят к нежелательной интерференции. Поэтому при разработке учебного грамматического материала важно определить, как передаются межъязыковые универсалии в системе изучаемого языка и каковы отличия способа их выражения в изучаемом языке по сравнению с родным.Это позволит выделить трудности, которые возникают в овладении грамматикой русского языка и в её практическом речевом использовании перед учащимися той или иной национальности.

В методике преподавания русского языка различаются ошибки, которые бывают случайными (например, из-за незнания или непосильных заданий), и ошибки, типичные для носителей определённого языка. Знание системы родного языка учащихся и изучение типичных ошибок даёт положительные результаты. Ошибки подобного рода можно предвидеть и предупреждать и уделить их искоренению достаточное учебное время. Именно к такого рода типичным ошибкам относится употребление винительного и предложного падежей грузинскими учащимися. Основная трудность для грузинского учащегося при изучении этих падежей заключается в том, что, с одной стороны, предлогу *в* в русском языке соответствует послелог -ში в грузинском, а предлогу *на* соответствует послелог - ზე, поэтому учащийся легко воспринимает объяснение преподавателя, что предлог *в* обозначает нахождение внутри предмета, в пределах чего-либо, а предлог *на* обозначает нахождение на поверхности, на открытом месте: на столе (მagidaze), в столе (magidaSi). Однако в ряде случаев ошибки в употреблении предлогов *в* и *на* в речи грузинских учащихся возникают там, где по логике должен быть предлог *в*, но употребляется предлог *на*: на заводе, на почте (в грузинском: qarxanaSi, fostaSi). Помимо этого, учащимся надо в доступной форме объяснить, что предлог *на* в некоторых случаях указывает на участие в мероприятиях, действии или в пребывании там, где происходит названное действие, например, *в театре,* но *на спектакле*; *в школе,* но *на уроке.* Учащиеся нередко смешивают эти структуры при употреблении в речи.

Не меньшие трудности возникают у грузинских при усвоении винительного падежа с предлогами *в* и *на* для обозначения конечного пункта движения. При введении этой структуры происходит смешение форм В.п. направления, отвечающего на вопрос **куда?** и П.п. места, отвечающего на вопрос **где?** Учащиеся не всегда могут осознать разницу в вопросах куда? и где?, поскольку в грузинском языке в обоих случаях в основном ставится один и тот же вопрос **где?** Этим вызваны ошибки типа: --Где ты идёшь? –Я иду в университете. Он идёт в магазине. К этому добавляется ещё одна трудность, вызванная отсутствием в грузинском языке лексического обозначения способа передвижения.

- Я **иду** на стадион; я **еду** в Батуми (mე **მივდივარ** სტადიონზე, მე **მივდივარ** ბათუმში)

В грузинском языке в обоих случаях употребляется один и тот же глагол. Главная трудность, которая стоит перед преподавателем при объяснении этих грамматических структур – это донести до учащихся осмысленное понимание сущности явления. Для объяснения этого сложного для обучающихся явления преподаватель должен использовать различные способы объяснения и закрепления грамматического материала. Этими трудностями объясняется и то, что на изучение винительного и предложного падежей имени существительного преподаватель, как правило, уделяет большую часть времени, отведённого на изучение всей падежной системы русского языка.

Литература:

1. Аркадьева О. М. Употребление падежей в речи. М., 1975
2. Вертоградская Э. А. Раскрытие семантики иноязычных грамматических форм// Психологические и психолингвистические проблемы владения и овладения языком., М., 1969.

3. Гальперин П. А. К психологии формирования речи на иностранном языке// Психолингвистика и обучение иностранцев русскому языку. М., 1972.
4. Иевлева З. Н. Методика преподавания грамматики в практическом курсе русского языка для иностранцев.М., 1981.
5. Копров В. Ю. Особенности преподавания грамматики русского языка иностранным учащимся разных форм обучения, Воронеж, 2010.
6. Митрофанова О.Д. Отбор учебного материала по русскому языку и проблемы лингвостатистического анализа .В сб.: »Русский язык для студентов-иностранцев». М., 1969.
7.Программы учебных курсов для иностранных учащихся основных курсов. Воронеж, 2011.

Лаура Гурули

Роль грамматики в процессе преподавания русского языка как иностранного

Резюме

Обучение языку не может проходить без подачи необходимого грамматического материала.Основу грамматического минимума начального этапа обучения русскому языку, наряду с некоторыми другими категориями, составляет предложно-падежная система русского языка. В связи с этим, возникает вопрос о последовательности введения падежей и их значений в процессе обучения русскому языку на начальном этапе. При отборе и представлении грамматического материала значительную роль играет сопоставление родного и изучаемого языков.

ლაურა გურული

გრამატიკის როლი რუსულის, როგორც უცხო ენის სწავლებისას

რეზიუმე

ენის შესწავლა შეუძლებელია სპეციალური გრამატიკული მასალის მიწოდების გარეშე. სხვა გრამატიკულ კატეგორიებთან ერთად, რუსული ენის სწავლების საწყის ეტაპზე გრამატიკული მინიმუმის საფუძველს წარმოადგენს რუსული ენის ბრუნვათა სისტემა. ამასთან დაკავშირებით, რუსული ენის სწავლების პროცესში, დგება საკითხი ბრუნვების მიწოდების თანმიმდევრობისა და მათი მნიშვნელობების შესახებ. გრამატიკული მასალის შერჩევისას და მისი წარდგენისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მშობლიური და უცხო ენების ურთიერთშედარებას.

Laura Guruli

The Role of Grammar in Teaching Russian as a Foreign Language

Summary

Learning of the language is impossible without filling the necessary grammatical material. At the first stage of teaching the Russian language, the basis of grammatical minimum alongside with some other categories is the case - prepositional system of the Russian language. Therefore, arises the question of the sequence of case representation and there meanings in the learning of Russian language. In the selection and the presentation of the grammatical material, the important role plays comparison of native and foreign languages.

ავტორთა საყურადღებოდ!

„მეცნიერება და ცხოვრება“ არის საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერი-
-რებადი სამეცნიერო ჟურნალი, რომელიც მიეწოდება საქართველოს უმაღლესი სას
წავლებლებისა და კვლევითი დაწესებულებების ბიბლიოთეკებს.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე;
- ავტორის **სახელი და გვარი, სამუშაო ადგილი და აკადემიური თანამდებობა** მითითებულ იქნეს **სათაურის წინ, ცენტრში;**
- ნაშრომს თან უნდა დაერთოს **რეზიუმე (10-12 სტრიქონი) სამ ენაზე (ქართული, ინგლისური და რუსული). <u>სამივე ენაზე უნდა ითარგმნოს ნაშრომის სათაური, ავტორის სრული სახელი და გვარი;</u>**
- **ქართულ ენაზე ნაშრომი იწყობა Acad Nusx შრიფტით. რუსულ და ინგლისურ ენებზე Times New Roman შრიფტით, (ასევე ამ ენებზე წარმოდგენილი რეზიუმეები). შრიფტის ზომა 11, სათაურებისათვის – 12, სტრიქონებს შორის 1,5 ინტერვალი. მინდორი: მარცხნივ და ზევიდან 2 სმ., მარჯვნივ და ქვევიდან 2,5 სმ.;**
- ნაშრომის **მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის 7 ნაბეჭდ გვერდს**, გამოყენებული ლიტერატურისა (არაუმეტეს 8-10 დასახელებისა) და რეზიუმეების ჩათვლით;
- ნაშრომი წარმოდგენილ უნდა იქნეს ელექტრონულ ვერსიასთან ერთად ამობეჭდილი **A4** ზომის ქაღალდზე **ორ ეგზემპლარად,** მას თავფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები: სახელი, გვარი; აკადემიური თანამდებობა, მისამართი (ბინის, სამსახურის, ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართი);
- სტატიის ჟურნალში დაბეჭდვის ან დაბეჭდვაზე უარის თქმის **შეტყობინება** ხდება წარდგენიდან **3 თვის ვადაში;**
- ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

მისამართი: **ქ. თბილისი, ეგ. ნინოშვილის №55**

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ ტელეფონზე: **2969044**

WEB-page: www. tu.edu.ge

E-mail: info @ tu.edu.ge

977198793700